

მარიამებრძოს
ვითვის გოგონა



ცოლია კულოზინა

ჩვენი ეკლესია და
ჩვენი ბავშვები

UDK (უაკ) 271.22(479.22) + 27 - 472 - 053.2
3 - 895




ISBN 978-9941-0-0957-0

რეცეზირებულია და ნებადაროსულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო
აკტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცეზირე-
ბის დეპარტამენტის მიერ.

+ 71000000

ფოთისა და ხობის მიზროპოლიტი



ဘဒ္ဒနိ ၁၄၉၂။

ဘဒ္ဒနိ ၁၄၉၃။

(ရှုရေးနှင့် အနေဖြင့် ပေါ်လောက်ခဲ့သူ)

ဝါယာနှင့် မြန်မာ ပြည်တော်သူမှု
တော်သူမှု ပြည်တော်သူမှု

სოფია კულტურის

ჩვენი ეკლესია და ჩვენი პავმვები

პირველი გამოცემა, თბილისი, 2008



მთარგმნელი: ირაკლი ლომოური

რედაქტორი: ნათელა ხურცილავა

მსატვარი: დავით ხიდაშვილი

კორექტორი: შორენა თარაშვილი

გამომცემელი: მოწა გრიგოლაშვილი



თარგმანი © ირაკლი ლომოური, 2008

რედაქცია, დიზაინი © გამომცემლობა „არიანი“, 2008

ISBN 978-9941-0-0957-0

საქართველოს
ეკლესიაშვილის
ეროვნული
გირდუმოსავა



სარჩევი

ნინათქმა	5
შესავალი	6
I. ქრისტიანული აღზრდის მიზანი	11
ღვთის რეალობის შეგრძნება (11); „მარტიო არა ხარ“ (15); რელი- გიური აღზრდა – ეს ზრდაა (16); წმიდა საიდუმლო, „შიში ღვთი- სა“ (18); მთლიანობა (20);	
II. ჩვენი შვილები	23
ჩვილობის ასაკი: დაბადებიდან 3 წლამდე (23); სკოლამდელი ასა- კი: 3-დან 6 წლამდე (27); უძრავოსი სასკოლო ასაკი: 6-დან 10 წლამ- დე (33); საშუალო სასკოლო ასაკი: 10-დან 13 წლამდე (44); მოზარ- დობის ასაკი: 13-დან 16 წლამდე (55);	
III. ქრისტიანული აღზრდა ოჯახში	61
სიყვარული და ოჯახი (61); ქმარი და ცოლი (62); სიყვარული ბავ- შვებისადმი (63); ბავშვების სიყვარული მშობლებისა და ნათესა- ვებისადმი (65); სანათესაო (67); ოჯახის მსოფლმხედველობა (68); დისციპლინა ოჯახში (71); ლოცვა ოჯახში (73); დღესასწაულები (76); ოჯახის პასუხისმგებლობა ქრისტიანულ აღზრდაზე (76);	
IV. მასწავლებელი	78
მასწავლებელი, როგორც პიროვნება (79); ურთიერთობა ბავშვებ- თან (81); ჯგუფის ხელმძღვანელობა (82); რა უნდა იცოდეს მასწავ- ლებელმა? (84); მასწავლებელთა მომზადება (85); საეკლესიო სკო- ლის მასწავლებლის მოწოდება (86);	
დამატება I. საუბრები მშობლებთან	88
„ოჯახი – მცირე ეკლესია“ თანამედროვე ცხოვრებაში (88); „მამაო ჩვენოს“ ახსნა ბავშვებისათვის (91); ბავშვებისათვის საეკლესიო	

ლოცვის სწავლება (95); როგორ ავუხსნათ ბავშვებს ნმიდა ზიარების საიდუმლო (99); რწმენისა და ცრურწმენის შესახებ (102); მარხვის მნიშვნელობა ბავშვის ცხოვრებაში (105) ბავშვებში სიმართლის თქმის ჩვევის ჩამოყალიბების შესახებ (108); მშობლების დამოკიდებულება შვილების დანაშაულისადმი (112); მოზარდების შესახებ (115); რის შესახებ არ ესაუბრებიან მშობლები შვილებს (118); როგორ ვისაუბროთ ბავშვებთან ახალი სიცოცხლის ჩასახვაზე (121); ბავშვის შემოქმედებასა და თამაშზე (124);

დამატება II. დამხმარე სახალისანელო

სასაოლო პროგრამის გასაღენად	128
უმცროსი ასაკის ბავშვები (5,6,7 წელი) (128); საშუალო ასაკის ბავშვები (8,9,10 წელი) (132); უფროსი ასაკის ბავშვები (11,12,13 წელი) (136); გარდამავალი პერიოდი (14,15,16 წლის მოზარდები) (140).	

ამ წიგნს ვუძღვნი ბავშვებს,
რომლებმაც ესოდენ ბევრი მასშია გადასაცავი.

წიგნი

ეს წიგნი ბავშვთა ქრისტიანული აღზრდისა და განათლების სფეროში ჩემი მოსაზრებებისა და გამოცდილების გაზიარების მცდელობაა. ძირითადად, იგი ქრისტიანული პედაგოგიკის იმ კურსის შინაარსს წარმოადგენს, რომელსაც ნიუ-იორკში 1970-იან წლებში წმიდა ვლადიმერის სახელობის მართლმადიდებლურ სემინარიაში მომავალ მოძღვრებს ვუკითხავდი.

ჩემი წიგნი აკადემიური ნაშრომი არ გახლავთ, — ის უფრო ჩემს პირად პედაგოგიკურ გამოცდილებას ასახავს, — გამოცდილებას დედისა, მასშიავლებლისა და ბებიისა. ჩვენი დროის სეკულარიზებულ მსოფლიოსა და ჩვენს ოჯახებში ბავშვთა ქრისტიანული აღზრდის პრობლემა ესოდენ მძაფრად რომ არ იდგეს, მის გამოცემას ვერც გავძედავდი. ჩემი ეს მცდელობა, თუნდაც არასრულყოფილი, მაინც საჭიროა, რადგან მთავარია სათავე დაიდოს — ამ რთულ თემაზე ნაშრომები არ არსებობს. დაე, ჩემი წიგნი მოწოდებად იქცეს ახალი მართლმადიდებლური პედაგოგიკური შრომების შესაქმნელად.

ამ წიგნს ამერიკის მართლმადიდებლებისთვის ვწერდი, მათი მოთხოვნების გათვალისწინებით, მაგრამ, მგონია, რომ ახლა ის რუსეთშიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს. ჩვენს ამოცანებში, ჩვენს სიძნელეებსა და პრობლემებში ბევრია საერთო.

ს. ს. კულომზინა
25.02.1994



შესავალი

როდესაც ვმსჯელობთ თანამედროვე ეკლესიურ ცხოვრებისა და მიღწევებზე ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის საქმეში, თვითკმაყოფილებისათვის არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია. გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენს ეპოქას ადრეული ქრისტიანობის ეპოქასთან რაღაც საერთო აქვს. ქრისტიანულ რწმენას, ანუ რწმენას იმისა, რომ იესო ქრისტე ღმერთვაცია, რომ ღმერთი სამებაა და რომ ეკლესია ქრისტეს ცოცხალი სხეულია, უმცირესობა აღიარებს, თანაც, ეს უმცირესობა დაყოფილია და დაქსაჭსული. ქრისტიანულმა სიმბოლოებმა, დღესასწაულებმა და ტრადიციებმა მნიშვნელოვანნ იღება და კარგა სიცოცხლისუნარიანობა. ისინი ან ქრება ჩვენი ცხოვრებიდან, ან ვაჭრობის ობიექტად იქცევა, ან კულინარულ თუ ეროვნულ წესჩვეულებებთან იგივდება, და ხშირად რაღაც სასიამოვნოზე, თუმცა არც მაინცდამაინც გასაგებზე დაიყვანება. ბევრ ქვეყანაში ადამიანებს საკმაო გამბედაობა სჭირდება იმის აღიარებისათვის, რომ ქრისტიანია, მაგრამ იქაც კი, სადაც არ არის რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულება, კულტურა რელიგიისაგან განცალკევებულია. მნელია ცხოვრებისეული ფასეულობების რამდენადმე ქრისტიანული გააზრება თუ გაგება იმ შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, რასაც თანამედროვე ბავშვი იღებს შინ, სკოლაში, წიგნებისა და უურნალების კითხვისას, რეკლამის ყურებისას. ეს იმ ოჯახებსაც ეხება, რომლებიც ტაძარში სისტემატურად დადიან. ბავშვი დღეს იზრდება გარემოში, რომელიც რომის იმპერიის ეპოქას ძლიერ გვაგონებს.

ამასთან ერთად, ამ ეპოქებს შორის უდიდესი სხვაობა არსებობს, კერძოდ, დღეს წაშლილია მკვეთრი ზღვარი, რომელიც ქრისტიანულსა და არაქრისტიანულ მსოფლმხედველობას ერთმანეთისაგან ყოველთვის ყოფდა. რომის იმპერიაში სასკოლო განათლება სეკულარული, რელიგიურობას სრულიად მოკლებული გახლდათ. გაბატონებული წარმოდგენები ქორწინებაზე, ოჯახური ურთიერთობების არსზე, ადამიანის პიროვნებაზე, მკვეთრად განსხვავდებოდა ქრისტიანულისაგან – ქრისტიანი ბავშვი იზრდებოდა სახლში და ცხადად აცნობიერებდა: იყო ქრისტიანი, ნიშნავს განსხვავდებოდე გარემომცველი საზოგადოებისგან, უარყოფდე მის ფასეულობებს. კომპრომისი ანდა „შეგუება“ გარესამყაროსთან წარმოუდგენელი იყო. დღეს ეს ზღვარი მორღვეულია. რას ნიშნავს, „იყო ქრისტიანი?“ ვინ უნიდებს დღეს თავს ქრისტიანს? საღვთისმეტყველო განსხვავებანი წაშლილია. სიტყვები „კონსერვატორი“, „დოქტრინიორი“ საღანძლავ გამოთქმებად იქცა. ასევე, გამქრალია ქრისტიანობის იმგვარი აღქმა, რაც 30 თუ

40 წლის წინათ ადამიანს საზოგადოების თვალში რესპექტაბელობაც პირ-ჭებდა. ძნელია უსაყველურო ახალგაზრდებს, რომლებიც ასეთი ქრისტიანობის ფარისევლობას უარყოფენ, თუმცა ამ აღმაში მხოლოდ და მხოლოდ ფარისევლობა არ ყოფილა.

მრავალი ადამიანი, ვინც თავს ქრისტიანს უწოდებს, ქრისტიანობას აღიქვამს, პირველ რიგში, როგორც ქადაგებას მთასა ზედა, რომლის არ-სი ადამიანებისადმი სიყვარულსა და პატივისცემაში, მშვიდობასა და კე-თილგანწყობაში და, აგრეთვე, იმ საკმაოდ ბუნდოვანი შეგრძნების აღია-რებაში მდგომარეობს, სამყაროში რაღაც ღვთიური ძალა რომ არსებობს. ეს მათ სავსებით აკმაყოფილებთ. რასაკვირველია, ამგვარი განცხადებების გულწრფელობასა და ღირებულებაზე კამათი არ ღირს. თუმცა კი, ჩვენ არა გვაქვს უფლება ვამტკიცოთ, — ეთიკური და მორალური ფასეულო-ბები ქრისტიანობის განმასხვავებელი და განსაკუთრებული პრივილეგი-აა. ეთიკური კოდექსები არა მხოლოდ რელიგიებს, თვით კომუნიზმსაც და ნაციონალიზმსაც კი ჰქონდა. კერძოდ, საკმაოდ მყაცრი მორალური კოდექსი, დაფუძნებული დისციპლინაზე, თავგანწირვაზე, ამხანაგობაზე, ხელისუფ-ლებისადმი მორჩილებაზე. საბჭოთა კავშირში პედაგოგიური ინსტიტუტე-ბისათვის გამოცემული ეთიკის სახელმძღვანელო ქცევის ნორმებზე, მორ-ჩილებაზე, პატიოსნებაზე, ურთიერთდახმარებაზე და ამგვარ საკითხებზე XIX საუკუნის სულისკვეთებით მოგვითხრობს. ამიტომ, თუკი ვამტკიცებთ, ქრისტიანული მორალი — ქრისტიანობის არსიაო, უნდა გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს ქრისტიანული მორალი და რით განსხვავდება საზოგა-დოებაში მიღებული ზნეობის გაგებისაგან. აქ აშკარა პარადოქსთან გვაქვს საქმე: ქრისტიანობა თავისი მორალის, თავისი ეთიკური კანონის გარეშე წარმოუდგენელია, და მაინც, ეთიკური კანონი ცხოვრებაზე ქრისტიანული წარმოდგენებისგან სრულიად ავტონომიურად შეიძლება არსებობდეს და, შესაძლებელია, ქრისტიანული რწმენისადმი მტრულადაც კი იყოს განწყო-ბილი.

ამრიგად, როცა დღეს ბავშვებს ვზრდით, ვაწყდებით სიტუაციას, რო-მელსაც ეკლესია ადრეც შეხვედრია. თუმცა, საკმაო განსხვავებაც არსე-ბობს. ჩვენ არ შეგვიძლია შუა საუკუნეების ადამიანის ღვთისმოსაობა უბ-რალოდ ვისესხოთ. სულიერი ფასეულობები და მოთხოვნილებები დღეს ჩვენი აზროვნების შემადგენელ ნაწილად იქცა. წმიდანებისა და ღვთის-მეტყველთათვის ყოველთვის ცხადი იყო, რომ სამყაროში ადამიანი თავი-სუფალია, რომ ადამიანის დანიშნულება ამქვეყნად მისი შემოქმედებითი მოღვაწეობაა და ადამიანის პიროვნება პატივისცემას იმსახურებს, თუმცა საზოგადოების ცხოვრება თუ ყოფა ამით გამსჭვალული არ გახლდათ. ინ-

კვიზიცია, რელიგიური დევნა და ომები, იძულებითი მორჩილება. შეინ და სკოლაში, შეუწყინარებლობა, — ეს ყველაფერი სულაც არ აიხსნებოდა, „ადა-მიანური არასრულყოფილებით“. ეს ყველაფერი, „სულთა ცხონების“ საყო-ველთაოდ მიღებული და ალიარებული სისტემის ნაწილი იყო.

საუკუნეთა განმავლობაში აღზრდის ფილოსოფია (როგორც სამოქალაქო, ასევე ქრისტიანული) აქსიომად მიიჩნევდა, რომ ნებისმიერი ბავშვის სული „სუჯთა დაფაა“, დაცული დავშვი მავნე გავლენისაგან, დასაჯეთ, თუ დააშავებს, წაახალისეთ, თუ კარგად მოიქცევა და საბოლოო ჯამში კარგ ადამიანს მიიღებთ.

მაგრამ, ამასთან ერთად, ქრისტიანული სულიერი აღზრდის ერთ-ერთი მთავარი თეზისი (რაც ჩანს, მაგალითად, „სათნოებათმოყვარეობიდან“) გვეუბნება: ყოველი სული უნიკალურია და მოძღვრის ამოცანაა კონკრეტულად განსაზღვროს, თუ რა არის საჭირო ყოველი განუმეორებელი პიროვნების სულიერი ზრდისათვის. ბავშვის რელიგიურ აღზრდაში ამ მიღებამ ასახვა ვერ ჰპოვა. მაღალი სულიერების მქონე ცალკეულ მოძღვრებსა და წმიდანებს განცვლეტის არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდათ, სულიერი მზერით პიროვნების გულს სწვდებოდნენ, მაგრამ მთლიანობაში, ეკლესიური აღზრდის პროგრამა მასწავლებელს არ წარმართავდა იქითვენ, რომ შეეცნ ბავშვის ინდივიდუალობა, შეეწყო ხელი თანდაყოლილი ნიჭისა და თავისებურებების განვითარებისთვის, წაეხალისებინა შემოქმედებითი უნარი და თვითგამოხატვისაკენ სწრაფვა, დახმარებოდა საკუთარი ქცევის მიზეზთა უფრო ღრმად გაცნობილებაში.

დვთის წინაშე ადამიანის თავისუფლების პრინციპი კაცობრიობის მიერ მხოლოდ უკანასკნელ ხანს იქნა გაცნობიერებული. თანამედროვე ანტიჭრისტიანული ტოტალიტარული იდეოლოგიური სისტემისაგან სწორედ ეს კონცეფცია განგვასხვავებს. ქრისტიანული რწმენა – ესაა თავისუფალი აქტი, მასში არ არის თავსმოსვეული სიცხადე, რომელსაც ვერსად გაექცევი. ეს არის „ცხადყოფა უხილავისა“ (ებრ. 11:1). თავისუფლების გარეშე რწმენა ვერ იარსებებს. მხოლოდ მაშინ შეძლებთ ჭეშმარიტად ირჩმუნოთ, თუკი დაეჭვების უფლება შეგინარჩუნდებათ. ქრისტიანულ დვთისმეტყველებაში ეს ყოველთვის იგულისხმებოდა, მაგრამ საერთო საკაცობრიო ქრისტიანული ცნობიერების შემადგენელ ნაწილად უკანასკნელ ხანს იქცა.

ქრისტიანული აღზრდის ზოგადი პრინციპების გაღრმავებისათვის ეს ყველაფერი უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ადამიანს წარმოვუჩინოთ მხოლოდ ის, რისიც გვწამს, წარმოვუჩინოთ რწმენის რეალობა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ არ შეგვიძლია ვინმე ვაიძულოთ სწამდეს და, მაშასადამე, ვერავის ვაიძულებთ სწამდეს სწორად.

რწმენის უმაღლესი აქტი მოწოდებულია, ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატულება გახდეს. დღეს საყოველთაოდ აღიარებული სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის პრინციპი ამაზეა დაფუძნებული. ამის გამორელი გიური აღზრდის ავტორიტარული მეთოდის გამოყენება არ შეგვიძლია. ეს არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ავტორიტეტებს უარყოფთ. ჩვენი რწმენის მნიშვნელოვანი ნაწილი, რა თქმა უნდა, ავტორიტეტისადმი ნდობაზეა დაფუძნებული – წმიდანების, ეკლესიის, წმიდა წერილის ავტორიტეტისადმი. ოლონდ ეს ნდობა თავისუფალი არჩევანის შედეგია და თავს ვერავის მოვახვევთ. ავტორიტარულობა რელიგიური აღზრდის სფეროში ახლა აღარ ჭრის. ჩვენ არ შეგვიძლია, ბავშვებს ჩავაგონოთ: „ასე და ასე უნდა გწამდეთ იმიტომ, რომ ასე გეუბნებით, ანდა იმიტომ, რომ ასე წერია კატეხიზმოსა და ბიბლიაში“... მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და მოწოდებულნიც ვართ, ვუთხრათ: „მე მწამს...“, „ეკლესია გვასწავლის...“, „სახარებაში ნათქვამია...“ აღზრდა უნდა დაეფუძნოს იმის ცოდნას, რომ მოზარდსა თუ ახალგაზრდას მხოლოდ საკუთარი თავისუფალი არჩევანის წყალობით შეუძლია ირწმუნოს. აი, რატომაა მნიშვნელოვანი გვესმოდეს ჩვენი შეიღებისა, ყურადღებით ვადევნებდეთ თვალს მათ გონიერივსა და ემოციურ განვითარებას, მათი მოქმედების მოტივებს. ძველი ტრადიციებისაგან განსხვავებით, ბავშვის აზროვნების წესი და მისი შემოქმედებითი წარმოსახვა დღეს ქრისტიანული აღზრდის ობიექტებად უნდა იქცეს.

თანამედროვე მართლმადიდებელი ეკლესია გამოწვევის წინაშე დგას. რელიგიური აღზრდის სფეროში მან უნდა შეიმუშაოს მიდგომა, რომელიც ზოგადეკლესიურ ტრადიციაში იქნება ფქსვგადგმული. ამ ცოცხალ ტრადიციაში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ ცოდნას ღმერთზე, არამედ მადლონისლ ცხოვრებას ეკლესის წიაღში, ადამიანებისადმი მშრალ დამოკიდებულებას. ამასთან ერთად, ქრისტიანული განათლება, უპირველესად, პიროვნებისკენაა მიმართული. ჩვილი იქნება, ყრმა, მოზარდი თუ ახალგაზრდა, პედაგოგი მოწოდებულია, ყოველ მათგანთან პიროვნული მიდგომა გამონახოს მისი განვითარების დონის შესაბამისად: ელაპარაკოს გასაგებ ენაზე, გაუგოს და გაიზიაროს მისი მოთხოვნები და საზრუნავი, უყვარდეს პიროვნება ისეთი, როგორიც არის. რელიგიური გამოცდილება ქმედითია მიუხედავად იმისა, თუ რა ასაკისაა ადამიანი, ანდა ინტელექტუალური სიმწიფის რომელ სტადიაზე იმყოფება; ქრისტიანული აღზრდის პროცესი წინსვლის, პირადი გამოცდილების დაგროვების, პიროვნების თანდათანობითი ფერისცვალების პროცესად უნდა იქცეს. ეს მიზანი და გამოწვევა იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ მისი განხორციელება, მასზე ლირსეული პასუხის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი ეკლესიური

ცხოვრების მთელი სისავსით ვიცხოვრებთ. ქრისტიანული აღზრდის მიზანი – მადლმოსილების, ქარიზმის, ეკლესიის როგორც ერთიანი ორგანიზმის განხორციელებაა.

მართლმადიდებლობა და ეკლესიური ცხოვრება – ეს აპსტრაქტული კონცეფციები როდია, ისინი სრულ გამოხატულებას სწავლებებში ან საღმრთოსმეტყველო შეხედულებებში ვერ პოულობენ. „მცირე (საოჯახო) ეკლესიები“, რომლებიც ასე ხშირად იხსენიება მოციქულთა ეპისტოლეებში, ჭეშმარიტად ეკლესიის სხეულის ცოცხალი უჯრედები არიან. „საოჯახო ეკლესიები“ თავისი ბუნებიდან გამომდინარე ყოველდღიურ ყოფაში, ურთიერთობაში, დღესასწაულებში, ლხინსა და სხვა ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში რელიგიურ ფასეულობებსა და სარწმუნოებას ამკვიდრებენ. ოჯახი უფრო მეტია, ვიდრე მამა, დედა და შვილები. ოჯახი – ესაა მემკვიდრე ზნეობრივი და სულიერი ფასეულობებისა და ჩვეულებებისა, რომლებიც პაპების, პაპის პაპების, წინაპრების მიერაა შექმნილი. ამას ჩვენ მუდმივად გვახსენებს მოთხოვობები ბიბლიიდან ძველაღთქმისეული პატრიარქების შესახებ. ძალზე ძნელია შექმნა ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრების წესი სტერილურ ლაბორატორიულ გარემოში, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ტრადიციისაგან...

ამრიგად, რელიგიური აღზრდის სფეროში ეკლესიის ძალისხმევას სამი განზომილება აქვს: მრევლში სრულფასოვანი ლიტურგიკული ცხოვრების შექმნა, მჭიდრო ურთიერთობის დამყარება მშობლებთან და ოჯახებთან, ბავშვების რელიგიური აღზრდა-განათლება.



თავი 1

პრისტიანული აღზრდის მიზანი

ამ თავს გარკვეული ეჭვით ვიწყებ, რადგან სხვა თავებთან შედარებით, ის უფრო მეტად ჩემს პირად შეხედულებებსა და ჩემს, როგორც დედისა და პედაგოგის, სუბიექტურ გამოცდილებას ასახავს. სავსებით შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული შეხედულება, რომელიც საკითხს უფრო ღრმად აშუქებს. ვაითუ, მხედველობიდან გამომრჩა ზოგი მოსაზრება, ამიტომ ჩემი თხრობა, შეიძლება, არასრული და არაზუსტი აღმოჩნდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველმა ადამიანმა, რომელიც რელიგიური აღზრდითაა დაკავებული, უნდა გაიაზროს და გააცნობიეროს ჩვენი სარწმუნოებრივი სწავლების ძირითადი პრინციპები, თავისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და ყველაფერი ეს თავისი გამოცდილებისა და ცოდნის შესაბამისად ჩამოაყალიბოს. ამ პროცესში ყოველთვის არის რაღაც პირადული. თქვენ შეგიძლიათ სხვას მხოლოდ ის ასწავლოთ, რაც თქვენი შემადგენელი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის არსებობს საშიშროება, საკუთარი მცდარი მოსაზრებანი და განათლების სფეროს ხარვეზები სხვას მოახვიოთ თავს. ასეა თუ ისე, მრავალწლიანი პედაგოგიური მუშაობის შედეგად ჩემთვის ქრისტიანული აღზრდის რამდენიმე მთავარი მიზანი და ამოცანა გამოიკვეთა.

ოვების რეალობის შეგრძნება

(პირველი, ძირითადი, უაღრესად არსებითი და რთული ამოცანა, რომელიც ქრისტიანი აღმზრდების წინაშე დგას, ბავშვში ღვთის რეალობის შეგრძნების გაღვიძებაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავარია, ბავშვს დაეხმარო შეიცნოს ღმერთი, და არა მხოლოდ ცოდნა მიიღოს მასზე. სწორედ ეს განცდა ღვთის რეალობისა თანამედროვე საზოგადოებაში თითქმის საერთოდ დაკარგულია.) მახსოვს, ერთმა სტუდენტმა მითხრა: „თითქმის მწამს ღმერთის, მაგრამ ისეთი არარეალური მგონია...“ მრავალი ადამიანი, რომელიც სულაც არ არის პრინციპიული ათეიისტი, უბრალოდ ვერ შეიგრძნობს ღმერთს, მის მეუფებას, მის არსებობას საკუთარ ცხოვრებაში, როგორც რეალური პიროვნებისა, ვისთანაც გარკვეული ურთიერთობა აკავშირებს. (მრავალი ქრისტიანის – მართლმადიდებლის, კათოლიკესა თუ პროტესტიანტისათვის – უფრო რეალური საკელესიო წეს-ჩვეულებები, ზნეობრივი

ლირებულებები, ეთნიკური და ეროვნული ტრადიციებია, ვიდრე უბრალო ფაქტი ღვთის არსებობისა და იმისა, რომ მისი არსებობა ჩვენს ცხოვრებაში საგრძნობია და რომ თითოეული ჩვენგანი მასთანაა დაკავშირებული.

ვფიქრობ, ღვთაებრივი მყოფობის რეალობა ცოცხლად სწორედ მაშინ განიცდებოდა, როცა იესო ქრისტე ადამიანებს კურნავდა. სახარების იმ ეპიზოდში, სადაც მოთხრობილია ბრძის განკურნების შესახებ (იოან. 9), მაცხვარი კაცს ეკითხება: „შენ გრძამსა ძე ღვთისა?“ მან მიუგო: „ვინ არს იგი უფალო, რათა მრჩმენეს იგი?“ იესომ უთხრა: „იხილე იგი, და რომელი იტყვის შენ თანა, იგი არს!“ მან უპასუხა: „მრჩამს უფალო!“ იესო არ მოითხოვდა რწმენის ზუსტ განმარტებას, ეძიებდა არა „ცოდნას ღვთის შესახებ“, არამედ აღიარებას ღვთის ძალისა, რომელიც ბრძის ცხოვრებაში გაცხადდა.

ადამიანისათვის ნებისმიერ ასაკში არსებობს ორი შესაძლებლობა: ან ცხოვრება და აზროვნება ღვთის თანამყოფობის რეალობის განცდით, ან ამ განცდის გარეშე. სამი წლის ბავშვისათვის, რომელიც მისი ახლობლების ცოცხალი რწმენითაა გარემოცული, განცხადება – „ღმერთი არსებობს“ – ისეთივე რეალობაა, როგორც ყვავილი ან ფრინველი, სიბნელე ან სინათლე. პირველ ხანებში შეიძლება იგი ღმერთს ფიზიკურ ობიექტებთან აიგრვებდეს: ხატთან, სურათთან, ცასთან, წმიდა ზიარებასთან, მაგრამ ეს ღვთის შესახებ რაციონალური წარმოდგენა კი არ არის, არამედ მისი ჭეშმარიტი შემეცნება. ბავშვებისათვის ღმერთზე ასეთი „გრძნობისმიერი“ წარმოდგენა ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე მარტივი აპსტრაქტული განსაზღვრება. ღვთის შესახებ ნებისმიერი აზრი, რომლის გადაცემასაც ბავშვებისათვის ვესწრაფვით, მან შეიძლება აზროვნების მხოლოდ გარკვეულ დონეზე აითვისოს, რაც უფროსის აზროვნებისაგან ძლიერ განსხვავდება. თუ სამი წლის ბავშვს ვეუბნებით, რომ „ღმერთმა შექმნა ყვავილები“ ან „ღმერთმა შექმნა ცხოველები, მზე, მე და შენ...“ მან, შესაძლოა, ღმერთი დიდი ადამიანის სახით წარმოიდგინოს, რომელიც ზის და ამ ყველაფერს ერთი მეორის მიყოლებით ქმნის. ღვთის შესახებ ამგვარი წარმოდგენა სახიფათოდ არ უნდა ჩავთვალოთ. ბავშვი გაიზრდება და ამ სახებას დაივინებს. მთავარია, რომ უფროსი დაეხმაროს პატარას დაამყაროს კავშირი იმ რეალობასთან, რაც ბავშვმა შეხებით, ყნოსვითა და სმენით იცის, და ღმერთს შორის. ბავშვის გარემოცვაში უშუალოდ არსებული ღვთის რეალობის ფიზიკური გამოხატულება (ხატები, სურათები და სხვ.) მისი გამოცდილების ნაწილი ხდება, პატარა ბავშვი კი ყოველივე იმის რეალობას, რასაც ის იმეცნებს, ძლიერად და უშუალოდ განიცდის. აღქმისა და წარმოსახვის ასეთი სიცხოველე შემდგომ, მე მგონი, ქრება.

კარგ მაგალითად იმისა, თუ რამდენად ცოცხლად განიცდიან ბავშვები ღმერთის რეალობას, გამოდგება სამი წლის ბიჭუნა, რომელსაც ვიცნობდი. მას მერე, რაც დედასთან ერთად წარმოოქვა ძილად მისვლის მოკლე ლოცვა, ფანჯარაში გაიხედა, ზეცას ხელი დაუქნია და თქვა: „ლამე მშვიდობისა, ღმერთო“.

ბავშვი, რომლისთვისაც უცნობია ღვთის რეალობის ეს განცდა, ღვთის არსებობასაც ასევე უბრალოდ აღიქვამს. სამყარო, ღმერთის გარეშე “მის-თვის ისევე რეალური და მრავალფეროვანი იქნება, ხოლო ცხოვრება სისარულით ალსავსე, თუ კი მშობლები სიყვარულისა და უსაფრთხოების ატმოსფეროს შეუქმნან“. ბავშვისათვის „იდეები“ დიდად მნიშვნელოვანი არაა, ხოლო რელიგიური აღზრდის უქონლობა იმდენად იქნება შესამჩნევი, რამდენადაც, მაგალითად, ნაკლებად კულტურული ოჯახების შვილებში კითხვის ჩვევის უქონლობა. თუმცა „ღმერთის არსებობა“, თუ ეს ოჯახში სიყვარულის ნაკლებობით იქნება გამოხატული, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ბავშვზე იქ გამეფეხული ღელვით, შფოთით, შიშით.

(როდესაც ბავშვი წამოიზრდება, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ხდება „რეალურის“ „არარეალურისაგან“ გამიჯვნა. ნებისმიერი ამბავი, რომელსაც შვიდირვა წლის ბავშვი ისმენს, ბადებს კითხვას: „ეს მართალია?“ ხშირად ბავშვი ცდილობს, გაარკვიოს, რამდენად არის ჭეშმარიტი ის, რაც არ ემთხვევა მის მიერ დაგროვილ გამოცდილებას. ამ შემთხვევაში ბავშვი ღვთის რეალობის გრძნობის ჩანერგვა მნიშვნელოვანნილად რთულდება. შვიდიდან ცხრა წლამდე ასაკში, მართალია, პრიმიტიულ დონეზე, მაგრამ ბავშვები მაინც რაციონალურები ხდებიან. მათში ძლიერაა გამოხატული ინტერესი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისადმი, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად აქვთ განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება. რვა წლის ბავშვი არ დაიჯერებს, ღმერთი რომ სადღაც ღრუბლებს მიღმა იმყოფება, მაგრამ უფროსების მიერ მისთვის იმის ახსნა, თუ რას ვუწოდებთ ჩვენ „ზეცას“, ასევე არარეალური იქნება. ამ ასაკის ბავშვებისათვის ღმერთის რეალობის განცდის გადაცემას ერთიორად ართულებს ის, რომ ისინი ზნეობრივი რიგორიზმისაკენ არიან მიღრეკილნი და ახასიათებთ იუმორის სპეციფიკური გრძნობა, რომელსაც უფროსები ხშირად ვერ იგებენ.)

ბავშვების რელიგიური აღზრდა ამ ასაკში იმის გამოც რთულდება, რომ ჩვენ ხშირად მივმართავთ რელიგიურ შეგონებებს და არ ვცდილობთ ისინი იმას დავუკავშიროთ, რასაც ბავშვი ყოფით ცხოვრებაში იმეცნებს და აღიქვამს, რის გამოც ღვთის რეალობის შეგრძნება სუსტდება.


(საკუირაო სკოლის გაკვეთილები განვენებული იდეების, ცოდნისა და ინფორმაციის ნაკრებად იქცევა, ხშირად ბავშვი უფრო მიმზიდველ და ამა-

დელვებელ ცოდნას სკოლაში, ტელევიზორიდან ან მეგობრების წრეში იძენს.) მაგალითად, რა უფრო რეალურია ბავშვისათვის: ბიბლიური ისტორიები სასწაულებრივი კურნების შესახებ, თუ მისი საკუთარი გამოცდოლება — ექიმები, აცრები, საავადმყოფოები? თუ ღმერთი არსებობს სასწაულებრივი კურნებისას და არ არსებობს ჩვეულებრივ მედიცინაში, ღმერთის რეალურობის განცდა ბევრად სუსტდება.

(როდესაც ბავშვი გარდამავალ ასაკს აღწევს, ღმერთის რეალობის შეგრძნება უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება. მოზარდის ცხოვრება ისეთი ინტერესებითა და ემოციებითაა აღსავსე, რომელთაც არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც ისინი რელიგიის ქვეშ გულისხმობენ. დავიწყებას ეძლევა ყოველდღიური ლოცვა, რადგან მშობლები ამას ყურადღებას აღარ აქცევენ (მართლაც, ლოცვა ისეთივე ყოველდღიურ ჩვევად არ უნდა იქცეს, როგორიც კბილების ხევაა!). რელიგია ხშირად ტაძარში სიარულთან და გარეგნული წესებისა და ჩვევების დაცვასთან იგივდება. მოზარდები მიიჩნევენ — და ესაა ყველაზე ცუდი — რომ ეს მათთვის საჭირო არ არის სწორედ მაშინ, როდესაც ბავშვები დამოუკიდებელ, თუმცა ჯერ კიდევ უმწიფარ აზროვნებას და საკუთარ თავში პიროვნების აღმოჩენას იწყებენ, თუნდაც ეს ეგოცენტრულად ხდებოდეს, რელიგიის შესახებ მათ ხშირად ავტორიტარული სტილით ელაპარაკებიან: „ბიბლია ამბობს“... „ეკლესია გვასწავლის“... „მოძღვარი ბრძანებს...“ არავინ ცდილობს აუხსნას მათ, ეს ყველაფერი რას ნიშნავს პირადად მათთვის, როგორ ეთანხმება მათ აზროვნებას, საჭიროებს თუ არა მათ მოწონებას და მაინც, სწორედ ამ ასაკის ბავშვებისგან შეიძლება ველოდიოთ პირველად სიღრმისეულ გამოხმაურებას, ნამდვილ გაგრძებას იმისა, თუ რა არის რელიგია, — რელიგიური აზროვნებისა და გრძნობის უნარის გამოვლენას.)

დავეხმაროთ ბავშვს, შეიგრძნოს ღვთის რეალობა — ესაა მთელი ჩვენი ცხოვრების მიზანი. რა თქმა უნდა, ვერანაირი სახელმძღვანელო, გაკვეთილუბი თუ შეგონებანი თავისთავად ბავშვს ამ გრძნობას ვერ ჩაუნერგავენ, მაგრამ მაინც, დარწმუნებული ვარ, მასწავლებელს ეს მიზანი ყოველთვის უნდა ახსოვდეს, ეს უნდა იყოს ჩვენი ყველა სასწავლო მეთოდისა და გაკვეთილის ჭეშმარიტი კრიტიკოუმი.

„მარტო არა ხარ“



ქრისტიანული ცხოვრების მართლმადიდებლური გამოცდილებაზე გვასწავლის, რომ ადამიანი ღვთის წინაშე მარტო არაა. ღმერთთან შეიძლება კიყოთ მხოლოდ ჩვენ, ყველა ერთად. ჩვენ ყველანი ღვთის გარშემო შემოკრებილი ვართ. არსით ერთნი ვართ, ერთი სხეული. ოჯახის ციცქა უჯრედი, მეგობრების ფართო წრე, ერი, ეკლესია — ეს ყოველივე ერთობის გამოვლინებებია, ყოველ დონეზე ეს პოტენციური რელიგიური გამოცდილებაა, და თუკი ის ქრისტიანული აღზრდის ნაწილი არ ვახდა, ესე იგი, რაღაც შეცდომაა დაშვებული. ტაძართან არსებულ საბავშვო ბაღში თამაში, საკვირაო სკოლის გაკვეთილებზე მოზარდის მიერ ათვისებულის რეალიზაცია მეგობრებთან და მეზობლებთან ურთიერთობაში, საზოგადოებისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერება, ეკლესიურ ცხოვრებასთან ზიარება — ეს ყველაფერი იმ ერთობის გამოცდილების ნაწილებია, რომელიც სრულად ეკლესიაში მოიპოვება. ერთიანი სხეულის თანაზიარობის ეს გამოცდილება რელიგიური ზრდის საფუძველს წარმოადგენს. ბავშვი, რომელიც ოჯახს გარეთ იზრდება, სასტიკ სირთულეებს განიცდის, იტანჯება სულიერად და ფიზიკურადაც კი. როდესაც 3-4 წლის ბავშვები საბავშვო ბაღში მიდიან, ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ზღაპარი კი არ ახდენს, აღმზრდელმა რომ უამბო, არამედ ერთობლივი თამაში, სიმღერა, მოქმედება — თვით ფაქტი ჯგუფთან ერთობისა. რუტინული მოქმედებები, რომლებიც ესოდენ ძნელია ასწავლო შინ — ქურთუკი თავის ადგილზე ჩამოკიდოს, სკამი უხმაუროდ მისწიოს, — მიმზიდველი ხდება, როცა ბავშვი აკეთებს ამას, „როგორც ყველა“, როცა ჯგუფის წევრი ხდება.

კლასში მოსწავლეთა ოპტიმალური რაოდენობა ისაა, როდესაც ბავშვები შეწყობილად მომუშავე ჯგუფად იქცევიან, მასწავლებელი კი — ამ ჯგუფის წევრია. საუკეთესო პედაგოგიკური მეთოდიკა ისაა, როდესაც ბავშვები კოლექტიურად მუშაობენ, თუმცა აუცილებელია დავუტოვოთ შესაძლებლობა ინდივიდუალური შემოქმედებისთვის. საუკეთესო სკოლა ისაა, რომელიც ორგანიზებულია თემში ანდა სამრევლოში, სადაც მშობლები და მასწავლებელი კარგად იცნობენ ერთმანეთს. ჭეშმარიტი ლიტურგიკული გამოცდილება ისაა, როცა ადამიანები „იკრიბებიან ერთად“, როგორც ერთიანი ეკლესია, როცა ერთობლივად აკეთებენ რაიმეს. ზრდასრულ ქრისტიანთათვის ეს ერთობლივი ღვთისმსახურება, ერთობლივი ლოცვაა. ისინი შეიძლება მდუმარედაც ლოცულობდნენ, გულში, თითქმის უძრავად იდგნენ. ბავშვებისათვის ლოცვასა და ღვთისმსახურებაში მონაწილეობა ფიზიკურად უნდა გამოვლინდეს, ყველა გრძნობაზე ზემოქმედებდეს. მარ-

თლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში ამისათვის არაერთი შესაძლებლობა არსებობს, მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ ისინი.

„აქტიური“ მონაწილეობის წყალობით ბავშვები უკეთ გაიგებენ, რას ნიშნავს იყო წევრი იმ სხეულისა, რომელსაც ეკლესია ეწოდება.

გადას წლები, ბევრი რაღაც, რაც ჩვენს ბავშვებს ვასწავლეთ, შეიძლება დაავიწყდეთ, მაგრამ თუ იგრძნება, რომ ეკლესის ნაწილს შეადგინენ, ერთი-ან სხეულს ეკუთვნიან, თუკი პირადი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ იმ ჯგუფის შიგნით, რომელსაც ეკლესიასთან აიგივებენ, ესე იგი, მართლმადი-დებლური ქრისტიანული აღზრდის მყარი საფუძველი უკვე დადებულია.

რელიგიური კლასიკი კლასი – ეს ზრდა

რელიგიური აღზრდა ზრდასთანაა დაკავშირებული. ზრდა, უპირვე-ლესად, ცვლილებაა. ადამიანი იცვლება, აღარ ჰგავს თავის თავს, მაგრამ იმავე პიროვნებად რჩება. ზრდა პიროვნების სილრმეში ხდება: იმატებს გა-გება, ძალა, გონება, გრძნობები. თუკი ზრდა არაა, უძრაობა ისადგურებს. აღზრდის ხელოვნება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „ზრდის ხელ-შეწყობა“. ეს ტრივიალურად უდერს, თუმცა აღმზრდელობითი პროცესის ერთ-ერთი ყველაზე სწორი და მდგრადი კრიტერიუმია. რამდენად ეხმარება თქვენი გაკვეთილი ზრდას? რამდენად ავითარებს მოწაფეთა უნარს? რამდენად უწყობს ხელს მოწაფეთა დამოუკიდებელი ზრდის პროცესს?

სახარება ამ მიდგომის მშვენიერ ილუსტრაციას გვთავაზობს. აღზრდი-სას იქსო ქრისტი უმეტესად იგავებს, ანუ „ხელოვნების ენას“ იყენებდა, რო-ცა ყოველდღიური ცხოვრების ნაცნობი სახებები მსმენელებს ეხმარებოდა უფრო ღრმა ჭეშმარიტება გაეგოთ და მიეღოთ. იგავებით სწავლება მსმენე-ლისგან არსებით ძალისხმევას მოითხოვს. სახების მნიშვნელობა მან თავად უნდა გააცნობიეროს. ეს შემოქმედებითი აქტია. როდესაც იდეა გაგებუ-ლია, ის შეიძლება გააგრძელონ და განავითარო. მაგრამ ჯერ აუცილებელია, აღიქვა სახება, საკუთარი თავი მოთხრობის გმირთან გააიგივო, განიცადო, რაც მან განიცადა. ასეთი სწავლება უფრო მეტად უწყობს ხელს ზრდას, ვიდრე სილოგიზმებისა და უეჭველი ლოგიკური სქემების გადმოცემა.

ყოველ ადამიანს ქრისტი მის ენაზე ელაპარაკებოდა, სულიერი გან-ვითარების მის დონეს ითვალისწინებდა. იგი თავს უმალ და სრულად არ წარმოაჩენდა, სახარებაში რამდენჯერმე ნათქვამია, რომ ადამიანებს მისი არ ესმოდათ. არ ყოფილა ორი ადამიანი, ვისაც ერთანაირად წარმოუჩენდა

საკს. მოწაფეები ინდივიდუალურად, თანდათანობით აცნობიერებდნენ,
უსინამდვილეში ვინ დგას მათ წინაშე.

(ქრისტიანული აღზრდა ოჯახში მხოლოდ საოჯახო წესვების სტატია
კურ აღქმაზე არ დაიყვანება. ქრისტიანული აღზრდა მოწოდებულია მუდ-
მივად ითვალისწინებდეს ბავშვის ხასიათის ცულილებას: იცვლება მისეული
გაგება სიყვარულისა, ერთობისა, მორჩილებისა, სიხარულისა და მნუხარე-
ბისა. ჩვილის წმინდა წყლის ფიზიკური მორჩილება იცვლება მშობლების
ზნეობრივი ავტორიტეტის აღიარებით, მოგვიანებით კი — მათ წინააღმდეგ
ამბოხით.

მშობლებს ყველაზე მეტად იმის აღიარება უჭირთ, რომ ბავშვი უკვე
აღარაა ჩვილი, უჭირთ აღიარონ ცვლილება მის გემოვნებაში ბავშვი იზ-
რდება და უცრად შეიძლება დაკარგოს მიმზიდველობა ოდესლაც მისთვის
სასიხარულო მოვლენებმა, როგორიცაა, ვთქვათ, დაბადების დღე, პიკნიკი,
ლაშქრობა. კიდევ უფრო ძნელია დაემშვიდობოთ ყოვლისშემძლობისა და
ყოვლისმცოდნეობის შარავანდებს, რომლითაც პატარა ბავშვი მშობლებს
მოსავს. მაგრამ თუ ბავშვი არ იზრდება, არ იცვლება, ოჯახში საკუთარი
როლისა და ადამიანებთან ურთიერთობის გაგება არ ეცვლება, მაშინ მისი
განვითარება შეწყვეტილა.

სკოლაში ზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლის ყურადღებას იპყრობს, ალვივებს მასში ფიქრის უნარს, კამათის, კვლევის, პრობლემის გადაწყვეტის სურვილს. სასწავლო პროცესი მოსწავლის წინაშე უნდა აყენებდეს კითხვებს, რომლებიც მის დონეს შეესაბამება და რომლებსაც მოსწავლე ნამდვილ პრობლემებად მიიჩნევს, და ანიდებდეს ინფორმაციას, რაც პრობლემის გადასაწყვეტადაა საჭირო. არაა საკმარისი, ბავშვის მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის გარკვეული მარაგი მივაწოდოთ. ყველა საშუალება, გავხადოთ გაკვეთილი საინტერესო, სწავლების ყველა უახლესი მეთოდი უსარგებლოა, თუკი ბავშვის შემოქმედებითი ძალისხმევის გამოვლენას არ უწყობს ხელს, მისი განვითარების სტიმულირებას არ ახდენს. ეს კრიტურიუმი საკოლო ცხოვრების ყველა მხარეს შეიძლება მივუყენოთ. კედლის გაზეთის გამოშვებაც, თოჯინების თეატრიც, სპექტაკლიც თუ დისკუსიაც შეიძლება მოკლებული იყოს შემოქმედებითობას, როგორც სწავლება ძველ სკოლაში. ჩვენ მაშინ კი არ ვეხმარებით ზრდას, როცა მასზე ვსაუბრობთ, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სწავლების ჩვენი მეთოდი ალვივებს შემოქმედებითი ძიების სურვილს, კვლევისა და პრობლემის გადაწყვეტის სულისკვეთებას, ძალისხმევას.



ნეიტრალური, „გიგი ლვითისა“

ქრისტიანობის საფუძვლების სწავლება „მეტყუელი ეგე შეახურება“ (რომ. 12:1) უნდა იყოს, თუმცა ჩვენი რწმენა გონიერის ხისტ ჩარჩოებში ვერ ეტევა. ჩვენი რწმენის არსებითი ნაწილი – ესაა საიდუმლოს შეგრძნება, მონიწება, ანუ შიში ღვთისა. ქრისტიანული სარწმუნოება ღვთის საიდუმლოს, სამყაროსა და ცხოვრებაში იდუმალის არსებობას აღიარებს. ეს საიდუმლო ადამიანის გაგებას აღემატება. ზოგჯერ ყოველდღიურ ცხოვრებას რწმენის თვალით დავინახავთ ხოლმე იმ ფასეულობებისა და რეალობის შუქზე, ჩვენს გამოცდილებაზე მეტი რომ არის. მაგრამ როგორაა შესაძლებელი ეს სწავლების პროცესში გამოვხატოთ, – სწავლებისა, რომელიც, უპირველესად, რაციონალურია? როგორაა შესაძლებელი ბავშვებს ვასწავლოთ, „ეს-მოდეტ“ და, ამავდროულად, მონიწებას გრძნობდნენ იმ რაღაცის წინაშე, რაც მათ (და ჩვენს) გაგებას აღემატება?

ეს ამოცანა კიდევ უფრო რთულდება, როცა ვაცნობიერებთ, რომ ბავშვები ბუნებით დიდი რეალისტები არიან, ცნობისწადილით აღსავსენი. ნებისმიერი მცდელობა სიტყვით გამოვხატოთ ღვთისმოსავი მონიწების, საღვთო საიდუმლოს შეგრძნება, მიზანს ვერ მიაღწევს, ფარისევლურ ტირადებად მოეჩვენებათ. უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა „შიში“ სიტყვათშეთან-ხმებაში „შიში ღვთისა“, სრულიად არ ჰგავს „შიში“ ჩვეულებრივი გაგებით. ბავშვები სხვადასხვანაირ „შიში“ განიცდიან, – სიბრძელის, ობობების და ა.შ. ძალზე საეჭვოა ღვთის შემეცნებაში დავეხმაროთ მათ თუკი ღვთის წინაშე მონიწებულ თრთოლვას ამ და მსგავსი შიშის განცდას შევადარებთ.

ზოგჯერ მიიჩნევა, რომ ლოგიკა და ცოდნა, როგორც შემეცნების იარაღი, „შეუცნობელის“ წინაშე მონიწებასთან შეუთავსებელია. სინამდვილეში, სანამ არ მივხვდებით, რომ არსებობს რაღაც „შეუცნობელი“, სამყაროს ნამდვილ შეცნობას ვერ ვისწავლით. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც უჭირთ ბავშვებს ღვთის წინაშე მონიწების განცდა. მათ არ ჰყოფნით ცოდნა და გონიერება მიხვდნენ, რომ არსებობს რაღაც, რაც ადამიანის გონებას აღემატება. მე ვიტყოდი, რომ აინტერენტისთვის გაცილებით ადვილია საიდუმლო და მონიწება იგრძნოს, ვიდრე რვა წლის ბავშვისთვის, რომელიც დარწმუნებულია, რომ სახელმძღვანელოში ყველა კითხვაზე არსებობს პასუხი.


ბავშვს მონიწების გრძნობა იმ შემთხვევაში შეიძლება გავუდვივოთ, თუკი დავეხმარებით, თავის ცხოვრებაში ღვთის მოქმედება დაინახოს, – გარესამყაროზე მისი ცოდნის, მისი გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში ბავშვები, ღვთის შემწეობით, აღწევენ სინმიდის, ღვთაებრივი საიდუმლოს წინაშე მონიწების თავისებურ შეგრძნებას.

მოზარდებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში წათქმაია: „მეცნიერება ადამიანს ჭეშმარიტებას სთავაზობს. ფაქტების ჭეშმარიტებას – კონკრეტული და უტყუარი ფაქტებისა. მაგრამ ცხოვრება განამხოლოდ ფაქტებისგან შედგება? მაგალითად, როგორ შეიძლება გამოვყოთ წამი, როდესაც ადამიანი კვდება და უკვე მოკვდა? როდესაც ადამიანი საოპერაციო მაგიდაზე წევს, შეიძლება გამოუსწორებელი რამ მოხდეს – და, აი, დგება წამი, როცა ექიმებს ჯერ კიდევ შეუძლიათ მისი გადარჩენა, და წამი, როცა უკვე გვიანაა. მისი სიცოცხლე შეწყდა. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ამ წამს სრული სიზუსტით ვერ მიუთიობდ. ზოგიერთი უჯრედი უკვე დიდი ხანია მოკვდა, ზოგიერთი კიდევ დიდხანს იცოცხებელს. მაგრამ წარმოუდგენელი თვისებრივი განსხვავება სახეზეა: აი, ადამიანი ცოცხალია, და მომდევნო წამს კი – მკვდარი.

ამ საიდუმლოების წინაშე მეცნიერება უძლურია. მის მიერ შემოთავაზე ბულ ჭეშმარიტებებს, ფაქტებს, ციფრებს შეუძლიათ განსაზღვრონ თვისებრივი, რადენობრივიანდა დროითი ცვლილებები, მაგრამ მხოლოდ „სულიერ აზროვნებას“ ძალუს არსობრივი, ძირეული ცვლილება მოიხელოს.

„მეცნიერული აზროვნება“ კითხვებზე პასუხებს ეძებს, „სულიერი აზროვნება“ კი – საიდუმლოს გასაღებს შეარჩევს. ამაშია არსებითი განსხვავება. სამცნიერო საკითხს შეიძლება პქნონდეს გარკვეული პასუხი, პრობლემას კი – გადაწყვეტა. რაც უნდა რთული იყოს მეცნიერული პრობლემა, რა დროც უნდა დაიხარჯოს მის გადასაჭრელად, პასუხი ყოველთვის არსებობს. მაგრამ საიდუმლოს გამზადებული პასუხი არ გაარჩია. როგორ შეუძლია ადამიანს, უპასუხოს, რა არის ცხოვრება, რა – სევდა, რა – სიხარული? ადამიანს შეუძლია მხოლოდ უფრო ღრმად იგრძნოს ამ ცნებების იდუმალება. თქვენ ღრმად ჭვრეტთ ტანჯვის არსს, თუკი საყვარელ ადამიანს კარგავთ, უვლით მას ავადმყოფობის დროს ანდა უყურებთ, როგორ კვდება. ამას ჩვენ „ცხოვრებისეული სიმართლის“ შეცნობას ვუწოდებთ. რაც უფრო ღრმად ვჭვრეტთ, მით უფრო არსებითია შეცნობილი ჭეშმარიტება. როდესაც ადამიანი განიცდის მწუხარებას, სიხარულს, განარჩევს სიკეთეს და ბოროტებას, ჭეშმარიტების ჭვრეტას იწყებს. საიდუმლოს გულისგულს უახლოვდება“ (გ. კულომზინი, „რწმენა და მეცნიერება“, 1969).

კარგი მასწავლებელი მზად უნდა იყოს, გამოიყენოს მთელი მასალა, რომელიც საშუალო სკოლის პროგრამაშია. იგი მოწოდებულია, მისცეს ბავშვებს ცოდნა, დაეხმაროს დაეუფლონ სასწავლო მასალას, უპასუხოს მათ კითხვებს, ამავე დროს, გაითვალისწინოს ის კითხვებიც, რომლებზეც პასუხს ვერ გასცემს. მასწავლებელი მოწოდებულია სასკოლო მასალა ცხოვრების რელიგიურ გაგებას შეუფარდოს.



მთლიანობა

რელიგიური აღზრდის ზემოთ მოყვანილ მიზნებთან განკუცლებული ციტატაში უნდა განვიხილოთ მისი „მთლიანობაც“: ეს ცნება ნიშნავს, რომ ქრისტიანული რწმენა არ არის რაღაც იზოლირებული მონაკვეთი — იქნება ეს ადამიანის პირადი ცხოვრება, თუ მისი დამოკიდებულება გარესამყაროს-თან. არ შეიძლება, იყო ქრისტიანი ნახევრად ანდა დროდადრო, ცხოვრების მხოლოდ გარკვეულ სფეროში.

ადამიანური ბუნება, ნიჭი, გრძნობები, კავშირები, ქმედება, ინტერესები – ეს ყოველივე რელიგიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილიება. ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოება ადამიანური ბუნების მხოლოდ ერთ რომელი მე ნაწილს არ მოიცავს. ადამიანებს, რომელებიც იესო ქრისტესთან მიდიოდნენ, იგი მუდმივად, ხაზგასმით ეუბნებოდა, რომ მისმა მიმდევრებმა მთლიანად უნდა გასცევ თავისი თავი. მდიდარმა ახალგაზრდამ, თითქმის სრულყოფილმა მრავალი თვალსაზრისით, უფალს თავი მთლიანად ვერ დაუთმოდა განშორდა. მოციქულმა პეტრემ, თუმც კი ეცემოდა, მთლიანად გასცა თავი და უდიდესი მოციქული გახდა.

მთლიანობა იმაშიც უნდა გამოიხატოს, თუ როგორ ვუნერგავთ ჩვენს
შვილებს სარწმუნოების საწყისებს. მასწავლებელი მოწოდებულია, მხო-
ლოდ იმაზე კი არ იზრუნოს, რომ პატარა ჯონიმ ზეპირად იცოდეს,,მრწამ-
სი“ (თუმცა „მრწამსის“ ცოდნა და გაგება აუცილებელია), არამედ იმაზეც,
თუ რას წარმოადგენს ჯონი, როგორც პიროვნება. ამას ჯონი უმაღ იგ-
რძნობს, თუნდაც ეს პირადი დამოკიდებულება სიტყვით არ გამოიხატოს.
თუკი მასწავლებელი მოახერხებს დაუმეგობრდეს ჯონის, როგორც პიროვ-
ნებას, — ასეთი მეგობრობა კი არ გამორიცხავს მომთხოვნელობას, — ეს გა-
ცილებით ღრმად იმოქმედებს ბავშვზე, ვიდრე საშინაო დავალება თუ ლექ-
ცია. დაინახო ჯონიში პიროვნული მთლიანობა, — ეს ნიშნავს გამოავლინო
მის მიმართ ინტერესი, როგორც ინდივიდუალობისადმი, შეეცადო, გაიგო
მისი ქცევისა და განცდების მიზეზები, გაიცნო მისი ოჯახი და გარემოცვა,
მის სწავლაზე იმსჯელო არა მარტო სხვებთან შედარებით, არამედ იმით,
თუ რას დებს თვითონ მასში.

ქრისტიანული მთლიანობა, მასწავლებლის მხრიდან, მისი მიმართ და-
მოკიდებულებაშიც გამოიხატება, რაც კლასში ხდება. იგი შეზღუდული
ადამიანი არ უნდა იყოს – მოწოდებულია, აინტერესებდეს ყველაფერი,
რაც მის მოწაფებს მნიშვნელოვანი და საინტერესო ჰგონიათ. მისი ავტო-
რიტეტი მხოლოდ გაიზრდება, თუკი მოსწავლეები უეცრად აღმოაჩენენ,
რომ იგი იცნობს ისეთ რაღაცეებსაც, რასაც საეკლესიო სკოლასთან საერ-

თო არაფერი აქვს, სამაგიეროდ, მათთვის მნიშვნელოვანია.

ჩვენს პლურალისტულ, სეკულარულ საზოგადოებაში წარმოდგენა ეკლესიაზე ხშირად დაიყვანება რაღაც იზოლირებულ, თავის თავში ჩაკუჭილ ორგანიზმამდე, რომლისთვისაც ამქვეყნიური პრობლემები სრულიად უცხოა. რა თქმა უნდა, გარკვეული თვალსაზრისით, ქრისტიანები „არა ამა სოფლისანი არიან“, მაგრამ მხოლოდ იმ გაგებით, რომ უძმერთო ფასეულობათა იერარქიას არ სცნობენ.

ქრისტიანული ეკლესია მოწოდებულია გახდეს ნიმუში სიყვარულისა და სამყაროზე ზრუნვისა, ამიტომ ადამიანთა საჭიროებისგან იზოლაციაში არ შეუძლია იყოს. იგი მოწოდებულია თანაუგრძნოს და თანაგანიცადოს ყველა ადამიანის ტანჯვა და საზრუნავი. შეგვიძლია თუ არა, ავუხსნათ ეს ბავშვებს სამრევლოს ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში? შეგვიძლია თუ არა ფარისევლობის გარეშე ვასწავლოთ ის, რაც ჯერაც არაა განხორციელებული ჩვენს საკუთარ ეკლესიურ ცხოვრებაში?

მჯერა, რომ გარკვეულად, ძალზე მცირე დოზით, ჩვენ ეს შეგვიძლია. მოწოდებული ვართ გამოვიყენოთ ნებისმიერი პრაქტიკული შესაძლებლობა, რათა საეკლესიო სკოლები და ბავშვები ჩავრთოთ კეთილ საქმეში, რაც ადამიანებთან მათი ურთიერთობის გამოცდილებას გაამდიდრებს. გაჭირვებულთა დახმარება, ეკლესიის მისიონერულ საქმიანობაში მონაწილეობა – ეს ყველაფერი საჭირო და სასარგებლოა. ბავშვები ასაკით რაც უფროსები არიან, მით მეტად შეუძლიათ გაიგონ ეკლესიის ზრუნვის აუცილებლობა ამა სოფელზე.

დასკვნის სახით ჩამოვაყალიბებ ხუთ ამოცანას, რომელიც, ჩემი აზრით, მართლმადიდებელი რელიგიური აღზრდის წინაშე დგას:

- დავეხმაროთ ბავშვებს ცხოვრებაში ღვთის რეალობის შეგრძნება მოიპოვონ.

- ვასწავლოთ იმის გაგება, რომ ღვთის წინაშე არავინაა მარტო, რომ ჩვენ ყველანი – ქრისტეს სხეულის, ეკლესიის ნაწილი ვართ.

- ხელი შევუწყოთ პიროვნების ჰარმონიულ სულიერსა და ფიზიკურ განვითარებას.

- ბავშვები განვითარების შესაბამისად მივიყვანოთ ღვთის წმიდა საიდუმლოს, ადამიანის გონებას რომ აღემატება, მოწინებულ გაცნობიერებამდე.

- დავეხმაროთ, გაიგონ, რომ ქრისტიანული სარწმუნოება ჰერმეტული ნაკვეთური კი არ არის, არამედ პიროვნებასა და ცხოვრებას მთლიანობაში მოიცავს.

მიმაჩნია, რომ ეს ამოცანები ბევრს „თანამდევად“ არ მოეჩვენება შედარებით ნებისმიერი სასკოლო განათლების ძირითად მიზანთან: მიაწოდოს ინფორმაცია, აუხსნას ფაქტები, მიმართოს ჭეშმარიტებისკენ, მიაღწიოს პრობლემის არსის წვდომასა და გაცნობიერებას. რასაკვირველია, აუცილებელია, მოსწავლეებმა გაიგონ ფაქტები, რადგან ადამიანებს სწამთ და მოქმედებენ იმის შესაბამისად, თუ რამდენად იცნობენ სინამდვილეს, ესმით მომხდარის აზრი და სწორად აფასებენ სიტუაციას. საეკლესიო სკოლაში სწავლების ამ უშუალო, აშკარა ამოცანაზე საუბარი შემდეგ გვექნება. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუკი „თანამდევი“ ამოცანები, რომ ლებზეც ამ თავში შევჩერდით, სწავლების შთამაგონებელი არ გახდა, ის თავის ცხოველმყოფელობასა და არსებითობას დაკარგავს.



თავი ॥

ჩვენი შვილები

სანამ ქრისტიანული აღზრდის არსება და მეთოდებზე რაიმეს ვიტყო-
დეთ, აუცილებელია, გულდასმით დავაკვირდეთ ბავშვებს, რომლებთანაც
მუშაობა მოგვიწევს. როგორია მათი ზრდის თავისებურება, რა უნდა ვას-
ნავლოთ და რისი სწავლა სურთ თვითონ, როგორია მათი შესაძლებლობე-
ბი და ინტერესები?

ჩვილობის ასაკი: დაბადებილან 3 ნებამდე

პირველი პერიოდის განმავლობაში, რომელსაც პიაჟე „სენსომოტო-
რულ“ სტადიას უწოდებს, სამ წლამდე ბავშვი ციცქანა, უსუსური არსები-
დან, რომელიც სახვევებში ფართხალებს, პატარა ადამიანად იქცევა; და-
დის, დარბის და ლაპარაკობს, გამოთქვამს თავის სურვილებსა და მოთ-
ხოვნებს; ზოგი ადამიანი უყვარს და სცნობს, ზოგიერთი კი არ უყვარს ანდა
ეშინია მისი. შეიძლება, იყოს მხიარული, ცნობისმოყვარე, ბედნიერი, სევ-
დიანი, გაბრაზებული, გუნებაწამხდარი; გარკვეულ საგნებს სასიამოვნო ან
შემაშინებელ შეგრძნებებთან აიგივებს; შეუძლია სიყვარული, შეცოდება,
ეჭვიანობა. სამი წლისათვის ბავშვი შეიცნობს საკუთარი სახლის სამყარო-
სა და მის ახლო მდებარე გარემოს, აგროვებს უამრავ შთაბეჭდილებას. მას
უჩინდება ცოცხალი ფანტაზია, თუმცა ლოგიკური აზროვნების უნარი ჯერ
არასაკმარისად აქვს განვითარებული. მისი გონიერა მოქმედებებით გამოვ-
ლინდება. სამი წლისა იგი მზადა აღიქვას აზრები, რომლებიც გრძნობად
გამოცდილებას ეფუძნება: მას ძალუს გაიგოს ზომის, ფერის, მოყვანილო-
ბის და სხვა მსგავსი ცნებები.

(მართლმადიდებელი ეკლესია ამ ასაკის მნიშვნელობას უფრო მეტად
აცნობიერებს, ვიდრე სხვა ქრისტიანული კონფესიები. სიცოცხლის პირველ
კვირათა განმავლობაში ბავშვი სამ წმიდა საიდუმლოში – ნათლობაში, მი-
რონცხებასა და ზიარებაში მონაწილეობს. ეკლესიაში საგანგებოდ მისთვის
ტარდება მსახურება, რომლის დროსაც სახელს არქმევენ, და იგი ეკლესიის
წევრი ხდება. ეკლესია გაცილებით ადრე, სანამ ყრმაში გონიერა და ცნობიე-
რება გაიღვიძებდეს, მაღლს ანიჭებს და ბოროტისაგან იფარავს. ამით ეკლე-
სია, როგორც ჩანს, ქვეცნობიერი სფეროს სილრმისეული „მე“ს არსებობას

და მისი ნათლისცემის აუცილებლობას აღიარებს, ჩვენი ეკლესიის ასკეტიკური ტრადიციის თანახმად, ის „მე“, რომელსაც ჩვენ ვაცნობიერებთ, ვიღებთ და გარკვეულწილად, „ვქმნით“, ასბერგის მხოლოდ მცირედი, ხილული ნაწილია. არსებობს სულის გაცილებით დიდი ნაწილი, რომელსაც ვერ ვაცნობიერებთ, მაგრამ რომელიც ჩვენს ცხოვრებაზე აქტიურად ზემოქმედებს. ეს უმნიშვნელოვანესი, კრიტიკული სიღრმე თითქმის მთლიანად ჩვილობის ასაკში ყალიბდება. გარკვეული აზრით, ზრდასრული ადამიანის ცხოვრება ბავშვობაში შეძენილის განვითარებას წარმოადგენს.

ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ სულიერი და ფიზიკური პროცესები, რომელიც სამ წლამდე ბავშვის ცნობიერ დონეზე მიმდინარეობს:

● საკუთარი ფიზიკური „მე“-ს აღმოჩენა, ფიზიკური გრძნობების – მხედველობის, ყნოსვის, შეხების, მოძრაობის, გემოს აღქმის და სმენის განვითარება.

თავისუფლებისა და აკრძალვის, დაშვებულის და დაუშვებელის, ჭამის კულტურის, მოძრაობისას თავისუფლების ფარგლების, პიგინური ჩვევების აღმოჩენა.

● უსაფრთხოებისა და სიყვარულის გრძნობების აღმოჩენა.) მაგალითად, სიცივისა და დისკომფორტის შეგრძნება დედის მიახლოებისთანავე იცვლება სითბოსა და კომფორტის შეგრძნებით. ერთი და იგივე ადამიანი ყოველდღე უკმაყოფილებს შიმშილის გრძნობას. თუ ბავშვს რაიმე სტკივა, მკურნალობს და ამშვიდებს. დროთა განმავლობაში საყვარელი ადამიანის გამოჩენისთანავე ქრება დაკარგვის შიში (რომელიც ხშირად საკუთარი სახლის ეზოშიც კი იჩენს თავს) და მთელი საყიდვის უსაფრთხო ხდება.

● უარყოფითი გრძნობების: მრისხანების, შიშის, ეჭვიანობის აღმოჩენა.

● საკუთარ ნებასა და სხვა ადამიანების, ჩვეულებრივ, უფროსების, დამთრგუნველ ნებას შორის არსებული უთანხმოების აღმოჩენა, როდესაც უეცრად ბავშვის კეთილდღეობის წყარო მის წინააღმდეგ შემობრუნდება, მტერი ხდება და უსიამოვნო განცდების წყაროდ იქცევა, მასში აღიძვრება გრძნობათა ქარიშხალი – განცვილება, აგრესიულობა, საკუთარი სიძლიერის დამტკიცების მცდელობა, დროებითი მორჩილება ანდა გაბოროტება.

● ბავშვი აგროვებს ფაქტებსა და ინფორმაციას, მაგრამ არ ძალუდს მათი გაცნობიერება. ის აგროვებს შთაბეჭდილებებსა და სახეებს, ახსოვს ხმები და სხვადასხვა სუნი, მაგრამ არ შეუძლია ამ მოვლენათა მიზეზების გააზრება და მათ, როგორც თავისთავად არსებულს, ისე აღიქვამს.)

● ამ პერიოდის ბოლოსთვის, ორიდან სამ წლამდე, ბავშვს შეუძლია თავისი სურვილების სიტყვიერად გამოხატვა, გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარება, თუმცა ხანდახან მისი მეტყველება პრიმიტიულია.)

ბავშვის აღზრდა ოჯახში ხდება. ერთადერთი აღმზრდელი, რომელიც ბავშვმა იცის, მშობლებია ანდა ისინი, ვინც მათ ცვლის. ჩვილი ასაკში აღზრდის პროცესზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ზოგად განვითარებაზე მჭიდრო ოჯახურ ურთიერთობათა ატმოსფეროში. ამ პროცესიდან არ შეიძლება გამოვაცალკევოთ ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა, არ შეიძლება ვილაპარაკოთ, აგრეთვე, ჩვილის „სწავლებაზე“, თუმცა სიცოცლის პირველი სამი წლის განმავლობაში იგი ძალზე ბევრ რამეს იგებს.

რაღაც თვალსაზრისით, შეიძლება ვისაუბროთ ქრისტიანი მშობლების „სამღვდელო მსახურებაზე“. ისინი, გარკვეულად, წმიდა საიდუმლოს აღასრულებენ, რამეთუ თავიანთი შვილების ცხოვრებაში ღმერთი შემოჰყავთ და მათ ცხოვრებას ღმერთს უძღვნიან. ეს ამოცანა კურთხეულ მთლიანობას მოითხოვს: იმას, თუ როგორ უცვლის დედა თავის ჩვილს საფეხს, როგორ აჭმევს ან როგორ ეფერება, ჩვილის რელიგიური აღზრდისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც იმას, თუ როგორ ლოცულობს იგი მისთვის, ანდა როგორ მიჰყავს ტაძარში. ყველაფერს, რასაც დედა აკეთებს ბავშვისათვის, რელიგიური აზრი ეძლევა, თუ დედა სიყვარულითა და მზრუნველობით აღსავსა, შვილს სიშვიდესა და ბედნიერებას ანიჭებს. დედობრივი სიყვარულის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული იგი ღმერთთან. დედობრივი სიყვარული შეიძლება გადაიქცეს დამთრგუნველ, ეჭვიან, მფრთხალ სიყვარულად, ის შეიძლება აღივსოს შიშითა და შფოთით; ზოგჯერ დედა იმდენად უბედური, თავკერძი და ბეჩავი ხდება, რომ მას აღარ ძალუს უყვარდეს თავისი შვილი. მსგავს მდგომარეობაში ჩვილი, შეიძლება ითქვას, რელიგიურად დაჩაგრულია, დაბეჩავებულია. ხოლო სიხარულით, პასუხისმგებლობით აღსავსე თავგანწირული სიყვარული, რომლითაც მრავალი დედა ზრდის შვილებს, მიუხედავად დედის მრწამსისა, თავისი ბუნებით რელიგიურია. ბავშვი, რომელიც არ განიცდის შიშა და მწუხარებას, რომელიც სიხარულით შეიმეცნებს სამყაროს, რელიგიური ხდება.

(დედობრივ სიყვარულს ძალუს ბავშვი უფროსების რელიგიურ გამოცდილებას, ეკლესიის ლიტურგიკულ ცხოვრებას აზიაროს. ბავშვის მიერ რელიგიური და საკულტო ცხოვრების აღქმა შეიძლება მხოლოდ გრძნობითი იყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის საკვაბით რეალურია.)

სახარებაში განსაკუთრებით გვაოცებს ადგილი, სადაც ქრისტე საუბრობს რწმენის არა გონებით, არამედ გრძნობით განცდის მნიშვნელობაზე. ქრისტე „გაურისხდა“ თავის მოწაფეებს, რომლებიც მასთან მისვლის საშუალებას არ აძლევდნენ ბავშვს, რადგან მოწაფეები მისი სწავლების განმარტებას უფროსებისათვის დამახასიათებელი აზროვნებით ცდილობდნენ.

მაცხოვარმა ბრძანა, სასუფეველი ცათა ბავშვებისაა და ის, ვინც სასუფეველს ბავშვივით არ მიიღებს, ვერ დაიმკვიდრებს მას (მარკვაზ, 10.13-16). მან გააცხადა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ღმერთს ბავშვების მიმროვა: მოხევია მათ, აკურთხა და ხელი დაასხა. მისი სიყვარული ქადაგებით ან თუნდაც იგავით კი არ გამოიხატა, არამედ უბრალო, ფიზიკური შეხებით. მან ბავშვებს საშუალება მისცა მისი სიახლოვე ფიზიკურად ეგრძნოთ, ხოლო როცა უფროსებს მიმართა, ხაზი გაუსვა იმას, რომ ბავშვების მიერ ღმერთის აღემა — ის, თუ როგორ იგრძნეს მათ მისი კურთხევის მადლი, სრულებითაც არ არის შემთხვევითი და აღსავსეა რელიგიური აზრით: „რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაი, ვითარცა ყრმაი, ვერ შევიდეს მას“.

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება რელიგიურ ფასეულობათა უშუალოდ ფიზიკურად აღქმის არაერთ საშუალებას გვაძლევს. დაე, ბავშვმა თავისი ნათლობის ჯვარი ხელით მოსინჯოს, შეეხოს და ეამბოროს ხატს, რომელიც მის სასთუმალთანაა დასვენებული, იგრძნოს საკმევლის სურნელება და დატკბეს ტაძრის ნათელი ფერადოვნებით, მიიღოს წმიდა ზიარება, შეიგრძნოს მისი გემო, იგრძნოს ნაკურთხი წყლის წვეთები სახეზე, ისმინოს გალობა, გადაინეროს პირჯვარი, თუნდაც ეს მას თამაში ეგონოს. ყველა ეს საგანი, განცდა, გრძნობა ჩვენს ეკლესიაში რაღაც მესამეხარისხოვანს როდი ნარმოადგენს, რასაც შემდეგ, ზრდასრულ მდგომარეობაში უკუგდებენ. ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში არ კარგავს მნიშვნელობასა და აზრს, იქნება ეს მოქმედება, უქსტი თუ განცდა. აქვს რა ყოველივე ამასთან შეხება, ბავშვი ეკლესიური ცხოვრების საკუთარ, ნამდვილ გამოცდილებას იძენს.

პატარა ბავშვების უნარი დააგროვონ სახეები, შთაბეჭდილებანი და ფაქტობრივი ინფორმაცია, რელიგიური თვალსაზრისითაც უნდა განვამტკიცოთ. უფროსებმა იციან, რომ ბავშვები, უსმენენ რა მათ საუბარს, სწავლობენ ლაპარაკას. ისინი ბავშვებს სამყაროს ათვისებაში ეხმარებიან და ასწავლიან, რომ ცეცხლი წვავს, წყალი სველია, თოვლი კი ცივი. ზუსტად ასევე უფროსები მოწოდებული არიან დაეხმარონ მათ რელიგიური წარმოდგენებისა და იდეების ჩამოყალიბებაში. დაე, ბავშვი ხედავდეს, როგორ ლოცულობენ მისი მშობლები, დაე, მშობლები ყოველთვის განუმარტავდნენ მას, რასაც იგი ტაძარში თვალს ადევნებს; დაე, ბავშვი ესწრებოდეს წირვალოცვას და უყურებდეს, ისმენდეს, შეიგრძნობდეს, ეხებოდეს საგნებს, რომელნიც უდიდესი რელიგიური აზრით არიან აღსავსენი. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილ რელიგიურ მნიშვნელობას მაშინ იძენს და რელიგიური ცხოვრების დასაწყისი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა მშობლები ბოლომდე გულწრფელი და ღვთისმოსავნი არიან.

ერთხელ ორი შვილის ახალგაზრდა დედამ მითხრა: „მე ვიცი, რატომ მოსწონს ჩემს ორი თვის გოგონას ასე ძლიერ ტაძარში ყოფნა, სახლში შე ყოველთვის საშინლად დაკავებული ვარ, უამრავი საქმე მაქვს გასაკეთებელი, ტაძარში კი, საათნახევრის განმავლობაში, იგი წყნარად მიწევს ხელზე და არსად გავრპივარ რაიმეს გასაკეთებლად“. მე გულწრფელად მჯერა, რომ სიყვარულის და სიმშვიდის ამგვარი განცდა ტაძარში რელიგიურ განცდას უახლოვდება.

სამი წლის ბავშვებს უკვე შობის, აღდგომისა და საეკლესიო დღესასწაულთა საზეიმო ატმოსფეროს აღქმაც შეუძლიათ.

თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია ჩვილი ბავშვის „ზნეობრივი ცნობიერების“ შესახებ ვილაპარაკოთ, მაგრამ ხანმოკლე ცხოვრებისეული გამოცდილება ზნეობრივი ცნებების აღსაქმელად მას მაინც ამზადებს. ისეთი რეალიების აღმოჩენა, როგორიცაა თავისუფლება და აკრძალვები, უსაფრთხოება და სიყვარული, საკუთარი და გარედან თავსმოხვეული ნების დაპირისპირება, შიშისა და ეჭვიანობის უსიამოვნო გრძნობები, შექებისგან მიღებული სიამოვნება, — ჩვილი ასავის გამოცდილების ეს დიდი ნაწილი ჩვენი რელიგიური განვითარების საფუძველს ერწყმის. მართალია, ამ გრძნობებს ბავშვი არაქრისტიანულ ოჯახშიც აღმოაჩენს, მაგრამ მშობლების სულიერი ცხოვრებით ეს გამოცდილება მხოლოდ ქრისტიანულ ოჯახშია განათლებული.

მაგრამ ყველაფერს, რაც კი ჩვილის რელიგიური განვითარების შესახებ ვთქვით, აღქმატება ღვთის მაღლის იღუმალი ზემოქმედება, რომელიც ასაზრდოებს მას. არავის ძალუს აღრიცხოს და შეაფასოს ეკლესიის წმიდა საიდუმლოების მოქმედება ჩვენს პატარებზე. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ რწმენითა და მოწინებით ვეცადოთ, რომ სულინმიდის ამ ზემოქმედების გზები ბავშვებისათვის გახსნილი იყოს.

სკოლამდელი ასაკი: 3-დან 6 წლამდე

პიაუეს თანახმად, ეს პერიოდი „წინარეოპერატიულ ეტაპს“ შეესაბამება. ჯონ ფ. ემლინგი თავის მშვენიერ ბრომურაში, რომელშიც პიაუეს განვითარების თეორიას მოკლედ გადმოგვცემს, წერს: „სხვათა შორის, „წინარეოპერატიული“ პერიოდისათვის დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი. ამ ასაკში ბავშვებს თავისი თავის სხვა ადამიანის ადგილზე დაყენება არ ძალუს; უფრო მეტიც, მას აქვს მიდრევილება უურადღების კონცენტრირებისა ადამიანებისა თუ საგნების ყველაზე უფრო გამოხატულ, თვალ-

შესაცემ ნიშან-თვის სებებზე და რადგანაც რეალობის კატეგორიებად კლასიფიცირება არ შეუძლია, ამიტომ ადამიანურ თავის სეტურებებსა და შესაძლებლობებს უსულო საგნებს მიაწერს. გარდა ამისა, ბავშვი ყველაფრის მიზეზად საკუთარ თავს მიიჩნევს.

ამ ეტაპზე ბავშვი ყველაფრის მიზეზს პოულობს, იცის პასუხი ყველა კითხვაზე. აკმაყოფილებს ნებისმიერი პასუხი, მიუხედავად მისი ღოგო კურობისა.

ეს არის ყველაზე უმცროსი ასაკობრივი ჯგუფი, რომელთანაც საეკლესიო სკოლაში გვაქვს საქმე.

ამ ასაკისათვის ბავშვები უკვე ფლობენ თავის უფალი მეტყველების ჩვევას, ესმით სხვისი საუბარი. მათთან ურთიერთობა უჯერ არა მხოლოდ მშობლებს, არამედ მეგობრებს, მასწავლებლებსა და უცხო ადამიანებსაც შეუძლიათ. აღმზრდელს ისეთი ქმედითი საშუალება ეძლევა, როგორიც სიტყვიერი ურთიერთობაა. მაგალითად, შეიძლება მან ბავშვებს ზღაპრები უამბოს, ოღონდ აუცილებელია, ისინი ნინასწარ მოფიქრებით და საგულ-დაგულოდ შეარჩიოს.

უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ზღაპრის მოსმენა შეუძლიათ არა უმეტეს ხუთი წუთისა, ხოლო შედარებით უფროსებს — არა უმეტეს ათი წუთისა. თხრობას თან უნდა სდევდეს უესტები ან ხმები: ბავშვებმა შეიძლება გაიმეორონ ხმები, მიბაძონ მოძრაობას, ხელით აჩვენონ იმ საგნის ზომა, რომელიც მთხრობელმა ახსენა, ათვალიერონ ფერადი ნახატები, შეეხონ ნივთებს, რომლებიც თხრობის ილუსტრირებას ახდენს. სიუჟეტი უკიდურესად მარტივი და გასაგები უნდა იყოს, თანამიმდევრულად, დროისა და სივრცის კატეგორიებში ჩაღრმავების გარეშე უნდა ვითარდებოდეს. თუ საუბარი წარსულს შეეხება, უმჯობესია შემდეგი ტიპის გამოთქმები გამოვიყენოთ: „ოდესლაც“, „გუშინ“ ანდა, შედარებით უფროსი ასაკისთვის, „როცა პატარა ვიყავი“. თუ საუბარი მანძილს ეხება, საკმარისია ვთქვათ: „აქვე“, „აქედან არც ისე შორს“, „ცხრა მთას იქით“. ბავშვის ცნობიერებისათვის საერთოდ უცხოა ისეთი ცნებები, როგორიცაა „სიმართლე“, „ერი“, „ღვთისმოსაობა“, „სამართლიანობა“, „ხელისუფლება“, „რწმენა“ და „სიყვარულიც“ კი, თუმცა, მათ შეუძლიათ გაიგონ, რას ნიშნავს „კეთილი“, „კარგი“ ანდა „ბოროტი“, „საძაგელი“ ადამიანი. მასწავლებელმა არ უნდა ილაპარაკოს იმგვარ ემოციებზე, რომლებიც ბავშვებისათვის ჯერ უცნობია.

პატარა ბავშვების ზნეობრივი განვითარება საკმაოდ პრიმიტიულია, თუმცა, მათთვის, როგორც წესი, ცნობილია ეთიკური ხასიათის იარღიყები, რომლებსაც მათ ესოდენი სიამოვნებით აკრავენ. „ცუდი ბიჭი“, „კარგი ბიჭი“, „გაუგონარი“, „დამჯერი“, — რაოდენ ხშირად უხდება ბავშვს ამ სიტ-

ყვების მოსმენა! მაგრამ მას არ ძალუს იმის გაგება, კარგია თუ ცუდი ესა თუ ის საქციელი, რატომ ხდება, რომ ერთ შემთხვევაში ცნობის მოყვარეობა შექებას იმსახურებს, მეორე შემთხვევაში კი იკრძალება. ჩვილობის ასაკში იგი თავის შესაძლებლობებსა და თავის გარემოს შეიცნობდა, ახლა კი სხვების მხრიდან საკუთარი ქმედებების დადებითსა და უარყოფით შეფასებებს აგროვებს, რაც შემდეგ აყალიბებს მის შეხედულებებს „სიკეთესა“ და „ბოროტებაზე“. ხუთი წლის ბავშვმა იცის, „ღმერთს უნდა, რომ ჩვენ კარგები ვიყოთ“, და „რომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ ცუდები“, მაგრამ მას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა არის „კარგი“ და რა – „ცუდი“. იგი მათ უბრალოდ უფროსების მხრიდან შექებასა და გაკიცხვასთან აიგივებს. ქრისტიანულ ოჯახსა და ქრისტიანულ გარემოცვაში ბავშვის ეთიკური შეხედულებანი სწორედ შექებამ და გაკიცხვამ უნდა ჩამოაყალიბოს.

(სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის ისეთი არსებითი ცნებები, როგორიცაა ცოდვა, მონანიება, გამოსყიდვა, სიკვდილი, აღდგომა, სიცოცხლე სიკვდილის შემდგომ, სრულიად გაუგებარია. თუმცა კი მან გამოცდილებით იცის, რას ნიშნავს „იყო დამჯერი“ და „მიიღო პატიება“. ასევე შეიძლება იცოდეს რომელიმე ახლობლის გარდაცვალების ან ბავშვის დაბადების ამბავი, მაგრამ ამ ფაქტებით გამოწვეული წარმოდგენები საკმაოდ პრიმიტიული და ზედაპირულია.)

ამ ასაკის ბავშვებს მოძრაობის მუდმივი მოთხოვნილება აქვთ და ერთ ადგილზე დიდანს ვერ ჩერდებიან. ისინი თავისუფალი, მარტივი, შეუზღუდვა მოძრაობებისაკენ არიან მიღრეკილნი. ჯეუფში შემოქმედებითი მუშაობა ამის გათვალისწინებით და ამის შესაბამისად უნდა წარიმართოს.

ბავშვი მზადაა ჩსირკედელაობისათვის. კუნთებს ძირითადად უკვე იმორჩილებს და თუმცა ფაქტიზი სამუშაოს შესრულება ჯერ არ შეუძლია, სიამოვნებით თამაშობს სალებავებით, კუბურებით, პლასტილინით, ქვიშით. მისი შემოქმედებითი ინსტინქტი არ არის შეზღუდული თვითკრიტიკით, ნებისმიერი სამუშაო ხანმოკლე უნდა იყოს და ხელშესახები, აშკარა შედეგი მოჰქონდეს. ხშირად ბავშვის მიერ დახატულის აზრი გაუგებარია. ამ შემთხვევაში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს, თუ შევთავაზებთ აგვისნას, რა დახატა. მას ძვირადლირებული მასალა და იარაღები არ ესაჭიროება, მაგრამ უნდა მივცეთ სივრცე მუშაობისა და მოძრაობისათვის, თუნდაც ამისთვის იატაკზე გაზიერების დაფენა მოგვიხდეს.

სკოლამდელი პატარა უკიდურესი ინდივიდუალისტია. ამ ასაკის ბავშვები თავისი სურვილით ერთად იშვიათად თამაშობენ. ერთი ბავშვის ჩართვა მეორის თამაშში ჩვეულებრივ ნიშნავს, რომ ბავშვები მაინც ცალ-ცალკე თამაშობენ, თუმცა კი პარალელურად. ეს აუცილებლად



უნდა გვახსოვდეს ჯგუფთან მუშაობისას.

სკოლამდელი ასაკის უმთავრეს მიღწევას, ალბათ, საკუთარი შემზემდებულისა და თამაშის სხვა ბავშვების მოქმედებასა და თამაშთან კოორდინირების ჩვევა წარმოადგენს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები ვითარდება, სახელდობრ, რიგის დაცვის, დარიგებისა და უმარტივესი წესების დაცვის ჩვევები, სხვა ბავშვისათვის ანგარიშის გაწევა და საკუთარი თავის ჯგუფის წევრად გაცნობიერება. ბაგა-ბალსა და საბავშვო ბაღში სწავლების მშვენიერი საშუალებაა საფერხულო ცეკვები, მარტივი თამაშობანი სიმღერითა და როლების წარმოდგენით. სრულებით არ გამოგვადგება შეჯიბრება, მეტ-ნაკლებად რთული წესების მქონე თამაშობები, რომლებიც გარკვეულ ჩვევებსა და გუნდებად დაყოფას მოითხოვს.

შექმნისა და აღიარების მოპოვების სურვილი წებისმიერ ასაკში საკმარისად ძლიერია. ბავშვს უკვე შეუძლია უცხოებთან თავის კარგად დაჭერა, უფროსების ქცევას ბაძავს, ხალისით იღებს დარიგებას, როგორ უნდა მოიქცეს ტაძარში, ოღონდ თუ მას მეტისმეტად არ ზღუდავენ, რაც დაუმორჩილებლობის ჯიუტ სურვილს ბადებს.

ამ ასაკის ბავშვს რეალურისა და ფანტასტიკურის გარჩევა თითქმის არ ძალუს. ხშირად იწყებს რეალურად მომხდარი შემთხვევის შესახებ ლაპარაკს და უცებ სრულიად დაუჯერებელ დეტალებს იგონებს. სამრევლო სკოლების მასწავლებლებს საშუალება რომ ჰქონდეთ გაიგონ, როგორ ჰყვებიან ბავშვები შინ იმას, რაც მოისმინეს, გაოცებული დარჩებოდნენ.

მართალია, ჩვენს დროში სკოლამდელი ასაკის ბავშვის სამყარო მხოლოდ ოჯახით არ შემოიფარგლება, მაგრამ მისთვის მშობლები მაინც ყოვლისშემძლებად რჩებიან. არ არსებობს საშიშროება, რომლისგანაც, როგორც ბავშვს სჯერა, მათ არ შეეძლოთ მისი დაცვა, არანაირი ტრაგედია არ მოხდება, თუკი დედა გვერდითაა. ამგვარი შეგრძნება „მოსიყვარულე და სამართლიანი ყოვლისშემძლეობისა“ შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს ღმერთზე ბავშვების წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად.

ხუთი წლის ბავშვები სავსებით მზად არიან სამყაროს შექმნის შესახებ მარტივად გადმოცემული ბიბლიური მოთხოვნის აღსაქმელად. ბავშვს შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ თხრობაში, მაგალითად, სთხოვეთ დახსუფლოს თვალი და „წარმოიდგინოს“ ბნელი, რომელიც მანამდე იყო, სანამ ღმერთი ნათელს შექმნიდა, ხოლო შემდეგ გაახილოს, რათა ნათელი „წარმოიდგინოს“. ხელით მოასინჯინეთ ფოთლები, ყვავილები, მარცვლები; ბავშვმა შეიძლება განასახიეროს, როგორ მოძრაობს ესა თუ ის ცხოველი, როგორ დაფრინავონ ფრინველები.

შეიძლება მოვუყვეთ იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავს ღმერთი ჩვენ-

ზე. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა ნოეს კიდობანზე, ანუ იმაზე, თუ როგორ გადაარჩინა ღმერთმა ნოე, მისი ოჯახი, ცხოველები, როგორ გაფრინდა მტრედი და წარლვის დამთავრების შემდეგ როგორ მობრულდა შეტის ხილის რტოთი... ბავშვებისთვის მისალებია ამბავი მდინარის პირას ლერწამში დატოვებული მოსესი, იესო ქრისტესი, რომელმაც ქარიშხალი დააცხრო. ასევე ხალისით მოისმენენ მოთხრობას სასწაულებზე, თუ ჩვენ ხაზს გავუსვამთ არა იმას, რაც საკუთრივ სასწაულებრივია (ამას ბავშვები ჯერ ვერ გაიგებენ), არამედ იმას, თუ როგორ ზრუნავდა ქრისტე ადამიანებზე და როგორ შველოდა მათ. შეიძლება ვუამბოთ ადამისა და ევას შესახებ სამოთხეში, იმის შესახებ, თუ როგორ არქევდა ადამი ცხოველებს სახელებს, როგორ გამოაძევეს ადამი და ევა სამოთხიდან და რა აღუთქვა მათ ღმერთმა. ოღონდ, ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ ბავშვები გაიგებენ „დაცემის“, „ცოდვის“ და „გამოსხინის“ არსა. მათ მოსწონთ ისტორია ქრისტეს ურთიერთობისა ბავშვებთან, მოთხრობა შობის შესახებ. ეს მოთხრობანი შეიძლება ხშირად გავუმეოროთ.

ხუთი წლის ბავშვი, რომელიც მართლმადიდებელ ოჯახში ცხოვრობს და მრევლის ცხოვრებაში მონაწილეობს, რელიგიური წარმოდგენებისა და განცდების გარკვეულ მარაგს აგროვებს. მას აქვს ცოცხალი წარმოდგენა ღმერთზე, რომელმაც შექმნა ყოველივე, რომელიც კეთილი და ყოვლისშეძლეა, და გარკვეული ილად, ღმერთზე მშობლების თვისებები გადააქვს – ძალაუფლება, სიყვარული, ყოვლისშეძლეობა. მშობლების ხასიათი ბავშვის რეალურ ცნობიერებაზე უზარმაზარ გავლენას ახდენს. სურათებისა და მოთხრობების მეშვეობით მას გარკვეული წარმოდგენა ექმნება იესო ქრისტეზე, როგორც პიროვნებაზე, თუმცა ჯერ არ იცის, რომ ღმერთი და იესო ქრისტე – ერთია, და არც ამის დაზუსტების მოთხოვნილებას გრძნობს. მართლმადიდებელი ბავშვი სწავლობს პირჯვრის გამოსახვას და წარმოთქამს: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“, მაგრამ ეს სიტყვები, ჩვეულებრივ, მის ცნობიერებაში ღმერთზე მოთხრობებს არ უკავშირდება; ჯერ კიდევ ადრეა წმიდა სამების თემაზე საუბრის დაწყება.

ბავშვისათვის წარმოდგენა ეკლესიაზე განუყოფლად ტაძარს – ეკლესიის შენობას უკავშირდება. რაც უფრო კარგად იცნობს იგი მას, მით უფრო უკეთ გრძნობს იქ თავს. ბავშვი კმაყოფილებას განიცდის იმის გამო, რომ იცის, თუ როგორ უნდა ეჭიროს თავი, როგორ გადაისახოს პირჯვარი, ეამბოროს ხატს, მიიღოს წმიდა ზიარება, მიიღოს კურთხევა და აჟყვეს გალობას. რასა კვირველია, ეს მხოლოდ გარეგნული და მექანიკური ცოდნაა, მაგრამ ბავშვს საშუალებას აძლევს ეკლესიის წევრად იგრძნოს თავი და იგი ტაძარს, როგორც საკუთარ სახლს, ისე ეჩვევა.


პატიარა ბავშვის ეკლესიურ ცხოვრებაში უმთავრესია წმიდა ზიარების ხშირი მიღება. ზიარების საიდუმლოს საშუალებით მის ცხოვრებაში ღვთის მაღლი შემოდის, რაც, თავისთავად, ქრისტიანული ცხოვრების ყრისა. ეს საიდუმლო რეალურია და ქმედითი, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვს მისი რაციონალურად აღქმა შეუძლია. მას შეუძლია გაიგოს, რომ საქმე აქვს რაღაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანსა და წმიდასთან, ამ საიდუმლოს მიმართ მშობლებისა და ყველა იქ მყოფის უჩვეულოდ მოწინებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე. რაც შეეხება მის ახსნას, უნდა განვუმარტოთ: წმიდა ზიარება წმიდა საკვებია, რომელსაც ღმერთი გვაძლევს. შეიძლება დავუმატოთ, ეს საკვები იქსო ქრისტემ მოწაფებს უკანასკნელი ტრაპეზისას მისცა, და როცა ვეზიარებით, თავად გვაძლევს მას.

მცდელობა აკვსნათ სიტყვები: „უსე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი“... და, „უსე არს სისხლი ჩემი...“ „შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს. მახსოვს შემთხვევა, როდესაც გულწრფელი, მაგრამ უხეირო მცდელობა მასწავლებელი ქალისა თავისი მოწაფებისათვის აეხსნა ზიარების მნიშვნელობა, უძინმესი შედეგით დამთავრდა: შეშინებულმა ბავშვებმა კვირა დღეს უარი თქვეს ზიარების მიღებაზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უმჯობესია მოვცუვეთ საიდუმლო სერობის ისტორია, ავუხსნათ, რომ ასე იქნა პირველად მონიჭებული წმიდა ზიარება, რომ იქსო ქრისტემ თავად მისცა ზიარება თავის მოწაფებს იმ სიტყვებით, რომლებსაც ჩვენ ახლა ტაძარში ვისმენთ და რომ მოგვიწოდა იგივე გავაკეთოთ მის მოსახსენებლად. ბავშვების ყურადღება შეიძლება მივმართოთ საიდუმლო სერობის ხატისაკენ, რომელიც, როგორც წესი, აღსავლის თავზეა.

ხუთი წლის ბავშვი, რომელიც ქრისტიანულ ოჯახში ცხოვრობს, აგროვებს საკმაო ინფორმაციას სხვადასხვა დღესასწაულსა და ტრადიციაზე, ბევრს იგებს ცხოვრებისადმი ქრისტიანული დამოკიდებულების შესახებ. აღდგომა, ჯვრისწერა, ნათლობა, წესის აგება, სახლის კურთხევა — ყველა ეს მოვლენა ბავშვის ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს.

ხუთი წლის ბავშვი რელიგიური აღზრდის სფეროში, რასაკვირველია, „სუფთა დაფა“ არ არის. ხელსაყრელ პირობებში იგი დიდი რაოდენობით რელიგიურ შთაბეჭდილებებს აგროვებს, რომლებიც შემდეგ შეიძლება, გაღრმავდეს და განვითარდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ მიუღია ფორმალური რელიგიური მომზადება, მაგრამ სიყვარულისა და სულიერი სიმშვიდის ატმოსფეროში იზრდებოდა და ოჯახურ დისციპლინას ემორჩილებოდა, იგი სავსებით მზადაა შეგნებული რელიგიური განვითარებისათვის. ხოლო თუ პატიარა ამგვარ ატმოსფეროს მოკლებული იყო, იგი მეტისმეტად დაზარალებულია. ამ ასაკში ყალიბდება მისი სულიერი ქვეც-

ნობიერება, რომელიც მომავალში თავისუფალი აზროვნებისა და გაცნობი-ერებული მოქმედების საფუძველი გახდება.



უმცროსი სასაოლო ასაკი: 6-დან 10 წლამდე

ამ ასაკის ბავშვები უკვე ტოვებენ ოჯახური სამყაროს ჩაკეტილ წრეს. დადანიშნული სკოლაში, ჰყავთ მეგობრები და მტრები, რომელთა შესახებაც მშობლებმა არაფერი იციან, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს და ამყარებენ ურთიერთობას ბავშვებთან, ემორჩილებიან მოზრდილთა სამყაროს წესებსა თუ ჩვეულებებს – სკოლის, სამეზობლოს, ქუჩის, საზაფხულო ბანაკის... მათ უკვე აძლევენ დავალებებს, საჭირო ნივთებს თვითონ ყიდულობენ თავისთვის და ინყებენ იმის გაცნობიერებას, რომ კანონი მხოლოდ მათი მშობლების მიერ დადგენილი წესები როდია, არამედ, აგრეთვე, სხვებისაც, – იქნება ეს სასკოლო განაწესი, ქუჩაში მოძრაობის თუ სხვა წესები. ყველაფერს, რასაც ისინი ადრე როგორც მოცემულობას, ისე იღებდნენ, ახლა ეჭვევეშ აყენებენ, არკვევენ და ადარებენ. რაც მეტად ეცნობიან კანონებსა და წესებს, მით უფრო უძლიერდებათ მათი დარღვევის ცდუნება – რაღაც მოიპარონ, შეიგინონ და სხვ.

თანატოლების მიმართ ბავშვს ახლებული დამოკიდებულება უჩნდება. ბევრ ბავშვს უძნელდება მეგობრული ურთიერთობის დამყარება. მათ არ სურთ თამაში და საქმის კეთება მარტო, მაგრამ სხვებთან ერთად შრომას ჯერ შეჩვეულნი არ არიან. ჭირვეულობა, რომელიც ამ ასაკის ბავშვებში ესოდენ თვალშისაცემია, კოლექტივისტური სულისკვეთების ჩასახვაზე მეტყველებს, ბავშვები ცდილობენ ერთმანეთთან ახალი ურთიერთობების დამყარებასა და არსებული წინააღმდეგობის შემცირებას. მათ უკვე შეუძლიათ გაცნობიერებულად სწუხდნენ ღალატისა და გაუცხოების გამო, საუკეთესო მეგობარი უეცრად ახალ მეგობარს იჩინს, და თუნდაც ეს დროებითი იყოს, ღალატისგან მიყენებული ტკივილი მძაფრია და რეალური. მასწავლებელი უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს, ნაწილობრივ მშობლების ადგილსაც კი იკავებს. ახალი მეგობრები და მტრები ემოციურად უფრო დატვირთულსა და მდიდარ გარემოს ქმნიან.

ამ ასაკობრივ პერიოდში ბავშვის გონიერების თვალსაზრისით არსებითი, ნახტომისებური წინსვლა ხდება. ბავშვი სწავლობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებას, იმის გამორჩევას, რასაც კონკრეტულად და რეალურად მიიჩნევს. მას უკვე ეხალისება უმარტივესი

ցեցմուն Շեղցենա და ցեցմուն մոխեდვით დასաხულուս ցանեოրცոյելեბა, յև Շե-
սամինցուա ծավաշվեბուս տամաშուան; տամաშու պատրա արու արուս մեռլուր նաբնուն
մոյմեցեბուս ցամեռորցեბա, րողորուուցա, զուցատ, ցարտոնա տոջուրնենուու,
պա-
ծուրցեბուտ, ծուրտուտ; տամաშու պատրա րուցու დա սաხալուսու եցեბա. ծավաշվեբմա
Շեօժլեբա մոռանցուն Շբուածու, կլուպու, ցափուն չգցուցեბագ, ցունցեբագ, ուտամա-
Շոն ոմոնձան, սաելոնձան, ցյումոնձան, գլուխութուոնձան, տացցադասաւլոնձա-
ն, սաճաց պուցելու ծավաշվու տացուս րուլս ասրուլեբս.

Պրոցրեսու ցոնեցրու ցանցուտարցեամու պատուս ծավաշվեբուս դամուցուցեբու-
լեբաս մոտերուուբուսա ձմու. մատ անդերցը քեծ մոմեցարուս մուշեի դա Շե-
ցեցու; րոցցեսաց օւմենեն ծուծու մոտերուուբուս, օւսոն սամեն զուտեցաս, րա
սաւրս լմերուտ սամպարուս ցայցետու... յուրտու Շեցու նուս ծուժմա, րոմելսաց
զուցնուծու, րոցցեսաց պացցուտ դացցմուս ամեացու մոռուսմոնա, ցալունիանցեցու-
լմա ուցութա: „րագում, րագում ար Շեյմնա լմերուտմա աճամու դա ցա օւսեցեբաց, րոմ
մատ պատ պատ ար մոռեցրումեցունատ?“ յև ծավաշվու պատրա միաձա օմուսատուս, րոմ
նեցուս տացուսայցեցու Շեսաեց սենավլեբուս սմարդուցը ցանմարցեբա մոո-
լուս. ծավաշվեբս Շեօժլեբա մոցանուծու գուցմագուցու օւսեցու աեսնա-ցանմարցե-
բա, րոմելուց ակմապուցուլուցու մատ մուստացուցեա սմարդուցը լուցուցու
սյեմեցուսա ձմու. մաց. սամեցուս գուցմագուցու աեսնա (պնուծու Շեդարցեա միուս գու-
լուս, սոնատլես դա սուտնուտան).

յև սնար-տպուսէցեցու Շեօժլեբա սակլասու սամութաուս դացցմուսատուս օյ-
նես ցամուցնեցուլո, սորտուլո ցու օմաშու մոցումարցուս, րոմ մեցագունուու
սամրցալու կոռլամու կուրու յուրտել գուցեբա, ամուգում ցոնեցուս ցարցու-
լու դաձացու աշուցուլուու, րոմ ծավաշվա Շեցու գուցու գանմավլոնձամու նուն
մեցագունուու մունաարտու ար դացունցուս. մացրամ սմուրուսու ասացու չցուցե-
տան Շեդարցեბու, սաճաց պուցելու ցայցետուլո, ծալանցեցուրաց, յնճա ցանցու-
սուլուտ. րոցուու դամուցուցեբու մեցագունուու (հացան ծավաշվեբս ծուն-
դունցա աեսուտ, տու րա եցեծուց յուրտու ցուրուս նուն), ամ ասացու ծավաշվեբտան
սուցրու մեցու Շեսակլեბուու հինդցեա դացցմուսա դա սասենավլու տեմուս րամ-
ցենում մեցագունուու դապուցուսատուս; մասենավլեբու ցայցետուլուս դանցու-
նուուս Շեյմնու ծավաշվեբս ցանցու մասալա ցասենուս դա տացցապուրցու
ունցու ցամունցու.

պալուծցեա սուցրու նատելու նարմուցցենա „սամարտլունոնձանց“, Շեդա-
րցեբուտ օմաստան, րաց աֆրու Շեցունեցուն. սուցրու պագուրա ասացու ծավաշվե-
բու այցս ացցուլո սակուտուրցեబու օւնտիւնեցու ցամուցլենաս, մացրամ մեռլուն
աելա օնցուեա մացուու ցանեսցացեա, „հիմուսա“ դա „սեցուսու“ (սակուտարու սուցլե-
բեցուսա յնու սինարմանարու պագուցուսպումուտ դա սեցուսու սուցլեբեցուս մալից մու-
րու, յնինշենցու ալուարցեբու). տումու ամ սուցլեբեբս պատրա, ասց տու ուսց, ալու-

არებენ, აცნობიერებენ და საკმაოდ ხშირად არღვევენ, სრული შეგნებით იმისა, რომ არღვევენ კანონს. ამ ასაკში „სამართლიანობის“ იდეას მყელალ-ქმისეული ელფერი დაჲკრავს. ბავშვები აქცენტს აკეთებენ კანონიერებაზე და პატიება თითქმის არ იციან. ამიტომ ბავშვები შეგნებულად და მიზანმი-მართულად იწყებენ ტყუილის თქმას (და არა მხოლოდ ფანტაზიორობას), რათა დანაშაულის უსიამოვნო შედეგი – სასჯელი – თავიდან აიცილონ.

„კანონიერებისა“ და შეგნებულად ჩადენილი „დანაშაულების“ გაც-ნობიერებასთან ერთად ჩნდება და ვითარდება უფრო ნატიფი ემოციებიც: შეცოდება, თანაგრძნობა, სურვილი სუსტის დაცვისა, გარკვეული ზნეობ-რივი ნორმების მიღებისა და აღიარებისა. ისინი უკვე მზად არიან ამ ნორ-მების დაცვისათვის გარკვეულ განსაცდელსაც კი გაუძლონ. მახსოვს შვიდი ნლის გოგონა, რომელიც ბავშვების ჯგუფთან ერთად დადიოდა რუსულ ტაძარში (სადაც სკამები არაა) და ვნების კვირის ხანგრძლივ მსახურებას ესწრებოდა.

– არ გინდა ჩამოჯდე? – ჩურჩულით ვკითხე.

მან განსაკუთრებულად შემომზედა და ჩურჩულითვე მიპასუხა:

– ყოველთვის კი არ უნდა ვაკეთოთ ის, რაც გვინდა!

ამ ასაკში ბავშვებს უკვე უჩნდებათ უნარი გულწრფელად მოინანიონ თავიანთი ცუდი საქციელი.

როგორ მოვუთხროთ ამ ასაკის ბავშვებს ღმერთზე ისე, რომ მონათხრო-ბი მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან იყოს დაკავშირებული ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არიან თუ არა ისინი მზად რამენაირად მაინც აღიქ-ვან ქრისტიანობა? შეუძლიათ თუ არა ღვთისმსახურებაში შეგნებულად მო-ილონ მონაწილეობა? რა შეუძლიათ გაიგონ წმიდა წერილიდან? რომელი სულიერი და ზნეობრივი ფასეულობანია მათვის მნიშვნელოვანი?

უკანასკნელი ათი ნლის განმავლობაში ქრისტიანული აღზრდის თეო-რიაზე დიდი გავლენა მოახდინა რონალდ გოლდმანის შრომებმა, რომელ-მაც საფუძვლიანად შეისწავლა რელიგიური აღზრდის სისტემა ინგლისის საშუალო სკოლაში. ინგლისში ბიბლიის შესწავლა სასკოლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია და საერო მასწავლებლები მას სხვა აკადემიურ საგნებთან ერთად ასწავლიან. გოლდმანმა მრავალრიცხოვანი ტესტის სა-ფუძველზე აჩვენა, რომ სასკოლო გაკვეთილებზე ბავშვები ბიბლიას პრაქ-ტიკულად ვერ აცნობიერებენ. თავის წიგნში „რელიგიისადმი მზადყოფნა“ მან წინადაღება წამოაყენა, რომ ბავშვებმა ბიბლიის შესწავლის ნაცვლად ცალკეული თემები დამუშაონ, რომლებიც მათ ცხოვრებისეულ გამოცდი-ლებასთან იქნება დაკავშირებული. როგორიცაა, ვთქვათ: სახლი, მეგობრე-ბი, ადამიანები, რომლებიც გვეხმარებიან, მწყემსები და ცხვრები. ხელები,

ფეხები, ტანსაცმელი, საუზმე, თესლი, დაბადების დღეები, დღესასწაულები და ა. შ. მას მიაჩნია, რომ ნებისმიერი ამგვარი თემა შეიძლება გრჩნილული იქნეს რელიგიური და ბიბლიური ასპექტით, შეიძლება რელიგიურად იყოს აქცენტირებული ანდა დასრულდეს საუბრით რელიგიაზე როგორც ცხოვრების საზრისში.

ამგვარი მიდგომის სასარგებლოდ მრავალი რამ შეიძლება ითქვას, და ხელალებით არაფრის უარყოფა, ალბათ, არ ღირს, მაგრამ მაინც მგონია, რომ სწავლების ასეთი მეთოდი ქრისტიანული აღზრდის მიზანს არ პასუხობს, გაკვეთილი ანდა საუბარი ოჯახზე, მეგობრებზე, შინაურ ცხოველებზე – ეს იგივე არ არის, რაც გამოცდილება ოჯახისა, მეგობრობისა, ცხოველებზე ზრუნვისა. ასეთი გაკვეთილი ადვილად შეიძლება გადაიქცეს ინტელექტუალურ აბტსრაქციად და ბავშვის პირადი გამოცდილებისთვის სრულიად უცხო დარჩეს. ჩვენი მიზანია, ბავშვში იმის შეგრძნება გავაღვიძოთ, რომ ღმერთი რეალურად არსებობს, თანამყოფობს ჩვენთან, მონაწილეობს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენ მასთან ცოცხალი კავშირი გვაქვს. ბიბლიური მოთხოვნები სწორედ ამ რეალობაზე, ღმერთთან შესვედრის რეალობაზე მეტყველებს. მასწავლებლის ამოცანაა ამგვარი მოთხოვნისა თუ მოვლენის არსი ისე ახსნას, რომ ის ბავშვებისათვის უფრო გასაგები გახდეს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების შუქზე.

სარწმუნოების რომელი საფუძვლები, ღვთის ადამიანებისადმი დამოკიდებულების ამსახველი რომელი წარმოდგენები შეიძლება მივაწოდოთ ბავშვს შვიდიდან ცხრა წლის ასაკამდე? ბავშვებს უკვე შეუძლიათ აღიქვან ღმერთი როგორც სამყაროს შემოქმედი. ეს იდეა რელიგიურ მნიშვნელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ბავშვებს სამყაროს მშვენიერება და საოცრება რამდენადმე აღქმული აქვთ.

სკოლის სახელმძღვანელოები, სამწუხაროდ, იფარგლება სენტიმენტალური ფრაზებით ვარსკვლავების, ღრუბლების და მთების სილამაზის შესახებ. ძალზე მნიშვნელოვანია, ბავშვებს ვასწავლოთ ბუნებრივი მოვლუნებით გაოცება. მაგალითად, ბიბლიის სიტყვები: „და თქუა ღმერთმან: ქუეყანამან გამოიღედ მწვანვილი თივისა, მთესველი თესლისა ნათესავობისაებრი და მსგავსებისაებრი და ხე ნაყოფიერი, მყოფელი ნათესობისა“ (დაბ. 1,11) ბავშვებისათვის გაცილებით დიდ მნიშვნელობას იმ შემთხვევაში შეიძენს, თუკი ამ პროცესებს წარმოვუჩენთ. კლასში შეიძლება ჩავატაროთ მარტივი ცდები, ვაჩვენოთ ფილმი მცენარეების ზრდის შესახებ. ასევე, შესაძლებელია შესაქმის სხვა ასპექტების ილუსტრირებაც. ბავშვებმა შეიძლება და დახატონ პლაკატები, რომლებიც მოგვითხოვნის წყლის, ატმოსფეროს, ცეცხლის მნიშვნელობის შესახებ და ა. შ. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი

გაეცნობა შესაბამისი კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოს და გამოყენებს სასწავლო მასალას, ფანტაზიის მცირედი დაძაბვით. შესაქმის ისტორიის ერთგვარ ილუსტრირებას მოახდენს. ეს დაეხმარება ბავშვს, გადაღახოს ის უფსკრული, რომელიც ჰყოფს იმას, რასაც ტაძარში იგებს, იმისგან, რასაც სკოლაში ასწავლიან – უფსკრული, საიდანაც იწყება რელიგიის გადაცევა რაღაც „იზოლირებულ სივრცედ“, „კვირა დღის ცოდნად“, რომელსაც „ყოველდღიურ“ ცოდნასთან საერთო არაფერი აქვს.

ბავშვებს შეუძლიათ აღიქვან ღმერთი, როგორც ჩვენი მცველი და მფარველი. და აქჩევნ მოწოდებულნი ვართ გავითვალისწინოთ მათი ცხოვრებისული გამოცდილება და თანდაყოლილი უნარი მოვლენები და საგნები შედარების გზით შეიმეცნონ. ტელეგადაცემებიდან ბავშვს ყოველგვარი ავარიებისა და ტრაგიკული შემთხვევების შესახებ ესმის და ეს მისი გონების ყოველდღიურ „საზრდოს“ წარმოადგენს. ისეთი ბიბლიური მოთხოვნა, როგორიცაა მოთხოვნა სამი ყრმის შესახებ ბაბილონის სახმილში, არ შეიძლება გამოვიყენოთ ილუსტრაციად იმისა, რომ ცეცხლის არ უნდა გვეშინოდეს, ამ მოთხოვნის ნამდვილი არსი მდგომარეობს მეფისადმი ყრმების პასუხში: „რამეთუ არს ღმერთი ჩუენი ცათა შინა, რომელსა განმჯუთვნელი ვართ, შეძლებელი განრინებად ჩუენთა სახმილისაგან ცეცხლისაისა მგ ზნებარისა ... და უკეთუ არა საცნაურ იყვნენ შენდა, მეცე, ვითარმედ ღმერთთა შენთა არა ვეკუთვნით და ხატსა ოქროსასა, რომელ აღსდგი, არ თაყუანის-უსცემთ“ (დან. 3, 17-18).

მრავალი ბიბლიური მოთხოვნა გვაუწყებს განსაცდელის უამს ღვთის შეწევნაზე, გვამცნობს იმას, რომ ღმერთი უშვებდა ადამიანთა ვნებას გარკვეული ხნის განმავლობაში, მაგრამ ყოველთვის ახსოვდა ისინი და მათ ტანჯვას მათივე სასიკეთოდ მიმართავდა. ბავშვებს შეუძლიათ გააცნობიერონ: იმისათვის, რომ სწორ გზაზე დადგეს, ადამიანმა გამოცდა უნდა ჩააბაროს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვუთხოვთ იოსების, ბალამისა და მისი სახედრის, წინასწარმეტყველი იონას ამბები და მრავალი სხვა.

თუმცა ბავშვებთან ტანჯვის პრობლემების განსილვა ჯერ ნაადრევია, განსაკუთრებით, უდანაშაულოთა ტანჯვისა. მაგრამ ზოგჯერ ამ საკითხის-თვის გვერდის ავლა არ ხერხდება. შეიძლება, მათ გონებაში აღვპეჭდოთ იესო ქრისტეს სახე, უცოდველისა, რომელმაც მიიღო ვნება, სატანჯველი, მაგრამ მისი ვნება და სიკვდილი არ იყო გზის დასასრული, რადგან იგი აღდგა. თუ ბავშვებმა მოახერხეს გაიგონ და თანაგრძნობით განიცადონ ქრისტეს ვნებისა და მისი აღდგომის ერთიანობა, ეს ნიშნავს, რომ მათში ტანჯვის ქრისტიანული აღქმა-გაგების საფუძველი უკვე არსებობს. უფრო ღრმად ამ პრობლემის გააზრება მათ მოგვიანებით მოუწევთ.

თუკი ბავშვებს ჯერ არ დაუგროვდათ მათთვის საყვარელი, ადვილად დასამახსოვრებელი მოთხრობების მარაგი წმიდა წერილიდან, რაც ადამიანისადმი ღვთის სიყვარულზე, შეწევნასა და მფარველობაზე მოწმობს, უძველესია თავი არ გამოუჭედოთ ცარიელი განცხადებებით: „ღმერთს ჩვენ ვუყვარვართ“, „ღმერთი სიყვარულია“, „უნდა გვიყვარდეს ღმერთი“.

ვმსჯელობთ რა სარწმუნოებრივ სწავლებაზე, უშუალოდ სამების დოგმატთან მივდივართ. ბავშვები ადრევე ეწევევიან წარმოთქავან: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“, რადგან ეს სიტყვები მუდმივად იხმარება ღვთისმსახურებაში. ამ ასაკში აუცილებელია ბავშვებს გავაცნოთ სახებანი, რომლებიც ამ სიტყვების მნიშვნელობის განცობიერებაში დაეხმარებათ. რა თქმა უნდა, მათ არ ძალუდთ სამების დოგმატის საღვთისმეტყველო განმარტების გაგება. მაგრამ გადავდებთ რა მას გარკვეული დროით, შეგვიძლია განმარტების მისაღებად სახეებისა და მოთხრობების მეშვეობით შევამზადოთ. მოთხრობები მარტივი, მაგრამ დოგმატური თვალსაზრისით ზუსტი უნდა იყოს, მერე რაღაცის შეცვლა და თავიდან სწავლება რომ არ მოგვიხდეს.

აი, რამდენიმე მაგალითი ამგვარი ბიბლიური მოთხრობებისა:

1. ამ ასაკის ბავშვები მომზადებულნი არიან კითხვისათვის: „ვინ შექმნა სამყარო?“ და მზად არიან საპასუხოდ: „სამყარო შექმნა ღმერთმა“. მასწავლებელმა შეიძლება დასვას კიდევ ერთი კითხვა: „მაგრამ ღმერთი ვინდა შექმნა?“ და ამ კითხვამ, შესაძლოა, მოსწავლეები კიდეც დააბნიოს. მასწავლებელმა შეიძლება უთხრას, რომ ღმერთი არავის შეუქმნია, რომ ღმერთი ყოველთვის იყო. მას შეუძლია ხმამაღლა წაიკითხოს სიტყვები; რომლითაც იწყება ბიბლია: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა. ხოლო ქუეყანა იყო უხილავ და განუშძადებელ და ბრელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალთა. და თქუა ღმერთმან: „იქმნენ ნათელი და იქმნა ნათელი““. (დაბ. 1,1-3).

ეს სიტყვები გვეუბნება, თუ ვინ არის ღმერთი. მამა ღმერთმა თავისი სიტყვით შექმნა სამყარო. იქსო ქრისტეს ეწოდება, აგრეთვე, „სიტყვა ღვთისა“ (ლოგოსი), ხოლო სული წმიდა „იქცეოდა წყალსა ზედა“. ამრიგად, ბიბლიის პირველივე მუხლში ნათქვამია, რომ ღმერთმა — მამამ, ძემ და სული წმიდამ — შექმნა სამყარო.

2. როდესაც შედარებით მოზრდილ ბავშვებს მოვუთხრობთ, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი, შეგვიძლია გავიმეოროთ ბიბლიის სიტყვები: „და თქვა ღმერთმან (წმიდა სამებაშ): ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს თევზთა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და პირუტყვთა და მხეცთა ყოვლისა ქუეყანისა, ყოველთა ქუეწარმავალ-

თა მავალთა ქუჯყანასა ზედა“ (დაბ. 1,26). მაში, რითია ადამიანი მსგავსი ღვთისა? მაგალითად, იგი უნდა ზრუნავდეს სამყაროზე (თუმც კი ნაკლებად, ვიდრე მამა ღმერთი). ის გონიერი არსებაა, ხოლო ბიბლიის ენაზე „ნიტ-ყუა“ („ლოგოსი“), აგრეთვე, „გონებასაც“ „ნიშნავს. ასევე, ადამიანი „სულიერი არსებაა“. შეუძლია ლოცულობდეს, უყვარდეს, ზრუნავდეს და გრძნობდეს უფრო ღრმად, ვიდრე მისი სხეული. ამიტომ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ყოველ ადამიანში არის რაღაც წმიდა სამებისაგან.

3. მართლმადიდებელი ბავშვები ეკლესიაში ხშირად ხედავენ სამების ცნობილ ხატს, რომელზეც აპრაამთან სამი ანგელოზის სტუმრობაა გამოსახული. ხატთან დაკავშირებული, ამბის მოყოლა ძალზე მარტივად შეიძლება – ვაჩვენოთ, როგორ ერთიანდება წრიული მოძრაობით სამი ფიგურა და როგორ ქმნის ერთ მთლიანობას, წრეს...

4. შეიძლება მოვუთხროთ ფერისცვალების ანდა ნათლისღების ისტორია და ხაზი გავუსვათ, რომ ადამიანები ხედავდნენ იქსოს, ძე ღვთისას, ეს-მოდათ მამა ღმერთის ხმა და ამავე დროს იხილეს, როგორ გადმოვიდა სული წმიდა ქრისტეზე მტრედის საჩით.

სამების აბსტრაქტული განსაზღვრება, როგორც წესი, ბავშვის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აღემატება, მაგრამ მან შეიძლება უეცრად კითხვა დასვას: „ეს როგორ გამოდის – ერთი ღმერთი და სამი პირი? ის რა, მართლა სამია?“ ამ შემთხვევაში ვერანაირ აბსტრაქტულ განმარტებას ბავშვი ვერ გაიგებს, ამიტომ ყველაზე უკეთესი იქნება მაგალითად ოჯახი მოვუყვანოთ., „რამდენი ხართ ოჯახში? მამა, დედა, ერთორი ძმა ან და? აი, ხომ ხედავ, თქვენ რამდენიმე ხართ, მაგრამ ერთ ოჯახს შეადგენთ. ოჯახში ზოგჯერ უსიამოვნებაც ხდება, ჩვენ ყოველთვის არ გვიყვარს ერთმანეთი, წმიდა სამება კი ჭეშმარიტი სიყვარულია, ამიტომ სამი პირი – ერთი ღმერთია.“

ჩემი აზრით, დროდადრო ბავშვს უნდა შეგახსენოთ, რომ ღმერთზე ჩვენი საუბრისას ყოველთვის რჩება რაღაც შეუცნობელი – ის, რისი გაგებაც ადამიანს არ ძალუს. ამის კარგი ილუსტრაციაა მოთხრობა ნეტარი ავგუსტინეს შესახებ, რომელიც სეირნობდა ზღვის ნაპირას წმიდა სამებაზე დაფიქრებული და ბავშვი შენიშნა, – ქვიშაში პატარა ორმო ამოეთხარა და ცდილობდა წყლით აევსო. როდესაც ნეტარმა ავგუსტინემ ჰქითხა, რას აკეთებო, ბიჭუნამ უპასუხა, მთელი ზღვა ამ ორმოში მინდა გადმოვასხაო. ნეტარი ავგუსტინე მიხვდა, – როგორც შეუძლებელი იყო ბავშვის სურვილის შესრულება, ასევე შეუძლებელია ადამიანის გონებისათვის ღვთის არსის ბოლომდე წვდომა.

საკმაოდ რთული საქმეა ბავშვს ლოცვა ვასწავლოთ. უფრო ადრეულ ასაკში ლოცვა საკუთრივ მოქმედებით იფარგლებოდა: დადგომა ხატის წი-

ნაშე, მუხლების მოდრეკა, პირვევრის გადასახვა, გარკვეული სიტყვების გამეორება. ახლა ყოველდღიური ლოცვა არა მხოლოდ ზეპირად ნასწავლი ლოცვების აუცილებელ გამეორებას გულისხმობს (რაც სრულიად აზრს მოკლებულ საქმედ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ის ლოცვისადმი, როგორც გარკვეული მოვალეობისადმი, კანონისადმი დამოკიდებულებას აყალიბებს), არამედ კონკრეტული შემთხვევის გამო ნათქვამ ლოცვებს – გულითად თხოვნასაც: „თუ შეიძლება, ღმერთო, ხვალ კარგი ამინდი იყოს“, „ღმერთო, დაბადების დღეზე ველოსიბედი მაჩუქონ!“, „ღმერთო, მოარჩინე...“ არსებობის უფლება და ფასეულობა ლოცვის ორივე სახეს აქვს, მაგრამ კიდევ რაღაცად საჭირო. ეს „რაღაც“ შეუძლებელია ბავშვს ძალით თავს მოახვიო. მის აღმოჩენამდე თვითონ უნდა მივიდეს. აღმზრდელის ამოცანაა, ბავშვები დისციპლინას მიაჩვიოს – ლოცვის დაგენილი წესი დაიცვან, მაგრამ თანაც არ დაუშვას, რომ ლოცვა დაზუხულის მექანიკურ გამეორებად გადაიქცეს, რაც თავისთავად ნამდვილი ლოცვის შესაძლებლობას გამორიცხავს. კარგი იქნება, თუ შევთავაზებთ ლოცვას მართლა რაღაც მნიშვნელოვანისათვის: ილოცვის იმისათვის, ვინც მძიმედ ავადაა ან განსაცდელშია, მადლობა შესწიროს ღმერთს მართლა კარგი და ძირიფასი საჩუქრისათვის, სთხოვოს ღმერთს შეწევნა გართულებულ სიტუაციაში. ლოცვითი განწყობის შენარჩუნება სამრევლო სკოლაში ლოცვის წარმოთქმისას განსაკუთრებით ძნელია სწავლის დაწყების წინ. ამ დროს ლოცვისთვის აუცილებელი კონცენტრაციის მიღწევა თითქმის შეუძლებელია. წამდაუწუმ შემოდიან დაგვიანებულები, ბავშვებს ერთმანეთთან დალაპარაკება უნდათ; მასწავლებლები კი წესრიგის დამყარებას ცდილობენ. ბავშვებს ლოცვის წარმოთქმისა თუ გაღობის წინ გონიერი მოკრებაში ჩვენ უნდა დავეხმაროთ. მაგალითად, სანამ დაიწყებენ გაღობას „მეუფე ზეცათა“, შეიძლება გავახსენოთ, რომ ესაა ლოცვა სული წმიდის – „ცხოვრების მომნიჭებელის“ მიმართ, რომელიც მთელ სამყაროს სიცოცხლით აღავსებს. შეიძლება ბავშვებს ვუთხრათ: „შევეცადოთ, ისე ვიგალობოთ ეს ლოცვა, რომ სიცოცხლე ჩვენშიც დაემკვიდროს“. სხვა დროს შეიძლება ბავშვების ყურადღება მივმართოთ ლოცვის ძირითადი სიტყვებიდან ერთ-ერთისკენ, ანდა იმ მოვლენისაკენ, რასაც უკავშირდება.

რამდენადაც ვიცი, ამ ასაკის ბავშვებს ტაძარში სიარული უჭირთ. მართალია, ისინი ნაკლებად უშლიან ხელს მშობლებს და უკვე შეჩვეულნი არიან წირვა-ლოცვას, მაგრამ ეშირად მათ უბრალოდ სწყინდებათ. საქმე უფრო კარგადაა, თუ შინ ან სკოლაში ბავშვებს ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობას უხსნიან, მაგრამ სრულიად მშვიდად, გაუნძრევლად დგომა, როცა გარშემო განსაკუთრებული არაფერი ხდება, ბავშვისთვის

მაინც ძნელია. პატარა ბავშვები ერთობიან, როდესაც ანთებულ სანთლებს უყურებენ, როდესაც საკმევლის უჩვეულო სურნელს შეიგრძნობენ ან როცა გალობას ისმენენ, მაგრამ უფრო მოზრდილი ბავშვებისათვის ყოველივე ამაში სიახლე უკვე აღარაა. მათ უფრო მკაცრად სთხოვენ კარგად მოიქცნენ, არადა, ბავშვები კვლავაც არ არიან ჩართულნი ღვთისმსახურებაში.

ამ დროს კარგია, ბავშვებს ღვთისმსახურების არსი მოკლედ ავუხსნათ. ინტერესი იმის მიმართ, რასაც ტაძარში ხედავენ, შეიძლება გავუძლიეროთ, თუ კი საღვთისმსახურო საგნების დანიშნულებაზე, ტაძრის არქიტექტურაზე მოვუთხრობთ. თუ რაღაც მაინც ეცოდინებათ ხატებზე გამოსახული წმიდანებისა და მოვლენების შესახებ, ხატის ცეკვისასა ამაზე ფიქრის საშუალება ექნებათ, — ლიტურგის არსი, მისი უმთავრესი მომენტები თუ ესმით, მათვის გაცილებით ადვილია ღვთისმსახურებას ყურადღება მიადევნონ. სწავლებას თან შემოქმედებითი ხსიათის მუშაობაც შეიძლება დაერთოს: მარტივი მოდელების, ნახატების, კალენდრების დამზადება და სხვ.

გამოვძებნოთ შესაძლებლობა იმისა, რომ ბავშვებმა ლიტურგიაში ქმედითი მონაწილეობა მიიღონ — ეს საშუალება ნებისმიერ სწავლებაზე უფრო ეფექტურია. ბავშვების გუნდს შეიძლება ზოგიერთი საგალობლის შესრულება ვანდოთ, რაც შეიძლება, მეტი ბიჭი უნდა მოვიზიდოთ, რომლებიც მოძღვარს საკურთხეველში დაეხმარებიან, გოგონები კი ტაძრის გამშვენიერებაზე იზრუნებენ. სასანთლეებს მოუვლიან, სეფისკვერს დაარიგებენ და ა.შ. როდესაც ჯვრით მსვლელობა იმართება, უნდა ვეცადოთ, რომ მასში მონაწილეობა ბავშვებმაც მიიღონ. ერთი სიტყვით, არსებობს მრავალგვარი შესაძლებლობა, მთავარია, გვახსოვდეს, რომ ბავშვების აქტიური ჩაბმაღვთისმსახურებაში ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა.

მასწავლებლებსა და მშობლებს შეუძლიათ ბავშვის ყურადღება ღვთისმსახურების ცალკეულ მომენტებზე შეაჩერონ. რამდენჯერ კითხულობს მღვდელი სახარებას? როდის და როგორ გამოაპრძანებენ ბარძიმს? რამდენჯერ გამოდის მღვდელი საკურთხევლიდან ლიტურგიის დროს? რამდენი წმიდანი შეუძლიათ ამოიცნონ ხატებზე? — ეს და მსგავსი კითხვები მასწავლებელმა შეიძლება ფურცლებზე დაუწეროს ბავშვებს და ტაძარში წასვლის წინ დაურიგოს. შედეგი კი შემდეგ კვირა დღეს შეიძლება შემოწმდეს.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველაფერი ვუთხარით და გავაკეთეთ, მაგრამ ბავშვებს მაინც გაუძნელდათ ტაძარში სიარული, სასოწარკვეთას ნუ მივეცემით. საკუთარი თავის იძულება — რელიგიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია და ბავშვებისთვის მეტად სასარგებლოა გააცნობიერონ: გარკვეულ რაღაცას მხოლოდ იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ ასე გვინ-

და, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ვალია.

7-და 10 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩვენ შეგვიძლია ცოტა მეტი მოვუთხროთ ზიარების არსის შესახებ. ყურადღება ძირითადად უნდა მივაძყოროთ საიდუმლო სერობას და იმაზე, თუ რა გააკეთა და რა ბრძანა იქსო ქრისტემ. შეიძლება, აგრეთვე, დამატებით ვესაუბროთ ძლვენის მირთმევის შესახებ. ამ ასაკის ბავშვებს უხარით საჩუქრების მიღება და მოსწონთ, როდესაც თვითონაც ჩუქნიან სხვას. ელიან საჩუქრებს. ფიქრობენ მათზე, ხალისით ჩუქნიან — ამზადებენ საჩუქარს დედის დღისათვის, ადგენენ სიას ადამიანებისა, ვისაც უნდა მიართვან საჩუქარი შობის დღესასწაულზე; ეს მათვის ძალზე მნიშვნელოვანია. შეგვიძლია გავაცნოთ ძველი აღთქმიდან რამდენიმე მოთხრობა ძლვენისა და ღვთისადმი შენირული მსხვერპლის შესახებ. ეს მოთხრობები გახდება საფუძველი იმისა, რომ გაიგონ არსა ყველაზე მთავარი საჩუქრისა — სიცოცხლისა, რომელსაც იქსო ქრისტე გვანიჭებს. ძალზე მნიშვნელოვანია, მსხვერპლშენირვის იდეა არა მარტო ავუხსნათ, არამედ გავამყაროთ მრავალრიცხოვანი მოთხრობებით, რომლებიც ამ იდეის ილუსტრაციას მოახდენს. წმიდა ზიარება — ეს არის ქრისტეს საჩუქარი, რომელსაც გვანიჭებს; წმიდა საზრდო, წმიდა ტრაპეზი, რომელსაც ჩვენ გვიზიარებს, რათა მასთან ცხოვრება შევძლოთ. ჩვენ ვიღებთ ამ საჩუქარს, ჩვენი მხრივ ვცდილობთ, მცირე, მოკრძალებული ძლვენი მივართვათ, ისე თუ ვცხოვრობთ, როგორც მას სურს რომ ვიცხოვროთ. ეს აზრი უმჯობესია მოთხრობებსა და მაგალითებში ჩავაქსოვოთ; თუკი ბავშვი ამ სახეებს შეითვისებს, შემდგომი სულიერი ზრდის საფუძველი დადებული იქნება.

ამასაკში ბავშვი პირველად მიდის ალსარების ჩასაბარებლად, ეს ძალზე დიდი მოვლენაა მის ლიტურგიულ გამოცდილებაში. ის სამი წმიდა საიდუმლო, რომელშიც იგი აქამდე მონაწილეობდა, მისგან გაგებას არ მოითხოვდა, მაგრამ სინაზულის საიდუმლო მოითხოვს ნამდვილ, პირად მონაწილეობას და გაცნობიერებას. ეს საეკლესიო წესი, რასაკვირველია, არ არის შემთხვევითი, 7-8 წლის ბავშვმა მიაღწია „გონიერების ასაკს“, აქვს უნარი შეგნებული არჩევანი გააკეთოს სიკეთესა და ბოროტებას შორის, შეუძლია სცოდოს და მოინანოს. ამის შესაბამისად იცვლება ქრისტიანული აღზრდის ძირითადი ამოცანა: ბავშვს უნდა განვუითაროთ უნარი ყოველდღიურ ცხოვრებაში ცოდვის გამოვლინება გაარჩიოს.

შვიდიდან ათ წლამდე ასაკის ბავშვებს ესმით დამორჩილების აუცილებლობა. „იყო კარგი“ — ნიშნავს, დაუჯერო მშობლებსა და მასწავლებლებს. არ დაუჯერო — ნიშნავს „იყო ცუდი“. მათ ესმით და იღებენ დაყოფას „სამართლიანად“ და „უსამართლოდ“ — ჩვეულებრივ, პროტესტის სახით, თუკი უსამართლოდ მოექცევიან: „მასწავლებელი უსამართლოა!“, შენ მე

მომატყუები“ ბავშვები გამბედაობასა და ვაჟებიცობას უყურებენ როგორც ლირსებას, რომელიც აღტაცებას იმსახურებს, თუნდაც უაზროდ იყოს გამოვლენილი, მაგალითად, რაიმე სახითათო ადგილას ასაძრომად გოგონები თანაგრძნობასა და სითბოს უფრო ადგილად გამოხატავენ. ხშირად ვითარდება ეჭვიანობა, არასრულფასოვნების კომპლექსი, დაჩაგრულობის განცდა, მაგრამ ამას, ჩვეულებრივ, არამოტივირებული, ქვეცნობიერი ხასიათი აქვს. ბავშვებს მიაჩნიათ, რომ „ცოდვა“ – ეს რაღაც წესების დარღვევაა, როცა რაიმე აკრძალულს აკეთებ. უდარდელობა, რომელიც ტრაგედიით ანდა ნივთების გაფუჭებით მთავრდება, ასევე განიხილება, როგორც ცოდვა. ბავშვები ოჯახის პრინციპებს უპირობოდ იღებენ და იყენებენ მათ, როგორც ეტალონს სიკეთისა და ბოროტების განსაზღვრისას.

საზოგადოება, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს (იქნება ის ქრისტიანული მხოლოდ სახელწოდებით, ნეიტრალური თუ ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილი) ხალისით იღებს მორალის, როგორც ქცევის ნორმების, დაცვის აუცილებლობას. ნებისმიერ საზოგადოებაში მორალი, როგორც გარკვეული წესების დაცვა, ცხადდება აუცილებელ,, „ბუნებრივ“ ზნეობად.

ქრისტიანული ზნეობა, რომელიც, მოწოდებული ვართ, ბავშვებს ვასწავლოთ, უფრო ღრმაა. მნიშვნელოვანია დავეხმაროთ ბავშვებს გააცნობიერონ, რომ ცოდვა – ეს ყოველთვის სხვებთან ურთიერთობის რღვევაა და არა უბრალოდ წესის დარღვევა. კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ბავშვებს ვასწავლოთ აფასებდნენ პიროვნულ ურთიერთობებს, რომლებიც აკავშირებთ მშობლებთან, ოჯახის წევრებთან. სიყვარულის, პატივისცემისა და ნდობის ამ გამოცდილებაზე ნელ-ნელა აიგება ღმერთთან ურთიერთობა. სირთულე ისაა, რომ სიტყვიერი ფორმულები ბავშვებს ვერ ეხმარება. ბავშვმა პრაქტიკულად უნდა გაიგოს, რას ნიშნავს, როცა გენდობიან და ენდობი. უნდა იგრძნოს, რას განიცდიან ადამიანები, ისწავლოს თანაგრძნობა, მეგობრობა, პატიება და დახმარება....

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ზნეობრივი აღზრდა, პირველ რიგში, მდგომარეობს იმ ურთიერთობების გაგებისა და გაცნობიერების ხელშეწყობაში, რომელიც მას ადამიანებთან და ღმერთთან აკავშირებს. მონანიების გაგება განუყოფელია საერთო თემისგან: დარღვეული ურთიერთობა შეიძლება აღდგეს, თუკი გაქვს სინანული მომხდარის გამო, თუკი აპატიებ და გაპატიებებ. მონანიების ლაიტმოტივია სურვილი, ალადგინო ღმერთთან ადრინდელი ურთიერთობა, და ღმერთი ყოველთვის, ყველა შემთხვევაში მზადაა გაპატიოს.

აღსარების საიდუმლოში მონაწილეობა ამ ასაკში გადამწყვეტია. შვიდწლამდე ბავშვები ხშირად ეზიარებიან, ზოგჯერ – ყოველ კვირა დღეს. ამის

მერე ხშირი ზიარება წყდება. ბავშვის მომზადება პირველი აღსარების ჩასაბარებლად – მოძღვრის სამუშაოს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. სწორედ მოძღვარმა უნდა გადაწყვიტოს, როდის იქნება ბავშვი აღსარებისათვის მზად. ზოგი ბავშვი შეიძლება უფრო ადრე მოემზადოს, ზოგიც – მოგვიანებით. კველაზე მთავარია, რომ პირველი აღსარება არ გახდეს მიჯნა, რომლის შემდეგაც წყდება ხშირი ზიარება.

- მხოლოდ იმ მოძღვარს, რომელსაც მიუღია ბავშვის აღსარება, შეუძლია ჩასწვდეს მონანიების გამოცანას. მამა თომა ხოპკონ წერს: „ამ ასაკში აღსარების მთავარი პრობლემა ბავშვისა და ლმერთის კავშირის ორგვარობაშია. 1. ლმერთი გვაძლევს კანონებს, რომლებიც უნდა დავიცვათ, კარგად უნდა ვიქცეოდეთ. 2. ლმერთი გვპატიობს, ვუყვარვართ და არასოდეს მიგვატოვებს, რაც უნდა ცუდად მოვიქცეთ, თუკი ვნანობთ ჩადენილს და ვცდილობთ კარგად მოვიქცეთ. მაგრამ მაინც კარგად უნდა ვიქცეოდეთ.“

ამ ასაკის ბავშვებში შემიჩნევია ორნაირი განწყობა – „არა უშავს, მერე რა, რომ ცუდი ვარ, ლმერთი მაპატიებს“ ანდა სასოწარკვეთა და დაბნეულობა. მანამდე ბავშვს ეგონა, რომ ყოველთვის კარგად იქცევა. ახლა კი ხდება იმის გაცნობიერება, რომ ადამიანს შეიძლება უნდოდეს კარგი იყოს, მაგრამ არაფერი გამოსდიოდეს. დამოკიდებულება ბოროტებისადმი საკუთარ თავში გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში და ეს პირველად სწორედ ამ ასაკში ყალიბდება. ბალზე ძნელია, დაეხმარო ბავშვს, გააცნობიეროს, რომ გულგრილობაც („აბა, რა ვქნა, ჩემს თავს ვერ ვერევი!“) და სასოწარკვეთაც – ორივე არასწორია, ცოდვაა. ბავშვმა უნდა ისწავლოს საკუთარ თავში ცუდის დანახვა და მაინც ეცადოს მის დამარცხებას. მან შეიძლება გაიმარჯვოს ლვთის შეწევნით და გვერდით მყოფი ადამიანების დახმარებით, თუმცა უცოდველი არასოდეს გახდება.

საშუალო სასაოლო ასაკი: 10-დან 13 წლამდე

რაც უფრო იზრდებიან ბავშები, მით უფრო რთულდება მათი ხასიათი და, შესაბამისად, ნაკლებად იხსნებიან ისინი სამრევლო სკოლის მასწავლებლის, კაცმა რომ თქვას, მათთვის უცხო ადამიანის ნინაშე. ბავშვები უკვე ჩამოყალიბებულნი არიან და შეთვისებული აქთ ქცევის გარკვეული მოდელი, რომელმაც მათ ხასიათზე თავისი კვალი დატოვა.

ასევე ღრმა კვალს ტოვებს ბავშვზე მისი მდგომარეობა ოჯახში. ზოგჯერ ეს მდგომარეობა წარმოშობს ეჭვიანობას, გაუცხოების გრძნობას, მე-

საკუთრულ ინსტინქტს, მეტოქეობის სულისკვეთებას და ა. შ. ამავე დროს, ბავშვი ერვევა თავის შეკავებას, უვითარდება თვითანალიზის უნარი.

11-12 წლის ბავშვებისათვის მათი შშობლები უკვე აღარ არიან ყოვლიშემძლე ავტორიტეტები, როგორც ეს ადრე იყო. ბავშვებს საკარისი დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ შეფასება მიეცათ და შეედარებინათ ისინი სხვა ადამიანებთან, ამხანაგების შშობლებთან თუ მასწავლებლებთან. მწიფებრება გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი ამბოხი. საინტერესოა, რომ ბავშვები ფანატიკურად იცავენ საკუთარი ოჯახის წესჩვეულებებს, მიაჩინათ, რომ ყველაფერი სწორედ ისე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც მათ ოჯახშია, მაგრამ, ამავე დროს, მეტისმეტად კრიტიკულად უყურებენ იმას, თუ როგორ ექცევიან მათ შშობლები, ადვილად პრაზდებიან ძმებსა თუ დებზე.

საკულესიო სკოლის მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეთა ოჯახებთან კონტაქტის დამყარებას ცდილობენ, სხვა პრობლემასაც აწყდებიან. რელიგიური აღზრდა-განათლების გართულებასთან ერთად ირკვევა, რომ იდეები, რომელსაც ბავშვებს საეკლესიო სკოლაში აწვდიან, მათი შშობლების წარმოდგენებს ზოგჯერ არ ეთანხმება. ჩვენს დროში მართლმადიდებელ შშობლებს, როგორც წესი, ბავშვობაში ეკლესიის შესახებ მეტისმეტად მწირი და ფრაგმენტული ცოდნა აქვთ მიღებული. ამიტომ მასწავლებელს დიდი ტაქტისა და მოთმინების გამოჩენა უხდება, როდესაც მოსწავლე აცხადებს: „კი, მაგრამ მამაჩემი ამბობს, რომ ...“ ანდა: „დედაჩემი ამბობს, რომ ეკლესია გვასწავლის ...“. მასწავლებელი უნდა შეეცადოს ჭეშმარიტების მარცვალი იძოვოს იმაში, რასაც ბავშვს ოჯახში ეუბნებიან: „დიახ, ეს ძალზე საინტერესოა. მე მგონი, ამგვარი აზრის მიზეზი ის არის, რომ...“ – და მასწავლებელმა შეიძლება შეავსოს და განავითაროს იდეა, რომელიც იმსახურებს იმას, რომ მთელი კლასისთვის იქნას განმარტებული.

ურთიერთობები ბიჭებსა და გოგონებს შორის დაძაბულია. მათ განცალკევებულად უჭირავთ თავი, ორ ჯგუფად იყოფიან და ერთმანეთის მიმართ კრიტიკულად, თითქმის მტრულადაც კი არიან განწყობილნი. ბიჭმა და გოგონამ ზოგჯერ შეიძლება ურთიერთსიმპათია იგრძნონ, მაგრამ უმაღლდაცინვის იბიჯები ხდებიან, არაი შვიიათად საკმაოდ უხეში დაცინვისაც. ბავშვები განიცდიან სექსის გავლენას, რომელმაც შეაღწია სატელევიზიო პროგრამებში, კომერციულ ფილმებში, რეკლამებში. ეს დიდ გავლენას ახდენს ბიჭების წარმოდგენაზე მამაკაცურობისა და გოგონების წარმოდგენაზე ქალურობის შესახებ. გოგონები ითვისებენ ხელოვნურ, ნაძალადევ პოზებს და უესტებს, იწყებენ კოსმეტიკის უზომო გამოყენებას, თუკი ამის უფლებას მისცემენ. ბიჭები აგროვებენ პორნოგრაფიულ სურათებს, წიგნებს,

ეჩვევიან გინებას. ამაში ნაწილობრივ ჯერ კიდევ არის თამაშის, ფანტაზიის ელემენტი. ბავშვებმა შეიძლება განაცხადონ, რომ სურათი, რომელიც ადამიასა და ევას გამოსახავს სამოთხეში, მეტისმეტად „სექსუალურია“.

ჩემი აზრით, საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც საშუალო სკოლის პიგიენის კურსებშია შეტანილი, ყოველთვის მართებული როდია. რასაკვირველია, გარკვეული ცოდნა სექსის ფიზიკური ასპექტების შესახებ ისევე აუცილებელია, როგორც სხეულის სხვა ფუნქციების ცოდნა, მაგრამ, სულ მცირე, ორი განსხვავება მაინც არსებობს. ბავშვების სქესობრივი განათლება ამ ასაკში უფრო ღრმა ემოციებს, უფრო ღრმა გაცნობიერებულსა თუ გაუცნობიერებელ გრძნობებს ინ ვევს, ვიდრე, ვთქვათ, სწავლება იმისა, თუ როგორ უნდა მოუარონ კბილებს. ეს გასაგებიცაა, რადგან სექსი – პიროვნების ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და არ შეიძლება ჩვენი ცხოვრების ზოგადი საზრისის გაგებისაგან განვაცალკევოთ. მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა სამყაროს შესახებ ღვთის განგებულებაში შედის, მისი მართებულად განჭვრეტა მხოლოდ ადამიანისა და ცხოვრების რელიგიური გაგების შუქზეა შესაძლებელი. სექსი უფასურდება, თუ მას მხოლოდ ფიზიოლოგიური კუთხით, სულიერი განცდებისაგან განცალკევებით განვიხილავთ. მეორე მხრივ, სექსის ფიზიოლოგიური ასპექტი – ცხოვრების ინტიმური მხარეა. პიროვნების ცხოვრების ამ ტრადიციულად დაფარულ ნაწილში შექრა საკამათოდ მიმაჩინა. ბავშვი ადამიანების ურთიერთობის ცხოვრებისეულსა და ინტიმურ მხარეს უკეთესად ვერ შეიცნობს, თუ მას სასკოლო პროგრამაში ჩავრთავთ...

ქრისტიანული აღზრდა უნდა დაეხმაროს 10-13 წლის ბავშვებს, გამოიმუშაონ წარმოდგენა ადამიანის არსზე და უკეთ გაიგონ ღვთის განგებულება მამაკაცსა და ქალთან მიმართებაში.

ინტელექტუალური განვითარების როგორ დონეს აღწევენ ბავშვები ამ ასაკში? როგორ აზროვნებენ ისინი, როგორია მათი ინტელექტუალური მარაგი, რომელიც ეხმარება მათ განსაჯონ, შეადარონ, შეფასება გააკეთონ?

რონალდ გოლდმანი მოზარდობის წინარე ასაკზე წერს:

„ცხოვრების საზრისის ძიება მზადაა გადავიდეს ახალ, უფრო აქტიურ ფაზაში, რადგან ჩამოყალიბების პროცესში მყოფ რელიგიურ ცნობიერებაში ლოგიკური აზროვნების განვითარება გარკვეულ სირთულეებს იწვევს. წარმოდგენები, რომლებიც ადრე ჩამოყალიბდა, ჯერ არ შეცვლილა, მაგრამ უკვე ჩნდება ეჭვები. თუ ბავშვი ადრე უდარდელად, გართულების გარეშე იღებდა ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ხშირად უთიერთსანინააღმდეგო იღებს, ახლა ის გრძნობს მოთხოვნილებას, გააცნობიეროს, წესრიგში მოიყვანოს ყველაფერი, რაც დააგროვა, გა-

დაჭრას წარმოსახვითი თუ მოჩვენებითი წინააღმდეგობანი. ჩვენ ძალზე დიდი ძალისხმევა მოგვეთხოვება, რათა ბავშვებს ამ ასაკში სამყაროს მთლიანი მსოფლიაღების გამომუშავებაში დავეხმაროთ. განსხვავებით იმ დუალისტური სისტემისაგან, რომელიც სარწმუნოებასა და ცხოვრებას განაცალკევებს“.

რწმენა, რომელსაც ბავშვებს ვაწვდით, „გონიერი რწმენა“ უნდა იყოს. ბავშვებს ძალუბი ბევრი რამის გაგება, მათ აქვთ გაგების სურვილი, თუმცა მათთვის არც პრიმიტიული სკეპტიციზმია უცხო, ისინი ადვილად ითვისებენ და შემდგომ აღიდგენ განსჯის ლოგიკურ სქემებს, თუნდაც ეს აპსტრაქტული განსჯა იყოს, თუკი მსჯელობის ჯაჭვი ცხადი, მარტივი და მოკლეა. იმ შემთხვევაში, თუ ახსნა ანდა ქადაგება დიდხანს გაგრძელდება, ბავშვების ინტერესი და ყურადღება თანდათანობით ქრება. ბავშვები ხალისით იღებენ გამარტივებულ ფორმულირებებს, თუკი ისინი ლოგიკურად ეჩვენებათ. ერთმა 11 წლის ბიჭმა მითხრა: „დიახ, მე სავსებით მესმის გამოხსნის მნიშვნელობა. იესო ქრისტეს მოსვლამდე ყველა ჯოჯოხეთში მიდიოდა. მას მერე, რაც ის მოვიდა, მოკვდა და მკვდრეთით აღდგა, კველა მიდის სასუფეველში“. განმარტება ცხადი და მოკლე იყო, ამიტომაც აკმაყოფილებდა. მასწავლებელი საკმარისად გათვითცნობიერებული უნდა იყოს ღვთისმეტყველებაში, რათა ასეთი საკითხები გასაგებად, მოკლედ, მარტივად გადასცეს, თანაც ისე, რომ მოძღვრების მარცვალი – აზრი ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ – გაღივდეს. და განვითარდეს.

ამ ასაკში გვხვდება აზროვნების თავისებური ტიპი, რომელიც ცნობიერად ახარისხებს ცოდნას ორ დამოუკიდებელ ნაწილად – ის, რასაც ვიგებ სკოლაში, ვკითხულობ ნიგნებში, ვხედავ ტელევიზორში და ის, რასაც მასწავლიან საღვთო სჯულის გაკვეთილებზე. ერთხელ 12 წლის გოგონამ, რომელიც კონსერვატიულ-მართლმადიდებლურ გარემოში აღიზარდა, ევოლუციური თეორიის ხსენებისას თითქმის სასოწარკვეთილმა მითხრა: „არა, მე გადავწყვიტე, ვირწმუნო ადამი და ევა!“ ეტყობა, მან გააკეთა შედარება, აწონ-დაწონა და მტანჯველი ეჭვის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაიჯერებს ამას, რაც არ უნდა თქვან მეცნიერების სასარგებლობი. მე შევეცადე ამეხსნა მისთვის, თუ რატომ არ არსებობს, ჩემი აზრით, სიღრმისეული წინააღმდეგობა ბიბლიურ ჭეშმარიტებასა და მეცნიერებას შორის, გოგონა განცვიფრდა, თუმცა, ამავე დროს, აშკარად შვება იგრძნო.

ბიბლია, ახალი აღთქმაც კი, ბავშვებმა საკმაოდ არათანაბრად იციან. ზოგი მოთხრობა მათ მრავალჯერ აქვთ გაგონილი, ამიტომ ჰგონიათ, რომ ბიბლია „იციან“: „ოჲ, ისევ ამაზე აღარ გვინდა!“ – აი, ტიპური რეაქცია ბავშვებისა; როდესაც მეექვსე კლასში იწყებენ იესო ქრისტეს ამქვეყნიური

ცხოვრების შესწავლას. მეორე მხრივ, ბავშვები განსაცვიფრებელ უმეც-რებას ამჟღავნებენ წმიდა წერილის ფაქტობრივი და აზრობრივი ცოდნის თვალსაზრისით. სრული სახით მათვის უცნობია მთასა ზედა ქადაგებაც კი, ხოლო ძველი აღთქმის მნიშვნელობის შესახებ მათ თითქმის არაფერი იციან, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მოთხოვას ადამისა და ევას, ნოეს, აბრამის, იოსების, მოსეს შესახებ... ბავშვები ნაკლებად იცნობენ ძველ აღთქმას, როგორც ახალი აღთქმის წინამორბედს, — ეს მათვის გაუგებარია. ამავე დროს, ისინი დამოუკიდებლად ცდილობენ ხოლმე რაღაც დამაკმაყოფილებელი ახსნა მოძებნონ. ერთხელ საზაფხულო ბანაკში 12 წლის ბავშვების ჯგუფი აღშფოთდა მათი თანატოლის განცხადების გამო, რომ თითქვს საიდუმლო სერობა ეპრაული დღესასწაული იყო, ხოლო იესო ქრისტე ეპრაელი. მათ თავი მოჰქონდათ და ამაყობდნენ საწინააღმდეგო არგუმენტით, რომელიც თვითონ მოიფიქრეს: „დიახ, შესაძლოა, იესო ქრისტე დაიბადა ეპრაელად, მაგრამ ის ხომ მოინათლა!“

ბავშვების აზროვნების მაგალითი იმ დონის საჩვენებლად მოვიყვანე, რომელიც ამ ასაკის ბავშვებს აქვთ ხოლმე და საიდანაც უნდა დავიწყოთ მათი სწავლება. ბავშვები ითხოვენ ლოგიკურობასა და თანამიმდევრულობას, მაგრამ მათი საკუთარი ლოგიკა და აზროვნება საკმაოდ პრიმიტიულია. მასწავლებელს ზოგჯერ მათ კითხვებზე პასუხის გაცემა სწორედ იმის გამო უძნელდება, რომ მეტისმეტად მარტივ და ცხად პასუხებს ელიან.

ბავშვებში ცოდნის მარაგი ძალზე განსხვავებულია, ხოლო სულიერი მომწიფების თვალსაზრისით ამ ასაკში განსხვავებები გაცილებით დიდია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ასაკში. მუდმივად თავს იჩენს იუმორის სპეციფიკური გრძნობა, ზოგჯერ მეტისმეტად სასტიკი. მასწავლებლისათვის ზოგჯერ ძნელი გადასაწყვეტია, უნდა გაიცინოს მოსწავლეებთან ერთად მათ ხუმრობაზე, თუ შეაწყვეტინოს „გონებამახვილობა“, რომელიც ზოგჯერ ლამისაა, მკრეხელობაში გადადის.

ამ პერიოდის ბოლოსათვის ბავშვი ცოდნის, შეხედულებებისა და იდეალების ძირითად მარაგს აგროვებს, რაც მის პიროვნულ ჩამოყალიბებას განსაზღვრავს. ბავშვებს უკვე აქვთ უნარი ქრისტიანობის ძირითადი დებულებები და საკუთარი შთაბეჭდილებები საკმაოდ მთლიან, თუმცა კი პრიმიტიულ, მსოფლმხედველობრივ სისტემად ჩამოაყალიბონ. ქრისტიანული აღზრდა მოწოდებულია ამაში დაეხმაროთ. ორიენტაცია უნდა მოხდეს უპირველესად მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, ინტერესებსა და ცნობისწადილზე, ცოდნაზე, რომელსაც საერო სკოლაში იღებენ და ადამიანურ ურთიერთობებზე, რომლებშიც ჩაბმულნი არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტიანული მოძღვრება, რომელსაც ვასწავლით, მათი აზ-

რთა წყობის, მსოფლმხედველობის ორგანული, შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

ჩემი აზრით, სამრევლო სკოლის შესაბამის კლასებში მასწავლებელი შემდეგ თემებს უნდა შეეხოს:

ღმერთი შემოქმედი

რა შეუძლია მეცნიერებას გვითხრას სამყაროს წარმოშობის შესახებ? როგორ შეესაბამება ეს ქრისტიანულ რწმენას? ადამიანის შექმნა და ევოლუციური თეორია. ადამიანის პასუხისმგებლობა ღვთის მიერ შექმნილ სამყაროზე. რა არის სასწაული? ჩვენი სამყაროს მომავალი.

იესო ქრისტე, მაცხოვარი (მხსნელი), ძე ღვთისა და ძე კაცისა

ბავშვებისათვის ყველა ეს გამოთქმა ცნობილია, მაგრამ საჭიროა მათი არსის განმარტება. მნიშვნელოვანია ავუხსნათ არა მხოლოდ არსი დოგმატისა იესო ქრისტეზე, ღმერთის ძეზე, როგორც წმიდა სამების მეორე პირზე, არამედ ქრისტეს მნიშვნელობა ყოველი ადამიანის ცხოვრებაში. რას ნიშნავს იესო ქრისტე ჩემთვის? რა შეცვალა მან ჩემს ცხოვრებაში?

ვფიქრობ, აუცილებელია გარკვეული ყურადღება დავუთმოთ ახალი აღთქმის ისტორიულობას, მისი, როგორც ისტორიული წყაროს, ნამდვილობას. უნდა ავუხსნათ, რა არის საეკლესიო გარდამოცემა და რა ღირებულება აქვს მას. როდესაც ვსაუბრობთ გამოხსნის შესახებ, არ უნდა დავიყვანოთ ის მოვლენაზე, რომელიც 2000 წლის წინ მოხდა, არამედ აუცილებელია ხაზი გავუსვათ მის აზრსა და მნიშვნელობას დღევანდელი ცხოვრებისათვის. რას ნიშნავს „გამოხსნა“ 11 წლის ბავშვის ცხოვრებაში? შეიძლება, მან ააღელვოს იგი? როდესაც ვნახე, როგორი აღტაცებით უსმეოდნენ 10-12 წლის ბავშვები როკოპერა „იესო-ქრისტე — სუპერვარსკვლავის“ ჩანაწერს, ვიგრძენი მათი მზადყოფნა, მათი სურვილი შეიგრძნონ ქრისტეს პირვენების რეალობა, თუნდაც ეს რეალობა მათ არაზუსტი, დამახინჯებული სახით მიეწოდებოდეს. ეს როკოპერა გამოწვევაა სწავლების ჩვენი სისტემისათვის.

სული წმიდა

ბავშვებმა ისწავლეს სული წმიდის მოხმობა ლოცვაში. მათ იციან სახარებისეული მოთხოვნები ნათლისლებისა და სული წმიდის გარდამოსვლის შესახებ. მათი წარმოდგენა სულზე უცილობლად დაკავშირებულია წარსულთან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ 11-12 წელს მიღწეულ ბავშვებს

შესწევთ უნარი, აღიქვან აზრები სული წმიდა ღმერთზე, სული წმიდას იმ მაცოცხლებელ ძალაზე, რომელიც ყოველ წამს ზემოქმედებს მათ საკუთარ ცხოვრებაზე. ამ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია წმიდა საიდუმლოს არსი ავუსსნათ. რა არის წმიდა საიდუმლო? რა მექლევა, როცა წმიდა საიდუმლოში ვმონანილეობ? როგორ იცვლება ჩემი ცხოვრება, როდესაც წმიდა საიდუმლოს აღასრულებენ ჩემზე? – ამ საკითხების განხილვისას უნდა ავუსსნათ, რომ სული წმიდა მათ ცხოვრებაში რეალურად არსებობს.

ეკლესია

ამ ასაკის ბავშვებს ჩამოუყალიბდათ მკაფიო წარმოდგენა ეკლესიაზე, როგორც ნაგებობაზე, საკრებულოზე, დაწესებულებაზე. ისინი ესწრებოდნენ საღმრთო ლიტურგიას, ამბობდნენ აღსარებას და იღებდნენ წმიდა ზიარებას. ამავე დროს, ისინი რჩებიან უმნიშვნელო მართლმადიდებელ უმცირესობად, რომელიც არამართლმადიდებელ საზოგადოებაში ცხოვრობს (საუბარია აშშ-ში მცხოვრებ მართლმადიდებლებზე – მთარგმ.). ბეჭრი მათი ამხანაგი არაქრისტიანი, იუდეველი ან აგნოსტიკოსია. ქრისტიანი ამხანაგებიდან ან მათი მშობლებიდან ზოგიერთი შეიძლება კათოლიკე ან პროტესტანტი იყოს. როგორ ავუსსნათ ეს ყველაფერი? ადამიანებთან ურთიერთობა აჩვენებს, რომ მართლმადიდებლები არაფრით არ არიან სხვებზე უკეთესები. როდესაც ბავშვები ამ საკითხზე ერთმანეთში საუბრობენ, ისინი, როგორც წესი, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ადამიანებს სხვადასხვანაირად სწამთ და რომ ღმერთთან მიმავალი ყველა გზა შეიძლება კარგი იყოს. სამრევლო სკოლაში და საღვთო სკულის გაკვეთილზე კი მზად არიან ახსნან, რომ მართლმადიდებელი ეკლესია – ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესია. მაგრამ როგორ უთანხმებენ ამას ყოველივეს, რასაც ხედავენ, რაც ესმით და რასაც ლაპარაკობენ არაეკლესიურ, ყოფით სიტუაციებში? მგონია, რომ გაცილებით მეტ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ და მეტ გულისყურს ვიჩენდეთ ამ პრობლემის მიმართ, ამ წინააღმდეგობას არ უნდა უგულებელვყოფდეთ. არ უნდა ვაიძულებდეთ ბავშვებს, თვითონ ეძებონ პასუხი ამ კითხვებზე.

ჩვენი ცხოვრება

ბავშვებს საკუთარი გარემოცვიდან უყალიბდებათ წარმოდგენა ცხოვრებაზე, ბედნიერებასა და უბედურებაზე, იმაზე, თუ რა არის მნიშვნელოვანი და რა – არა, საერთოდ ცხოვრების საზრისაზე. სატელევიზიო რეკლამა მუდმივად ახდენს ბედნიერების გაიგივებას გარკვეული სახის სიგარეტ-

თან, შამპანურთან, დეზოდორანტთან, გასახდომ საშუალებასა თუ სალეჭ რეზინასთან. უმაღლესი მიზანია – გახდე მიმზიდველი ადამიანი. საოჯახო სერიალებს, რომლებსაც ბავშვებიც უყურებენ, და წიგნებს, რომლებსაც კითხულობენ, უმეტესად, ბედნიერი დასასრული აქვთ, რაც, როგორც წესი, გაიგივებულია წარმატებასთან. კარგი ბიჭი სჯობნის ცუდს, ლარიბი მდიდრდება; სამართლიანობა ზეიმობს. ბედნიერ დასასრულში თავისთავად არაფერია ცუდი და, არა მგონია, მართლები იყვნენ ისინი, ვინც საბავშვო წიგნებში ისეთ პრობლემებზე მსჯელობენ, როგორიცაა პომოსექსუალიზმი, ფსიქოზები, ცოლექტრული დალატი და ა.შ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბავშვის წარმოდგენა უბედურებაზე, ბედნიერებაზე, წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე ქრისტიანული არსითა და სულისკვეთებით უნდა გავმსჭვალოთ.

უხვი მასალა იმის განსახილველად, თუ რა არის ქრისტიანული თვალსაზრისით წარმატება და წარუმატებლობა, მოიპოვება წმიდანების, მაგ.: წმიდა იოანე ოქროპირის, პეტრე და პავლე მოციქულების, წმიდა კირილეს და მეთოდეს და სხვათა ცხოვრებაში.

ადრე თუ გვიან ყველა ბავშვს ხვდება ცხოვრებაში ავადმყოფობა, ტანჯვა, მწუხარება. ყველაზე უმცირესი, რაც მათ ჩვენ შეიძლება ვასწავლოთ – ტანჯვასაც თავისი აზრი აქვს. მოსწავლებს შეიძლება შევთავაზოთ გაკვეთილზე მოძებნონ რომელი სიტყვებით კურნავდა ქრისტე სნეულებს; ბავშვებს შეიძლება ავუხსნათ, რომ ღმერთმა სამყარო კეთილი შექმნა, და რომ მას ტანჯვა არ შეუქმნია. ტანჯვა ბოროტმა სულმა შემოიტანა ჩვენს სამყაროში. ღმერთი გვეხმარება, დავძლიოთ ტანჯვა, დავძლიოთ განსაცდელი, სიკეთისკვენ წარმართოთ, სიკეთედ ვაჟციოთ (იხ., მაგალითად, მოციქული პავლეს სიტყვები – 2 კორ. 12.7).

წმიდა საიდუმლოთა განხილვა ამ ასაკის ბავშვებს საშუალებას აძლევს ცხოვრების ყოველმხრივი გაცნობიერება დაიწყონ. ბავშვები სხვადასხვა წყაროდან იღებენ საკმაოდ ვრცელ ცოდნას სქესობრივი ცხოვრების შესახებ. ჯვრისწერის საიდუმლოს განხილვისას შესაძლებელია მარტივი ფორმით მივაწოდოთ მათ უფრო ღრმა გაგება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობათა მთელი სპექტრისა. დაბადების 1 თავის 26-30 მუხლებიდან და 2 თავის 24 მუხლიდან მოსწავლეებმა შეიძლება გაიგონ ის მიზნები და ამოცანები, რომელიც ღმერთმა ადამიანებს დაუსახა: დაეუფლონ დედამიწასა და ყველა ქმნილებას, თავისუფლად გამოიყენონ მიწის ნაყოფი, იქორწინონ და შვან შვილები. ამ საკითხის განხილვისას შეიძლება განვუმარტოთ, თუ როგორ უკულმართად გამოიყენეს ადამიანებმა ეს საჩუქარი. სამყაროზე პასუხისმგებლობა ეგოისტურ ექსპლუატაციად იქცა, დედამიწის ნაყოფით

სარგებლობა — სიხარული, ორი ადამიანის ქორწინებით შეერთება — ფიზიკური ინსტინქტის თვითმიზნურ დაკმაყოფილებად. ჯვრისწერის შესასწავლაშ შეიძლება ცხადყოს, თუ როგორ ეხმარება ქრისტიანები ნმისადას საიდუმლო გააკანონდებორონ ქორწინების ჭეშმარიტი არსი და მიზანი.

არსებობს კიდევ ერთი თემა, რომელსაც მასწავლებლები ჯიუტად გაურბიან და რომელიც ძალზე აინტერესებთ ამ ასაკის ბავშვებს – სიკვდილი. რა ხდება კარდაცვალების შემდეგ? რატომ ვლოცულობთ მიცვალებულ-თათვის? სიკვდილი – კარგია ის თუ ცუდი? რატომ უშვებს ღმერთი ბავშვებისა და ახალგაზრდების სიკვდილს? სიკვდილზე გაკვრით ლაპარაკი უმცროსი ასაკის ბავშვებთანაც საჭიროა, ხოლო ამ ასაკში ბავშვების კითხვები უფრო გააზრებული, უფრო კრიტიკული ხდება. ამ კითხვებზე პასუხი ეკლესიის სწავლებაში შეიძლება ვიპოვოთ, მაგრამ ბავშვები ნებისმიერ პასუხს თავისი რეალური აღქმით ამონმებენ. ამიტომ პასუხი არ უნდა იყოს აპსტრაქტული, ის ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებას უნდა ემყარებოდეს.

ლუთისმსახურება

საშუალო ასაკის ბავშვების ლიტურგიკული აღზრდისათვის მთავა-
რია მათ გონების საზრდო მივცეთ, ღვთისმსახურებისას აზროვნება რომ
შეძლონ. ისევე როგორც ადრეულ ასაკში, უნდა გამოვიყენოთ ნებისმიერი
შესაძლებლობა იმისათვის, რომ ბავშვები მონაწილეობდნენ ღვთისმსა-
ხურებაში: იგალობონ, საკურთხეველში მიეხმარონ მოძღვარს, იკითხონ
ტაძარში. მათ უკვე შესწევთ უნარი ეს ყველაფერი სრული შეგნებითა და
პასუხისმგებლობის გრძნობით აკეთონ. შეიძლება მივცეთ ნება, დაალაგონ
და მორთონ ტაძარი. გოგონებს შეიძლება ვასწავლოთ სეფისკვერების გა-
მოცხობა, ხანდახან ზოგიერთი მოძღვარი (მაგალითად, საზაფხულო ბანა-
კიდან ბავშვების დაბრუნების შემდეგ) აღასრულებს მსახურებას, რომლის
დროსაც მხოლოდდამხოლოდ ბავშვები გაღობენ და კითხულობენ. უფრო-
სი ასაკის გოგონები აცხობენ სეფისკვერებს, პროსკომიდია ხდება ტაძრის
შუაგულში, რათა ბავშვებს გარშემო შემოკრებისა და თვალყურის დევნე-
ბის საშუალება ჰქონდეთ. ისინი თვითონ კითხულობენ იმათ სახელებს, ვისი
მოხსენიებაც სურთ. ყველა ბავშვი ეზიარება.

ძალზე მნიშვნელოვანია, კლასში მეცადინეობის დროსაც დავეტმაროთ პავშვებს, ჩასწერენ ღვთისმსახურების არსს. ვთხოვთ, რამენაირად გამოსატონ ეს არსი. შეიძლება დეტალურად გავარჩიოთ ნაცნობი ლოცვა, მაგ. „მამაო ჩვენო“ და შევთავაზოთ, დახატონ პლაკატები, რომლებიც ყოველი თახოვის არსს განმარტავს. პლაკატების, მოდელების, დიაგრამების, კალენ-

დრების და სხვა თვალსაჩინო მასალების დამზადება, რაც წმიდა საიდუმლოსა თუ დღესაწაწულის არსს ხნის, ბავშვებს უფრო მკაფიო წარმოლგენების ჩამოყალიბებაში ეხმარება.

რასაკვირველია, ამ საქმიანობას აუცილებლად უნდა ვაკონტროლებდეთ, რომ ამგვარმა მიღებომამ ჰიპერტროფირებული სახე არ მიიღოს, რომ სხვადასხვა მიღებომას შორის პროპორცია და წონასწორობა შენარჩუნებულ იქნეს. სწავლების ყველა მეთოდი უნდა მივმართოთ იმისაკენ, რომ შესასწავლი მასალის უფრო ღრმა გააზრება მოხდეს. ბავშვები მათ წინაშე დასახულ ამოცანას მექანიკურად არ უნდა ასრულებდნენ, ამოცანა არ უნდა იყოს მეტისმეტად რთული და ძალიან ბევრ დროს არ უნდა მოითხოვდეს.

შესაბამის კლასებში, სადაც 10-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვები სწავლობენ, შეიძლება დავითყოთ ბიბლიის, განსაკუთრებით კი, ახალი აღთქმის შესწავლა. ბავშვები უკეთ გაიცნობენ წმიდა წერილს, თუ ისწავლიან იმ ადგილების მოძრვას, რომლებიც წირვის დროს იკითხება.

როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში საეკლესიო დღესაწაწულების აღნიშვნა (გარდა შობისა და აღდგომისა) თანდათანობით წყდება. ქრება სიხარულის განცდა, რომელიც დღესასწაწულს თან სდევს. პატარას აღარ ესმის, თუ რატომ უნდა გამოიწვიოს მასში სიხარული იმ ფაქტმა, რომ იესო ქრისტე მთაზე ავიდა და ესაუბრა მოსეს და ელიას. უმცროსი ასაკის ბავშვებმა შეიძლება ღვთისმსახურებაში რაღაც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი იგრძნონ, როდესაც ტაძარში ხილის კურთხევა და დარიგება ხდება, მაგრამ უფროსი ასაკის ბავშვებს ეს მოვლენა უკვე აღარ აღელვებთ. ისინი შინ ხილს ყოველგვარი კურთხევის გარეშე ყოველდღე მიირთმევენ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მოვამზადოთ ბავშვები დღესასწაწულისათვის, ავუსტინათ მისი მნიშვნელობა – არა მხოლოდ როგორც გახსენება დიდი ხნის წინათ მომხდარი ფაქტის, არამედ როგორც მოვლენისა, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ეს ახსნა უნდა ითვალისწინებდეს ამ ასაკის ბავშვების უაღრესად რეალისტურ აზროვნებას. მირქმაზე შეიძლება ვისაუბროთ, როგორც ძველი და ახალი აღთქმის შეხვედრაზე, მაგრამ ბავშვებისათვის ეს შეხვედრა შეიძლება მხოლოდ თეორიული ინტერესის გამომწვევი იყოს. შეიძლება ვისაუბროთ ხანდაზმულობის პატივისცემისა და მისი ნიჭის შესახებ – სიბრძნის, ერთგულების, სასოების და რწმენისა – იმის შესახებ, თუ რას გვაძლევენ მოხუცები. შეიძლება გავაღვივოთ ბავშვებში ქალწულ მარიამის – სრულიად ახალგაზრდა დედის, პიროვნების გაგება, რომელმაც სიხარულის უამს ყოველგვარი შიშის გარეშე მოისმინა სიტყვები: „და თვით შესაცა სულსა განვიდეს მახვილი“. ალბათ, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ საუბრების და სამართლებრივი მიზანის მიხედვით.

რისას. ამგვარი საუბრები დღესასწაულის დადგომამდე გაცილებით ადრე უნდა ჩატარდეს, რომ ბავშვებმა იცოდნენ, რას აღიშნავს ესა თუ რს დღესასწაული, და მას მომზადებულები შეხვდნენ.

მართალია, ამ ასაკის ბავშვებთან ურთიერთობა ინტელექტუალურ დონეზე უფრო ადვილია, მაგრამ, სამაგიეროდ, გაცილებით ძნელია მათ შინაგან სულიერ სამყაროში შეღწევა. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ მათ უკვე ისწავლეს უფროსების წინაშე თავის ისე დაჭერა, როგორც მათ გან მოითხოვენ. როდესაც უფროსი — მოძღვარი, მასწავლებელი თუ უფროსი მეგობარი — მოსწონთ, ცდილობენ ასიამოვნონ სწორი პასუხით ანდა ისეთი მოქმედებითა თუ საქციელით, რომელიც მოწონებას დაიმსახურებს. ამიტომ უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ მათ მიერ გამოხატული ემოცია და ქმედება ყოველთვის როდია მათი ნამდვილი შინაგანი მდგომარეობის ამსახველი.

ამ ასაკის ბავშვებს თავისი ნამდვილი გრძნობების გამოხატვა, ერთი მხრივ, იმიტომ არ სურთ, რომ უფროსები იშვიათად უგებენ მათ, მეორე შხრივ კი, იმიტომ, რომ თვითონ არ არიან ბოლომდე გარკვეულნი თავიანთ აზრებსა და გრძნობების გამომწვევ პირველმიზეზებში. ერთხელ მოწმე გავხდი ორი გოგონას, 10 და 12 წლის დების, განცდებისა იმ ღამეს, როცა მათი უმცროსი ძმა დაიბადა. ისინი აღგზნებულები იყვნენ, ბედნიერები, მაგრამ, ამავე დროს მაინც ტიროდნენ. უძილო ღამის შემდეგ უფროსი გოგონა ფანჯარასთან იდგა და, მთლიანად თავის თავში ჩაღრმავებული, მონუსხულივით უშზერდა შზის ამოსვლას, თუმცა არ შეეძლო იმის ახნა, რას გრძნობდა და რატომ.

მეორე სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვები, უფროსებთან შედარებით, ნაკლებად სენტიმენტულურები არიან და ამ ასაკში იუმორის სპეციფიკური გრძნობა უვითარდებათ, რომელმაც ყველაზე კეთილგანწყობილი მასწავლებლებიც კი ცრემლებამდე შეიძლება მიიყვანოს. მახსოვს ერთი სანშიშესული, მაგრამ არცთუ გამოცდილი მასწავლებელი ქალი, რომელიც ტირილამდე მიჰყავდა ერთი მოწაფის, თერთმეტიოდე წლის საზრიანი ბიჭუნას ირონიულ შენიშვნებს. მთელი კლასი, რომელიც უშესესად კეთილი და კარგად აღზრდილი ბავშვებისაგან შედგებოდა, ამას, როგორც კარგ გასართობს, ისე უყურებდა. რამდენიმე წლის შემდეგაც კი იხსენებდნენ, თუ როგორი „მხიარულება“ სუფევდა ამ მასწავლებლის გაკვეთილებზე. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ მასწავლებელი მოუთხრობს ამბავს, რომელმაც, მოსი აზრით, მოწონება ან თანაგრძნობა უნდა გამოიწვიოს, მაგრამ შეიძლება უცემ ბავშვებს რაღაც უმნიშვნელო დეტალი სასაცილოდ მოეჩვენოთ და ერთი სარსარი თუ სიცილ-კისკისი ატეხონ.

ვფიქრობ, უნდა გვჯეროდეს, რომ ამ ასაკის ბავშვებს საკუთარი სული-ერი და ზნეობრივი სამყარო აქვთ. ჩვენ ვიცით, რომ ის არსებობს, ვიცით, რომ მოქმედებს და საკუთარი, ზოგჯერ გაუგებარი და იდუმატი გზით ვითარდება. ძალზე მნიშვნელოვანია პატივი ვცეთ მას და მის გამოვლინებებს, თუნდაც ის ჩვენთვის აუხსნელი იყოს. ამ სამყაროს ჩამოყალიბებაზე შეგვიძლია ზემოქმედება მოვახდინოთ მოთხოვობებით წმიდა წერილიდან, ისტორიიდან, წმიდანთა ცხოვრებიდან. შეიძლება, აგრეთვე გამოვიყენოთ ამ საკითხებთან თუ პრობლემებთან დაკავშირებული კითხვები და საუბრები, რომლებიც თავისთავად დაეხმარება მათ სამყაროსა და ცხოვრებაზე ახალი, უფრო ღრმა და პარმონიული შეხედულებების გამომუშავებაში. მაგრამ ჩვენთვის დაფარული რჩება, თუ რას ითვისებენ სინამდვილეში.

რამდენადაც ამ ასაკის ბავშვებმა მიაღწიეს სიმწიფისა და დამოუკიდებლობის გარკვეულ დონეს, მნიშვნელოვანია, გავამდიდროთ მათი ეკლესიური ცხოვრების გამოცდილება. მე ამას „თემში ცხოვრების გამოცდილებას“ ვუწოდებ – სამრევლო საზაფხულო ბანაკები, საეკლესიო დღესასწაულთა აღნიშვნა და წმიდა ადგილების ერთობლივი მოლოცვა მათ პრაქტიკულად ეხმარება, გაიგონ, თუ რას ნიშნავს ადამიანების ურთიერთობა და საერთო პასუხისმგებლობა. მართალია, ბავშვებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ მსგავსი ღონისძიებების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, მაგრამ ისინი სიამოვნებით მონაწილეობენ მათში, რაც მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას აღრმავებს.

მოზარდობის ასაკი: 13-დან 16 წლამდე

მოზარდობის ასაკი – ეს არის პერიოდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. ამ ასაკში გონიერი პოტენციური შესაძლებლობანი ზრდასრული ადამიანის შესაძლებლობას თითქმის უტოლდება. მოზარდები ძალზე სწრაფად იცვლებიან ფიზიკურად, რაც მათი მოუქნელი მოძრაობის, ემოციური გაუწონასწორებლობისა და მორცხვობის გამომწვევი ხდება.

ამ ასაკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია მგრძნობიარობა და დაუკმაყოფილებლობა. მოზარდები უკმაყოფილონი არიან საკუთარი თავით, ოჯახით, გარეგნობით (სწორედ ეს ხდება მიზეზი ექსტრავაგანტული მოდით გატაცებისა). მათ არ მოსწონთ თავისი საცხოვრებელი ოთახი და ცდილობენ, რაც შეიძლება ორიგინალურად მორთონ იგი. უკმაყოფილონი არიან სწავლა-განათლების მთელი სისტემით. სახელმძღვანელოებით, ნიშ-

ნებით, მასწავლებლებით, გამოცდებით. იმ შემთხვევაში, თუ მათ არა აქვთ განსაკუთრებული ნიჭი, ინტელექტუალური ინტერესები და მონაცემები (ეს კი იშვიათობას წარმოადგენს), ფინანსური განათლების სისტემას ვერ ეგუებიან. უკმაყოფილონი არიან მშობლებით, მასწავლებლებით და საერთოდ უფროსებით – „იმიტომ, რომ ჩვენი არ ესმით“ და განსაკუთრებით „იმიტომ, რომ არ გვენდობიან“. მათ ვერ გაუგიათ, რომ მზრუნველი და მოსიცყარულე მშობლების უმრავლესობას უბრალოდ არ შეუძლია „ენდოს“ მოზარდის ცნობიერებას, მოზარდისა, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს მისთვის ახალსა და უცნობ სამყაროში – სამყაროში, რომელზეც რეალური წარმოდგენა არა აქვს და რომელშიც მშობლებს მინიმალური დახმარების განცემა შეეძლებათ. თავის მხრივ, არც მოზარდები ენდობიან მშობლების დასკვნებსა და მოსაზრებებს. ეს ორმხრივი უნდობლობის პერიოდია.

მოზარდები საზოგადოებრივი ცხოვრებითაც მტკიცნეულად დაუკმაყოფილებელნი არიან. ის, რაც მათ ადრე მხიარულებას ჰგვრიდა, ახლა აღარ ახარებთ. ოჯახურმა დღესასწაულებმა დაკარგეს თავისი ხიბლი. წვეულებები მოსაწყენია და „არ გამოდის“ იმის გამო, რომ მოზარდები ან ძალზე შებოჭილნი არიან და ურთიერთობას თავისუფლად ვერ ამყარებენ, ანდა, პირიქით, მეტისმეტად თავისუფლად იქცევიან და მაშინ ინწყება „ექსპერიმენტები“. ნარკოტიკები, ალკოჰოლი, უნესრიგო სქესობრივი ურთიერთობანი; ეს იმიტომ კი არ ხდება, თითქოს მოზარდები განსაკუთრებით მიდრევილნი არიან უზნეობისაკენ, არამედ იმიტომ, რომ ახალი შთაბეჭდილებებისა და ახალი გზების აღმოჩენის წყურვილი აქვთ. ყველაზე ბედნიერ ოჯახებში მოზარდები, მართალია, მშობლებთან ახლობლობას ინარჩუნებენ, მაგრამ, ამავე დროს, მტკიცნეულად განიცდიან შინაგან კონფლიქტს, ოჯახსა და სოციალურ ურთიერთობებს შორის რომ წარმოიქმნება ამ ასაკში.

ეს თავისებურებანი ნეგატიური და მტანჯველი ჩანს, თუმცა ისინი პოზიტიური პროცესის შემადგენელი ნაწილია. მოზარდები ცდილობენ, შეიცნონ თავიანთი თავი და გაარკვიონ, რა ურთიერთობები აკავშირებთ სხვებთან – უფროსებთან, თანატოლებთან, საკუთარ და საპირისპირო სქესთან.

საკუთარი, „მე“-ს აღმოჩენა წარმოშობს კითხვებს – „რას ვფიქრობ?“, „რას ვგრძნობ?“ და უფრო ზოგადს: „ვინ ვარ მე?“ ბავშვობაში ოცნებობ, რომ გახდები კოსმონავტი, მსოფლიო ჩემპიონი ანდა ბალერინა. ახლა კი იძულებული ხარ, შენს თავსაც და სხვებსაც დაუშტკიცო, სინამდვილეში რას წარმოადგენ. „მართლა კარგი ხმა მაქვს?“, „შემიძლია, გავხდე გენიალური მსახიობი?“, „მაქვს კი დიდი მეცნიერის მონაცემები?“, „გამოვალ გამოჩენილი ფეხბურთელი?“. ამის გამო მოზარდი მეტისმეტად მტკიცნეულად განიცდის კრიტიკულ შენიშვნებს, რამაც შეიძლება ნირი წაუხდინოს ანდა

თავისი ნიჭისა და უნარის მაქსიმალურად გამოვლინებისაკენ უბიძგოს.

ახალგაზრდები თავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში შეიცნობენ. ეს მუდამ ორმხრივი პროცესია. „როგორი დამოკიდებულება აქვს მოძღვარს, მშობელს, მასწავლებელს ჩემს მიმართ და როგორი მე – მათ მიმართ?“ უფროსები არასწორად იმიტომ აღმიქვამენ, რომ მხედავენ არა ისეთს, როგორიც დღეს ვარ – თითქმის ზრდასრული – არამედ ჰგონიათ, ისევ ისეთი ვარ, გუშინ და გუშინცინ რომ ვიყავი – პატარა ბავშვი“. ამ პერიოდში მშობლებისა და შვილების ურთიერთსიყვარული სერიოზულ გამოცდას გაივლის. თუ მშობლებს შვილი უყვართ არა ეგოისტურად, არა როგორც საკუთრება, თუკი ყოველთვის ხარობენ მისი ზრდით, მათი სიყვარული ამ რთულ პერიოდს ადვილად გაუძლებს. მაგრამ ეს მოთმინებასა და გაგებას მოითხოვს.

ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს ურთიერთობის ახალი სფერო – ურთიერთობა საპირისპირო სქესთან, ბავშვები მრავალი წლის განმავლობაში ლაპარაკობდნენ ამ თემაზე, უკვირდებოდნენ ტელევიზორსა თუ უურნალებში, მაგრამ მაშინ ეს თამაში იყო და არა რაღაც ნამდვილი. ახლა კი უცებ ეს სრულიად სხვა რაღაცად იქცა, ანუ იმად, რასაც ვგრძნობ, რაც ტკივილს ანდა სიხარულს მანიჭებს. ამ პერიოდში გარდაუვალია კითხვების დასმა: „მომწონს თუ არა მე ასეთი გოგო?“, „მომწონს კი მე ასეთი ბიჭი?“ ეს არის ცდისა და შეცდომების, გულის გატეხვის, იმედების გაცრუების, უაზრო ტრაგედიების პერიოდი. უკეთეს შემთხვევაში, ეს განცდები მოზარდს ეხმარება უფრო ღრმად გააცნობიეროს თავისი თავი და იდეალები, თუმცა ამ გზაზე ბევრი დაპრკოლება თუ საფრთხე ელის.

გარდა ინტენსიური ხასიათის ამ პიროვნული ურთიერთდამოკიდებულებისა, აუცილებელი ხდება ურთიერთობის დამყარება თანატოლების კოლექტივთან. „მისალები ვარ მათთვის?“, „მოვწონვარ მათ თუ არა?“, „მინდა კი სწორედ ამ ჯგუფს შევუერთდე?“ – ყველა ამ კითხვას მოზარდმა თვითონ უნდა უპასუხოს. ჩვენს დროში მშობლებს ძალზე სუსტი გავლენა შეეძლებათ იქონიონ ამ ასაკობრივ ჯგუფზე, რომელსაც თავისი „კულტურა“ აქვს ჩამოყალიბებული. ბიჭებმა და გოგონებმა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტონ, სურთ და შეუძლიათ თუ არა ამა თუ იმ კოლექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

უკანასკნელ ათწლეულებში ტექნოლოგიური ცივილიზაციის სწრაფი განვითარების შედეგად, ჩვენმა ბავშვებმა მეტი იციან სექსის, სოციალური და რასობრივი პრობლემების, დანაშაულების და ძალადობის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესახებ. მართალია, მოზარდები უფრო მეტად ზრდასრულები არ არიან, ვიდრე ეს წინათ იყო, უფრო მეტი იციან, თუმცა

ხშირად სიმწიფე არ ჰყოფნით, ეს ცოდნა რომ შეითვისონ. ისინი ცხოვრობენ იმ ეპოქაში, რომელშიც „მათი სამყაროს“ „საზოგადოებრივი წყობა“ დასკრედიტებულია. მათმა უფროსმა ძმებმა და დებმა „ამერიკული ცხოვრების წესის“ ამპარტავნული საწყისები უარყვეს, და ქვეყანას არაფერი აქვს საამაყო, რადგან მის წინაშე ისეთი გადაუჭრელი პრობლემები დგას, როგორიცაა: გარემოს დაბინძურება, დამნაშავეობა, ძალადობა. თანამედროვე ამერიკულ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ისინი ვერ ხდავენ ვერავის, ვინც მათ სულიერ მოთხოვნებს, თანდაყოლილ იდეალიზმს, ჭეშმარიტების ძებას უპასუხებდა — არც აპრამ ლინკოლნს და არც უინსტონ ჩერჩილს, რომლის მოწოდებამ: „არაფერი გარდა სისხლისა, შრომისა და ცრემლისა“, ინგლისელ ხალხში არნახული გმირული აღმაფრენა გამოიწვია...

რაში მდგომარეობს ეკლესიის ამოცანა მოზარდებთან მიმართებაში? პრინციპულ დონეზე ეკლესია სთავაზობს ისეთი სულიერ ფასეულობებს, რომლებიც ახალგაზრდებმა შეიძლება შეგნებულად და თავისუფლად მიიღონ, რადგან სიმწიფის გარკვეულ დონეს მიაღწიეს. ეკლესია მოწოდებულია მისცეს მათ ხილული სახება და ცოცხალი განცდა იმისა, თუ რა უნდა იყოს ცხოვრება, რა არის სიწმიდე, ჭეშმარიტება, რწმენა, ერთგულება. ეკლესიაში იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება პპოვონ მიტევება, გაგება და სიცვარული, თუ არასწორად მოიქცნენ, გულაცრუებულნი ანდა დაბნეულები არიან. რონალდ გოლდმანის სიტყვით, მოზარდს სჭირდება „თავისუფლება, რომელიც უსაფრთხოების შეგრძნებითაა გაჯერებული“...

მოზარდების სულიერი განვითარებისათვის აუცილებელია, რომ რწმენა მათვის საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების, აზროვნებისა და ზნეობრივი ცხოვრების ნაწილი გახდეს. ამ პროცესს შეიძლება ხელი შევუწყოთ გულახდილი და თავისუფალი საუბრებით, საეკლესიო ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართვით, და, რაც მთავარია, მათთან მგობრობით.

რაც არ იცი, იმაზე ფიქრს ნაყოფი არ მოაქვს — არადა, ზუსტად ამ მდგომარეობაშია მოზარდების უმრავლესობა. მათ ძალზე ცოტა რამ იციან ქრისტიანობის შესახებ. ახალგაზრდულ ჯგუფებში მნიშვნელოვანია თავისუფლებისა და გამოხატვის უშუალობის შერწყმა აზროვნების გამამდიდრებელ გულახდილობასთან. მთავარია, მოზარდმა მეტი გაიგოს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ამ შემთხვევაში ასეთი ჯგუფების საქმიანობა სასარგებლოც იქნება და შემოქმედებითიც.

თუ მოზარდები მიხვდნენ, რომ მათ ასეთი ცოდნა ესაჭიროებათ, უკეთესად აითვისებენ იმას, რისი ცოდნაც აუცილებელია ბიბლიისა და ეკლესიის შესახებ. ამიტომ სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს იმ პრობლემებსა და საკითხებზე, რაც ახალგაზრდობას აინტერესებს — ასეთი მიდგომა ხელ-

მძღვანელს დიდად ავალდებულებს. მან არა მხოლოდ ბევრი უნდა იცოდეს, არამედ უნდა შეძლოს საჭირო ცნობების მოძიება, უნდა გრძნობდეს და ეს მოდეს, რა ხდება მისი მოსწავლების გონიერაში.

შეუძლებლად მიმაჩნია უფროსი ასაკის ბავშვებისათვის სასწავლო კურსების გეგმების შეთავაზება, რადგან ასეთი კურსები მასწავლებლის მინაცემებისა და კონკრეტული ჯგუფის ინტერესების მიხედვით უნდა აიგოს; ძირითადად, მოზარდებს ინფორმაცია იმავე საკითხებზე უნდა მიენოდოს, რაც უმცროს კლასებში გაიარეს, იქნება ეს ზოგადი მოძღვრება, ლიტურგიკა, ბიბლიის შემსწავლელი მეცნიერება, საეკლესიო ისტორია თუ სულიერი ცხოვრება და ზნეობა. თვით გარემოება გვიჩვენებს, მოცემულ შემთხვევაში რა უფრო სასარგებლოა და საჭირო. არაჩვეულებრივ საგანმანათლებლო საშუალებას წარმოადგენს მოზარდ მგალობელთა გუნდი კარგი რეგენტით სათავეში, თუკი ხელმძღვანელი იზრუნებს, რომ ყოველ მეცადინეობაზე ხდებოდეს საგალობლის ცალკეული სიტყვების, დღესასწაულის, ლიტურგიაში საგალობლის ადგილის მოკლე განმარტება. სწავლებისათვის იდეალური სიტუაცია შეიქმნება, თუ მასწავლებელი მეგობრულ ატმოსფეროს შექმნის, ინტერესსა და ზრუნვას გამოავლენს თითოეული მოსწავლის მიმართ. მსგავსი ჯგუფები შეიძლება ასევე შედგეს სამრევლო სკოლების ახალგაზრდა მასწავლებლებისა და მათი დამხმარებისათვის, უმცროსი ასაკის ბავშვების ჯგუფში გაკვეთილის მომზადებისას წინასწარ დარწმუნდნენ, რომ სწორად გაიგეს ყოველი გაკვეთილის შინაარსი და მნიშვნელობა. სასარგებლოა სტიქეაროსანთა და საზაფხულო ბანაკების ინსტრუქტორთა ჯგუფების სწავლება; კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობაა ხატწერის სწავლება.

რეგულარული სასკოლო ან ჯგუფური მეცადინეობების მოწყობის შემთხვევაში, შესაძლოა, შემდეგი პრინციპი გამოდგეს: მეცადინეობის იმგვარი კითხვებით დაწყება, რომლებიც მოწაფეთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მაგალითად: „რითი განსხვავდებიან მართლმადიდებელი ქრისტიანები სხვებისაგან?“, „ნამდვილად მინდა თუ არა ვიყო მართლმადიდებელი? რატომ?“, „რისი მიღება მიჭირს მართლმადიდებლობაში?“. ეს დაგეხმარებათ ურთიერთნდობისა და აზრების თავისუფლად გამოხატვის ატმოსფეროს შექმნაში. ახალგაზრდები უნდა მიხვდნენ, რომ მასწავლებელი მათგან სწორ პასუხს კი არა, პირველ რიგში, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას ელის, ხანდახან გულწრფელი პასუხის მიღება უფრო ადვილია წერილობით, ხელმოწერის გარეშე. ასეთი სახის გამოკითხვა შეიძლება პირველ მეცადინეობაზე მოწყოს.

შესაძლებელია, მიღებული პასუხებისა და დამატებითი საკითხების

განსილვა სხვადასხვაგვარად წარიმართოს. შეიძლება დავიწყოთ ისტორიული ნარკვევით, რომელიც ეკლესიის თანამედროვე მდგომარეობას ახსნის. შეიძლება მართლმადიდებელ ლიტურგიას სხვა ქრისტიანული და მრაჭა რისტიანული აღმსარებლობის ღვთისმსახურება შევადაროთ, შეიძლება რომელიმე წმიდანის ან უბრალოდ გამოჩენილი პიროვნების ცხოვრება შევისწავლოთ. მსგავს მეცადინეობებს დიდი სარგებლობა მოაქვს, თუ ისინი მხოლოდ წიგნზე მუშაობით არ შემოიფარგლება, თუკი მოსწავლეებს სთხოვენ მომზადონ მოხსენებები, გამოკვლევები, ინტერვიუები. სწავლების პროცესში შეიძლება ჩავრთოთ დისკუსიები, ლექციები, აგრეთვე, მუშაობა წიგნზე, კლასგარეშე მეცადინეობები.

შედარებით უმცროსი ასაკის მოზარდებმა შეიძლება კვლავინდებურად ხალისით გააკეთონ პლაკატები, ფილმები, გაზეთები, რომლებიც ეკლესიის წარსულის ან ბიბლიური ისტორიის შესახებ მოგვითხრობს. მაგრამ ამის კეთება მხოლოდ იმისათვის, რომ ბავშვები რაღაცით დავაკავოთ, არაა მართებული. მნიშვნელოვანია — ყველაფერი, რასაც გააკეთებენ, რაღაც იდეის გამოხატვისაკენ, შინაგანი აზრის გამოვლენისაკენ იყოს მიმართული.

ბავშვებისათვის, როგორც ეკლესიის მომავალი წევრებისათვის, სასარგებლო იქნება ნებისმიერი საქმე, რომელიც სხვა ადამიანებთან ურთიერთობასა და საკუთარ თავზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას მოითხოვს. შეიძლება ეს იყოს რაიმე საბაბით „მსვლელობის“ ორგანიზება, წმიდა ადგილთა მოლოცვის ან ლაშქრობის მოწყობა; სპეციალური საეკლესიო მსახურების მომზადება ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებით და ა. შ.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, როგორი ურთიერთობა დამყარდება ხელმძღვანელს — მღვდელმსახურს ან საეროს — და ახალგაზრდებს შორის. მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია მათი ნდობის მოპოვება, დამეგობრება, მოზარდის პიროვნებისადმი გაგების, სიმპათიისა და გულწრფელი ინტერესის გამოხატვა, ამასთან ერთად, იგი ურყყევი უნდა იყოს იმაში, რისიც სჯერა. სწორედ ამას ეძებენ მოსწავლეები: მეგობარს — მართალს, ნდობის ღირსს, ვინც მათ ისეთად მიიღებს, როგორებიც არიან და ვისი მოსაზრებებიც, როგორც ისინი გრძნობენ, მათ ინტერესებს უკავშირდება. მთავარი პრობლემაა ასეთი ხელმძღვანელის პოვნა.



თავი III

ქრისტიანული აღზრდა ოჯახში

დიდი ხანია ცნობილია, რომ ბავშვების ქრისტიანული აღზრდა უპირველესად ოჯახის საქმეა. სამრევლო სკოლები და ლვთისმსახურებაზე დასწრება, რა თქმა უნდა, გარკვეულ ცოდნას იძლევა, მაგრამ ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ოჯახის დახმარებით ხორციელდება. როცა ოჯახი ბავშვს საეკლესიო სკოლაში გზავნის ან ტაძარში მიჰყავს, ამით მხოლოდ სრულყოფს იმას, რასაც საფუძველი სახლში ეყრდნობა განუწყვეტლივ, დღითი დღე...

ოჯახი „მცირე ეკლესიად“ არის მიჩნეული და მშობლების ამოცანა იყვნენ „მღვდელმსახურები“ ამა სოფელში. ჩვენი ქრისტიანული რწმენა ქრისტიანულ ოჯახში უნდა ხორციელდებოდეს, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლინდეს. სამრევლო სკოლაში ბავშვები კვირაში ერთ საათს ატარებენ, საეკლესიო მსახურებაზე – რამდენიმე საათს, ოჯახის წიაღში კი მუდმივად ვართ, დღიდან დღემდე. ოჯახი გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეზე, იქნება ეს პირადი ურთიერთობანი, საჭმლის მომზადება, ტრაპეზი, ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა. ოჯახში მიმდინარეობს ბავშვის მთელი ცხოვრება. ჩემს ძალას აღმატება, ეკლესიას ოჯახის ხელმძღვანელობისა და დახმარების გეგმა დავუსახო. ამ წიგნში მხოლოდ ვცადე გამეაზრებინა, თუ რას გულისხმობს ოჯახში ქრისტიანის აღზრდა, რა პრობლემები და ამოცანებია ამასთან დაკავშირებული.

სიყვარული და ოჯახი

ოჯახის განმასხვავებელი ნიშანი სიყვარულია, რომელიც მას საფუძლად უდევს; ოჯახი თვალსაჩინო განხორციელებაა რამდენიმე ადამიანის სიყვარულისა ერთმანეთის მიმართ. ოჯახს იურიდიული რეგისტრაცია არ ქმნის. ოჯახისათვის მნიშვნელობა არა აქვს გემოვნების, ასაკის, პროფესიის მსგავსებას. ოჯახი ეფუძნება ქმრისა და ცოლის ურთიერთსიყვარულს, და სიყვარულს მშობლებსა და შვილებს შორის. ოჯახური სიყვარული სიყვარულის სხვა გამოვლინებისაგან განსხვავდება. ის ეგზისტენციულია იმ გაგებით, რომ რომანტიკული სიყვარულისა თუ იდეალის თაყვანისცემისაგან განსხვავებით, რაც ყოველთვის აღმატებულ სიტყვებსა და განმარტებებს მოითხოვს, სიტყვებს არ საჭიროებს. უფრო მეტიც, ეს სიყვარული აბ-

სოლუტიურად ყველა ადამიანისთვისაა ცნობილი, რადგან ყველა ეკუთვნის ამა თუ იმ სახის ოჯახს.

ოჯახისა და ოჯახური სიყვარულის ქრისტიანული გაგებების საფუძველი სებით ჩვეულებრივია. ის ჰგავს ღვთის შესახებ ტრინიტარულ სწავლებას: ადამიანს თავისთავად არსებობა არ შეუძლია, ბოლომდე ადამიანად ის იმ შემთხვევაში იქცევა, თუ მას სხვა ადამიანები უყვარს. გამონაკლისიც არსებობს – ადამიანებს შესაძლოა ერთმანეთი არ უყვარდეთ, მშობლებს შეიძლება არ უყვარდეთ შვილები, მაგრამ უსიყვარულობა ყოველთვის ოჯახის ჭეშმარიტი ბუნების გაუკულმართებაა.

ქმარი და ცოლი

ქმარსა და ცოლს შორის ურთიერთობა საკმაოდ განსხვავდება რომანტიკულ შეყვარებულთა ურთიერთობისაგან; ამ ურთიერთობაში ორივემ უნდა უარყოს საკუთარი „მე“ და ახალი ერთობის ნაწილად იქცეს. ორივე მოწოდებულია გახდეს ბედნიერი იმისათვის, რომ ბედნიერი იყოს ორივე მათგანი. თუ ერთ-ერთი უბედურია, მაშინ უბედური იქნება ორივე. ამიერიდან შეუძლებელია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. ერთის გასაჭირო საერთო გასაჭირად იქცევა, რასაც არ უნდა აკეთებდეს ერთი, ყველაფერი შეხება მეორესაც. ქორწინებაში ორი, პირდაპირი გაგებით, ხდება ერთი.

სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სიყვარული მხოლოდ სიმპათიას არ ნიშნავს. ყოველთვის არსებობს ხასიათის რაღაც მხარეები, რაც ცოლ-ქმარს ერთმანეთში არ მოსწონს, მაგალითად, ქედმაღლობა, სიზარმაცე, მრავლისმეტყველება, უდარდელობა, ქორწინებამდე შეძენილი ჩვევები და გემოვნება, მანერულობა და ა.შ. ხანდახან ცოლი და ქმარი ერთმანეთს ნერვებს უშლიან, როგორაა შესაძლებელი სიყვარული სხვისი ნაკლისადმი ანტიპათიას შევუთავსოთ? ოჯახური ცხოვრება მუდმივად ერთმანეთთან „მორგებას“ გულისხმობს, შეიძლება ითქვას – „ასკეზას“. გამოცდილ ბერებს ჩემთვის უთქვამთ, რომ ოჯახური ცხოვრება ადამიანისაგან გაცილებით მეტ ასკეტურ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე მონასტერში ცხოვრება. სხვა სოციალურ ჯგუფებში თქვენ შეგიძლიათ, თავი აარიდოთ არასასურველ, გამაღიზიანებელ ადამიანებთან შეხვედრას, შეიძლება საკუთარი თავი ხელში აიყვანოთ და გარკვეული დროით გაუძლოთ სხვის ნაკლს, სახლში კი ვერსად დაიმაღები, როგორიც არ უნდა იყოთ თქვენ, ვალდებული ხართ

ოჯახის სხვა წევრებს შეეწყოთ, მიუხედავად იმისა, როგორები არიან. ისინი ქრისტიანული ოჯახი („მცირე ეკლესია“) იმ შემთხვევაში ჩნდება, როცა „თანაგაძლება“ ქრისტიანული რწმენის, სასოებისა და სიყვარულის განხორციელებად იქცევა.

კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლებს მეცამეტე თავი ყოველ-თვის დარჩება სიყვარულის საუკეთესო სახელმძღვანელოდ: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ, სიყვარულსა არა შურნ, სიყვარული არა მაღლიონ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისას, არა განრისხნის, არად შეჭრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცორუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს იდებნ, ყოველი პრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენ“⁶. ნებისმიერ ქრისტიანულ ოჯახს მრავალი წელი ესაჭიროება იმისთვის, რომ სიყვარულის ამ იდეალს მიუახლოვდეს და ყველა პრობლემა ასე მოაგვაროს.

დარწმუნებული ვარ, სიყვარული და მრისხანება შეიძლება თანაარსებობდეს. თუ თქვენ არასოდეს არ ბრაზდებით, ესე იგი თქვენს სიყვარულს რაღაც აკლია. ქმარსა და ცოლს ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთი სიყვარულის ღირსად მიაჩინიათ და ამიტომაც არ შეიძლება გულგრილნი დარწენებ იმისადმი, რაც ასეთ ურთიერთობას ეწინააღმდეგება. იესო ტაძარში მოვაჭრებს სწორედ იმიტომ განურისხდა, რომ უყვარდა ადამიანები, ანუ სწორედ ის ვაჭრებიც. სიყვარულით გამოწვეული მრისხანება ცოლქმრული ურთიერთობის აუცილებელი ელემენტია, ქორწინება ურთიერთ თაცვანისცემის საზოგადოება როდია. გარკვეული აზრით, ცოლ-ქმარი ერთმანეთის სინდისი ხდება. მათი მრისხანება სწრაფად ქრება, და დგება შერიგების, პატივების ჟამი, იღვიძებს თანაგრძნობა.

სიყვარული შვილებისადმი

ოჯახი იზრდება, მას უჩნდება ახალი განზომილება და პერსპექტივები, ქორწინებაში ადამიანები მარტოობას განაშორებიან და ერთმანეთის ნაწილი ხდებიან. ბავშვების გაჩენის შემდეგ მშობლები სულ უფრო მეტად უძლვინან მათ თავს, ასე რომ, ხანდახან ოჯახური საზრუნავისა და მოვალეობების ორომტრიალში საკუთარი თავისი დაკარგვის განცდაც კი ეუფლებათ. ოჯახის ყოველი წევრი მოწოდებულია მოიძიოს საკუთარი თავი, სიყვარულის მატარებელი ადამიანი სულიერად უფრო ძლიერ და მდიდარ პიროვნებად უნდა იქცეს. „უკუეთუ არა მარცუალი იფქლისა დავარდეს

ქუეფანასა და არა მოკუდეს, იგი მარტო ხოლო ევოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოღოს“ (იოანე. 12,24). ოჯახეური ცხოვრების ეს ჭეშმარიტი ასკეზა რთულია და მტანჯველი. თითოეული მშობლის „მე“ იზღუდება, ოჯახის სხვა წევრთა საჭიროებებით ითრგუნება. ქრისტიანები და არაქრისტიანები ერთნაირად გაივლიან ამ განსაცდელს: უძილო ღამეები, ფიზიკური დაღლილობა, მღელვარება — ყოველივე ამას ვერ აირიდებ. ქმარმა შეიძლება თავი მიტოვებულად იგრძნოს იმის გამო, რომ ცოლი მეტ ყურადღებას უთმობს დედობრივ მოვალეობებს. საკუთარი „მე“-ს შეზღუდვა, შესაძლოა, მტკივნეულად იქნეს განცდილი. ქრისტიანობა გვასწავლის, რომ თუნდაც ნაწილობრივ ჰიპერტროფირებულ „მე“-ს მიერ ნებაყოფლობით გაღებული მსხვერპლი ადამიანის განახლებისა და გაკეთილშობილების საწყისად შეიძლება იქცეს. საკუთარი „მე“-ს მსხვერპლად გაღების სურვილთან ერთად ვითარდება არანაკლებ ძლიერი სურვილი შეიცნო სხვათა „მე“, გაიგო მათი მოთხოვნილებები, ცხოვრებისეული წარმოდგენები, უნარი.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად გაიაზრონ საკუთარ შვილებთან ურთიერთობა, მშობლებს სჭირდებათ სულიერი ხელმძღვანელობა და შემოქმედუბითი შთაგონება. ამ ურთიერთობათა საფუძველში სიყვარულია, აღსავსე პასუხისმგებლობით, რაც მოიცავს ავტორიტეტსა და პატივისცემას, ასევე მისწრაფებას, ჩასწვდე ბავშვის პიროვნებას. ქრისტიანული თვალთახედვით, მშობლის სიყვარული ემოციურ სისავსეს ფლობს, მნიშვნელოვანია, ეგიოსტურად არ გადაიქცეს. იდეალში ის აპსოლუტურად უანგაროა და ამის მაგალითია ღვთისმშობლის სიყვარული იესო ქრისტესადმი. მშობლებს საკუთარი სიყვარული ისე არ უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი, როგორც რაღაც საჩუქარი ბავშვისადმი, რომელიც, თავის მხრივ, მადლიერი უნდა იყოს მათი, როგორც ქველმოქმედების. როცა ვისმენ მშობელთა საყვედურს შვილების უმაღლურობის გამო, მათ სიყვარულში ეჭვი მიჩნდება. დედის სიყვარული შვილისადმი აღაესებს მის ცხოვრებას, ამდიდრებს მას. ესაა სიყვარული რაღაც უფრო დიდის მიმართ, ვიდრე თვითონაა, იმის მიმართ, ვინც მას უკვე აღარ ეკუთვნის. ბავშვი იზრდება და მშობლებისაგან მიდის. მშობლის სიყვარულის მსხვერპლისმიერი, ქრისტიანული საზრისი ამ ფაქტის აღიარებასა და ბავშვის დამოუკიდებლობის უფლების სიხარულით მიღებაში მდგომარეობს. აპრაამისა და ისაკის სახებანი დღესაც სამაგალითოა იმ მშობლებისათვის, რომელიც ესწრაფვიან საკუთარი შვილის სიცოცხლე ღმერთს მიუძღვნან; ეს გულისხმობს სურვილს, შვილი უფრო მეტად ღმერთს დაუმორჩილო, ვიდრე საკუთარ თავს. მე მგონი, ეს მშვენივრადა გამოსახული ღვთისმშობლის იმ სატებზე, სადაც ღვთისმშობელს ყრმა მუხლებში გამართული უზის, ხელი შემოვეული აქვს, მაგრამ გულში არ იკრავს.



ბავშვების სიყვარული მშობლებისა და ნათესავებისაზე

ბავშვების სიყვარული მშობლების მიმართ დროთა განმავლობაში იცვლება, სირთულე ისაა, რომ ასაკის მატებასთან ერთად გაუცხოება ღრმავდება. მშობლებს სჭირდებათ და სიამოვნებთ იმის შეგრძნება, რომ პატარა ბავშვი სრულიად დამოკიდებულია მათზე, ყოვლისშემძლებად მიაჩნია ისინი. მაგრამ ბავშვი, რომელიც ნორმალურად ვითარდება, გაივლის ზრდის ეტაპებს, დამოუკიდებელი ხდება და შეიძლება მშობლებს აუჯანყდეს კიდეც. უკეთეს შემთხვევაში კი, დროთა განმავლობაში, ყალიბდება ნორმალური მეგობრული ურთიერთობა, გამსჭვალული ურთიერთპატივისცემით, რომელსაც მოგვიანებით ცვლის თანაგანცდა, ზრდასრული შვილების სიახლოვე და მადლიერი სიყვარული მოხუცი მშობლებისადმი.

ძმებსა და დებს შორის „სიყვარულ-სიძულვილის“ ურთიერთობა გარკვეულწილად, ყველა ადამიანთან ჩვენი ურთიერთობის მოდელს წარმოადგენს. ჩვეულებრივ მიიჩნევა, რომ დებსა და ძმებს ერთმანეთი უნდა უფარდეთ, ძირითადად, ეს სწორია, მაგრამ ყველასთვის ცნობილია სრულიად საპირისპირო გრძნობებიც, ნათესავებს შორის რომ ვლინდება ხოლმე. ბავშვებმა, რომლებსაც გულწრფელად უყვართ ერთმანეთი, შეიძლება გამეტებით იჩხუბონ. ისინი ხშირად სრულიად სერიოზულად ამბობენ: „ის მძულს...“, „მე მას მოვკლავ...“, „აღარასოდეს დაველაპარაკები...“. რაღაც აზრით, ეს სავსებით ბუნებრივია, თითქმის გარდაუვალიც კი. განვითარების პროცესში მყოფი ბავშვი ხანგამოშვებით ბრაზდება, და ეს ისევე ნორმალურია, როგორც ჩვილისათვის ტირილი, როცა შია. ზოგიერთი მშობელი ამბობს: „არა უშავს, იყვირებს, იყვირებს და გაჩერდება!“ და ამას თავისი ერთგვარი გამართლება აქვს: მრისხანების შეკავებას იქნებ სჯობდეს, იჩხუბონ თუ გამოლანდონ ერთმანეთი, რასაც შემდეგ, შესაძლებელია, პატივ-ბაცა და ყველაფრის დავინწყებაც მოჰყება.

მაგრამ არსებობს მედლის მეორე მხარეც. ჩვილის ტირილი შეიძლება შიმშილის სიმპტომი იყოს. დედა ცდილობს ბავშვი განრიგის მიხედვით კვებოს, ტირილის მიზეზი რომ არ გაუჩნდეს. თუ ჩხუბი და მრისხანება – შინაგანი მოთხოვნილების სიმპტომია, მაშინ ეს მოთხოვნილება აუცილებლად ამოცნობილ უნდა იქნეს და რამენაირად სხვაგვარად დაკმაყოფილებული. თუ ჩხუბი იმაზე მეტყველებს, რომ რაღაც წესრიგში არაა, მაშინ მშობლები თუ აღმზრდელი მოწოდებული არიან პირველ რიგში მიხვდნენ, რაშია საქმე, ხოლო შემდეგ დაეხმარონ ბავშვს სირთულების თანდათანობით გადალახვაში. მრისხანება იმის დემონსტრირების საშუალებაა, რომ სხვა ადა-

მიანთა ურთიერთობაში რაღაც არ მოგწონს. „მე მინდა, რომ ეს სახახი მისამართი, ფინანსი, ეს ადამიანი ჩემი იყოს, მინდა მაქებდნენ – მან კი უველავეური მიითვისა!“ კონფლიქტი დაუფლების სურვილის გამო წარმოიქმნება. მისი მიზეზი შეიძლება გახდეს სიყვარულის მოთხოვნილება: „, იმიტომ დავარტყო, რომ მას არ უნდა ჩემთან ლაპარაკი!“ კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს პრობლემის მოგვარების უუნარობა, სურვილი, იყოს უფრო დიდი ან უფრო პატარა, უფრო ლამაზი ან უფრო ავტორიტეტული. ჩეუბი შეიძლება იყოს ეჭვიანობის გამოვლინება, საკუთარი პოზიციის, საკუთარი როლის გარკვევის მცდელობა, იმის გადაწყვეტა, „ვინ უფრო მთავარია“.

ეს და მსგავსი პრობლემები ურიცხვია, ისინი მთელს ჩვენს ცხოვრებას თან სდევს. აღზრდის – განსაკუთრებით ქრისტიანულის – მიზანია, დაეხმაროს ადამიანს გაიზარდოს და ჩამოყალიბდეს, გამოიმუშაოს შემოქმედებითი, ქმედითი და „კეთილი“ დამოკიდებულება ამგვარი პრობლემებისადმი. ძველი პრინციპი – „ვისწავლოთ პრაქტიკის საფუძველზე“ – ძალაში რჩება. თუ ბავშვს აქვს ჩვევა პრობლემის გადაწყვეტისას სხვაზე გაპრაზდეს და ეს ჩვევა განუმტკიცდება, ინფანტილურ ადამიანად გაიზრდება, რომელიც ნებისმიერი წვრილმანის გამო წონასწორობას კარგავს.

ბავშვების ჩეუბისა და კინკლაობისადმი ჩვენ დამოკიდებულება უნდა გვეონდეს, როგორც სიმპტომებისადმი. ამ სიმპტომების დათრგუნვა საქმეს არ შევლის, თუმცა ბავშვს თავის შეკავება, რასაკვირველია, აუცილებლად უნდა ვასწავლოთ. არ შეიძლება ბავშვებს მივცეთ ნება, ერთმანეთი დაასახირონ ან გვერდით მყოფთათვის ცხოვრება აუტანლად აქციონ. სიმპტომებს მაშინ აქვს ფასი და მნიშვნელობა, როცა ავადმყოფობის გამოვლენასა და განკურნებაში გვეხმარება. ჩეუბის მრავალი ქვეცნობიერი მიზეზი – მაგალითად, დასჯის შიში ანდა შიში, რომ დავალებას ვერ მოერევა – ნორმალურ, მოსიყვარულე ოჯახში ბავშვის განვითარებასთან ერთად ქრება, მაგრამ შეიძლება ეს პროცესი დავაჩქაროთ. შეიძლება მოჩიხუბრები გავაშველოთ და თითოეულ მათგანს ვთხოვოთ აგვისხნას, რა მოხდა და რატომ მოხდა, ოღონდ ისე, რომ ერთმანეთს სიტყვა არ შეაწყვეტინონ. ჩვეულებრივ, კონფლიქტის არსის გამომატველი სიტყვების ძიების ეს პროცესი (თუ არ შევაწყვეტინებთ და კამათს არ დაუზუნებთ), დაძაბულობას სხნის. ჩეუბი თავისით განელდება, ჩაცხრება და აღარც ფორმალური მობოდიშება ხდება აუცილებელი. უფრო მეტიც, ის, ვინც ლაპარაკობს და ისიც, ვინც ისმენს, უფრო ღრმად აცნობიერებს ჩეუბის მიზეზებს: იქნება ეს ეჭვიანობა, მარტოობა, მიტოვებულობის განცდა თუ სხვა რამ. მშობლებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაეხმარონ ბავშვს – გაიგოს თავისი ადგილი ოჯახსა და ცხოვრებაში, გააცნობიეროს, როგორია. „დიახ, შენ უმცროსი ხარ და რად-

გან უმცროსი ხარ, ესე იგი...“ „დიახ, შენ გოგო ხარ და ეს ნიშნავს, რომ შეგიძლია გააკეთო რაღაც ისეთი, რაც ბიჭებს არ შეუძლიათ...“ „შენ უფროოსი ხარ დაძმებში, ამიტომ რაღაც-რაღაცები რთულია, მაგრამ სამაგიეროდ“...

მეორე მხრივ, ბავშვების ხშირმა ჩხუბმა და გალიზიანებამ შეიძლება მშობელთა ყურადღება იმ მიზეზებისკენ მიმართოს, რომლებიც მათ იწვევენ და რომელთა მოგვარებაც აუცილებელია. ძალზე მნიშვნელოვანია უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ ბავშვს, რომელსაც მიტოვებულობის განცდა აქვს. არასრულფასოვნების კომპლექსი შეიძლება განვკურნოთ, თუ ბავშვში დავინახავთ ნიჭა და უნარს, რომელსაც ადრე ყურადღებას არ ვაქცევდით. „ჩხუბისთავს“ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ჩაუნერგოთ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველთვის უმჯობესია აღვზარდოთ მაგალითით, ქმედებით, ბავშვისადმი დამოკიდებულებით, და არა სიტყვით. ნოტაციების კითხვას სარგებლობა არ მოაქვს და შეიძლება მავნებელიც კი იყოს, თუკი ეს ბავშვს ასწავლის თავისი ნამდვილი განზრახვები და გრძნობები შენილობს სიტყვებით, მათ რომ არ შეესაბამება.

ოჯახში ქრისტიანული აღზრდის ძირითადი მიზანია, ვასწავლოთ ბავშვებს, რა არის სიკეთე. მათვის „სიკეთე“ – ეს არის ბედნიერების, სიხარულის, შინაგანი სიმშვიდისა და სხვა ადამიანების მიმართ სიყვარულის მდგომარეობა. როგორც მოციქულმა პეტრემ ბრძანა ფერისცვალების დროს: „კეთილ არს ჩუუნდა აქა ყოფაი“; ქრისტიანული ცხოვრების საფუძველი მხოლოდ მაშინ იქნება მყარი, თუკი ბავშვებს სიკეთისაკენ სწრაფვა ოჯახში ასწავლეს, გამოცდილებით გაიგეს, „რაი არს კეთილ“.

სანათესაო

თანამედროვე საზოგადოება უმეტესად მიიჩნევს, რომ ოჯახი მხოლოდდამხოლოდ მშობლები და შვილებია. ჩვენ აქ, ალბათ, ვერაფერს შევცვლით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანულ გარემოში ნათესაური კავშირების მნიშვნელობას ხაზი უნდა გავუსვათ. ბავშვებისთვის ოჯახი და მშობლები – მთელი სამყაროა. ურთიერთობა მშობლებთან ძალაუზებურად ეგოისტური ხასიათისაა, რადგან მშობლები უზრუნველყოფენ ბავშვებს, წარმართავენ მათ ცხოვრებას. ბავშვები – ეს არის ლერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს მშობლების ცხოვრება. მეორე მხრივ, გაცილებით უფრო რთულია ურთიერთობა ბებიებთან და ბაბუებთან, მამიდებთან, დეიდებ-

თან, ბიძებსა და მათ შვილებთან. აქაც არსებობს სიახლოვე, ერთობის განცდა, მაგრამ ეს კავშირები შესუსტებულია. უფრო არსებითია განსხვავება ცხოვრების წესში. ბავშვებისთვის ეს ადამიანებთან თვისებრივად ასალი ურთიერთობების დამყარების არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა. ასე მაგალითად, ბიძა შეიძლება მეტად ორიგინალური პიროვნება იყოს და სრულიად სხვანაირად იქცეოდეს, ვიდრე მშობლები, ბებია ან დიდი ბებია შეიძლება ინვალიდი იყოს და ითხოვდეს გაცილებით მეტ ყურადღებას, ვიდრე თვით ბავშვები და ა.შ.; და თუმცა მტკიცე ოჯახური კლანების დრო წავიდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ნათესავებთან ურთიერთობის შენარჩუნებას – მიმოწერით, მისვლა-მოსვლით, ოჯახისთვის მნიშვნელოვანი თარიღების ერთობლივი და საზეიმო აღნიშვნით. არც საოჯახო ალბომებს დაუკარგავთ არსებობის უფლება. ნათესავებთან მოსიყვარულე მეგობრულ ურთიერთობას აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და ბავშვებს ოჯახის მიკროსამყაროდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადასვლას უადვილებს.

ოჯახის მსოფლიოებრივი

ოჯახური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს წარმოადგენს ის, თუ როგორ ესმით ოჯახში ცხოვრების საზრისი, რაში ხედავენ ბედნიერებას, „ცხოვრების ფასეულობათა სისტემას“ – ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც მსოფლმხედველობას აყალიბებს. მგონი, ეს მხოლოდ რწმენის ანდა იდეოლოგიის საკითხი კი არა, არამედ რაღაც უფრო იდუმალი და ღრმაა. „შერეული ქორწინების“ შემთხვევაში საერთო აზრის შემუშავება რთულია, მაგრამ ეშირად ის არც იმ ოჯახებშია, სადაც ქმარი და ცოლი ფორმალურად ერთ ეკლესიას ეკუთვნიან; მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ვიცი, როცა ქორწინებაში სიყვარულის კავშირი ჭეშმარიტად ხორცი-ელდებოდა, თანაც მეუღლეთა „ერთობა“, მათი საერთო შეხედულება ცხოვრებაზე ორგანულად ერწყმოდა პატივისცემას საყვარელი ადამიანის განსხვავებული აზრებისადმი.

ერთიანი მსოფლმხედველობა ეფუძნება ბედნიერების ერთნაირ გაგუბას, ქრისტიანულ ოჯახში კი – ბედნიერების ქრისტიანულ გაგებას. ადამიანს ბუნებრივად აქვს მოთხოვნილება იყოს ბედნიერი, მრავალი ანტიერისტიანული მიმდინარეობა ბედნიერებისკენ ადამიანის სწორედ ამ სწრაფ-ვაზე სპეცულირებს. ქუჩაში თუ მეტროში გამოკიდებული რეკლამაც კი ყველანაირ ბედნიერებასა და სულიერ სიმშვიდეს გვპირდება, თუკი შევი-

ძენთ ამა თუ იმ ნივთს, გავაკეთებთ ამას თუ იმას. ადამიანი იბადება ბეღნიერებისკენ თანდაყოლილი სწრაფვით, იმის ინსტინქტური შეგრძნებით, რომ ბეღნიერი უნდა იყოს და თუ არაა, ე.ი. მიზანს ვერ მიაღწია. შესაძლოა, ეს ცოდვით დაცემამდე ცხოვრების შესახებ ადამიანის ქვეცნობიერი ხსოვნის გამოძახილიც კი იყოს.

ამის თაობაზე კარგად წერდა ან გარდაცვლილი არქიეპისკოპოსი პრალისა სერგი (კოროლიოვი) სტატიების ციკლში „კეთილყოფიერების შესახებ“ (ჟურნალი „Вече“, პარიზი, 1954, №1). ბეღნიერების ადამიანისეულ ნოსტალგიაზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ „უბედურად თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვგრძნობთ, როცა ბოროტი ძალების დროებითი ბატონობა ჩვენი ნამდვილი „მე“, ჩვენი პიროვნების ჭეშმარიტი ბუნება გვგონია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ უბედურნი ვართ, როცა ბოროტებას ჩვენი ჭეშმარიტი „მე“-ს განუყოფელ ნაწილად მივიჩნევთ“. ეს შეცდომა გვაიძულებს არასწორად ვილაპარაკოთ და მოვიქცეთ, სიტყვასა და საქმეში წავიფორხილოთ. ადამიანებთან ურთიერთობაში ჩვენ ზოგჯერ მათ ბუნებას იმ ბოროტებასთან ვაიგივებთ, რომელსაც მათში ვხედავთ; ისე ვექცევით, თითქოს ბოროტება მათი პიროვნების ბუნებრივი შემადგენლი ნაწილი იყოს, თითქოს ისინი ბოროტები იყვნენ. ყოველდღიური ცხოვრება და განსაკუთრებით, ოჯახური ცხოვრება – ეს არის შესაძლებლობა, დავამყაროთ ურთიერთობა ადამიანში არსებულ ჭეშმარიტ „მე“-სან. ეს გვეხმარება ჩავთვდეთ პიროვნების ჭეშმარიტ არსა, უარი ვთქვათ ყოველივე ყალბის, დროებითისა და ბოროტის გაიგივებაზე საყვარელი ადამიანის ჭეშმარიტ არსთან. ცხოვრების ყოველი დღე იმისათვის გვეძლევა, რომ იმ სიკეთის და სიხარულის ერთი ნამცეცი მაინც მივიღოთ, რომელიც ცხოვრების მარადიულ არსს წარმოადგენს. ცხოვრებაში სიკეთე რომ მოვიხვეჭოთ, მოწოდებულნი ვართ ყოველ წუთს ვიყოთ შემოქმედნი. სამყაროს გარდაქმნა მხოლოდ ბოროტი საცთურის შემოქმედებითი ძლევითაა შესაძლებელი. ვამარცხებთ რა ცოდვას; სიკეთეს ცხადვყოფთ, ხოლო სიკეთის ცხადყოფისას – მარადიული ცხოვრების თანაზიარნი ვხდებით. ეპისკოპოსი სერგი გვთავაზობს სწავლებას, რომლის მიხედვითაც უნდა შეგვეძლოს ადამიანებში და ცხოვრებაში სიკეთის დანახვა, ბოროტება რომ დავამარცხოთ.

ეპისკოპოს სერგის მოსაზრებანი იმიტომაც მიმოვიხილე დეტალურად, რომ მიმაჩნია – ოჯახში ქრისტიანული ცხოვრების წესი აღმშენებლობის ამოცანას უშუალოდ უკავშირდება, პრობლემის არსის ღრმა წვდომას გვთავაზობს, ააშვარავებს ქმრისა და ცოლის ურთიერთუკმაყოფილების (ზშირად „სამართლიანი“ უკმაყოფილების) საფუძველს, მიზეზებს, რომელთა გამოც მშობლებს არ მოსწონთ შვილების გემოვნება, შეხედულებები და

სურვილები, მიზეზებს შვილებსა და მშობლებს, და თავად ბავშვებს შორის არსებული ანტაგონიზმისა. ამ მოსაზრებებში ზუსტადაა მითითებული „ბედნიერი“ და „უბედური“ ოჯახების არსობრივი განსხვავება.

ძალზე მნიშვნელოვანია მშობლებს ვასწავლოთ ბედნიერების ქრისტიანული გაგება, როგორც „ნეტარებისა“, „კეთილყოფიერებისა“. მთავაზე და ქადაგების სულისკვეთებით, ხოლო მშობლები, თავის მხრივ, მოწოდებული არიან ასწავლონ ეს შვილებს – მათ შორის, პირადი მაგალითითაც: ნეტარება – ეს არის მდგომარეობა სიყვარულისა, ურთიერთობისა სიყვარულით, ნდობისა, განვითარების თავისუფლებისა, ღვთისგან მიღებული შემოქმედებითი უნარის განხორციელებისა. სამნუხაროდ, მრავალი საერო ადამიანის წარმოდგენა ქრისტიანობაზე მოკლებულია სიხარულისა და ნეტარების ამ განცდას, პირიქით, ქრისტიანობა ხშირად წარმოუდგებათ როგორც ვალდებულებათა და მოვალეობათა ფორმალური ნაკრები თუ ჩამონათვალი.

ჩემი აზრით, თვით მშობლების ქრისტიანული აღზრდა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მათ ეკლესიური წეს-ჩვეულებების დაცვა ბავშვების საკვირაო სკოლაში ტარება და ა. შ. ვაიძულოთ, არამედ ავუსტანათ მათ ძირითადი ცხოვრებისეული რეალიების აზრი. თავიანთი ვალდებულებების და მოვალეობების ჭეშმარიტი არსი მშობლებს შეუძლიათ შეიცნონ, თუკი ჰყითხავენ თავს: „რა არის ბედნიერება?“, „რა არის ცოდვა?“, „რა მნიშვნელობა აქვთ მათ ჩვენთვის?“, „რა არის სიყვარული?“, „რას ნიშნავენ ჩემი შვილები ჩემთვის?“, „რა მსურს მათთვის?“. რასაკვირველია, წესები აუცილებლად უნდა დავიცვათ და რჯულის დარღვევა დაუშვებელია, მაგრამ მშობლები, უპირველესად, ცხოვრების საზრისის გაგებით უნდა ხელმძღვანელობდნენ.

დისციპლინა ოჯახში

სიყვარულს კიდევ ერთი გამოვლინება აქვს – დისციპლინა, ეს კულტურისა და სალაფულებისა“, რომელიც მშობლებმა უნდა იტვირთონ. დისციპლინა, პირველ რიგში, ნიშნავს წესრიგის აღიარებას, აღიარებას ძალაუფლების და მორჩილების იმ როტული სტრუქტურისა, რომელიც ოჯახში იქმნება. აյ იგულისხმება ცოლის ქმრისადმი მორჩილებაც (რაც, ჩემი აზრით, გაცილებით მძიმეა ქმრისათვის, ვიდრე ცოლისთვის, და უფრო ხშირად სწორედ ქმარს არ ჰყოფნის ძალა აიტანოს ასეთი წესრიგი), და ცოლის მიმართ ქმრის პატივისცემაც (1 პეტრე, 3). იერარქიული პრინციპი იჯახურ დისციპლინაშიც ხორციელდება. ასე მაგალითად, უთანხმოება ქმარსა და ცოლს შორის მაშინ იჩენს თავს, როცა საფრთხე ემუქრება უფრო მნიშვნელოვან ფასეულობებს, ვიდრე მათი ურთიერთდამოკიდებულებაა – პრინციპებსა და მრწამსს, რომელთა დათმობა შეუძლებელია. ხშირად იქმნება სიტუაციები, როდესაც ერთ-ერთი მშობლის მოქმედება ანგრევს ბავშვის პიროვნებას. მაგრამ თუ დისციპლინის დარღვევა აუცილებელია, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ უფრო მაღალი ლირებულებებისადმი დამორჩილების, ანუ უმაღლესი რანგის მორჩილების გამო.

ბავშვები მშვენივრად გრძნობენ, რამდენად გულწრფელად იცავენ მშობლები დადგენილ დისციპლინარულ წესებს – იქნება ეს ტაძარში რეგულარული სიარული, ალკოჰოლისაგან და თამბაქოს მოწევისგან თავის შეკვება თუ ადამიანებისადმი კეთილგანწყობა და სტუმართმოყვარეობა. ქრისტიანული ყოფა ემყარება დაცვას კანონისა, როგორც ქმედითი პრინციპისა, როგორც ცხოვრებისეული პოზიციისა და არა ცარიელი ფორმალობისა თუ უსიცოცხლო წეს-ჩვეულებისა. მხოლოდ ასეთ ატმოსფეროში შეიძლება ბავშვი დისციპლინას მიეჩვიოს.

ბავშვი ეჩვევა დისციპლინას დაბადებიდანვე, როდესაც უფროსები მისთვის შეუმნიერებელი საფრთხისაგან იცავენ. „ხელი არ მოკიდო!“, „აქეთ ნუ მოძვრები!“, „ქუჩაზე არ გადახვიდე!“ ზოგჯერ აუცილებელი ხდება ბავშვის ძალით გაჩერება. გონიერი მშობელი არ მოსთხოვს ბავშვს მორჩილებას, თუ ამის მისაღწევად ძალადობა იქნება საჭირო – მაგალითად, არ სთხოვს ბავშვს აკოცოს დედას, თუ ეს ბავშვს არ სურს. თუმცა ძალზე ადრეული ასაკიდან მორჩილების საკითხში უმთავრეს მნიშვნელობას თვით ბავშვის გადაწყვეტილება იძენს: „დედამ მითხრა, რომ ეს არ უნდა გავაკეთო, მაგრამ რა მოხდება, თუ მაინც გავაკეთო?“.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინის საერთო ატმოსფერო იჯახში სწორედ ამ ეტაპზე დამყარდეს. ყველაფერი მკაფიოდ უნდა იყოს

განსაზღვრული: რა შეიძლება და რა არ შეიძლება, რას მოყვება სასჯელი ყველა შემთხვევაში (და არა მხოლოდ ცხელ გულზე). ოჯახში უნდა სუფევ-დეს ფასეულობათა მკაფიო იერარქია. თუ ბავშვის ურჩობაშა არასასიამოწნო შემთხვევა გამოიწყო — მაგალითად, რაღაც გატყდა ან წყალი დაიღვარა — ბავშვი შეიძლება დავსაჯოთ ანდა დავტუქსოთ. მაგრამ თუ ეს შემთხვევა გამოწვეულია ბავშვის მოუქნელობით ანდა მისი სურვილით მშობლებს და-ეხმაროს, დასჯოა ან დატუქსვა დაუშვებელია. ერთი მოხუცი ძიძა, რომელიც მთელი ცხოვრება ბავშვებს უვლიდა, გვიამბობდა ორი ოჯახის შესახებ, სა-დაც მუშაობა მოუხდა: „ერთ ოჯახში ყველაფერი იკრძალებოდა, მაგრამ სინამდვილეში შეიძლებოდა გაეკეთებინათ ყველაფერი, რასაც კი მოიფიქ-რებდნენ, მეორეში შეიძლებოდა ყველაფრის კეთება; მაგრამ თუ რაღაც არ შეიძლებოდა, მართლა არ შეიძლებოდა“.

რაც უფრო დიდია ბავშვი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისთვის გაგება დისციპლინის იერარქიულობისა. ქრისტიან მშობლებს შეუძლიათ დაეხმა-რონ ბავშვებს იმის გაგებაში, რომ ნებისმიერი დისციპლინის საფუძველში ერთი პრინციპი დევს: „იყავნ ნება შენი“ და არა პრინციპი მშობელისა — „მე ასე მსურს“.

იდეალურ შემთხვევაში დისციპლინის მკაფიო სტრუქტურა ბავშვის ქცევის მოტივების გაგებას უნდა ეხამებოდეს; არ ღირს ბავშვების თავის ნე-ბაზე მიშვება იმის შიშით, რომ თუ მათ მიმართ მომთხოვნი ვიქნებით, აღარ ვეყვარებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს დავინახოთ განსხვავება დისციპლინას, აუცი-ლებელი წესების დადგენას და მშობლების მცდელობას შორის, შვილებს თავს მოახვიონ საკუთარი გემოვნება, გრძნობები, განწყობა და განცდები. შესაძლოა, წითელ პარასკევის ბავშვებისთვის ტელევიზორის ყურების აკ-რძალვა სავსებით გონივრულია, მაგრამ ამ დროს განიცდიან თუ არა ისინი იმავეს, რასაც მშობლები — სხვა საკითხია. ასეთი რაღაცის მოთხოვნა, თავს მოხვევა არ შეიძლება. შეიძლება მხოლოდ იმედი ვიქნიოთ, რომ თავის დროზე თვითონ გაიგებენ, თვითონ იგრძნობენ ამას. არაერთი მღვდელ-მსახურის ოჯახში ბავშვები განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რელიგიური იდეებისა და გრძნობების მიმართ მტრულად არიან განწყობილი იმიტომ, რომ ზომაზე მეტად „ჰკვებეს“ ამ თემაზე საუბრებით. მხატვრის შვილი გან-მუხტვას შეიძლება სპორტით თავდავიწყებულ გატაცებაში ექებდეს. ემო-ციურად მგრძნობიარე იდეალისტმა დედამ შეიძლება ვერ გაუგოს თავის ქალიშვილს, რომელიც დაკავებულია საკუთარი გარეგნობით, გატაცებუ-ლია მოდით, მაღალი საზოგადოების ცხოვრებით. რამდენიც არ უნდა ვი-ლაპარაკოთ იდეალებსა და გრძნობებზე, ბავშვს თავს ვერ მოვაწვევთ და

ჩვენთვის სასურველ გრძნობებს ვერ ჩავუნერგავთ.

ამ თემაზე საუბრის შეჯამებისას, საოჯახო დისციპლინის მირითადი მოთხოვნები შემდეგნაირად მსურს ჩამოვაყალიბო:

მთელი ოჯახი, მშობლების ჩათვლით, უნდა იცავდეს ერთსა და იმავე წესებს და ერთსა და იმავე აკრძალვებს უნდა ემორჩილებოდეს.

მშობლებმა უნდა დაადგინონ ქცევის მარტივი, მკაფიო წესები და განამტკიცონ ისინი საკუთარი მუდმივი პასუხისმგებლობის გრძნობით, რომელიც ოჯახურ ცხოვრებაში წესრიგს უზრუნველყოფს.

მშობლები სიყვარულით უნდა ცდილობდნენ გაიგონ ბავშვის ქცევის მიზეზები, მისი თვალსაზრისი, მისი გემოვნება, საერთოდ, მისი პიროვნება.

მშობლები ნათლად უნდა აცნობიერებდნენ, რას შეიძლება მიაღწიონ დისციპლინის საშუალებით, რა სცილდება მათ კომპეტენციას და რა არ შეიძლება ძალდატანებით იყოს თავსმოხვეული.

ლოცვა რახები

შესაძლებელია კი ლოცვის სწავლება? ლოცვა – ეს არის საუბარი ღმერთთან, ღვთის წინაშე დგომა, ლოცვისთვის აუცილებელია ადამიანის წრფელი გულმოდგინება, რომელსაც ღვთის მადლი შეეწევა. გარკვეული აზრით, ლოცვას ასწავლიან ისევე, როგორც ასწავლიან ლაპარაკს. არსებობს თანდაყოლილი უნარი მეტყველებისა, მაგრამ აუცილებელია, აგრეთვე, მეტყველების ხელოვნების დაუფლება და იმის ცოდნა, რის შესახებაც უნდა ითქვას (ბავშვი ლაპარაკს ოჯახში სწავლობს, ადამიანებთან ურთიერთობით, და ოჯახშივე შეიძლება „ისწავლოს“ ლოცვა). თავიდან ბავშვი ლოცულობს სხვებთან ერთად, იძენს ყოველდღიური ლოცვის ჩვევას, ხოლო შემდეგ ლოცვა შეიძლება იქცეს ცოცხალ გამოცდილებად, ჯერ ბავშვურ, მოგვიანებით კი, სავსებით ზრდასრული ადამიანის ცოცხალ გამოცდილებად. მე ლოცვის სხვადასხვა სახეობაზე იმისთვის ვსაუბრობ, რომ მშობლებმა გააცნობიერონ, რა სურთ: ლოცვის ტექსტის ზეპირად დასწავლა, რასაკვირველია, სასარგებლოა, მაგრამ ეს ლოცვის სწავლებას არ ნიშნავს.

საუკეთესო საშუალებაა ვაზიაროთ ბავშვი ლოცვით გამოცდილებას – ეს არის ლოცვა მასთან ერთად. ყველაფერი იწყება მშობლების ლოცვით ახალშობილისათვის; დედისთვის ეს, შესაძლოა, ყველაზე დიდი ლოცვითი გამოცდილებაა. სწორედ ამ წუთიდან ეყრება საფუძველი ლოცვაში ბავშვის ყოველდღიურ მონაწილეობას.)

ჩვეულებრივ ბავშვის პირველი ლოცვა — ეს არის თხოვნა („უფალო, თუ შეიძლება...“), როდესაც ბავშვი ადგენს გრძელ სიას იმ ადამიანებმა, რომელთა მოხსენიებაც სურს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა მართლა ილოცონ ბავშვთან ერთად. ბავშვისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ღმერთთან პირველი საუბრის გამოცდილება. ამით იგი თვითონაც ადასტურებს, რომ ღმერთი არსებობს და მისთვის მნიშვნელოვანია ამ აღმოჩენას იმ ადამიანთა სახელები დაუკავშიროს, ვინც უყვარს. ამ ასაკში ღმერთის თანამყოფობის შეგრძნება სავსებით ბუნებრივია. როცა ბავშვი წამოიზრდება, შეიძლება ვასწავლოთ მას სამადლობელო ლოცვა (გემადლობ შენ უფალო...“), მშობლები ბავშვს შეიძლება განვლილი დღის ყველაზე სასიხარულო მოვლენების გახსენებაში დაეხმარონ.

მართლმადიდებელ ოჯახებში, პირველ ყოვლისა, სწავლობენ ლოცვას „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ“, რომელსაც წარმოთქვამენ პირველის გამოსახვისას. ეს ლოცვა დაკავშირებულია მოქმედებასთან, რომელიც პატარა ბავშვებს თამაში ჰქონიათ; მართალია, ის მოკლეა, მაგრამ, აღსავსეა აზრით, ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ ბავშვს, როდესაც იგი წამოიზრდება, ამ ლოცვის აზრი განუმარტოთ...

უფრო რთულია გამოვიმუშაოთ სწორი დამოკიდებულება გრძელი ლოცვებისადმი. დიდი წმიდანების მემკვიდრეობა, ჩვენს ლოცვებში რომ არის დაუნჯებული, არ შეიძლება უგულებელვყოთ. მაგრამ როცა ისმენ, რვა-ცხრა წლის ბავშვი როგორი აჩქარებით ბუტბუტებს „მამაო ჩვენო“-ს, ეჭვი გიჩნდება, შეიძლება კი ჩავთვალოთ, რომ ლოცვა უკვე ისწავლა?

ბავშვს შეიძლება შევთავაზოთ ისწავლოს ერთი წინადადება, ოღონდ ღრმად უნდა ჩასწვდეს და გაიგოს. ლოცვის ახსნა შეიძლება მარტივი ცნებების მეშვეობით (ეს არის ლოცვა სული წმიდის მიმართ, რომელიც სიცოცხლეს გვაძლევს...“). ბავშვები სწავლობენ მოკლე წინადადებას: „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის!“ ერთი წლის განმავლობაში ეს ლოცვა შეიძლება ნელ-ნელა შევავსოთ და განვავრცოთ. სანამ ბავშვი მას თავიდან ბოლომდე გაცნობიერებულად არ დაიმახსოვრებს. ასევე შეიძლება მოვიქცეთ დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ლოცვების შემთხვევაშიც: შეიძლება თავიდან ძირითადი წინადადებით ან დასაწყისი სიტყვებით შემოვიფარგლოთ ისე, რომ ბავშვებმა შეძლონ ლოცვის ცნობა, როდესაც ტაძარში იგალობება.

ლოცვის დრო, მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა, მშობლებისა და ბავშვის აუჩქარებელ, მშვიდ ურთიერთობაში უნდა გადიოდეს. შესაძლოა, მშობლებისთვის ყველაზე რთული სწორედ ამ წესის დაცვაა, მაგრამ იგი ღირს იმად, დაცული რომ იქნეს. ათი წუთი სავსებით საკმარისია, რათა

ბავშვს წავუკითხოთ ან მოვუყვეთ მოკლე ამბავი საღმრთო ისტორიიდან, განვუმარტოთ ლოცვის არსი, ვესაუბროთ იმაზე, დღის განმავლობაში რა ხდებოდა. დარწმუნებული ვარ, ლოცვის სწავლების პროცესში ბავშვები-სათვის ყველაზე მნიშვნელოვანი – ყოველდღიური აუჩქარებელი, არცთუ ხანგრძლივი ურთიერთობაა. ამ პერიოდის განმავლობაში უნდა ჩავუნერგოთ ლოცვის ჩვევა, ჩვევა „ღვთის წინაშე დგომისა“. პრაქტიკულად ხანგრძლივი ლოცვა უფრო ადვილია ძილის წინ, ძალიან სწრაფად კი – შეიძლება მხოლოდ პირჯვარი გამოისახონ, ღმერთს სოხოვონ კურთხევა დამდეგი დღისათვის – დილით, მშობლების გარეშეც.

ლოცვა ოჯახში არ უნდა შემოიფარგლოს დილისა და ძილის წინა ლოცვებით. ლოცვა საჭმლის მიღების წინ ახლა თითქმის გამქრალია ოჯახური ყოფიდან, რადგან თითქმის გაქრა წარმოდგენა საჭმლზე, როგორც ოჯახის ერთად შეკრების მიზეზზე. საუზმის მაგიერ ყველა რაღაცას ხელს სტაცებს ზეზეულად – სკოლაში თუ სამსახურში გარბიან. სადილის დროს მშობლებს, როგორც წესი, უხარიათ, როცა ბავშვები თევზებით ხელში სხდებიან ტელევიზორის წინ. ამის შეცვლა, იქნებ, უკვე შეუძლებელიც კია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყოველი ოჯახი დროდადრო მაინც უნდა იყრიდეს თავს სუფრასთან – ყოველ შემთხვევაში, კვირა დღეს და დღესასწაულებზე მაინც. სხვადასხვა ოჯახში ჭამის წინ სხვადასხვაგვარად ლოცულობენ: ზოგან მხოლოდ პირჯვარს იწერენ, ზოგან ლოცვას კითხულობენ, ზოგან გალობენ კიდეც. მნიშვნელოვანია მოკლე ხნით მაინც ვიკრიბებოდეთ ერთად, რათა ჩვენს ცხოვრებაში ღვთის თანამყოფობა შევიგრძნოთ.

საერთო საოჯახო ლოცვის მეორე საბაბია – როდესაც ოჯახის რომელიმე წევრი სადმე შორს მიემგზავრება; რუსული ჩვეულებისამებრ ამ დროს ყველა დუმილით ჩამოჯდება ხოლმე, შემდეგ კი პირჯვარს გადაისახავს. საზოგადოდ, ჯვრის გამოსახვა, რომლითაც ხდება ვინმეს დალოცვა, – მშვენიერი მოკლე და უსიტყვო ლოცვაა; მშობლებს ხშირად აქვთ ხოლმე საბაბი, ვაჟი თუ ქალიშვილი სწორედ ასე დალოცონ. დაბადების დღეზე ან დღეობაზე შეიძლება „მრავალუამიერი“ ვუმღეროთ.

ოჯახური ცხოვრების ყველა მხარემ თუ ჩვევამ სიმტკიცე უნდა შეიძნოს. უბრალო, გულწრფელი, ბუნებრივი ჩვეულება გამოცდას უძლებს და გამონაკლისს არც საოჯახო ლოცვა წარმოადგენს; ქრისტიანული ოჯახი-სათვის აუცილებელია ჩვენს ცხოვრებაში ღვთის თანამყოფობის ყოველ-დღიური შეგრძნების სამუალება მოიძოვოს.



ოფესასწაულები

ოჯახთან მჭიდროდაა დაკავშირებული ეკლესიური ცხოვრების კიდევ ერთი მხარე, ქრისტიანული აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანია საეკლესიო დღესასწაულებსა და მარხვებთან დაკავშირებული საოჯახო ტრადიციები.

საეკლესიო დღესასწაულები ბავშვებისათვის ნამდვილი ზემოა, თუ კი მათ ოჯახშიც აღნიშნავენ. დღესასწაულის დღეს ნამდვილ სიამოვნებას ბავშვი მხოლოდ შინ იღებს. სადღესასწაულო ლიტურგია ტაძარში ტარდება, მნიშვნელობას სკოლაში უხსნიან, მაგრამ დღესასწაულად იგი ბავშვისთვის სახლში იქცევა.

ოჯახის პასუხისმგებლობა

ქრისტიანულ აღზრდაზე

ქრისტიანული ოჯახი მოწოდებულია თავისი სარწმუნოებრივი ცოდნა ბავშვებს გადასცეს, პირველ რიგში – პატარებს, რომლებიც სწორედ ოჯახში იგებენ ღმერთის, იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების, ლოცვისა და ღვთისმსახურების, დღესასწაულებისა და დიდი წმიდანების შესახებ. არაერთ მშობელს სჭირდება დახმარება: მათ ზოგჯერ თვითონ არ ესმით ბოლომდე, რამდენად აუცილებელია ეს ცოდნა მათი შვილებისათვის, მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ ძირითადი ჭეშმარიტებების, ჩვენი მართლმადიდებელი რწმენის არსის გარჩევა მეორეხარისხოვანი ხალხური ტრადიციებისა და ჩვეულებებისგან. ამ ტრადიციებში ცუდი არაფერია, მაგრამ ისინი ცვლიან რწმენის არსის, თუკი მათ პირველხარისხოვან, ზებუნებრივ მნიშვნელობას მივანიჭებთ. ჩემი აზრით, ოჯახი უპირველესად უნდა ჩასწვდეს ქრისტიანულ სწავლებას ღმერთზე: რას ნიშნავს ჩვენთვის მისი თანამყოფობა, ძალაუფლება, სიყვარული, განგებულება, მფარველობა, სამართლიანობა. მშობლებისგან ბავშვებმა შეიძლება გაიგონ ზოგიერთი ბიბლიური, განსაკუთრებით, სახარებისეული მოთხოვობები, მარტივი ლოცვები, პირველდაწყებითი ცნობები ღვთისმსახურებაზე, დიდ დღესასწაულებზე (შობა, ნათლისღება, ბზობა, ვნების კვირა, აღდგომა, სულთმოფენობა).

უფროსი ასაკის ბავშვებს მნიშვნელოვანია გავუღვივოთ ინტერესი რელიგიისადმი. მშობლებმა შეუძლებელია ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ უნდა ჰქონდეთ ინტერესი, გამოიჩინონ ცნობისწადილი, ეძებონ პასუხი ბავშვების კითხვებზე. მოულოდნელი საუბარი, რომელიც წარმოიშვა, როგორც

პასუხი ბავშვის კითხვაზე ან როგორც მშობლების რეაქცია უჩვეულო თუ რთულ სიტუაციაზე — აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებებია. მე მონი, მშობლებმა უარი უნდა თქვან სურვილზე შვილების წინაშე ყოვლისმოდენებად ჩანდნენ. უკეთესი იქნება, თუკი ისინი ბავშვებთან ერთად დაიწყებენ კითხვებზე პასუხის ძიებას, პრობლემის განსჯას, ყველა კითხვაზე სამრევლოს მოძღვარიც კი ვერ უპასუხებს და, ჩემი აზრით, ბავშვის განვითარებას ყველაზე მეტად ეხმარება სურვილი, გაიგოს რაღაც ახალი — „ეძიებდით, და ჰპოვოთ, ირეკდით და განგედოს თქუენ“ (მათე. 7,7).

ნათქვამი შევაჯამოთ, ნამდვილად ქრისტიანული რომ გახდეს, ოჯახი მოწოდებულია ცხოვრებას, მის ფასეულობებსა და პრობლემებს ხედავდეს ქრისტიანობის შუქზე, ეს კი, შესაძლოა, მშობლების ჩვეულებრივ ღვთისმოსაობას არც ემთხვეოდეს. ქრისტიანული ოჯახი, როგორც შინაგანად, ისე თავის ფარგლებს გარეთ, მოწოდებულია, იმგვარი სიყვარული მოიხვეჭოს, რომელზეც ლაპარაკია კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში. ქრისტიანული ოჯახი გამსჭვალული უნდა იყოს ყველასთვის სავალდებულო დისციპლინით, იქ ფასეულობათა ქრისტიანული იერარქია უნდა ბატონობდეს. ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება ქრისტიანულ ოჯახში ღვთის თანამყოფობის შუქითაა განათებული — ეს ოჯახურ ლოცვაშიც მუდავნდება და საეკლესიო დღესასწაულებსა თუ ტრადიციებშიც. ქრისტიანულ ოჯახში ბავშვის გონება, ნიჭი და მონაცემები მოწოდებულია, რომ ვითარდებოდეს, რადგან ქრისტიანობა ადამიანის პიროვნების უზარმაზარ ფასეულობას აცნობიერებს.

მოძღვარს ზრდასრული მრევლის რელიგიური აღზრდის არაერთი საშუალება აქვს, თუკი მას საკვირაო ქადაგებაზე ყურადღებით უსმენენ; კი დევ უფრო მჭიდრო სულიერი ურთიერთობა აღსარების დროს მყარდება; ღვითსმსახურება ზრდასრული მრევლის მონაწილეობას მოითხოვს, ბავშვები კი განზე რჩებიან, ამიტომ სამრევლო სკოლის, მოძღვარი რომ ხელმძღვანელობს, მთავარი ამოცანაა ბავშვებსა და მოზარდებს ეკლესიური ცხოვრების სისრულე წარმოუჩინოს. გადამწყვეტი როლი ნიჭიერ საერო მასწავლებლებს ეკისრებათ, რომლებსაც შესწევთ ძალა საკუთარი, ცოცხალი გამოცდილება ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე გამოთქვან. ვერანაირი კარგი წიგნი, ვერავითარი საუკეთესო პროგრამა მასწავლებლის პირად გავლენას ვერ შეცვლის. სწავლების მეთოდის მიუხედავად, მასწავლებელი. სწავლების პროცესს პიროვნულ ანაბეჭდს ყოველთვის დაასვამს. შთაგონებით აღსავსე მასწავლებლი მოძველებული და მშრალი სახელმძღვანელოების გამოყენებასაც კი შეძლებს, ხოლო პედანტური და შეზღუდული – საუკეთესო სახელმძღვანელოს გამოყენებით სწავლებას მაინც მექანიკურ პროცესად აქცევს.

ძალზე მნიშვნელოვანია მოძღვარმა სამრევლო სკოლისათვის ნიჭიერი მასწავლებლები შეარჩიოს. მასწავლებელი სამ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ჰქონდეს ეკლესიის ცხოვრებაში მონაწილეობის თუნდაც მინიმალური, მაგრამ ნამდვილი გამოცდილება. მისი რწმენა, შესაძლოა, არ იყოს სრულყოფილი, მაგრამ იგი გულწრფელი უნდა იყოს.

2. შეეძლოს ბავშვებთან საერთო ენის გამონახვა.

3. განვითარებისა და თვითსრულყოფის უნარი ჰქონდეს, როგორც პედაგოგს.

სამივე თვისება მნიშვნელოვანია, თუმცა სხვადასხვა კანდიდატს, ბუნებრივია, ისინი განსხვავებული ხარისხით ექნება. არაერთი საერო პირი, რომელსაც გულწრფელად სურს ეკლესიას ემსახუროს, ვერ ბედავს ბავშვებს სარწმუნოება ასწავლოს, რადგან თავს სათანადოდ მომზადებულად არ მიიჩნევს. წიგნის ამ თავში ვეცდები, გადმოვცე, სამრევლო სკოლაში მუშაობის საკუთარი მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, თუ რა მოეთხოვება მასწავლებელს.



მასწავლებელი როგორც პიროვნება

სწავლება ხშირად დაკავშირებულია მასწავლებლის თავმოყვარეობის შელახვასა და საკუთარი თავით უკმაყოფილებასთან. ამიტომ მასწავლებელს უნდა სჯეროდეს თავისი თავისა და მოწოდების – ეს რწმენა, პარადოქსულად, უღრმეს სიმდაბლეს მოითხოვს. ასეთ სიმდაბლეს სულიერი სიძმშვიდე მოაქვს. თქვენ არ აზიადებთ საკუთარ შესაძლებლობებს, თავი გენიოსი არ გვონიათ. ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევთ, რომ უკლებლივ ყველა მოსწავლეს არ მოსწონხართ, რომ მთელ კლასს თქვენი საუკეთესო გაკვეთილიც კი ვერ იტაცებს. სიმდაბლე დაგეხმარებათ მეტისმეტად არ განიცადოთ შემთხვევითი პედაგოგიური წარუმეტებლობანი: „განა ვინ ვარ, რომ კარგი მასწავლებლი ვიყო?.. კიდევ ერთხელ უნდა ვცადო...“ როგორც მასწავლებლი, თქვენ პასუხისმგებელი ხართ კლასის ხელმძღვანელობასა და დისციპლინის დაცვაზე, სიმდაბლე დაგეხმარებათ, აირიდოთ ამაო შფოთვა, შელახული და გალიზიანებული „მე“-ს დრტვინვა.

მასწავლებელი ბავშვებზე თავისი გავლენის შეზღუდულობას უნდა აცნობიერებდეს. იგი ვერ გახდება ფსიქიატრი, რადგან სათანადო მომზადება არ გააჩნია და ბავშვის წარსულს ზედმინევნით არ იცნობს. მისი ურთიერთობა ბავშვთან სამრევლო სკოლით და ეკლესიური ღონისძიებებით შემოიფარგლება – ეს ბავშვის ცხოვრების მხოლოდ ნაწილია. ურთიერთობა ბავშვთან შეზღუდულია და მასწავლებელი მოწოდებულია გამოიყენოს მთელი თავისი ძალა და უნარი, მოსწავლის ქცევის (მორცხვობაა თუ ცელქობა, გულგრილობაა თუ სიზარმაცე) მიზეზი და აზრი რომ გაიგოს, მის გულს გასაღები რომ მოარგოს. ოღონდ თავისი შესაძლებლობების ფარგლებს უნდა აცნობიერებდეს, თავის თავს ყოვლის შემძლება არ მიიჩნევდეს. თუმც კი ჩვენი ბავშვობის მოგონებანი მოწმობენ, რომ ზოგჯერ მასწავლებლის ერთადერთ სიტყვას ანდა მოქმედებას წარუშლელი შთაბეჭდილება შეუძლია მოახდინოს.

მასწავლებელმა როგორც თავის შესაძლებლობები, ასევე სუსტი მხარეები უნდა იცოდეს. ზოგიერთი მასწავლებელი შესანიშნავი მთხოობელია და შეუძლია მთელი კლასის ყურადღება დაიპყროს. სხვებს კი, პირიქით, ბავშვების ენერგიის გაღვიძება შეუძლიათ და აქვთ განსაკუთრებული უნარი ბავშვების ნიჭის გამოვლენისა. ზოგიერთი მშვენივრად სხინის ყველაზე რთულ საკითხებს, სხვები კი – კარგი მხატვრები თუ მუსიკოსები არიან. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რისი ნიჭი და უნარი აქვს, და როგორ შეიძლება საუკეთესოდ გამოიყენოს იგი გაკვეთილზე.

მასწავლებლისთვის უმთავრესია ბავშვების სიყვარულის უნარი.

ოღონდ ჯერ უნდა გავარკვიოთ, „სიყვარულის“ ქვეშ რას ვგულისხმობთ. საეჭვოა, მართლა უყვარდეს ბავშვები იმას, ვინც მათ „პატარა ანგელოზებსა“ და „კუდრაჭებს“ უწოდებს, ანდა იმას, ვისაც ყველა ბავშვი ერთნაირად უყვარს. სინამდვილეში, ბუნებრივია, რომ ერთი ბავშვი მეტად მოგწონს, ვიდრე მეორე. კვლავ მოციქულ ბავლეს სიტყვებს შეგახსენებთ: „სიყვარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყვარულსა არა ჰშურნ, სიყვარული არა მაღლიონ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჭრაცხის ბოროტი, არა უხარის სიცრუესა ზედა, არამედ უხარის ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავსიღდებნ, ყოველი ჰრნამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“ (1 კორ. 13, 4-7). ამ გამონათქვამს კლასში შექმნილ სიტუაციებს ხშირად ვუსადაგებ ხოლმე. უნდა გაგიხარდეს თუ არა, როცა უზრდელი და არასიმპათიური მოსწავლე მართალი აღმოჩნდება? უნდა გქონდეს თუ არა იმედი, რომ სული წმიდის მაღლი კლასის ყველაზე წყალნაღებულ „ტაკიმასხარაზეც“ იმოქმედებს? შეიძლება თუ არა იამაყო იმით, თუ როგორ ასწავლი? უკლებლივ ყველა ბავშვს უნდა სცე პატივი, მთელს კლასთან ერთნაირად თავაზიანი იყო? ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ასეთი სიყვარული იწვევს მასწავლებლის ფერის ცვალებას, ამდიდრებს მის ცხოვრებას, და იგი აღარა „რვალი, რომელი ოხრინ, გინა ნინწილანი, რომელნი ხმობედ“. მასწავლებელი იზრდება როგორც პიროვნება, თუკი ბავშვები მართლა უყვარს.

მასწავლებლისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა მისი ინტერესი ცხოვრების მიმართ, მისი გატაცებანი და ცნობისწადილი. ადამიანი, რომელიც მხოლოდ სამრევლოს ცხოვრებითაა დაკავებული, ვერასოდეს გახდება კარგი მასწავლებელი. ასეთი ჩაკეტილობა, ალბათ, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება საზოგადოების ცხოვრებასთან შეხებაშიარაა. საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვები განსაკუთრებულ ბატივს სცემენ ადამიანებს, რომლებიც ზედმიწევნით კარგად დაუფლნენ რომელიმე პროფესიას – მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის თუ სპორტის ნებისმიერ სფეროში. ზრდასრული ადამიანის პოპი ან გატაცებაც კი შეიძლება რელიგიისა და ცხოვრების სეკულარული განცალკევების დაძლევას უწყობდეს ხელს. სწორედ ამიტომა საჭირო, რომ მასწავლებლები საერთაგან იყვნენ. მოზარდებისთვის თავისითავად ცხადია – მღვდელს ღმერთისა და ეკლესიის სწამს. მაგრამ თუკი რწმენაზე ინუინერი ანდა პროფესიონალი მხატვარი ესაუბრება, ეფექტი გარანტირებულია, თუნდაც იგი საღვთისმეტყველო თვალსაზრისით სათანადოდ მომზადებული არ გახლდეთ (ოღონდ, მეტისმეტად თავდაჯერებული არ უნდა იყოს).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: მასწავლებლის გავლენა მოსწავლე-

ებზე, პირველ რიგში, მისი პიროვნებით, პიროვნული მაგალითით განისაზღვრება. კარგი მასწავლებლის მონაცემები აქვს იმას, ვისი რწმენაც — თუნდაც არასრულყოფილი — ნრფელია და ალალი, ვინც რწმენაში იზრდება (ანუ, ერთ ადგილზე არ დგას), ვინც ფართო თვალთახედვით, ცოცხალი ცნობისწადილით, სიმდაბლით (პრაქტიკულად, ეს ხშირად იუმორის გრძნობასაც გულისხმობს), სიყვარულითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩევა.

ურთიერთობა ბავშვებთან

ეს თანდაყოლილი ნიჭი ყველას არ გააჩნია, არადა, უმისოდ ძნელია, კარგი მასწავლებელი გახდე. თუმცა ურთიერთობის უნარი კაცმა შეიძლება განივითაროს. ბავშვებთან ურთიერთობის უნარი — ეს, პირველ რიგში, უნარია დაინახო ისინი ისეთებად, როგორებიც სინამდვილეში არიან; განსაზღვრო დონე, რომელზეც შესაძლებელია მათთან ურთიერთობა. თუკი ამ თვალთახედვით განვიხილავთ სახარებას, დავინახავთ, რომ ქრისტე სწორედ ასე ურთიერთობდა ადამიანებთან, რომლებსაც განასწავებდა და მსახურებდა. ადამიანისთვის, ვინც მასწავლებელობას აპირებს, მეტად სასარგებლოა, თუკი რამდენიმე ბავშვთან დარჩება, რაღაცით რომ არიან გართულნი ანდა თამაშობენ. იმისთვის კი არა, რაიმე ასწავლოს, არამედ მხოლოდ დააკვირდეს, შეეცადოს, რაც შეიძლება მეტი გაიგოს თითოეულ მათგანზე, — გაიგოს მათი აზრები, გემოვნება, გრძნობები. ეს ძალზე სასარგებლო სავარჯიშოა, რომელიც მასწავლებელთა მომზადების პროგრამაშია შესატანი.

კლასთან როცა ვმუშაობთ, აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ ჩანაწერები თითოეულ ბავშვზე, მათ რეაქციაზე, ქცევასა და კლასის საერთო საქმეში მონაწილეობაზე. ჩვენ საკმაოდ ხშირად გაკვეთილის შინაარსი გვიტაცებს, ვცდილობთ, ბავშვებს მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებიც გვეხმარებიან, პასიურები კი განზე რჩებიან. არადა, მასწავლებელის ყურადღებას, მასთან ურთიერთობას გაცილებით მეტად საჭიროებს მორიდებული, თავის თავში ჩაკეტილი ანდა უნიათო ბავშვი. ჩანაწერები იმიტომ გვეხმარება, რომ ჩვენ, როგორც წესი, გვავიწყდება, რაც წინა კვირას ხდებოდა. თუკი აუცილებელი გახდა ბავშვის დატუქსვა, შენიშვნის მიცემა ანდა წესრიგისკენ მონდება, შემდეგ აუცილებლად უნდა გამონახოთ შესაძლებლობა, რომ შეაქოთ. თუკი მორიდებულმა ბავშვმა რაღაც კარგად თქვა ანდა გააკეთა, ამას

გაკვეთილის განმავლობაში რამდენჯერმე უნდა მიუბრუნდეთ, რათა ხაზი გაესვას გაკეთებულის მნიშვნელობას – უბრალოდ ერთხელ შექმნა საკმარისი არაა.

არიან ბავშვები, რომლებსაც უჭირთ საერთო საქმეში ჩართვა, საერთო საქმეს აფუჭებენ. მათ შეიძლება ისეთი ინდივიდუალური დავალება მივ-ცეთ, რომელიც მარტი უნდა შეასრულონ, მაგრამ თანაც საერთო საქმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდეს.

რასაც უნდა აკეთებდეს მასწავლებელი, რა „ეშმაკურ“ ხერხებსაც უნდა მიმართავდეს იმისთვის, რომ მოსწავლები დაანიჭერესოს, მისი სულერი წინსვლა, როგორც აღმზრდელისა, უმეტესად განისაზღვრება სურვილით, უფრო სიღრმისეულად გაიცნოს ბავშვები, დაუახლოვდეს, სამყარო მათი თვალით დაინახოს.

პრეზიდენტის მიერ მიმღები მისამართი

სწავლებას საფუძვლად ცალკეულ ბავშვებთან ურთიერთობის უნარი უდევს, მაგრამ კლასთან მუშაობისას რაღაც მეტია საჭირო. ახლა უკვე აღარ ფასდება ისეთი დისციპლინა, რომელიც კლასისგან სრულ სიჩუმესა და აბსოლუტურ სიწყნარეს მოითხოვს. ამჟამად მთავარი აქცენტი გაკვეთობის პროცესში მოსწავლეთა შემოქმედებით ჩართულობაზე, „საქმით სწავლებაზე“, კლასის, „გახსნილობაზე“ კეთდება. ამგვარი სწავლება მასწავლებლისგან გაცილებით მეტს მოითხოვს და ადვილად შეიძლება ისეთ ქაოსად იქცეს, მოსწავლეებსაც, პედაგოგებსაც და მშობლებსაც რომ გააკვირვებს. ერთი ჩემი ნაცნობი, მეტად უნარიანი, ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი მოუმზადებელი შევიდა კლასში, რომელიც დამოუკიდებელ მუშაობას და მეგობრულად საქმის კეთებას ჩვეული არ იყო. განსაკუთრებული დაფიქტრების გარეშე მან გადაწყვიტა გაკვეთილის ნაცვლად ბავშვები აეთამაშებინა, რომ ერთმანეთთან დაეახლოებინა. ბავშვების ნაწილმა თამაშის იდეა აიტაცა, სამაგიეროდ, მეორე ნაწილმა საკლასო ოთახი დატოვა, რადგან თამაში არ სურდა. შედეგად, გაკვეთილი ჩაიშალა, თამაშმა დასახული ამოცანა ვერ შეასრულა. მშობლები კი, რომლებმაც ბავშვები შორიდან მოიცვანეს სამრევლო სკოლაში, დალვრემილები უყურებდნენ ამ ყველაფერს – გრძნობდნენ, რომ დრო ტყუილად იკარგება.

შემოქმედებითი მეცადინეობა ჯგუფთან წინასწარ დაფიქტრებას, საგულდაგულო მომზადებას მოითხოვს. უპირველესად, მასწავლებელს ნათ-

ლად უნდა ესმოდეს გაკვეთილის მიზანი და ამოცანა: იქიდან, სადაც ახლა ვიმყოფებით, წინ უნდა წავიდეთ. ასე მაგალითად, მექქვსე კლასში გადი ან წმიდა საიდუმლოებებს, წინა მეცადინეობაზე ნათლობის საიდუმლოს შესწავლა დაიწყეს, მოსწავლეებმა მოიტანეს ნათლობის მოწმობები, განიხილეს ეკლესიის წევრობის მნიშვნელობა. ახალი გაკვეთილის მიზანია — უფრო ღრმად გააცნობიერონ ნათლობის წესის სიბოლიკა. თავდაპირველად მასწავლებელმა უნდა შეახსენოს კლასს, თუ რაზე ისაუბრეს წინა მეცადინეობისას. მიზნის მისაღწევად მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს სათითაოდ დაწერონ ორისამი კითხვა, რაზეც პასუხი უნდა მიიღონ იმისთვის, რომ უკეთ გაიგონ ის, რაც ნათლობისას ხდება. მასწავლებელი კითხვებს შეაგროვებს და ბავშვებს სთავაზობს რამდენიმე ჯგუფად დაიყონ, რომელთაგან ყოველი მოამზადებს პასუხს გარკვეულ კითხვებზე. ერთმა ჯგუფმა შეიძლება შეისწავლოს ღვთისმასახურების თანამიმდევრობა კურთხევანის მიხედვით, მეორემ — რა არის ნათქვამი სახარებაში ნათლობის შესახებ, მესამემ — ეკლესიის ისტორიის სახელმძღვანელოში მოძებნოს ის ადგილი, სადაც ნათლობაზეა ლაპარაკი, მეოთხემ — გააკეთოს ბლაკატი, სადაც ნათლობის ცალკეული ეტაპები და მათი სიმბოლური მნიშვნელობა იქნება გამოსახული. გაკვეთილის ასეთი გეგმა ნიშნავს, რომ მასწავლებელს ხელთ ექნება მეცადინეობისთვის ყველა საჭირო მასალა: კურთხევანი, ახალი აღთქმა, სახელმძღვანელო, პლაკატისთვის განკუთვნილი მასალა. თუკი საკმარისი დრო ექნებათ, გაკვეთილის ბოლოს ბავშვები ჩატარებული სამუშაოს შესახებ მოყვებიან ან, თუკი დრო არ ეყოთ, მოსხენება შემდეგ გაკვეთილზე შეიძლება გააკეთონ. ყველაზე უფრო ორგანიზებულ კლასშიც კი, რომელსაც ზუსტი ინსტრუქციები აქვს მიცემული, მაინც იქნება მოძრაობა, ხმაური და ლაპარაკი. მოსწავლეებს დასჭირდებათ დრო, სამუშაოსთვის რომ მოემზადონ, დაიწყება კამათი, აზრთა სხვაობა. მასწავლებელი მოწოდებულია საკმარისი წესრიგი შეინარჩუნოს და თავისი ავტორიტეტი სამუშაო ატმოსფეროს შესაქმნელად გამოიყენოს.

ბავშვები ასეთ მუშაობას უნდა მივაჩვიოთ, მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ ახალი დისციპლინის საფუძვლები — სხვისი სამუშაოს პატივისცემა. კლასში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა არ ნიშნავს, თითქოს მასწავლებელი საკუთარ ავტორიტეტზე უარს ამბობს. კლასში ავტორიტეტი და დისციპლინა ფასეულობათა იერარქიას ეფუძნება. ამას არაფერი აქვს საერთო მასწავლებლის პირად პრესტიუთან, მის პატივივმოყვარეობასთან, სურვილთან საკუთარი ავტორიტეტი სარკასტული, დამცინავი შენიშვნებისგან დაიცვას. მასწავლებელს არა აქვს უფლება კლასის მართვაზე პასუხისმგებლობა მოიხსნას; სწორედ იგი აფასებს, თუ რა გააკეთეს მოსწავლე-

ეპმა. ერთი ბავშვის ცუდმა ქცევამ თუ მანჭვა-გრეხამ მთელ კლასს ხელი არ უნდა შეუშალოს, დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება, მასწავლებელმა უნდა გამოიჩინოს სიმტკიცე, თუნდაც იძულებული იყოს მოსწავლეს კლასი დაატოვებინოს. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ რთული მოსწავლე განსაკუთრებულ ზრუნვასა და ყურადღებას არ იმსახურებს. მნიშვნელოვანია ისეთი დავალება მივცეთ, რომელიც მას საერთო საქმეში ჩართავს. და, რა თქმა უნდა, შეიძლება კლასს ხანმოკლე დასვენების საშუალება მივცეთ, რომ მოეშვან, გაიცინონ მანამ, სანამ მუშაობას გააგრძელებდნენ.

რა უდია იცოდეს მასწავლებელს?

თითქმის შეუძლებელია ჩამოვაყალიბოთ აკადემიური მოთხოვნები, რომელსაც სამრევლო სკოლის მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს. გადამწყვეტ ფაქტორად რჩება მასწავლებლის სურვილი ისწავლოს. მასწავლებელი მოწოდებულია ეცადოს თუნდაც ოდნავ მეტი გაიგოს, ვიდრე სახელმძღვანელოში წერია... მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს ახალი აღთქმა, — საქმე მოციქულთას და ეპისტოლეების ჩათვლით, — რათა მის-თვის სახარებისეული სახებანი გაცოცხლდნენ. მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ძველი აღთქმის მნიშვნელობა, როგორც ქრისტიანობის წინამორბედისა. ლიტურგიკაში უნდა ესმოდეს და იცოდეს წმიდა საიდუმლოთა, და თუნდაც მხოლოდ იმ ღვთისმსახურებათა არსი, რაც სამრევლოში აღსრულება. უნდა ჰქონდეს წარმოდგენა სარწმუნოებრივ მოძღვრებაზე, სულ მცირე, მრნამსის ფარგლებში. მინიმალურად მაინც უნდა ერკვეოდეს ეკლესიის ისტორიაში, იცოდეს ზოგიერთი წმიდანის ცხოვრება.

გაცილებით რთულია იმ „მართლმადიდებლური სულის“ განსაზღვრა, რომელიც მართლმადიდებელ პედაგოგს უნდა ჰქონდეს. ჩვენ კულტურული ცვალებადობის ეპოქაში ვცხოვრობთ. მართლმადიდებლური ცხოვრების წესს, მართლმადიდებლურ ყოფას თავიდან აღვადგენთ, და ამას ვაკეთებთ საზოგადოებაში, რომელიც თვითონ განიცდის მორალურსა და სულიერ კრიზისს. ჩვენ მუდმივად გვიხდება არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება...

მართლმადიდებელი სული, მართლმადიდებელი გრძნობა ზომიერებისა და გემოვნება ხშირად განსაზღვრავს ჩვენი მასწავლებლების პიროვნებასა და ქცევას. მართლმადიდებლობის არსის ერთ-ერთ საუკეთესო გან-

მარტინი მიმართა ბერდიაევის გამონათქვამი: „თავისუფლების სისრულე კრებითობის სისრულეში, კრებითობა თავისუფლებაში და თავისუფლება კრებითობაში“.

მასწავლებელთა მომზადება

წიგნის მოცულობა არ გვაძლევს საშულებას, მასწავლებელთა მომზადების პროგრამაზე დეტალურად ვიმსჯელოთ, ეს თემა დაწვრილებით დამუშავებას მოითხოვს. ვეცდები ჩამოვაყალიბო ძირითადი პრინციპები, რაზეც უნდა აიგოს ასეთი პროგრამა.

მასწავლებლის მომზადება ერთჯერადი ღონისძიება არ გახლავთ, არამედ ხანგრძლივი პროცესია...

მიმართა, რომ მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამების შედგენაში მთავარი „მთლიანობის“ პრინციპია. თუკი ლაპარაკია სწავლების მეთოდიკის დახვეწაზე, უნდა ითქვას ისიც, თუ რას ვასწავლით კონკრეტულად ამ მეთოდიკის მეშვეობით. თუკი ლაპარაკია ჩვენი ცოდნის გაღრმავებაზე ბიძლებისტიკის, ლიტურგიკის, დოგმატიკის, ეკლესიის ისტორიის სფეროში, აუცილებელია ვაჩვენოთ, პრაქტიკულად როგორ უნდა შევიტანოთ ეს ცოდნა სასკოლო პროგრამაში. თუკი მასწავლებელთათვის გამართული სემინარის თემა მართლმადიდებლური აღზრდის ძირითადი პრინციპები (სამრევლო სკოლის მნიშვნელობა, ოჯახის როლი, ბავშვების მონაცილეობა ლიტურგიკულ ცხოვრებაში), უმჯობესია მონაცილენი პრაქტიკულ საჭმიანობაში ჩავაპათ პროგრამასა და მეთოდიკაში ამ პრინციპების შეტანის თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით, რა თემასაც არ უნდა ეძღვნებოდეს მასწავლებელთა ცალკეული მეცადინეობა, ის ყოველთვის უნდა შეიცავდეს ძირითად საკითხებს: რას ვასწავლით? რატომ ვასწავლით? ვის ვასწავლით? როგორ უნდა ვასწავლოთ?

მასწავლებელთა მომზადების ერთ-ერთი ფორმაა ლექციები. ეს არის არა მარტო მასწავლებელთა მომზადების საშუალება, არამედ საერთათავეის ეკლესიური განათლების მიღების წყაროც. საქმის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგი ლექტორების მოზიდვაა შესაძლებელი, მათ უნარზე – აუდიტორიის მოთხოვნებს უპასუხონ. რაზეც არ უნდა იყოს საუბარი – სარწმუნოებაზე, ლიტურგიკაზე, ბიბლეისტიკაზე, ეკლესიის ისტორიაზე და ა.შ. – განსაკუთრებული ინტერესი მაშინ ჩნდება, როცა თემა მსმენელთა საჭიროებებს უკავშირდება.

საკულტურული საოცნელის მასრავლებლის მოწოდება

ამ თავის დასასრულს რამდენიმე მოსაზრებას გამოვთქვამ საეკლესიო სკოლის მასწავლებლის მოწოდების შესახებ. რას ნიშნავს სიტყვა „მოწოდება“? მოტოვილოვთან საუბრისას ლირის სერაფიმე საროველი ადამიანის ცხოვრების მიზანზე ბრძანებს, „სული წმიდის მადლის მოხვეჭაში“ მდგომარეობს... გვიხსნის, რომ ჩვენი ცხოვრება და საქციელი იმდენად იძენს აზრს, რამდენადაც ჩვენი შრომა აღგვავსებს სულინმიდის მადლით. „ზოგიერთს მეტ ღვთაებრივ მადლს დარიბების დახმარება ანიჭებს, ზოგს – ლოცვა, ზოგს – რაღაც შემოქმედებითი საქმიანობა. მთავარია, რომ თქვენი მოქმედება თქვენს გულს ღვთაებრივი მადლის მოქმედებას უხსნიდეს. მაშინ თქვენი საქმე თქვენი მოწოდება გახდება, იქნება ეს მებაღეობა, თხზვა, ქველმოქმედება თუ მარხვა.“

თუკი ბავშვებთან ურთიერთობა, მათ განვითარებასა და წინსვლაში მონანილეობა სულიერად გამდიდრებთ, თუკი გრძნობთ, რომ ამ ურთიერთობაში თქვენ თვითონაც იზრდებით, სულ უფრო მეტად უახლოვდებით საკუთარ „მე“-ს, – შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენ გაქვთ პედაგოგის მოწოდება. არც ერთი მასწავლებელი არ იტყვის, რომ ქრისტეს სიტყვები ბავშვების შესახებ – „ეგვეგითართაი არს სასუფეველი ცათაი“ – ბავშვების მორალური სრულყოფილებით არის ჩაგონებული. ყოველთვის მიმართდა, რომ ბავშვობის განსაკუთრებული მადლმოსილება სხვა რაღაცაში მდგომარეობს, უპირველესად – მათი რწმენის რეალურობასა და უბრალოებაში. ბავშვები არ არიან გაორებული, რაც უფროსებს ახასიათებთ. ბავშვის რელიგიური ცხოვრება მთლიანია. ღმერთი, სასუფელი, ანგელოსები მისთვის ზუსტად ისევე არსებობენ, როგორც სათამაშო, ამხანაგი, ყვავილი. ბავშვი ტაძარში ყოფნისას ისევე გრძნობს თავს, როგორც ქვიშის საბავშვო მოედანზე თამაშისას (რაც უფროსებს ზოგჯერ მეტად აბნევს). ბავშვებს ცინცხალი აღქმა აქვთ: ფერი არასოდეს კარგავს სიცხოველეს, სურნელება ყოველთვის მკვეთრია. ისინი არ დგანან ერთ ადგილზე – იზრდებიან.

ეს მუდმივი ზრდაა სწორედ რელიგიური ცხოვრების არსი. ბავშვში ყველაფერი მუდმივად იცვლება, და ამაში ყოველთვისა იმედი. გულაცრუება ანდა განსაცდელი დავითწყებას მაღე ეძლევა, ამიტომ ბავშვებს შეუძლიათ გულწრფელი პატიება. აპატიო – მათთვის ნიშნავს – დაივინწყო. ბავშვები ბაქიობენ ხოლმე, მაგრამ ეს ბაქიობა გათამაშებულია, რადგან მათ უნიკან, რომ ძალზე ცოტა რამ იციან, ბევრი არაფერი შეუძლიათ, სუსტუბი არიან. ამიტომ ბავშვობა სიმდაბლითაა გამსჭვალული. მათ, გარკვეული

თვისებების გამო, უფალი ცათა სასუფევლის მფლობელებს უწოდებს და სანამ შეხებაში ვართ ბავშვობის სამყაროსთან, ეს სასუფეველი გარკვეული წილად, ოდნავ ჩვენც გვეხსნება. ბავშვობის განსაკუთრებული მადლობის ლების რაღაც ნაწილი ჩვენზეც გადმოდის.

ბავშვებისთვის სარწმუნოების სწავლება სხვა მხრივაც ზემოქმედებს ჩვენზე. რელიგიური აღზრდის პროცესში ადამიანის პიროვნულ ცენტრს, ცხოვრების გულს მივმართავთ. როდესაც მზარდი ადამიანის სულს სარწმუნოებას, ღმერთთან და ადამიანებთან ურთიერთობას ვასწავლით, რაც ჩვენი რწმენის არსია, ჩვენ თვითონაც, ჩვენდაუნებურად, ვიმსჭვალებით ამით. ჩვენ უნდა ვფლობდეთ იმ ცოდნას სარწმუნოების შესახებ, რომელსაც ვასწავლით და ეს ცოდნა უნდა გვფლობდეს ჩვენ. თქვენ ვერ შეძლებთ ბავშვებს მოუთხროთ ქრისტეს აღდგომის შესახებ, თუკი ამ მოვლენის რელიგიური არსი თქვენს სულში შემოსული არაა. ვერ შეძლებთ ბავშვებს აუხსნათ აღდგომის არსი, თუკი გულითა და სულით არ იყავით იოანესთან და პეტრესთან, თუკი სირბილისგან აქოშინებულებმა არ შესძახეთ მარიამთან ერთად „უფალო!...“ თუ თქვენ ქრისტიანობას ასწავლით, ქრისტიანობა თქვენს გულს სილრმისეულად უნდა მსჭვალავდეს.

ცხოვრება შეიძლება ისე გავლიოთ, თითქოს სამყარო ღმერთს არ შეუქმნია, თითქოს ქრისტე არ დაბადებულა, თითქოს არ მომკვდარა და არ აღმდგარა. ადამიანები ბუნებით ზარმაცნი და წარმოსახვას მოკლებულნი ვართ და უცრად ამის სწავლება გვიჩდება. ჩვენ ვიქცევით საშუალებად, რომლის დახმარებითაც ეს მოვლენები ბავშვის განვითარებაზე ზემოქმედებს. თქვენ ხდებით გამტარი, რომელშიც მძლავრი ელექტრო ენერგია გადის და ეს განცდა შთაგონებას იწვევს თქვენში. ეს ერთხელ მაინც თუ იგრძენით, მაშასადამე – ჭეშმარიტი მოწოდება მოგიპოვებიათ, სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე რომ გაგყვებათ.

ლამაზება |

სუბრები მშობლებთან



ოჯახი – „მცირე ეკლესია“ თანამედროვე ცხოვრებაში

გამოთქმა „ოჯახი – მცირე ეკლესია“ ჩვენამდე ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან მოვიდა. ჯერ კიდევ მოციქული პავლე თავის ეპისტოლუში იხსენიებს მისთვის განსაკუთრებით ახლობელ ცოლაქმარს, აკილასა და პრისკილას, მოკითხვას უთვლის მათ „მცირე ეკლესიას“ (რომ. 16,4). როდესაც ეკლესიაზე ვსაუბრობთ, ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს ვხმარობთ, რომლებიც ოჯახს უკავშირდება: მღვდელს „მამაოს“ ვუწოდებთ, ჩვენ თავს – „სულიერ შვილებს“. რა აახლოებს ესოდენ ეკლესისა და ოჯახის ცნებებს?

ეკლესია – ესაა ადამიანების გაერთიანება, ღმერთში ერთობა. ეკლესია თვით საკუთარი არსებობით ამტკიცებს, რომ „ჩვენთან არს ღმერთი!“ როგორც მათეს სახარება მოგვითხრობს, იესო ქრისტემ ბრძანა: „...სადაც ა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათე 18,20). ეპისკოპოსები და მღვდლები – ღვთის წარმომადგენლები, მისი მოადგილები კი არ არიან, არამედ ჩვენს ცხოვრებაში ღვთის თანამონაწილეობის მოწმენი.

ძალზე მნიშვნელოვანია ქრისტიანული ოჯახი გვესმოდეს, როგორც „მცირე ეკლესია“, ანუ რამდენიმე ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანის „და ერთობა, ცოცხალი ღმერთის რწმენით განმტკიცებული. მშობლების პასუსუსისმგებლობა, მრავალი თვალსაზრისით, სასულიერო წოდების პასუსისმგებლობის მსგავსია: მშობლებიც უპირველესად მოწოდებული არის ან „დამმოწმებელნი“, ანუ ქრისტიანული ცხოვრებისა და რწმენის ნიმუში იყვნენ. შეუძლებელია ვილაპარაკოთ ბავშვების ქრისტიანულ აღზრდაზე, თუკი ოჯახი „მცირე ეკლესიის“ ცხოვრებით არ ცხოვრობს.

ჩვენს დროში რამდენად შესაძლებელია ოჯახური ცხოვრების ამგვარი გაგება? დასავლეთშიც და რუსეთშიც ყოფითი პირობები, საზოგადო ებრივი ცხოვრება, სახელმწიფო მოწყობა, გაბატონებული წარმომადგენები ხშირად შეუთავსებელია ცხოვრების ქრისტიანულ გაგებასთან, ოჯახის

როლთან. ჩვენს დროში, უმეტეს შემთხვევაში, ორივე მშობელი მსახურობს, ადრეული ასაკიდან პავშები თითქმის მთელ დღეს ბაგა-ბაღა და საბაზ-შვე ბაღში ატარებენ. მერე იწყება სკოლა. ოჯახის წევრები ერთმანეთს მხოლოდ საღამოს სვდებიან, დაღლილები, გაღიზიანებულები, — მათ მთელი დღე თითქოს სხვადასხვა სამყაროში გაატარეს, სხვადასხვა გავლენას განიცდიდნენ, სხვადასხვა შთაბეჭდილებით იტვირთებოდნენ. შინ კი ყოფითი საზრუნავი ელით — საყიდლები, რიგები, სარეცხი, სამზარეულო, დალაგება, ხელსაქმე... გარდა ამისა, ყველა ოჯახში ავადმყოფობაცა და უბედური შემთხვევაც ხდება, ზოგჯერ არის სივიწროვესთან და სხვა ყოფით სიძნელეებთან დაკავშირებული პრობლემები. დიახ, ოჯახური ცხოვრება დღეს, ხშირ შემთხვევაში ნამდვილი გმირობაა.

კიდევ ერთი სირთულე — კონფლიქტი ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და სახელმწიფო იდეოლოგიას შორის. სკოლაში, ამხანაგების წრეში, ქუჩაში, უურნალ-გაზეთებში, წიგნებში, კინოში, რადიო და სატელევიზიო გადაცემებში მძლავრ ნაკადად მოედინება და ჩვენი ბავშვების გონიერას ავსებს იდეები, რომლებიც ცხოვრების ქრისტიანული გაგებისათვის უცხო და ხშირად, მტრულიც კია. ძალზე რთულია ამ ნაკადს წინ აღუდგე.

დღევანდელ დღეს თვით ოჯახშიც მშობლებს შორის სრულ ურთიერთგანებას იშვიათად თუ შეხვდები. ხშირად არ არსებობს თანხმობა, ცხოვრებისა და ბავშვების აღზრდის მიზნის ერთნაირი გაგება. და, მაში, როგორდა უნდა ვილაპარაკოთ ოჯახზე, როგორც „მცირე ეკლესიაზე“? შესაძლებელია კი, ის დღეს არსებობდეს?

მე მგონი, ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩავუფიქრდეთ იმის არსა, თუ რა არის „ეკლესია“: ეკლესია არასოდეს გულისხმობდა დალხინებას. ეკლესიის ისტორიაში ყოველთვის იყო განსაცდელი, საცთური, დაცემა, დევნა, განყოფა. ეკლესია მხოლოდ დევთისმოსავი ადამიანების კრებული არასოდეს ყოფილა. ქრისტეს უახლოესი თორმეტი მოციქულიც კი არ გახლდნენ უცოდველი მოსაგრენი, რომ არაფერი ვთქვათ მოღალატე იუდაზე. მოციქულმა პეტრემ განსაცდელის უამს თავის მოძღვარი უარყო, თქვა, რომ არ იცნობს მას. მოციქულები ერთმანეთში კამათობდნენ, რომელია მათ შორის პირველი, მოციქულმა თომამ არ დაიჯერა, იესო ქრისტე რომ აღდგა. მაგრამ სწორედ ამ მოციქულებმა დააფუძნეს ქრისტეს ეკლესია ამჟევუნად. ქრისტემ ისინი სათნოების, ჭკუა-გონების ანდა განათლების გამო კი არ გამოარჩია, არამედ მათი მზაობის გამო ყველაფერი დაეთმოთ, მას რომ გაჰყოლოდნენ და სული წმიდის მადლმა მათი ნაკლულოვანება შეავსო.

ოჯახი ყველაზე რთულ დროშიც კი „მცირე ეკლესია“, თუკი მასში რჩება სიკეთის, ჭეშმარიტების, მშიდობისა და სიყვარულისკენ, ანუ ლვთის-

კენ სწრაფვის თუნდაც ნაპერწკალი, თუკი არის რწმენის თუნდაც ერთი დამმოწმებელი, აღმსარებელი. ეკლესიის ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა ერთადერთი წმიდანი იცავდა ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტებას. ოჯახის ცხოვრებაშიც არის პერიოდები, როცა მხოლოდ ერთი რჩება ქრისტიანული რწმენის, ბავშვებისადმი ქრისტიანული დამოკიდებულების დამმოწმებელი და აღმსარებელი.

ნარსულს ჩაბარდა დრო, როცა შეიძლება გვქონოდა იმედი, რომ ეკლესიური ყოფა, ხალხური ცხოვრების ტრადიცია ბავშვებში რწმენისა და ღვთისმოსაობის აღზრდას შეძლებს. ჩვენ ვერ აღვადგენთ ცხოვრების საზოგადო ეკლესიურ წესს. მაგრამ სწორედ ახლა ჩვენ, მორწმუნე მშობლებს, გვაწევს მოვალეობა ჩვენს შვილებში პირადი, დამოუკიდებელი რწმენა აღვზარდოთ. თუკი ბავშვს თვითონ, თავისი სულითა და გონებით, თავისი ბავშვური განვითარების დონეზე, იცის და ესმის რისიც სწამს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს რწმენა მტრულ გარემოს დაუბირისპიროს.

შესაძლებელია თუ არა ეს ბავშვურ ასაკში? ბავშვებთან ჩემი მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, მგონია, ბავშვში რელიგიური განცდის აღზრდისათვის ოთხი გზა შეიძლება დავსახოთ:

1. განცდა და გაგება „წმიდანის“, „სიწმიდის“ – წმიდა საგნის, ჯვრის, ხატის, ტაძრის, ადამიანის, ყოველივე ღვთაებრივისა.

2. არ უნდა იყო ბოროტი, მთავარია იყო კეთილი, გიყვარდეს და გებრალებოდეს.

3. სამყაროში, ბუნებაში არსებობს წესრიგი, საზრისი, ყველაფერი რა-დაცისთვის კეთდება. ყველაფერი ღვთის განგებითაა მოწყობილი.

4. საინტერესოა თანდათანობით ახლის გაგება ცხოვრებაზე, ადამიანებზე, საგნებზე, ღმერთზე, კარგია, შეიმეცნო, რაც შეიმეცნება.

ჩვენს დროში მორწმუნე მშობლებმა ბავშვებს არა მარტო უნდა გააცნონ ის, რისიც სწამთ – მოუთხრონ სახარებისეულ მოვლენებზე, აუხსნან ლოცვები, ატარონ ტაძარში, როცა კი შესაძლებელია, – არამედ, აგრეთვე, განუვითარონ რელიგიური ცნობიერება. ბავშვებმა, რომლებიც ანტირელიგიურ სამყაროში იზრდებიან, უნდა იცოდნენ, თუ რა არის რელიგია, რას ნიშნავს იყო რელიგიური, მორწმუნე ადამიანი. მოვიყვან ერთ ადგილს პედაგოგისა და მორწმუნე მარლმადიდებლის, ე. ტროიანოვსკაიას ნაშრომიდან. მან ბავშვებს ნემსიყლაპიაზე მოუთხრო – აღწერს, თუ როგორ აღიქვეს ის, ვინც გვერდით ჩაუარა. ჭიაყელამ უბრალოდ ვერც კი შენიშნა, ჩიტმა მასში საკვები დაინახა, ბავშვმა – გართობის საშუალება, მხატვარ-

მა — სილამაზე, მეცნიერი დაფიქრდა მის აგებულებაზე. ბრძენება დაინახა ყველაფერი, რასაც სხვები ხედავდნენ, და კიდევ რაღაც. მან დაინახა შასში ღვთის ქმნილება და დაიწყო ფიქრი ღმერთზე. მაგრამ მერე კიდევ ერთმა, ყველაზე საოცარმა ადამიანმა ჩაუარა. ეს იყო წმიდანი. ნემსიყლაპიას სილამაზით მოიხიბლა და მის გულში კიდევ უფრო გაძლიერდა სიყვარული ყოვლადსახიერი ღვთის მიმართ, რომელმაც შექმნა ის. ლოცვა დაიწყო და მისი გული ნათლითა და სიყვარულით აღიგხო.

ასეთი მოთხრობები და საუბრები ბავშვებთან დაგვეხმარება განვუვითაროთ და განვუმტკიცოთ მათ რელიგიური ცნობიერება.

ჩვენ ვერ ვაიძულებთ ჩვენს შვილებს გარემომცველ სამყაროსთან რაიმე გმირულ დაპირისპირებაში ჩაებან. უნდა გვესმოდეს სირთულეები, რომლებსაც აწყდებიან, უნდა გავუგოთ, მაშინ როდესაც კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად იძულებულნი ხდებიან თავისი რწმენა დაფარონ. მაგრამ, ამავე დროს, მოწოდებულნი ვართ განვუვითაროთ იმ უმთავრესის გაგება, რაც უნდა შეინარჩუნონ და რისიც სჯერათ. მთავარია, დაგვეხმაროთ ბავშვეს გაიგოს: არაა აუცილებელი სიკეთეზე ლაპარაკი — უნდა იყო კეთილი! შეიძლება დამალო ჯვარი ან ხატი, მაგრამ არ შეიძლება დასცინო! ქრისტეზე სკოლაში შეიძლება არ ილაპარაკო, მაგრამ მნიშვნელოვანია, ცდილობდე, რაც შეიძლება მეტი გაიგო მასზე.

ეკლესიამ იცის დევნის პერიოდები, როცა უნდა დაეფარათ რწმენა, ზოგჯერ კი მის გამო ვნება მიეღოთ. ეს პერიოდები ეკლესიის ყველაზე დიდი ზრდის დრო გახლდათ. დაე, ეს აზრიც დაგვეხმაროს ჩვენი ოჯახის — მცირე ეკლესიის — აღმშენებლობაში!

„მარტო ჩვენოს“ ახსნა ბავშვებისათვის

ამას წინათ ერთ ახალგაზრდა ქალს ველაპარაკე, რომელიც ამერიკაში საპჭოთა კავშირიდან ჩამოვიდა. მშობლები კომუნისტები ჰყავდა, მორწმუნე ბებია ადრე გარდაცვალა. ბავშვები ოჯახში ისე იზრდებოდნენ, ღმერთზე სიტყვა არ გაუგიათ, ნარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ეკლესიაზე, ლოცვაზე ხატებზე. მაგრამ კომუნისტმა დედამ რატომლაც „მამაო ჩვენო“ ასწავლა. 18 წლის როცა შესრულდა, ის ახალგაზრდა ქალი თავისი ნებით მოინათლა, მორწმუნე გახდა. გამაოცა, რომ კომუნისტმა დედამ ამ ლოცვაში რაღაც იმდენად ძვირფასი იგრძნო, მოუნდა შვილებისათვის გადაეცა.

ქრისტიანი მშობლები, ჩვეულებრივ, საუფლო ლოცვის კითხვას ბავ-

შვებთან ერთად იწყებენ მანამ, სანამ ისინი მისი აზრის გაგებას შეძლებენ. ბავშვებს შეიძლება მოვუყვეთ: ერთხელ, როდესაც ქრისტემ დაპარულა, ლოცვა, მოწაფებმა სთხოვეს, ლოცვა გვასწავლეო. იესო ქრისტემ ამწავლა, ლოცვა, რომელსაც „საუფლო ლოცვას“ ვუწოდებთ – „მამაო ჩვენო“. პატარა ბავშვები თანდათანობით სწავლობენ მშობლებთან ერთად გაიმეორონ სიტყვები – შემდეგ ისინი მოისმენენ, თუ როგორ გალობენ ამ ლოცვას ტაძარში. სავსებით საკმარისია, თუკი ბავშვები გაიგებენ, რომ იესო ქრისტემ გვასწავლა, მამა ვუწოდოთ ღმერთს, მას ისე ვუყვარვარვართ, როგორც კეთილ მამას – შვილები. ნელ-ნელა შეიძლება ავუხსნათ გაუგებარი სიტყვები, როდესაც გვკითხავენ: რას ნიშნავს „სასუჯველი“, „პური ჩვენი არსობის“, „თანანადებინი“. მაგრამ როცა ბავშვები წამოიზრდებიან, სიტყვების უბრალო ახსნა აღარ იქნება საკმარისი. საუფლო ლოცვაში ჩაქსოვილია მთელი მსოფლმხედველობა, ღვთისადმი, ცხოვრებისადმი, ჩვენი საკუთარი თავისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება.

თუნდაც, პირველი სიტყვები ვნახოთ:

„მამო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ ბავშვების უმრავლესობას გაუგია, რომ ასტრონავტებმა, რომლებმაც კოსმოსში იფრინეს, იქ ღმერთი ვერ ნახეს. რას გულისხმობს სიტყვები „ცათა შინა?“ ნიშნავს თუ არა ეს, რომ თუ ჩვენ საკმარისად მაღლა ავფრინდებით ცაში, ღმერთს დავინახავთ? არა. ჩვენ ვიცით და გვწამს, რომ ღმერთი უხილავია. მისი დანახვა რომ შეიძლებოდეს, ღმერთის რწმენაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ ვერ ვიწოდებით ისეთ რაღაცას – ვთქვათ, სახლს ანდა ნებისმიერ ნივთს, – რასაც შეგვიძლია ხელი შევახოთ, დავინახოთ. მაგრამ შეიძლება გვჯეროდეს, რომ ვიღაცას ვუყვარვართ, ვენდობოდეთ ადამიანის გულწრფელობას, გვჯეროდეს სიკეთის. რისიც გვჯერა, ყოველთვის უხილავია, ამიტომ რწმენა თავისუფალია – შეგიძლია გვჯეროდეს და შეგიძლია, არა.

რწმენას ვერავის აიძულებ. და როდესაც ღმერთს ჩვენს ზეციურ მამას ვუწოდებთ, ამით გვსურს ვთქვათ, რომ გარდა ამ ჩვენი ხილული ფიზიკური სამყაროსი, არსებობს სხვა სამყარო – სულიერი, უხილავი. იგი ისევე რეალურია, როგორც ჩვენი გარემომცველი, ხილული სამყარო, სადაც მოქმდებენ და ჩვენზე გავლენას ახდენენ სულიერი ძალები – სიყვარული, სისარული, სინანული, სიბრალული, ერთგულება და მრავალი სხვა. საუფლო ლოცვის პირველი სიტყვებით ჩვენ ვამტკიცებთ გარემომცველი სულიერი სამყაროსა და ღვთის ჩვენეულ რწმენას – სახიერი, მოსიყვარულე, ყოვლადლიერი და უხილავი ღმერთის რწმენას.

როდესაც ნებისმიერ ენაზე ვეძებთ ხელმისაწვდომ ცნებას, ძნელია იპოვოს სულიერი სამყაროსთვის უფრო უკეთესი სიმბოლო, ვიდრე ცაა – უკიდუ

განო, უსასრულო, მშვენიერი და იდუმალი. ცა და კიდევ უფრო იდუმალი კოსმოსი გვიპიგებს ლოცვით მივმართოთ ღმერთს. იქსო ქრისტე ყოველი თვის ჩვენთვის გასაგებ ცნებებს იყენებდა: „ცას“, როდესაც სულიერ სამყაროზე საუბრობდა, „პურს“, როდესაც – ჩვენს ამქვეყნიურ საჭიროებაზე, „თანანადებს“, როდესაც – ჩვენს ურთიერთობებზე ადამიანებთან.

„ნშიდა იყვნო სახელი შენი...“ დაე, ჩვენს ცხოვრებაში ღვთის სახელი იდიდებოდეს. ხშირად ამ თხოვნას ბავშვებს უხსნიან, როგორც მოთხოვნას სიტყვა „ღმერთი“ წარმოთქვან მოწინებით, როგორც ღვთის სახელის ამაოდ ხსენების აკრძალვას. თუმცა, მგონია, უფრო სრული და გასაგები ახსნა იქნება, თუკი ბავშვებს ვეტყვით, რომ ჩვენ, ქრისტიანები, მოწოდებულნი ვართ ისე ვიცხოვროთ, ჩვენი ცხოვრებით იდიდებოდეს სახელი ღვთისა.

ამასვე უკავშირდება შემდეგი თხოვნა: „მოვედინ სუფევა შენი“ – რომელიც ბავშვებისთვის ხშირად გაუგებარია. ამ თხოვნაში, რასაკვირველია, არის ყველა ქრისტიანის იდუმალი სასოება ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ამქვეყნად სასუფევლის დამყარებისა. მაგრამ წმიდა მამების სწავლებით, ეს არის ლოცვა იმაზე, რომ უფალმა ყოველი ჩვენგანის გულში დაივანოს. მოციქული პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ბრძანებს „...არა არს სასუფევლი ღმრთისაი საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა“ (რომ. 14, 17). საუფლო ლოცვის ამ თხოვნის სწორედ ასეთი გაგებაა ბავშვებისათვის უფრო ახლობელი. მათ საკუთარი გამოცდილებით იციან სიხარულის, მშვიდობისა და სიყვარულის მდგომარეობა, რამეთუ მათზე ბრძანა იქსო ქრისტემ, „უგევითართაი არს სასუფევლი ცათაი“ (მათე 19, 14).

შემდეგი თხოვნა „იყვნო ნება შენი“ – ძალზე მნიშვნელოვანია ცხოვრებისადმი ქრისტიანული დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად. ბავშვები, და არა მხოლოდ ბავშვები, ხშირად მიმართავენ ღმერთს, ეხვენებიან ესა თუ ის კონკრეტული თხოვნა შეუსრულოს, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო. უნარი – შეიმეცნო, რომ ცხოვრებაში საკუთარი შემთხვევითი სურვილების კი არა, არამედ ღვთის უზენაესი ნების, ჩვენს შესახებ მისი განგებულების განხორციელებას უნდა ესწრაფოდე – ცხოვრებისადმი ქრისტიანული დამოკიდებულების საფუძველია. ბავშვებს ხშირად მოვუთხოვობდი ხოლმე ეპიზოდს ორი წმიდა მეუდაბნოე ბერის ცხოვრებიდან. ერთხელ ერთმანეთში მოილაპარაკეს, რომ თავიანთი სენაკების წინ თითო პალმას დარგავდნენ, გაუსაძლის სიცხეში ჩრდილი რომ პქონოდათ. მართალაც, ორივემ დარგო. რალაც ხნის შემდეგ შეხვდნენ და ერთი მეორეს ეუბნება: „ძმაო, ღმერთს ვევედრები, ჩემს პალმას დააწვიმოს, და ყოველ ჯერზე მართლაც აწვიმს, ვევედრები, მზიანი დღე დაუყენოს და მართლაც ასე ხდება. მაგრამ

შენი პალმა მაინც უფრო კარგად იზრდება. მითხარი, როგორ ლოცულობ მისთვის?“ წმიდა მამამ უპასუა: „ძმაო, მე უბრალოდ ვლოცულობ: ღმერთო, ისე განაგე, რომ ჩემი პალმა გაიზარდოს. და უფალიც უგზავნის მას წვიმას და მზის შუქს მაშინ, როცა სჭირდება“.

შედარებით უფროსი ასაყის ბავშვებს უნდა ავუხსნათ, რომ თხოვნა „იყავნ ნება შენი“ – გულისხმობს არა მხოლოდ ღვთის ნების მიღების უნარს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი განხორციელების სურვილსა და სწრაფვას.

თხოვნა „არსობის პურის“ თაობაზე გვასწავლის, არ ვიღელვოთ ჩვენი მრავალი საჭიროების გამო. იმის გამო, რაც მხოლოდ გერჩევნება საჭიროებად. საკუთარი მაგალითთაც და ბავშვებთან საუბრითაც უნდა ვასწავლოთ, გაარკვიონ, თუ რა გვჭირდება ცხოვრებაში მართლა როგორც, „პური ჩვენი არსობისა“ და რომელი სურვილია დროებითი და არაარსებითი.

„მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“ – როდესაც ვცოდავთ, ღვთის წინაშე დამნაშავენი ვართ. და თუკი ვინანიებთ, ღმერთი მოგვიტევებს ცოდვებს, როგორც მამამ აპატია სახლიდან წასულ უძღებ შვილს. მაგრამ ადამიანები ხშირად უსამართლოდ ექცევიან ერთმანეთს, ჩაგრავენ, და ყოველი ელოდება, რომ მეორე გახდება უფრო სამართლიანი. ხშირად ჩვენ არ გვინდა ვაპატიოთ ადამიანს მისი ნაკლი, საუფლო ლოცვის ამ სიტყვებით ღმერთი გვასწავლის სხვათა ცოდვათა და ნაკლთა შენდობას იმდენად, რამდენადაც გვსურს, ღმერთმაც ჩვენი საკუთარი ცოდვები მოგვიტევოს.

და ბოლო თხოვნა, „ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსნე ჩუენ ბოროტისაგან“, ბავშვის წინაშე აყენებს ბოროტების, საცთურის, ბოროტთან ბრძოლის საკითხს, რომელიც ყოველი ჩვენგანის სულში ხდება. ადამიანში სიკეთესა და ბოროტებაზე ქრისტიანული წარმოდგენა რომ ჩამოვაყალიბოთ, არ არის საკმარისი უბრალოდ ავუხსნათ „მამაო ჩვენოს“ სიტყვები. წმიდა წერილში ვხედავთ მრავალ მოთხოვბას, შეგონებას, იგავს, რომელიც გვეხმარება თანდათანობით გავიგოთ: სამყაროში არსებობს ბოროტება, ბოროტი ძალა, რომელიც ღვთის კეთილ განზრაბულებას ეწინააღმდეგება. ეს ბოროტი ძალა მუდმივად ცდილობს ჩვენს გადაბირჟბას, დამორჩილებას, „გვაცდუნებს“. ამიტომ ხშირად გვიჩნდება სურვილი, გავაკეთოთ რაღაც ცუდი, თუმც კი ვიცით, რომ ცუდია. ღვთის შენევნის გარეშე საცოტურს ვერ გავუძლებდით, ამიტომაც ვთხოვთ ღმერთს დახმარებას, ბოროტ ზრახვებს რომ არ ავყვეთ.

ზნეობის ქრისტიანული აღზრდა დაიყვანება ადამიანში იმ უნარის განვითარებაზე, რომ გააცნობიეროს თავის თავში ცუდი – საკუთარი უვარგი-

სობა. გაარჩიოს თავისი ბოროტი განზრახვები და სურვილები, ქმედებები და გრძნობები, განიცადოს, თუკი ცუდი რაღაც გაიფიქრა ანდრა გააკეთა; ანუ მოინანიოს. ხოლო როცა შეინანებს, ახსოვდეს, ღმერთი ყოველთვის შეუნდობს მონანულს, ყოველთვის სიხარულით მიეგებება, გაიხარებს, როგორც მამას უხარია სახარებისულ იგავში უძლები შვილის დაბრუნება. ქრისტიანობაში სასოწარკვეთას ადგილი არა აქვს.

ბავშვებისათვის საუკლესიო ლოცვის სრულება

უნდა ისწავლონ თუ არა ბავშვებმა ლოცვები ზეპირად? ლოცვა ხომ ჩვენი მიმართვა ლვთისადმი, ჩვენი საუბარია ღმერთთან. განა შესაძლებელია სულის უშუალო მოძრაობა სიტყვების დაზეპირებას დავუკავშიროთ, თანაც ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ბავშვისთვის ზოგჯერ გაუგებარია?

რასაკვირველია, ვერაფერი შეცვლის ლვთისადმი პირადულ, უშუალო მიმართვას, ღმერთთან ჩვენი სულის აღსვლას – სიხარულში, სატანჯველში, თხოვნაში, მადლიერებაში. ასეთი ლოცვა სულიერი შთაგონების ნაყოფს წარმოადგენს. მაგრამ ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ვიცით, რომ ვერც ერთი ნიჭი, ვერავითარი ხელოვნება ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება მხოლოდ შთაგონების ძალით. საჭიროა შრომაც, სწავლაც, მოთმინებაც, ძალისხმევაც და ვარჯიშიც. ეს, ჩემი აზრით, ლოცვასაც ეხება. მნიშვნელოვანია განვავითაროთ ლოცვის ჩვევა, გულისყური, უნარი, გავიგოთ, რაზე შეიძლება ვილოცოთ და როგორ უნდა ვლოცულობდეთ. მრავალი საუკუნის წინათ, ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დროს, წმიდანები მიმართავდნენ ღმერთს და სულიერი გამოცდილების ეს საგანძური ჩვენთვის გახსნილია საეკლესიო ლოცვებში. მათ ლოცებს შეუძლია გვასწავლოს ლოცვა, მოგვცეს შთაგონება, როცა ჩვენი სული გახევებულია და უგრძნობელი. როდესაც ამ ლოცვების სიტყვებით ვლოცულობთ, თითქოს ვვარჯიშობთ ლოცვაში. ეს საჭიროა და სასარგებლო ჩვენი სულიერი განვითარებისათვის.

როგორც ნებისმიერი სხვა ვარჯიში, ბავშვების მიერ ლოცვების სწავლაც მათ ძალებს უნდა შეესაბამებოდეს – სულიერსა და გონებრივს. ჩემს ბავშვობაში დაზეპირება ნებისმიერი სწავლების საფუძველი გახლდათ. მახსოვს, როდესაც მე და ჩემი ძმა 9-10 წლისანი ვიყავით, დაგვავალეს ზეპირად გვესწავლა ნეტარების მცნებები და ჩვენ მოვიფიქრეთ მათი დასწავლა ტახტზე რიტმული სტუნვის ტაქტში: „ნუტარ-არი-ან გლა-ხა-კნი სუ-ლი-

თა...“ საეჭვოა, მაშინ ჩვენს გულებს შეხებოდა „მთასა ზედა ქადაგების“ უფრმესი აზრი... ”

ჩვილობის ასაკში ბავშვებს არ ესმით ლოცვების შინაარსი – ჩვილის თვის საკმარისია ესმოდეს სიტყვები, რომლებსაც უფროსები მონიშნებით წარმოთქვამენ. პირჯვრის გამოსახვაც ჩვილისთვის თითქოსდა თამაშია, – მსგავსად დანარჩენი ყველაფრისა, რის კეთებასაც სწავლობს. ასაკის მატებასთან ერთად იგი ეწვევა გაიმეოროს პირველი „ფორმალური“, თუკი შეიძლება ასე ითქვას, ლოცვითი სიტყვები: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

მგონია, რომ ამ სიტყვებს ბავშვები 3-4 წლის ასაკზე ადრე არ უფიქრდებიან, და ჩვენ, მშობლებმა, ბავშვის განვითარების დონიდან გამომდინარე გასაგები ახსნა უნდა მივაწოდოთ. პასუხითუ განმარტება უფრო უკეთა აღიქმება, როცა სახიერია, თვალსასჩინო. ასე მაგალითად, წმიდა კირილესა და მეთოდეს ცხოვრებაში სამება შედარებულია მზესთან. ჩვენ ვჭედავთ მზის დისკოს, ვგრძნობთ მის სითბოს, გარემოცულნი ვართ მზის სინათლით, მაგრამ მზე ერთია. ნეტარი ავგუსტინეს ცხოვრებაში მოთხრობილია: ერთხელ წმიდა სამების საიდუმლოზე დაფიქრობულმა, ზღვის პირას პატარა ბიჭი დაინახა, ქვიშაში ორმოს რომ თხრიდა. „რას აკეთებ?“ – ჰყითხა ნეტარმა ავგუსტინემ. ბიჭუნამ უპასუხა: „მინდა ამ ორმოში მთელი ზღვა გადმოვასხა.“ წმიდანმა ამ სიტყვებში მითითება დაინახა – ადამიანის შეზღუდულმა გონებამ შეუძლებელია წმიდა სამების საიდუმლო დაიტიოს.

შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებს შეიძლება ცოტა უფრო რთული ახსნა შევთავაზოთ: ღმერთი სიყვარულია. სიყვარული არასოდეს არის მარტო, სიყვარული ყოველთვის ერთს მეორესთან აკავშირებს. და თუკი წარმოვიდგენ ყველაზე სრულყოფილ სიყვარულს – გაცილებით უფრო მაღალს, ძლიერს, წმიდას, ვიდრე შეიძლება ადამიანის სიყვარული იყოს, – ეს დაგვეხმარება გავიგოთ წმიდა სამების ერთობა. მამა-ღმერთი ყოველი-ვეს შემოქმედია; ძე-ღმერთი სიტყვაა ღვთისა, ადამიანებისადმი მიმართული; სულინმიდა-ღმერთი ყველაფრის განმაცხოველებელია. თავის სრულყოფილ სიყვარულში – ერთი ღმერთია.

მე მგონი, საეკლესიო ლოცვებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვებმა იცოდნენ და ესმოდეთ საუფლო ლოცვა – „მამაო ჩვენო“, ლოცვა სულინმიდის მიმართ – „მეუფეო ზეცათაო“, და ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ – „გიხაროდენ, მიმადლებულო“. ამ სამ ლოცვაში ქრისტანული მართლმადიდებელი სარწმუნოების არსია ჩაქსოვილი.

ღმერთის, ზეციური მამის მიმართ ლოცვა, რომელიც იქსა ქრისტემ გვასწავლა, გვეუბნება, როგორ ვიცხოვროთ ღმერთთან და ღმერთში.

ლოცვაში „მეუფეო ზეცათაო“ ჩვენ მივმართავთ სულინმიდას, რომელ ლიც ღვთის ყველა ქმნილებას ძალას ანიჭებს.

როდესაც ღვთისმშობელის მიმართ ვლოცულობთ, ჩვენ ვსწავლობთ ადამიანის ცხოვრების უმაღლესი აზრის გაგებას, თაყვანს ვცემთ მას, ვინც თავისი სიწმიდისა და სიმდაბლის გამო ღირს იქნა უფლის ამქვეყნიური დედა გამზდარიყ.

ბავშვებს ლოცვა თანდათანობით უნდა ვასწავლოთ, ავუხსნათ ყოველი თხოვნა, მათთან ერთად ჩავიკითხოთ მთელი ლოცვა, მათთან ერთად ვიღლოოთ, სანამ პატარები არ დაისწავლიან. აი, საუფლო ლოცვის მარტივი ახსნა.

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, ნმიდა იყავნ სახელი შენი“ – ჩვენო ზეციურო მამო, დაე, ყველა გადიდებდეს და უყვარდე. დაგეხმარე ისე ვიცხოვროთ, რომ სახელი ღვთისა ამქვეყნად ჩვენი ცხოვრებით იდიდებოდეს.

„მოვედინ სუფევა შენი“ – დაე, დამკვიდრდეს შენი მეუფება, შენი ხელმინიფება ჩემს გულში და ყველა ადამიანის გულში.

„იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ – დაე, ისე კი არ იყოს, როგორც მე მინდა, არამედ ისე, როგორც შენ გსურს. დაე, ადამიანებმა დედამიწაზე აკეთონ ის, რაც შენ გნებავს ისეთივე სიხარულითა და ხალისით, როგორც ანგელოსები აკეთებენ ზეცაში.

„პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“ – მოგვეცი ყველაფერი, რაც გვჭირდება ცხოვრებაში.

„და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითრცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“ – გვაპატიე ყველაფერი, რაც შენს წინანშე დავაშავეთ ისევე, როგორც ჩვენ ვპატიობთ იმათ, ვინც ჩვენს წინაშეა დამნაშავე.

„და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან“ – ნუ დაუშვებ, ჩვენს უკეთურ ზრახვებს რომ ავყვეთ და გვიხსნი ყველა ბოროტი ძალისაგან.

როდესაც ვესაუბრებით ლოცვაზე „მეუფეო ზეცათაო“, მნიშვნელოვანია ვუთხრათ ბავშვებს, როგორც იესო ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეებს უკანას კველი საუბრისას, ვნების წინ, რომ შეევედრება მამას და ღმერთი გამოგზავნის ნუგეშინისმცემელს, სულს ჭეშმარიტებისა, რომელიც მარადიულად მათთან იქნება, რომელიც მამისაგან გამოვალს და დაამოწმებს იესო ქრისტეზე (იოანე 14, 16-17; 15,26).

ეს ლოცვა ასე ყლერს: „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, ხულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ



მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხრვრუბასაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბრისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი“:

ამ ლოცვის ასსნას კარგი იქნება, თუ დაუუმატებთ თხრობას წმიდა წერილიდან. ძველი აღთქმის პირველ თავში ნათქვამია, რომ შესაქმისას „ქვეყანაი იყო უხილავ და განუმზიადებელ და ბევრი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისაი იქცეოდა ზედა წყალთა“ (2). მეორე თავში კი – „შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმან ქვეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაი და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“ (7). სახარებაში მოთხოვობილია სული წმიდის გამოცხადებაზე იესო ქრისტეს ნათლისლებისას, საქმე მოციქულთაში კი – რომ სული წმიდა მოციქულებზე გარდამოვიდა. ამ მოთხოვობათა შუქზე, „სული წმიდის ლოცვა“ პავლებისთვის უფრო გასაგები და მახლობელი ხდება.

მესამე ლოცვა, რომელიც, ჩემი აზრით, ბავშვებს უნდა შეგასწავლით – ეს არის ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ. იგი ეფუძნება სახარების ეულ თხრობას იმის შესახებ, რომ ქალწულ მარიამს ეუწყა, იესო ქრისტეს დედა გახდებოდა.

„და თუესა მეექუსესა მოივლინა გაპრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილეისა, რომლისაი სახელი ნაზარეთ, ქალწულისა, თხოვილისა ქმრისა, რომლისაი სახელი იოსებ, სახლისაგან და ტომისა და ვითისა, და სახელი ქალწულისაი მის მარიამ. და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა; კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის. ხოლო მან რაი იხილა, შეძრნ უნდა სიტყუა ასა მას მისსა ზედა და განიზრახვიდა: ვითარ-მე არს მოკითხვაი ესე? და ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აპა ესერა შენ მუცლადილო და ჰშვე ძე და უწიდი სახელი მისი იესო. ესე იყოს დიდ და ძე მაღლისა ეწოდოს... ჰრქუა მარიამ ამ ანგელოზსა მას: ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი? მიუვო ანგელოზმან მან და ჰრქუა მას: სული წმიდაი მოვიდეს შენ ზედა... ჰრქუა მას მარიამ: აპა მხევალი უფლისაი; მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა!“ (ლუკ 1, 26-38).

ჩვილის მოლოდინში მარიამი გაემგზავრა თავისი ნათესავის, ელისაბედის მოსანახულებლად, რომელიც იმ დროს თავისი ძის, იოანე მახარებელის დაბადებას ეღლოდა. როცა ელისაბედმა მარიამი დაინახა, ასე მიეგება: „**უკუთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა**“: ამ მიმართვებიდანაა შედგენილი ლოცვა, რომლითაც ღვთისმშობელს მიტართავთ.

„ლვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულარს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“

ამ ლოცვის გაგებაში გვეხმარება სახარებისული ყველა მოთხოვბა ლვთისმშობლის შესახებ – ქრისტეს შობაზე, ეგვიპტეში ლტოლვაზე, პირველ სასწაულზე ქორწილისას გალილეის კანაში, ლვთისმშობელზე, უფლის ჯვარცმასთან რომ დგას, იმაზე, რომ იქსომ თავის საყვარელ მოწაფეს, იოანეს, მიანდო მასზე ზრუნვა.

თუკი ჩვენს ბავშვებს ამ სამი ლოცვის არსას გავაგებინებთ, ეს ქრისტიანული მართლმადიდებელი რწმენის მყარი საფუძველი გახდება.


როგორ ავეხსნათ ბავშვებს რეილა ზიარების საიდუმლო

მხოლოდ მართლმადიდებლობაში აზიარებენ ჩვილებს მათი მონათვლისა და მირონცხების მომენტიდან. კათოლიკეებში, ლუთერანებსა და ანგლიკანებში „კონფირმაცია“ – მირონცხების საიდუმლო – მოგვიანებით ხდება, როდესაც ბავშვები გონიერ ასაკს მიაღწევენ. მოზარდები მხოლოდ „კონფირმაციის“ მერე ხდებიან ეკლესიის წევრები და იღებენ ზიარების უფლებას.

მართლმადიდებელ ეკლესიაში მირონცხების საიდუმლო მონათვლას-თან ერთად ხდება, ამიტომ ჩვილებს თავიდანვე აზიარებენ. შვიდი წლიდან კი ბავშვები აღსარებასაც აბარებენ.

მართლმადიდებლობაში ჩიარების პრაქტიკა აიხსნება იმ დამოკიდებულებით, რომელიც ქრისტემ გვაჩვენა: „და მოჰვერიდეს მას ყრმებსა, რაითა ხელი დასდგას მათ; ხოლო მოზაფენი აყენებდეს მათ, რომელნი-იგი მოჰვერიდეს. ვითარცა იხილა იქსო, შეპრისხნა მათ და პრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგათ მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგვითართაი არს სასუფეველი ცათაი. ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ რომელმან არა შეინწყაროს სასუფეველი ღმრთისაი, ვითარცა ყრმაი, ვერ შევიდეს მას. და შეიტკბობდა მათ და დაასხმიდა მათ ზედა ხელთა და აკურთხევდა მათ“ (მარკ. 10, 13-16).

იქსო ქრისტემ გვიჩვენა, რომ ფიზიკური ურთიერთობა, ფიზიკური სიახლოვე მასთან ისეთივე რეალურია, როგორც ინტელექტუალური ან სულიერი ურთიერთობა და ის, რომ ჩვილებს არ ესმით „ჭეშმარიტებანი



ღმერთზე, “ხელს არ უშლის მათს ნამდვილ სიახლოვეს ღმერთთან.

საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებელ დედაბეჭინების ტაძრები მიჰყადათ და აზიარებდნენ, და არავინ ბრკოლდებოდა იმის გამო, რომ იქ ჩივილთა ტირილი და ჭყაპინი ისმოდა...

შემდეგ დგება მომენტი, დაახლოებით ორი წლის ასაკში, როცა ბავშვებს, განსაკუთრებით, თუკი ის ზიარებას არაა ჩვეული, უნდა ავუხსნათ, რა არის ზიარება და როგორ უნდა მიიღოს წმიდა საიდუმლო. მე მგონი, ამ შემთხვევაში მეტისმეტი ტვინის ჭყლეტა საჭირო არაა, საკმარისია ვუთხრათ: „აი, მამაო წმიდა პურს მოგცემს, გემრიელს...“ ანდა „მამაო ზიარებას მოგცემს – წმიდას, კარგს, გემრიელს...“ ნელ-ნელა, მაზიარებელი ბავშვის მიმართ უფროსების დამოკიდებულებიდან გამომდინარე – როგორ ულოცავენ, აქუბენ, კოცნიან, ეფერებიან, იმ დღეს საგანგებოდ ლამაზად გამოაწყობენ, – ბავშვი ხვდება, რომ ზიარება სასიხარულო, საზეიმო, წმიდა მოვლენაა.

ჩვილი, რომელიც არასოდეს ზიარებულა, ბარძიმთან ზოგჯერ ფრთხე-
ბა, ჯიუტდება, შესაძლოა, წამლის მიღების არასასიამოვნო პროცედურა
ახსენდება. ამ შემთხვევაში, მე მგონი, ძალა არ უნდა დავატანოთ, უმჯობე-
სი იქნება, თუკი ჯერ შეხდავს, სხვა ბავშვები როგორ ეზიარებიან, მივცეთ
სეფისკვერის ნაწილი, ჯვარზე მთხვევისას მოძღვართან მივიყვანოთ, ვუთ-
ხრათ, რომ შემდეგ კვირას აზიარებენ.

სამი-ოთხი წლის ასაკში შეიძლება და კიდეც უნდა აცუქსნათ ბავშვს ზიარების არსი. შეიძლება მოვუყვეთ იესო ქრისტეს, მისი შობის შესახებ, როგორ კურნავდა სწრულებს, აპურებდა მშივრებს, ეფერებოდა პატარა ბავშვებს... და, აი, როცა მან შეიტყო, მალე მოკვდებოდა, მოინდომა უკანასკნელად შეეკრიბა თავისი მეგობარ-მოწაფები, ევახშმა მათთან ერთად. როცა სუფრას მიუსხდნენ, აიღო პური, გაუყო, მიაწოდა და უთხრა, ეს პური მე ვარ და როდესაც მას მიიღებთ, მეც თქვენთან ვიქნებიო. მერე აიღო თასი ღვინით და უთხრა, ეს ღვინო მე ვარ და მას როდესაც დალევთ, თქვენთან ვიქნებიო. აი, ასე აზიარა იესო ქრისტემ პირველად ადამიანები, თან დაუბარა, რომ ყველა, მისაკი იგი უყვარს, ასევე ეზიარებოდეს.

მარტივი ახსნით უნდა დავიწყოთ, მოზრდილ ბავშვებს კი საიდუმლო სერობის შესახებ უფრო დეტალურად შეიძლება მოვუთხროთ, სახარები-სეული ტექსტის მიხედვით. ნირვისას ბავშვებს ესმით სიტყვები: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი მისატევებელად ცოდვათა“ და „სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახალი აღ-თქმისაი, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა.“ ბავ-შვები ამისთვისაც უნდა შევმზადოთ. მაგრამ როცა ვამარტივებთ სახარე-ბისეულ ტექსტს, მთავარია, შინაარსი არ დამახინჯდეს.

ბავშვების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია არა მარტო ბუჟუსწინათხა სარეპისეული მოვლენები, რომელიც დაკავშირებულია წმიდა ზიგირებულის საიდუმლო, არამედ ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის დღეს. წირვისას ვწირავთ ჩვენს ძლვენს, ღვინოსა და პურს. პური და ღვინო – ეს ჩვენი საკვები და სასმელია. საჭმელ-სასმელის გარეშე ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღმერთს მადლიერების ნიშნად თვით ჩვენ სიცოცხლეს ვწირავთ. ამ დროს ჩვენ მარტონი არა ვართ, ჩვენთან ერთად და ჩვენთვის სიცოცხლეს გაიღებს თავად იესო ქრისტე. როდესაც ბავშვებს ავუხსნით ზიარების საიდუმლოს, შეიძლება ვუთხრათ, თუ როგორ ამზადებს ჩვენს ძლვენს მოძღვარი: სეფისკვერიდან ამოჭრის ნაწილებს: ერთ ნაწილს, „კრავს“ – საზიარებლად, მეორეს – ღვთისმშობლის სახელზე, ნაწილებს ყველა წმიდანის საპატიოცემულოდ, ასევე, ყველა გარდაცვლილისა და ცოცხალის სახელზე, ვისზეც შესთხოვენ ილოცოს. ბავშვებს უნდა ვუთხრათ, მიაქციონ ყურადღება, როგორ საზეიმოდ გადააპრანებენ ძლვენს ტრაპეზზე, „რომელი ქრისტიანი“ გალობით. ძლვენის მირთმევა – ნიშნავს მადლიერების გამოხატვას და თვით ლიტურგიის აზრი – ესაა ჩვენი მადლიერება ღვთის წინაშე იმისთვის, რომ გვაჩუქა სიცოცხლე, მოგვცა ეს სამყარო, რომ ღმერთი იესო ქრისტე გახდა კაცი, შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, იტვირთა ჩვენი ცოდვები და სატანჯველი. ამიტომ ლიტურგიის საიდუმლოს აგრეთვე „ევქარისტია“ ეწოდება – ბერძნულად, „მადლიერება“. წირვის არსის გაგება ღრმავდება, როცა ჩვენ ვუკვირდებით ყოველ ასამაღლებელს, ღვთისმსახურების ყოველ მოქმედებას, ყოველ საგალობელს. ეს საუკეთესო სკოლაა, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება და მშობლების ამოცანაა – განუვითარონ ბავშვებს ინტერესი იმის მიმართ, რასაც ხედავენ და რაც ესმით ტაძარში.

ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა – ვასწავლოთ ბავშვებს, როგორ მიუდგნენ წმიდა ზიარების საიდუმლოს. რასაკვირველია, არსებითი მუორეხარისხოვანისგან უნდა განვახსვავოთ. ტაძარში ქცევის წესები გარკვეულწილად ჩვენი ცხოვრების პირობებითავა განსაზღვრული. ჩვილების შემთხვევაში არავითარი წესები არ მოქმედებს, მაგრამ შვიდი წლის ასაკიდან მართლმადიდებელ ეკლესიაში ზიარების წინ დადგენილია აღსარების ჩაბარება, მარხვის შენახვა, ანუ ბავშვმა დილით წირვამდე საკვები და სასმელი არ უნდა მიიღოს. დაქსწროს საღამოს ლოცვას და ზიარების წინ ზოგიერთი ლოცვა მაინც წაიკითხოს. ჩვეულებრივ, მოძღვარი გვასწავლის წესებს, რომლებიც უნდა დავიცვათ.

ჩვენ, მშობლებმა, უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, როგორ მიეახლონ წმიდა ზიარებას: მკერდზე ხელები ჯვარედინად დაიწყონ, ბარძიმთან როცა

მივლენ, პირჯვარი აღარ გადაიწერონ, შემთხვევით ბარძიმს ხელი რომ არ ჰყრან. მოძღვარს სახელი უნდა უთხრან. ზიარების შემდეგ სეზის გვერის ნაწილს და ცოტაოდენ წყალგარეულ ღვინოს გვაძლევენ. ეს ყველაფერი გარეგნული წესებია და წმიდა საიდუმლოს არსა და მნიშვნელობაში არ უნდა აგვერიოს, თუმცა ტაძარში ქცევის ტრადიციულად ჩამოყალიბებულ წესსაც თავისი მნიშვნელობა აქვს. ბავშვებისათვის მნიშვნელოვანია იგრძნონ, რომ საზეიმო მომენტში მათ შესწევთ ძალა თავი დაიჭირონ, როგორც დიდებმა.

„მე ვუძღვი თავს ქრისტეს და ქრისტე შემოდის ჩემში“. მისი ცხოვრება ჩემში, აი, რა არის წმიდა ზიარების საიდუმლო, და სწორედ ამაში იხსნება ჩვენი ცხოვრების საზრისი და მიზანი.

რწმენისა და ცრურწმენის შესახებ

ამას წინათ ერთ ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს ვესაუბრე – რუსული წარმომავლობის მართლმადიდებელ ამერიკელს, რომელმაც რუსეთში იმოგზაურა. როდესაც შთაპეჭდილებებზე მიყვებოდა, შენიშნა, – წრფელი მორწმუნების გვერდით ცრუმორწმუნების არაერთი მაგალითი ვნახეო. ეს არა მარტო ყოფით ცხოვრებაში შეიმჩნევაო, როცა, ვთქვათ, ცდილობენ ზღურბლზე ერთმანეთს ხელი არ ჩამოართვან ანდა ფრთხებიან, როცა შავი კატი გზას გადაუჭრის. ცრურწმენა რელიგიურ ცხოვრებაშიც აღწევსო – შეასრულე ამდენი და ამდენი მეტანია, წაიკითხე ამდენი და ამდენი რომელიდაც ლოცვა, მოილოცე რომელიდაც წმიდა ადგილი და სურვილი აგის-რულდება. ლოცვა, წმიდანების თაყვანისცემა, ხატის წინაშე ლოცვა ზოგ-ჯერ აღიქმება, როგორც რაღაც მაგია თუ ჯადოქრობა.

ქრისტიანობა რუსეთში ყოველთვის ხალხის, და არა მხოლოდ მისი ინტელექტუალური ზედაფენის სარწმუნოება გახლდათ. რწმენის დოგმატები ხალხური მხატვრული შემოქმედების ფორმას იღებდა. ამ ტრანსფორმაციისას ზოგჯერ სარწმუნოების დამახინჯება ხდებოდა, თუმცა ხშირად ხალხური შემოქმედება ზღაპრებში, გადმოცემებსა და ბილინებში ხალხისათვის მართლაც უფრო მისაწვდომი ფორმით გადმოსცემდა წარმოდგენას ღმერთზე, ვიდრე საღვთისმეტყველო შრომები... რამდენად ნიშანდობლივია ხალხური თქმულება წმიდა ნიკოლოზზე, რომელსაც ღმერთმა კასიანე რომაელთან ერთად უხმო, მაგრამ მისვლა დააგვიანა, რადგან გლეხკაცს ტალახიდან ურმის ამოთრევაში ეხმარებოდა. ზღაპარი ხსნის,

რატომაა ნმიდა ნიკოლოზის ხსენება დაწესებული წელიწადში ორჯერ – 6 დეკემბერსა და 9 მაისს, ლირსი კასიანესი კი ოთხ წელიწადში ერთხელ – 29 თებერვალს.

ანდრეი სინიავსკის შევენიერ წიგნში „უცაბედი აზრები“ მოყვანილია მოთხოვის: „აბანოდან ახალგამოსული დედაბერი სახლში ისვენებს. ვა-უშვილს უნდა ფეხებზე ბრჭყალებივით წამოზრდილი ფრჩხილები და-აჭრას, მაგრამ ის ეტყვის – რას აკეთებ, კოსტია! მაღლ მოვკვდები და, აბა, ფრჩხილები თუ არ მექნება, მთაზე დმერთან როგორ ავძვრები? დიდი გზა მაქვს ასავლელი... დედაბერს, ალბათ, არ დავიწყებია, რომ სხეული დალპება, მაგრამ მისი წარმოდგენა სასუფეველ ზე ლამისა ხელშესახ-ბად რეალურია. თავის უკვდავ სულს იგი რეალურად აღიქვამს – ფრჩხი-ლებიანად, გრძელ პერანგში, ფეხშიშველი დედაბერის სახით. მსგავსი დარწმუნება ჩვენს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ განსჯას ხშირად აკ-ლია, სადაც ყველაფერი იმდენად სპირიტუალურადაა წარმოდგენილი, რომ უკვე გაუგებარია, მართლა არსებობს უფალი თუ მხოლოდ ჩვენი ჰუმანური მიდრეკილებების სიმბოლოა.“

მიუხედავად სინიავსკის მიერ გამოთქმული მოსაზრების მართებუ-ლობისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ცრურწმენები შეიძლება სახიფათო იყოს, განსაკუთრებით, როცა რელიგიურ ცხოვრებაში აღწევს და სულიერად გვპოტავს, როცა რწმენის არსი გარეგნული, უაზრო ნიშნებით იცვლება. ეს განსაკუთრებით უნდა გვესმოდეს ჩვენ, მშობლებს, ვინც ვცდილობთ ჩვენს შვილებში მტკიცე, გონიერი რწმენა ჩამოვაყალიბოთ.

ცრურწმენები რუსული მართლმადიდებლობის ისტორიაში ყოველ-თვის არსებობდა, მაგრამ თან ხალხის სულიერ ცხოვრებაში რელიგიური განათლების პროცესი მიმდინარეობდა, ფასეულობათა იერარქიული სის-ტება ყალიბდებოდა. იყო ისიც, რასაც ჩვეულების გამო აკეთებდნენ, რად-გან ეს სამხიარულო და საინტერესო გახლდათ. თუმცა შენარჩუნებული იყო ჩვენი სარწმუნოების საფუძველი და არსი: რწმენა, სიყვარული, მოვა-ლეობა, სიმდაბლე, მოთმინება. მახსოვს, ბავშვობაში, ჯერ კიდევ სოფელ-ში, როგორ ვიდებდი ბალიშის ქვეშ ივანე კუპალას დამით (წარმართული სლავური დღესასწაული) თორმეტ ბალას, მომავალი საქმრო რომ მენახა სიზმარში, მახსოვს, რა სახალისო იყო საახალწლო მკითხაობა. ეს თამაში გახლდათ, სამხიარულო იყო თავის ისე დაჭრა, თითქოს ამ ყველაფრისა გვჯერდა, მაგრამ ამის გამო წარმართები არ გავმხდარვართ. გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ გულმოდგინებას, რომლითაც ვწების ოთხშაბათს შინ მოგვქონდა სანთელი 12 სახარების კითხვის მერე, ვანთებდით კანდელს და აღდგომამდე ვუფრთხილდებოდით, რომ არ ჩამ-

ქრალიყო. ხომ არ იყო ესეც, გარკვეული აზრით, ცრურწმენის მსგავსი ჩვეულება? შესაძლოა, მაგრამ მისი მეშვეობით ჩვენ უფრო კარგად ვიგებდით, რომ ქრისტეს ვნება განაწმენდს და განანათლებს ჩვენს ცხოვრებას და ჩვეულების წყალობით ამას უფრო რეალურად აღვიქვამდით, ვიდრე მხოლოდ სიტყვით რომ აეხსნათ.

ახლა სხვა დროა. მართლმადიდებელი ოჯახების უმეტესობას არ აქვს საფუძვლიანი რელიგიური განათლება. ეს ეხება ოჯახის ყველა თაობას. რწმენის შესახებ ცოდნა ჩვენს ოჯახებში მწირია, რწმენა კი მაინც ცოცხლობს – იგი წმინდაა და ნათელი. მშობლებს უწევთ თვითონ გაარკვიონ, როგორ ჩაუნერგონ ბავშვებს რწმენა, როგორ ასწავლონ რწმენისა და ცრურწმენის გარჩევა.

ცრურწმენა – ესაა მაგიზმი, სურვილი დავეუფლოთ გარემო პირობებს, ვმართოთ ისინი, დავიმორჩილოთ. მაგიზმი ადამიანის თავდაპირველ რელიგიურ ძიებებთან ერთად ჩაისახა და ყოველთვის ოპოზიციაში ედგა რელიგიას. პროტოპრესვიტერი ალექსანდრე მენი, თავის წიგნში „მაგიზმი და ერთლმერთიანობა“, წერს: „...მაგია ეწოდება ამა თუ იმ მოქმედებას, რომლის მიზანია გარესამყაროზე ზემოქმედების მოხდენა წარმოსახვითი ზეპუნებრივი გზით“. ამ განსაზღვრებაში ერთია სწორი: მაგიას მართლაც მიზნად აქვს გარესამყაროზე ზემოქმედება მოახდინოს. შამანი ხშირად უპირისპირდება მღვდელს. ეს გასაგებიცაა. მაგიისა და რელიგიის შინაგანი მიმართება – ურთიერთსაწინააღმდეგოა... მღვდელი მიმართავს ღმერთს ლოცვით, შამანი კი ცდილობს მოიპოვოს ძლიერება და წარმატება ნადირობასა, მიწათმოქმედებასა თუ მტრებთან ბრძოლაში...“

ყველა ცრურწმენისა და ცრურწვევის მიზანია ადამიანმა როგორმე თვითონ მოახდინოს გავლენა ცხოვრებაზე: თავიდან აიცილოს წარუმატებლობა, წინასწარ გაიგოს, რა მოხდება, მიიღოს რაღაც. ქრისტიანული რწმენის არსი ამის საწინააღმდეგოა.

„იყავნ ნება შენი!“ – გვსწავლის საუფლო ლოცვა. ჩვენ თავისუფალნი ვართ ჩვენს დამოკიდებულებაში მოვლენებისადმი – ვიღებთ მათ, ვცდილობთ გადავლახოთ ანდა შეუცვალოთ, გამოვიყენოთ ისე, როგორც უფრო სწორად გვეჩვენება, ვებრძვით თუ გავურბივართ, მაგრამ ყველა შემთხვევაში მტკიცედ გვჯერა, რომ ყველაფერი, რაც გვეძლევა, ღვთის განგებულებით გვეძლევა!

„ხოლო არს სარწმუნოებაი მოსავთა მათ ძალ, საქმეთა მამხილებელ არახილულთა“ – ვკითხულობთ ეპრაელთა მიმართებისატოლეში (11,1). ჩვენ შეგვიძლია გვწამდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეგვიძლია არ გვწამდეს. რწმენა ჩვენი ნების თავისუფალი აქტი უნდა იყოს. ესაა ერთადერთი,

რასაც ეკითხებოდა იესო ქრისტე სწორულებს განკურნების წინ – „გრძამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად?“ (მათე. 9,28). რწმენა არაფერს მიაწერს ღმერთს და მზადაა მიიღოს ყველაფერი, რასაც ღმერთი მოუვლებს.

რწმენა გონიერია და ცოდნას არ ეწინააღმდეგება. იმისთვის, რომ ირწმუნო, მნიშვნელოვანია იცოდე, რისი გნამს. ნამდვილი რწმენა არაა პრმა და რაც მეტს ვიგებთ, მით მეტად გვჯერა და რაც მეტად გვჯერა, მით მეტს ვიგებთ. რწმენა ყოველთვის პიროვნული აქტია, ადამიანისგან გამომდინარე. შემთხვევითი არაა, რომ სიმბოლო სარწმუნოებისა იწყება სიტყვით: „მრწამს...“

ცრურწმენითი ჩვეულებები დასაშვებია მხოლოდ, როგორც თამაში, ხუმრობა. მაგრამ მავნე ხდება, როცა ჩვენს სარწმუნოებაზე ზემოქმედებს. რწმენა ცრურწმენას გამორიცხავს.

მარხვის მნიშვნელობა ბავშვის ცხოვრებაში

ჩვენს დროში ბავშვების სულიერ განვითარებაზე ზრუნვისას მარხვის საკითხი ლამისაა ბოლო ადგილზე დგას: ჩვენმა ბავშვებმა რწმენაზეც კი თითქმის არაფერი იციან, ქრისტიანული ზნეობა არ ესმით, ხშირად არა აქვთ საშუალება დაესწრონ წირვას, არ იციან ლოცვა... მაშ, რა მარხვაზე შეიძლება ვილაპარაკოთ! რაც უნდა გასაკვირი იყოს, ბავშვები ხშირად თვითონ ანიჭებენ მარხვას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას. გამიგია შემთხვევების შესახებ, როდესაც რუსეთში ათეიისტი მშობლების ბავშვები იგონებდნენ, ვითომ კუჭის დაავადება სჭირთ, ოღონდ კი ხორცი არ ეჭამათ. ვიცი, რომ აქ, უცხოეთში, ჩემი ნაცნობი მოზარდები და ბავშვები, რომლებიც დახურულ ამერიკულ სკოლებში სწავლობენ, საკუთარი ინიციატივით დიდი მარხვის განმავლობაში ხორცს არ იღებდნენ. ზოგი ბიჭისთვის მარხვის შენახვაში სპორტული ინტერესიც კი იყო – არაფერი ეჭამათ შობის წინადღეს პირველი ვარსკვლავის გამოჩენამდე, არაფერი ეჭამათ წითელ პარასკევს. ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, თითქოს ისინი სულერად განსაკუთრებულად წინ იყვნენ ნასულნი ანდა განსაკუთრებულად რელიგიური გახლდნენ. უბრალოდ, მარხვა – საკვებისგან თავის შეკავება – იყო ყველაზე მარტივი ფორმა, რომლის მეშვეობითაც მათ თვითონ, საკუთარი ინიციატივით, შეეძლოთ აქტიურად განეცხადებინათ თავისი რწმენის შესახებ. ეს მათ მორალურ კმაყოფილებას ანიჭებდა.

მარხვის შენახვა ძველი რუსეთის ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთი მყარი

შემადგენელი ნაწილი გახლდათ, განსაკუთრებით, სოფლად, სადაც ცხოვრება საეკლესიო კალენდრის მიხედვით მიმდინარეობდა, დღესასწაული დან დღესასწაულამდე, მარხვიდან მარხვამდე. არ ვიცი, რჩ გადარჩა ამ ჩვეულებებიდან, მაგრამ თუ იმით ვიმსჯელებთ, თუ როგორ აღწერენ თანამედროვე მწერლები ქელებს, მრავალი წესი ჯერაც არაა დავიწყებული. შესაძლოა, აქაიქ მარხვაზე წარმოდგენაც შენარჩუნდა.

მომ მარხვის ჩვენეულ ძველ გაგებაში ყველაფერი რიგზე არ უნდა ყოფილიყო. არ მახსოვს სად, – შესაძლოა, დოსტოევსკის „მწერლის დღიურებში“ – ამოვიკითხე მძარცველზე, რომელსაც ასამართლებდნენ გოგონას მკვლელობის გამო. გოგონას ერთი კალათა კვერცხი მიქეონდა ბაზარზე გასაყიდად. ყაჩაღმა რალაც გროშების გულისთვის მოკლა, მაგრამ როცა ჰყითხეს, რატომ არ ჭამა კვერცხი, უპასუხა: „არ შემეძლო, მარხვის დღე იყო“. მართალია, ეს საზარელი კარიცატურაა, მაგრამ ის ასახავს ცრუმორნმუნე დამოვიდებულებას მარხვისადმი. მარხვას სულიერი მიშვნელობა აქვს. თავისთვად მარხვა მიზანი კი არა, არამედ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. ქრისტიანის ცხოვრებაში უმთავრესი – ამ მიზნის გაგებაა.

აი, რას გვეუბნება სახარება მარხვის შესახებ: სანამ იესო ქრისტე ქადაგებას დაიწყებდა, უდაბნოში გავიდა, ორმოცი დღე იმარხულა და ბოლოს „შეემშია“. და სწორედ მაშინ სძლია იესომ სამ საცოლეს, რომლითაც მის ცდუნებას აპირებდა ბოროტი სული, ეშმა. სთავაზობდა მოეხდინა სასწაული თავისთვის, ქვები პურებად ექცია, თაყვანი ეცა ბოროტისთვის და ამით მიეღო ძალაუფლება ამქვეყნიურ ყველა სამეფოზე და ბოლოს, სასწაულით დაემტკიცებინა თავისი ღვთაებრიობა. იესო ქრისტემ სამივე ცდუნებას გაუძლო და უდაბნოდან გამოვიდა „ძალითა სულისა წმიდისაითა“ (ლუკა 4, 1-14).

თავის მოწაფეებს იესო ქრისტემ, როდესაც განკურნა ეშმაკეული, მათ რომ ვერ უშველეს, უთხრა: „ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსცლად, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მარკოზ. 9,29).

ჩვენთვის, ერში მყოფი მართლმადიდებლებისათვის, ვიმარხულოთ ნიშნავს გარკვეული ხნის განმავლობაში, დიდი დღესასწაულების წინ, თავი შევიკავოთ გარკვეული სახის საკვებისგან და ვიცხოვროთ უფრო ფხრზელი ცხოვრების წესით. იმარხულო – ნიშნავს გათავისუფლდე საკვებისა და სიამოვნებისგან, რომელთა მონები ვხდებით მუდმივად. ჩვენ გვსურს გავთავისუფლდეთ ამ მონობისგან, რათა მოვიპოვოთ ცხოვრება ღმერთთან, ღმერთში, და გვჯერა, რომ ცხოვრება ღმერთთან მოგვანიჭებს მეტ სიხარულს, მეტ ბედნიერებას. იმარხულო – ნიშნავს, განიმტკიცო ძალები სისუსტეებთან ბრძოლაში, დაუმორჩილო სურვილები ნებისყოფას, გახდე

კეთილი უფალი საკუთარი სულიერი ვენახისა.

ჩვენ, მშობლებს, უნდა გვახსოვდეს, რომ არავითარი აღმზრდელობითი ზომები, რაც არ უნდა ვეცადოთ, არ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ შეიღუბი კარგები და ჭკვიანები გაიზრდებიან, ისეთები, როგორებიც გვინდა, რომ იყვნენ, და რომ ცხოვრებაში ბედნიერები იქნებიან. ვცდილობთ ჩვენი შეიღების სულში ცნებების, გრძნობების, აზრების, განწყობების ქრისტიანული თესლი ჩავნერგოთ. ვცდილობთ გავაღვივოთ ეს თესლი. მაგრამ აღიქვამს მას თუ არა ბავშვი, გაღივდება თუ არა მასში ეს გრძნობები და აზრები, არ ვიცით. ყოველი ადამიანი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, თავისი გზით მიდის.

როგორ ავუხსნათ ბავშვებს, რას ნიშნავს მარხვის შენახვა?

აი, ბავშვებისათვის გასაგები მარხვის „ღვთისმეტყველების“ მიახლოებითი სქემა:

1. მთავარია ცხოვრებაში გიყვარდეს ღმერთი და მოყვასი.

2. სიყვარული არა ყოველთვის ადვილი. ის ხშირად ძალისხმევასა და შრომას მოითხოვს. იმისთვის, რომ გიყვარდეს, უნდა იყო ძლიერი. ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი თავის ბატონ-პატრონი გახდე. ხშირად გვინდა, კარგები ვიყოთ, მაგრამ ცუდს კი ვაკეთებთ, გვინდა, ბოროტისგან თავი შევიკავოთ, მაგრამ არ შევგიძლია. ძალა არა გვეოფნის.

3. როგორ შეიძლება ძალები განვივითაროთ? უნდა ვივარჯიშოთ, როგორც ამას სპორტსმენები აკეთებენ. ეკლესია გვასწავლის მარხვას, ჩვენი ძალების ვარჯიშს. ეკლესია გვასწავლის, დროდადრო უარი ვთქვათ რაღაცაზე, რაც მოგვწონს: გემრიელ საჭმელზე ანდა გარკვეულ სიამოვნებებზე. სწორედ ამას ჰქვია მარხვა.

ოჯახურ ცხოვრებაში მარხვა ბავშვების მიერ პირველ რიგში მშობლების მაგალითით აღიქმება. მშობლები უარს ამბობენ გარკვეულ სიამოვნებაზე, ვთქათ, სიგარეტის მონევაზე. ბავშვები ამჩნევენ განსხვავებას, თუ რა მოქვთ ოჯახურ სუფრაზე. მაგრამ თუკი არ არსებობს ოჯახის ერთიანი ცხოვრების წესი, მორწმუნე მამას ან დედას შეუძლია ბავშვებს დაელაპარაკოს პირადული, სხვებისთვის შეუმჩნეველი მარხვის შესახებ: მაგ. მარხვის პერიოდში უარი თქვა კანფეტებსა თუ ტკბილეულზე, შეიზღუდო ტელევიზორის ყურების დრო. მნიშვნელოვანია, გავაძლიეროთ ლოცვა, უფრო ხშირად ვიაროთ ტაძარში. ვიკითხოთ სახარება ბავშვებთან ერთად. არსებობს ზოგიერთი საშინაო საქმე, რომელიც მარხვას შეიძლება დავუკავშიროთ: დავასუფთავოთ, დავალაგოთ ბინა ან სახლი და ეზო დღესასწაულების წინ,

მივცეთ ბავშვებს საშუალება მიიღონ, მონაწილეობა საერთო სამუშაოში. ყოველ ოჯახში შეიძლება გამოინახოს კეთილი საქმე – მოინანაულონ ვიღაც, მისწერონ წერილი, დაეხმარონ. ხშირად ეს საქმეები თვიდან თვემდებარდა იდება ხოლმე. კეთილი განზრახვანი შეიძლება სწორედ მარტვისას აღვასრულოთ.

საეკლესიო გამოცდილება მარხვის ზოგიერთ საშიშროებაზე მეტყველებს. ეს საშიშროებანი ბავშვებთან მიმართებაშიც არსებობს. პირველი – ესაა მარხვით „ტრაბახი“, ანუ მარხვა სხვების დასანახად. კიდევ, არსებობს საშიშროება მარხვისადმი ცრურწმენითი დამოკიდებულებისა – წვრილმანებს მეტისმეტი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ: „ვაიმე, რა მეშველება, ეს სამარხვო არ ყოფილა, მე კიდევ შევჭამე!“ ჩვენ შეგვიძლია, ბავშვებს კვლავ გავესაუბროთ მარხვის ჭეშმარიტი არსის შესახებ. რასაკვირველია, თუ ბავშვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, არ უნდა მივცეთ მარხვის შენახვის უფლება. გამოცდილი მოძღვრები მეუბნებოდნენ, რომ როდესაც ბავშვს მარხვას ვაჩვევთ, უნდა გვასხოვდეს ორი წესი: 1. იმისთვის, რომ მარხვა დაეხმაროს ბავშვს სულიერ ზრდაში, ის უნდა იყოს ნებაყოფლობითი – ანუ, ბავშვის შეგნებული ძალისხმევა. 2. მარხვის მიჩვევა თანდათანობით უნდა მოხდეს, დაწყებული იმ დონიდან, რაზეც იმყოფება ბავშვი. „მარხვის კიბეს“ ეკლესიის სულიერ გამოცდილებაში დასასრული არა აქვს. ვერავინ ვერასოდეს იტყვის, რომ მარხვის ყველა აკრძალვა დაიცვა, ვერ ჩათვლის თავს დიდ მმარხველად. მაგრამ თუ ჩვენ, მშობლები, მოვახერხებთ და ბავშვებს ჩავუნერგავთ გამოცდილებას იმისა, რომ ყოველთვის არ უნდა აკეთო ის, რაც გინდა, რომ შეიძლება სურვილები დაიოკო იმისთვის, რომ გახდე უკეთესი ღვთისა და მისი სიმართლისათვის, ამით დიდ საქმეს გავაკეთებთ. მარხვა არ ნიშნავს უგუნებობას, მარხვა – ესაა შრომა, ოღონდ შრომა სასიხარულო...

ბავშვებში სიმართლის თქმის ჩვევის

ჩამოყალიბების შესახებ

ჩვენ, მშობლებს, გვსურს, რომ შვილები სიმართლეს გვეუბნებოდნენ, პატიოსნები იზრდებოდნენ. ცდილობთ, ვერდოთ მათ, არ გვინდა, გვატყუებდნენ, გვინდა მათი სიტყვისა გვჯეროდეს. ისევე, როგორც ყველაფერი მართლა ღირებული ცხოვრებაში, პატიოსნება არ გვეძლევა თავისით, უშრომელად, აღზრდის გარეშე. მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ

არა მარტო სიმართლის თქმის ჩვევა, არამედ გაგება იმისა, თუ რა არის სიმართლე და რა – სიცრუე. ამის გაგება უმაღლ და მარტივად არ მიიღწეო.

არსებობს ორი სიტყვა, რომლებიც შინაარსით ძალზე ახლოს დგას ერთმანეთთან: „სიმართლე“ და „ჭეშმარიტება“. ლექსიკონი „ჭეშმარიტებას“ განმარტავს, როგორც „იმას, რაც სინამდვილეშია“... სიტყვა „სიმართლე“ ასევე ნიშნავს „იმას, რაც სინამდვილეშია“, მაგრამ ამ აზრს ემატება კიდევ ერთი: „ქცევის იდეალი, რომელიც მდგომარეობს ნამოქმედარის შესაბამისობაში მორალის, მოგალეობის მოთხოვნებთან“... როდესაც სიმართლის თქმაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ადამიანს აქვს უნარი დაინახოს სინამდვილე ისეთად, როგორიც არის, და ამ სინამდვილეში თავისი ზნეობრივი მრჩამსის თანახმად იმოქმედოს. ეს, რა თქმა უნდა, დიდ სიმწიფეს მოითხოვს.

პატარა ბავშვებისათვის მათი „ნამდვილი სამყარო“ სრულიადაც არაა უფროსების მსგავსი. ფანტაზიის, ზღაპრის სამყარო მათთვის რეალურია. ისინი საგნებსა და ბუნების მოვლენებს ხშირად ასულიერებენ, სიბნელისა და ქარის ეშინიათ, მათში რაღაც ცოცხალ ძალას ხედავენ. ჩვენ ყველამ ვიცით უამრავი ანეკდოტი სამყაროს ბავშვური აღქმის შესახებ. მახსოვს, ერთხელ სამი წლის გოგონამ, რომელიც საწოლის ქვეშ სათამაშოს ეძებდა, ძიძას დაუძახა: „შეხედე! მტკვერს კუდი აქვს!“ მან ცხოვრებაში პირველად დაინახა თაგვი.

მგონია, რომ ზღაპრული, ფანტაზიის სამყაროს რეალურობის აღიარება სრულიად კანონიერია. ზღაპარი იმაზე არ მოგვითხოვობს, რაც მართლა არსებობს სამყაროში. მაგრამ ზღაპარს აქვს თავისი სიმართლე – სიკეთის, ბოროტების, გმირობის, თავგანწირვის შესახებ. უფროსები, რომლებსაც უყვართ ბავშვები, ადვილად შედიან ზღაპრული ფანტაზიის სამყაროში, მაგრამ ამის გამო მატყუარები არა ხდებიან. „ზღაპარსა“ და „ცრურწმენას“ შორის განსხვავებაა, რადგან ზღაპარი ფანტაზიის სამყაროში ცხოვრობს, ცრურწმენას კი რეალურ, ყოფით ცხოვრებაში შემოაქვს ზღაპრული წარმოდგენები.

ბავშვი მაშინ კი არ იწყებს ტყუილის თქმას, როცა ყვება: „ბალში უზარმაზარი ლომი მოკვალი“, არამედ როდესაც ცნობიერად ამახინჯებს ფაქტებს, რადგან ამ გზით უნდა, რაღაც მიიღოს ანდა თავისი საქციელის არასასიამოვნო შედეგი აირიდოს. ბავშვის ტყუილში დიდ როლს შეიში თამაშობს – სასჯელის შიში, იმის შიში, რომ გაუბრაზდებიან. ერთ-ერთი ხერხი ბავშვებში პატიოსნების განვითარებისა – ერთობ ქმედითი ხერხი – ვასწავლოთ, რომ დანაშაულის აღიარება საუკეთესო გამოსავალია, რომ მხოლოდ

ეს გადაარჩენს დასჯას. მახსოვს, როგორი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როცა ერთ ბიჭს, ვინც ამზანაგს ველოსიპედი მოპარე, მაგრა დროსანს არწმუნებდა სიმართლე ეთქვა, პირდებოდა, რომ არ დასჯიდა. ხოლო როდესაც ბიჭმა აღიარა დანაშაული, მამამ იყვირა: „ახლავე გაგროზგავ, შე ნაძირალა!“ იყო თუ არა ეს სიცრუის აშვარა გაკვეთილი?

ბავშვების ტყუილს ასევე ხელს უწყობს უფროსების უყურადღებობა იმის მიმართ, თუ რას ფიქრობენ და გრძნობენ. რა თქმა უნდა, ბავშვებს უამრავი სურვილი აქვთ, თანაც, ხშირად, შეუსრულებელი. ზედმეტი განებივრება მავნებელია. მნიშვნელოვანია ბავშვობიდან გვესმოდეს – შეუძლებელია გვქონდეს ყველაფერი, რაც გვსურს. თუმცა, ვფიქრობ, რომ მშობლები ყურადღებას უნდა იჩენდნენ ბავშვების სურვილებისა და ოცნებების მიმართ, თანაგრძნობით უნდა უსმენდნენ მათ. მნიშვნელოვანია გავიგოთ, ბავშვს კონკრეტული რაღაც განსაკუთრებით რატომ უნდა და მოთმინებით ავტოსნათ მიზეზი, თუკი მისი სურვილის შესრულება შეუძლებელია. შეიძლება შევთავაზოთ მოიცადოს... „მნიშვნელოვანია ბავშვებთან ერთად მსჯელობა შეგვეძლოს, დაუსრულებლად ვმსჯელობდეთ მათთან“ – მეუბნებოდა ოდესლაც დედა ერთი ბიჭისა, ვინც გაიზარდა და არაჩვეულებრივი მოძღვარი გამოვიდა. ეს მამა ალექსანდრე შმეგანის დედა გახლდათ.

ბავშვებში სიმართლის თქმის ჩვევის ჩამოსაყალიბებლად საუკეთესო საშუალება, რასაკვირველია, უფროსების მაგალითია. რას ხედავენ ბავშვები ოჯახის უფროსი წევრების ურთიერთობაში? თუკი ოჯახში სიყვარული და სიმართლე პირველ ადგილზეა, ბავშვი მატყუარა არ გაიზრდება! ფრანგი მწერლის, ვიქტორ პიუგოს რომანში „განკიცხულნი“ აღწერილია, თავშესაფრის ძიებაში როგორ შედის ყოფილი კატორდელი ჟან ვალუანი მოხუცი ეპისკოპოსის სახლში. ეპისკოპოსი გულისხმიერად მიიღებს, გაუმასპინძლდება. ცოტა ხნის მერე კატორდელი მომენტს იხელთებს, გაიპარება და ხელს გაყოლებს ორი მასიური ვერცხლის შანდლიდან ერთ-ერთს, მაგრა დაზე რომ ედგა ეპისკოპოსს. ეს ერთადერთი ფასეული ნივთები გახლდათ მის სახლში. პოლიციელები დააკავებენ, ეჭვს მიიტანენ, რომ შანდალი მოიპარა და ეპისკოპოსთან მიიყვანენ. ეპისკოპოსი სიხარულით შეეგებება და ეუბნება: „ჩემო ძმაო, მე ხომ ორივე შანდალი გაჩუქე, შენ კი ერთის წალება დაგავინწყდა!“ აი, ამ სიტყვებით გადაარჩენს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, არსებობს „მხსნელი ტყუილი“, არსებობს შემთხვევები, როცა სიკეთის გამონათქვამი ფორმალური ტყუილი სიმართლეს არ ეწინააღმდეგება.

ჩემი აზრით, ყველაზე მთავარია – ბავშვებში, და უპირველესად კი ჩვენს თავში აღვზარდოთ უნარი გარჩევისა, სადაც სიცრუუ და სად – სიმართლე. ჩვენ გვჩვევია საკუთარი თავისა და გარემოებების ისე წარმოდ-

გენა, როგორც გვინდა, და არა ისე, როგორც სინამდვილეშია. ჩვენს უმოქანდაკობას სხვადასხვა „საპატიო“ მიზეზით ვამართლებთ, მოუთმენლობებსა და ძალაუფლების სიყვარულს კი პასუხისმგებლობას და მომთხოვნელობას ვარქმევთ. თავმოყვარეობასა და ცუდ ხასიათს, „სიმართლის დაცვად“ ვასა-ლებთ. შემთხვევით არაა, მართლმადიდებელი ეკლესის ერთ-ერთ უპირვე-ლეს ლოცვაში რომ ვამბობთ: „მეუფერ ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სუ-ლო ჭეშმარიტებისათვის...“

ღმერთი ჭეშმარიტების სულია და მისი შემწეობით შეგვიძლია დავი-ნახოთ საკუთარი თავი და გარემო ისეთად, როგორიც სინამდვილეშია. ეს უნარი ჩვენს შვილებშიც უნდა აღვზარდოთ.

ჩვენს დროში ოჯახში სიმართლის თქმის სულისკვეთების აღზრდა ძალაშე ძნელია. რამდენიმე წლის წინათ სამშობლოში ვიყავი, მაშინ ჯერ კი-დევ საბჭოთა კავშირი იყო — და ახალგაზრდობის ერთ ჩემს ამხანაგს, აწ უკა-ვე ბებიას, ვკითხე: „რა არის ყველაზე ძნელი თქვენს ცხოვრებაში?“ ხმამაღ-ლა პასუხი ეტყობა ვერ გაპედა, ქალალდის ნაგლეჯზე ერთადერთი სიტყვა დამიწერა: „სიცრუუ“, მერე კი ეს ქალალდი პატარ-პატარა ნაკუნძებად და-ხია. ჩვენს დროში თითქმის შეუძლებელია თავიდან ავირიდოთ შემთხვევე-ბი, როცა იძულებული ვხდებით გავჩუმდეთ იმის ნაცვლად, რომ ვთქვათ ის, რასაც ვფიქრობთ.

ზოგჯერ კი, საერთოდაც, ტყუილის თქმა გვინევს. ასეთ პირობებში მე-ტად მნიშვნელოვანია აღვზარდოთ ჩვენში უნარი გავარჩიოთ სიმართლე სიცრუისგან, გვესმოდეს, სადაა სიმართლე და სად — ტყუილი. პირველ ყოვ-ლისა, მართლები უნდა ვიყოთ საკუთარ თავთან — ამის გაკეთება ჩვენ ყველა შემთხვევაში შეგვიძლია. სწორედ ესაა ყველაზე მთავარი!

იოანე ღვთისმეტყველის, ქრისტეს საყვარელი მოწაფის, სახარებაში ვკითხულობთ შესანიშნავ სიტყვებს სიმართლე-ჭეშმარიტების შესახებ. როდესაც იქსო ქრისტეზე ლაპარაკობს, რომელსაც ღვთის „სიტყვას“ უწო-დებს, იგი ბრძანებს: „და სიტყუაი იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩუენ შორის... სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“ (იოანე. 1,14). თვით იქსო ქრისტეს სიტყვები მოჰყავს — „სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება-მან განვათავისუფლნეს თქუენ“, (იოანე. 8,32) და „მე ვარ გზაი და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი“ (იოანე. 14,6).

მთავრობის დამოუკიდებელი მცირების დანაშაულისადმი

ეს რთული საკითხია. ზოგჯერ ჩვენ ვამართლებთ ჩვენს შვილებს, ვამბობთ: „დამნაშავენი სხვები არიან“, „იმათგან ისწავლა“. ჩვენ ხშირად არ ვართ დარწმუნებულნი, თუ რა მოთხოვნები უნდა წავუყენოთ შვილებს. შეიძლება თუ არა, ვაპატიოთ? თუ აუცილებელია, რომ ყოველ დანაშაულს სასჯელი მოვცებოდეს? რის გამო შეიძლება და რის გამო არ შეიძლება დასჯა? როდის იქცევა ბავშვური გადაცდომა ცოდვად? როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ჩვენი შვილების ცოდვებისადმი? ვცადოთ ამ რთულ საკითხში გარკვევა, თუმც კი ვაცნობიერებთ ჩვენს შეზღუდულობას და უუნარობას იდეალური პასუხის მიგნების თვალსაზრისით.

ბავშვობაში ნორმალური განვითარებისათვის წესრიგისა და დისციპლინის ატმოსფერო აუცილებელია. იგულისხმება: დღის განრიგი, როცა განანილებულია სწავლისა და გართობის დრო, გარკვეული მოვალეობების შესრულება, თავაზიანი ქცევა, სიმართლის თქმა, პასუხისმგებლობა დავალებულ საქმეზე. ასეთი ბავშვობა, როემლიც ბავშვებისადმი სიყვარულით, ყურადღებითა და გამგებიანობითაა გამსჭვალული, და ამავე დროს, გარკვეულ დისციპლინას ემორჩილება, ნორმალური სულიერი განვითარების მტკიცე საფუძველს წარმოადგენს.

ბავშვი ოჯახს გარეთ – ბაგა-ბალში, საბავშვო ბალში, სკოლაში – განრიგს ემორჩილება, მაგრამ ეს სხვა სახის დისციპლინაა, – საზოგადოებრივი. მისი ზნეობრივი შენიშვნელობა იმაშია, რომ ისწავლო, როგორ დაიცვა წესრიგი, როგორ გააკეთო ყველაფერი დროზე, არ გააფუჭო ნივთი, არ შეუშალო ხელი სხვას, შეასრულო მითითებები, გააკეთო ყველაფერი, რაც გითხრებს. ამგვარი დისციპლინის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ კოლექტივის ცხოვრება უპრობლემოდ მიდიოდეს. ხოლო ოჯახური დისციპლინა, განსაკუთრებით, ქრისტიანულ ოჯახში, ეფუძნება სიყვარულს და ბავშვებში უნარის აღზრდას – უყვარდეთ და ყურადღებას იჩენდნენ სხვების მიმართ. ზნეობრივი ფასეულობები, რომლებსაც ქრისტიანულ ოჯახში ჩააგონებენ უპირველესად შემდეგია: გული არ ატკინო, არ აწყენინო, თქვი სიმართლე, შეიცოდე, აღიარე საკუთარი დანაშაული, პატივია ითხოვე, აპატივე.

ბავშვის დანაშაულისადმი მშობლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამოკიდებულებაში მთავარი განსხვავება ისაა, რომ მშობლების დამოკიდებულება შვილისადმი გამსჭვალულია სიყვარულით, თანაცის უყვართ ისეთი, როგორიც არის. სიყვარული თამაში არაა, ის მართალი

და მომთხოვნი უნდა იყოს, მაგრამ თანაც, ყურადღებიანი. მნიშვნელოვანია გავიგოთ, რატომ იქცევა ბავშვი ასე და არა ისე, რატომ უხეშობს, არა გვიჩვენებს ანდა ტყუის. როგორც მოციქული პავლე ბრძანებს: „სიყუარული სულ-გრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეპრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრულესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავსიდებნ, ყოველსა ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ, (1 კორ. 13,4-7). ოჯახის დისციპლინა ეფუძნება ბავშვისადმი რწმენას, საზოგადოებრივი კი – კოლექტივის საჭიროებასა და სარგებლობას. დისციპლინის ეს ორი სახე ერთმანეთს შეიძლება არც ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ ისინი ბავშვის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეხება.

შვილები იზრდებიან, წლები ემატებათ... უფრო შეგნებულ ასაკში გაუგონწობის, ქცევის წესების დარღვევის ცნება ქრისტიანულ ცნობიერებაში ცოდვის ცნებად გადაიქცევა. ეს ცნება დაკავშირებულია შეგნებულ არჩევანთან იმას შორის, რაც „ბოროტებაა“ და „სიკეთე“.

თუკი ბავშვის მორჩილება, დისციპლინირებულობა ზნეობრივ შეგნებულობად, სინდისიერებად არ გადაიზრდება, ჩვენი ნებისმიერი მცდელობა – ზნეობრივად აღვზარდოთ ბავშვი, ამაო იქნება. უბედურებაა, როცა ადამიანი დამოუკიდებელ, ზრდასრულ ცხოვრებას იწყებს ისე, რომ პირადად არ განუცდია და არ იცის, თუ რას ნიშნავს „ცოდვა“, „სინანული“, „მონანიება“, „მიტევება“.

ცოდვა ეს ურთიერთობის განყვეტაა: ურთიერთობის განყვეტა ღმერთთან. ღმერთისადმი სიყვარულზე უარის თქმა საპირისპიროა ღვთის ნების მორჩილების აქტისა, ღვთის შეწევნის თხოვნისა. ესაა ურთიერთობის განყვეტა ადამიანებთან – უსიყვარულობა, გულგრილობა, გაუცხოება, მტრობა, ანტიპათია. და, ბოლოს, ცოდვა, ეს პიროვნების ტრაგედიაა – საკუთარი თავის, ნიჭისა და თვისებების უპატივცემლობა, საკუთარი თავის არმილება, არცოდნა, ვერგაგება.

რასაკვირველია, ჩვენ ყველანი ვცოდავთ. სცოდავნ ჩვენი შვილები. მაგრამ ქრისტიანული რწმენა გვაძლევს საშუალებას ჩვენი ცოდვა ცოდვად ვალიაროთ, ვიგრძნოთ, რომ ცოდვა ბოროტებაა და არა სიკეთე. სიტყვა „ცოდვა“ ბერძნულად „მიზნის აცდენას“ ნიშნავს. შესცოდო, ნიშნავს მიზანს ააცდინო, ვერ მიაღწიო მიზანს. ჩვენ არ შეგვიძლია ისე აღვზარდოთ შვილები, რომ მიზანს არ სცდებოდნენ. არ არსებობს ისეთი პედაგოგიური რეცეპტები, რომლებიც უცოდველობას ანდა სიწმიდეს უზრუნველყოფენ. სანამ ბავშვები პატარები არიან, მათი ზნეობრიობა მარტივია: თუ „ცუდი“

გააკეთეს, ტუქსავენ და სჯიან, თუ „კარგი“ – აქებენ. მაგრამ თანდათანობით მათ ცხოვრებაში შემოღის ცოდვის ცნება და გამოცდილება. ოლონდ შშობლებს არ შესწევთ ძალა, ისინი ცოდვისგან დაიცვან. ადამიანს ცოდვასთან მხოლოდ თვითონ შეუძლია ბრძოლა. მორწმუნე მშობლებს მხოლოდ ერთი რამ შეუძლიათ გააკეთონ – და ამაში მდგომარეობს მათი პასუხისმგებლობა – მისცენ ბავშვებს საშუალება რეალურად იგრძნონ, მხოლოდ სიტყვით კი არა, არამედ საკუთარი გამოცდილებით: რომ არსებობს სიკეთე, სიწმინდე, სიყვარული, ღვთის მადლმოსილი მონაწილეობა ჩვენს ცხოვრებაში. თუ ჩვენს შვილებს ექნებათ ეს გამოცდილება ისინი შეძლებენ გააცნობიერონ განდგომა ამ ფასეულობებისგან როგორც ცოდვა. აღიარო ცოდვა ცოდვად – ეს სინანულის, მონაწილის საწყისია, მაშასადამე, დასაწყისია ცოდვისგან განკურნებისა.

ძალზე ძნელია ჩვენთვის, მორწმუნე მშობლებისათვის, მოზარდი შვილების მიმართ სწორი დამოკიდებულება გვქონდეს... ახალგაზრდების ქცევაში მრავალი რამ დაკავშირებულია გარემო პირობებთან: დროსთან, გემოვნებასთან, ჩვეულებებთან. ისეთი პრობლემები, როგორიცაა: იხმარონ თუ არა გოგონებმა კოსმეტიკა, ან თუ იხმარონ, როგორი და როდის, როგორ ჩაიცვან, დაივარცხნონ, რა არის მისაღები და მიუღებელი საუბარში, ქცევაში, მოქმედებაში, როგორ მუსიკას უსმინონ – ეს ყველაფერი გემოვნებისა და პირობითობის საკითხი უფროა, ვიდრე ზნეობრიობისა. ჩვენ, უფროს თაობას, გვაქვს უფლება, გამოვთქვათ აზრი და დავიცვათ ჩვენი გემოვნება. მაგრამ ასეთივე უფლება აქვს ახალგაზრდა თაობას, ჟქონდეს საკუთარი შეხედულება იმაზე, თუ რა არის ლამაზი და ულამაზო. მე მგონი, ამ საკითხების ზნეობრიობასთან გაიგივება არასწორია. კიდევ უფრო მტკიცეულად განიცდიან მშობლები მოზარდების გატაცებას რაღაც ისეთით, რაც აშკარად მავნებელია მათთვის – სიგარეტით, ალკოჰოლით, ნარკოტიკებით. დისციპლინარული მეთოდებით ამას ვერ უშველი – მოზარდები მშვენივრად ახერხებენ გვერდი აუარონ მათ. ჩემი აზრით, მშობლებმა უნდა სცადონ რაც შეიძლება მეტი გაიგონ იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ ჩნდება ეს მიღრეკილებანი, როგორ ზემოქმედებს ორგანიზმზე, როგორ შეიძლება მათთან ქმედითი ბრძოლა. ამ შემთხვევაში მშობლების როლი თითქმის ისეთივეა, როგორც ბავშვის ავადმყოფობისას – უნდა უმკურნალო, სასწრაფოდ მიმართო სამედიცინო დახმარებას.

ქრისტიანი მშობლებისათვის ყველაზე რთულია, როცა შვილები უარს ამბობენ იმაზე, რაც მათთვის წმიდაა – ღმერთის რწმენაზე, ღოცაზე, ეკლესიაზე, უბინოებაზე, ეკლესიურ ქორწინებაზე, არ სურთ საკუთარი შვილების მონათვლა. შეუძლებელია წუხილი და ტანჯვა არ დაგვეუფლოს,

როდესაც შვილები თავისი ცხოვრებიდან გამორიცხავენ ღვთის მონაწილეა იმის მისა, ღვთიურ მადლს. ამ ჩვენს განსაცდელს ლოცვაში ვამხელთ. მაგრამ ჩვენი უძედურების დროს ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ამქვეყნიური პატივმოყვარეობის ცოდვა არ შემოგვეპაროს. „თავი მოგვჭრა“, „რას იტყვის ხალხი“, „ოჯახი შეარცხვინა“, „ასე არ შეიძლება“...

დიახ, მართალია, მშობლის პატივმოყვარეობა შელახულია შვილების უზნეობის გამო, მაგრამ ჩვენ, ქრისტიან მშობლებს, უნდა გვახსოვდეს, ჩვენი საკუთარი გრძნობები ერთგვარად მეორეხარისხოვანია და ამ ყველაფერმა, სულიერი გაგებით, შეიძლება სარგებლობაც კი მოგვიტანოს.

ცოდვა ყოველთვის ცოდვაა და მისი გამართლება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა შვილებმა ჩაიდინეს, არ შეიძლება. ჩვენ მათ საქციელის ცხადი, მართალი განსჯა უნდა შევთავაზოთ, თუკი მათთან კარგი, გახსნილი ურთიერთობა გვაქვს. მაგრამ, რაც მთავარია, — ჩვენში ცოცხალი უნდა რჩებოდეს სიყვარული შვილებისადმი, თუნდაც ცოდვა ჩაედინოთ, გვჯეროდეს, რომ ისინი როგორლაც, საკუთარი, პირადული გზის გავლის შემდეგ, ოდესმე მივლენ მასთან, ვინც არს ნათელი და ჭეშმარიტება ამა ცხოვრებისა.

მოზარდების შესახებ

ნებისმიერ ქვეყანაში, როდესაც მოზარდებზე იწყება საუბარი, „რთულ“, „გარდამავალ“, „უმადურ“ ასაკზე ლაპარაკობენ. ბავშვური უშუალობა, უბრალოება, გახსნილობა, სიხარული ქრება. მოზარდები გულჩათხრობილები, ბუტიები, დამცინავები და მშობლების მიმართ ზოგჯერ აგრესიულები ხდებიან. ეს მძიმე პერიოდი ყველაზე მოსიყვარულე, მეგობრულ ოჯახებსაც კი უდგებათ. ჩვენი ბავშვები აღარ არიან ბავშვები და ინგრევა ჩვენი ურთიერთობა მათთან, როგორც ბავშვებთან. ბედნიერნი არიან მშობლები, ვისაც ახლო, მეგობრული ურთიერთობა აქვთ წამოზრდილ შვილებთან. თავის დროზე ისინი ბედნიერი ბებიები და ბაბუები გახდებიან. მაგრამ მანამდე რთული პერიოდი უნდა გაიარონ — 13-დან 16 წლამდე ასაკი.

რაში მდგომარეობს გარდამავალი ასაკის არსი? მოზარდების ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება — ესაა მათი კრიტიკული დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ. პატიარა ბავშვებიც ზოგჯერ ჭირვეულობენ, არ გვიგონებენ, უხეშობენ, ტყუიან, მაგრამ უფროსების, მშობლების ანდა მასწავლებლების ავტორიტეტს კითხვის ნიშნის ქვეშ არასოდეს აყენებენ.

მოზარდებს კი ყველა და ყველაფერი აეჭვებთ. ჯერ ერთი – საკუთარი გარეგნობა, რა ჩაიცვან, როგორ გამოიყურებოდნენ, როგორ დაიჭირონ თავი, რა შთაპეჭდილებას ახდენენ ამზანა გებზე. ეჭვი შეაკვთ, ასევე, თავის ნიჭსა თუ შესაძლებლობებში. ბავშვობაში ბალერინობაზე ანდა კოსმონავტობაზე ოცნება ადვილი იყო, ახლა კი უნდა დაამტკიცონ, რა შეუძლიათ.

ნებისმიერი კრიტიკული დამოკიდებულება – რომ არაფერი ვთქვათ დაცინვაზე – მოზარდების მიერ ძალზე მტკივნეულად განიცდება.

საკუთარი თავისადმი ასეთი გაღიზიანებულ-ეჭვიანი დამოკიდებულება უფროსების, განსაკუთრებით, მშობლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამძაფრებას ინკვეს. რაოდენ ნაცნობია მშობლებისათვის მოზარდების ტონი, როდესაც ჩვეულებრივ კითხვაზე: „ისადილე?“ ანდა „წერილი გააგზავნე?“ ისეთი ტანჯული ხმით პასუხობენ, „ჰო“ ან „არას“, თითქოს უნდათ თქვან: „როგორ შეიძლება ასეთი სისულელის კითხვა?“


მოზარდები ყოველთვის ჩივიან, რომ მშობლები არ ენდობიან, არ სჯერათ მათი, უარყოფენ მათ უნარს გაუმკლავდნენ სიძნელეებს, სწორად გადაწყვიტონ ესა თუ ის ცხოვრებისეული პრობლემა, რომ უფროსები თავისი რჩევებით ტვინს უბურღავენ. ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ მოზარდები ყოველთვის შეძლებენ სწორი გადაწყვეტილება იპოვონ, დროზე შეამჩნიონ საფრთხე. ვიცით, რომ მათ არა აქვთ უნარი აიცილონ შეცდომები, შეიძლება თავს ავნონ, უბედურებაში გაეხვიონ. როგორ ავარიდოთ საფრთხე, როგორ არ ჩავერიოთ, როგორ არ მივცეთ რჩევები? ამავე დროს, ვიცით, რომ თუ არ მიეჩვევიან დამოუკიდებლობას, იმის გარჩევას, თუ რა არის სწორი და რა – არა, ეს თვითონ მათთვის იქნება დამლუპველი. ჩემი აზრით, მშობლების სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ მოზარდებს მივანიჭოთ რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ თანაც არ მოვადუნოთ ყურადღება, არ მოვაკლოთ ზრუნვა. უნდა ვიყოთ საკმარისად მგრძნობიარენი და გამგებიანნი, რომ არ გამოგვრჩეს რაიმე – იქნებ, რაღაც არასწორად მიდის, იქნებ, მოზარდს დახმარება სჭირდება. მნიშვნელოვანია ვუსმენდეთ მათ და ისიც კი გვესმოდეს, რაზეც არ ლაპარაკობენ.

ყრმობა – ესაა პერიოდი ზნეობრივი დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება-განმტკიცებისა. ეს მხოლოდდამხოლოდ საკუთარი გამოცდილებით მიიღწევა. და ერთადერთი დახმარება ამ გამოცდილების მიღებისას არის ნდობის, თანაგრძნობის, ყურადღების, გამგებიანობის გამომუღავნება მშობლებისა და უფროსი მეგობრების მხრიდან. მოზარდებს სჭირდებათ თავისუფლება, მაგრამ, ამავე დროს, დარწმუნებული უნდა იყვნენ, მათ ზურგს უკან ვიღაც დგას, მარტინი არ არიან.

რა ადგილი უნდა ეკავოს დისციპლინასა და ქცევის წესებს? ვთქვათ, შინ გარკვეულ დროს დაბრუნების, საოჯახო მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით? მგონია, ეს წესები მრავალრიცხოვანი არ უნდა იყოს, მაგრამ რაც იქნება, მტკიცედ უნდა სრულდებოდეს. რასაკვირველია, მოზარდები აღმოფოთებას გამოთქვამენ — ეს ბუნებრივია! მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, არსებობდეს წესები, საოჯახო განგებულება და წესრიგი, რომელსაც უნდა დაემორჩილონ. ხშირად მიუკირია — მოზარდის სულიერი ცხოვრება მსგავსია იმ ადამიანის მდგომარეობისა, სიბნელეში სხვისი სახლიდან გამოსვლას რომ ცდილობს. მყარ, მაგარ საგნებს ეჯახება: მაგიდებს, სკამებს, კარადებს. მიუხედავად დაჯახებებისა, მისთვის მაინც ასე უფრო აღვილია გასასვლელის პოვნა, ვიდრე ყველაფერი რბილი ან უფორმო რომ იყოს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, არ შეიძლება მოზარდს ჩვენი წარმოდგენები მოვახვიოთ თავს. არ შეიძლება მოვითხოვდეთ, რაც აღვაფრთოვანებს, რაც ლამაზი და გულისამაჩუქებელი გვგონია, მათაც ასევე მოსწონდეთ.

უნდა გვახსოვდეს, მოზარდები თავს თითქმის ზრდასრულებად აღიქვამენ. მშობლები კი მათში ხედავენ იმასაც, როგორებიც ახლა არიან და იმასაც, როგორებიც რამდენიმე წლის წინათ იყვნენ, ანუ აღიქვამენ როგორც ბავშვებს. ამ შემთხვევაში ხდება კონფლიქტი იმას შორის, როგორ უყურებს მოზარდი თავს და როგორ წარმოუდგენიათ იგი მშობლებს. მოზარდისათვის თანატოლები უზარმაზარ როლს ასრულებენ. ამხანაგებს შორის უცხო, განსხვავებული იყო — ყველაზე მძიმე განცდაა. მიგილონ კომპანიაში — ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა. თუ ყველა ჯინსებს ატარებს, მეც უნდა მქონდეს, თუ ყველა ეწევა, მეც უნდა მოვწიო, თუ ყველა სვამს, მეც უნდა დავლიო...

ამხანაგებისადმი დაუფიქრებელი მიბაძვის, საკუთარ თავში დაეჭვების, მშობლების ავტორიტეტისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ატ-მოსფეროსა და არასაკვარისი ინტელექტუალური „ბაგაჟის“ პირობებში მოზარდს ახალი გრძელობები უჩნდება, იღვიძებს სიყვარულის მოთხოვნილება და მზაობა. მოზარდებში სასიყვარულო ურთიერთობები, ყურადღების გამოჩენა ერთმანეთისადმი ზოჯერ უცნაურ და თითქოსდა, არარომანტიკულ ფორმას იღებს. საკუთარ თავში დაურწმუნებლობა და მორიცდებულება ზოგჯერ უხეშობასა და სიტლანქეში გადადის. მაგრამ ეს მაინც სიყვარულია, — ადამიანის ცხოვრებაში პირველი სიყვარული. ბავშვებს უყვართ მშობლები, მაგრამ ეს სრულიად სხვა სახის სიყვარულია. შევყარებულობა, სიყვარულის გრძობა თანატოლისადმი აღელვებს და აბნევს მოზარდს. თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არაფერი ეხმარება მას, არ კარნახობს, თუ როგორ მოიქცეს ამ, მისთვის სრულიად ახალ სამყაროში. რა



წესები დაიცვას? მაინც რა მოსწონს იმ ბიჭსა თუ გოგოში? რაფელის მშენებელი თიერთობისგან?

მოზარდს ვერანაირი განსჯით ანდა ნოტაციებით ვერ დავეხმარებით გაერკვეს თავის გატაცებაში. სიყვარულს ვერავინ ასწავლის. კარგია, თუკი ამ ასაკში მას უკვე ჩამოუყალიბდა წარმოლგენა იმაზე, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული — წიგნებიდან, იმ ურთიერთობებიდან, რომლებსაც ხედავ და ოჯახში, ცხოვრებაში. თუმცა ამ ყველაფერში თვითონ მოუწევს გარკვევა. მადლობა ღმერთს, თუკი მოზარდს აქვს საშუალება გამგებიან, მოსიც ვარულე, მოთმინებით აღსავსე მშობლებთან, ნათესავებთან ანდა უფროს მეგობრებთან ურთიერთობა ჰქონდეს. გულახდილობას თავს ვერ მოახვევ, გულწრფელობას ვერ მოსთხოვ — მნიშვნელოვანია, შეგვეძლოს მოსმენა, „სიგნალის“ მიღება, თუნდაც ამ სიგნალის აზრი იყოს — „ნურაფერს მკითხავ“, „ახლა ნუ დამელაპარაკები...“ მნიშვნელოვანია, შეგვეძლოს დუმილი და თან მაინც მოსიყვარულე და ყურადღებიან მშობლებად ვრჩებოდეთ.

მოზარდების მშობლელთა წინაშე რთული ამოცანა დგას: გაიგონ და მოილონ, როგორც ფაქტი, რომ წამოზრდილი შვილები უნდა მოსცილდნენ, დამოუკიდებლები გახდნენ. შესაძლოა, სრულიად სხვანაირებიც კი იყვნენ, ვიდრე წარმოედგინათ. ეს კანონზომიერი, ნორმალური და სწორია.

ოჯახი მოზოდებულია, მოზარდს მისცეს ოჯახური ყოფა-ცხოვრების, წესრიგის, გარკვეული პრინციპებისა და წესების გამოცდილება. თუნდაც მოზარდები გვიჯანყდებოდნენ, მთავარია, ის, რის წინააღმდეგაც გამოდიან, კედელი იყოს, რომელიც გატკენს, თუ დაევახე, მაგრამ გაჭირვების წამს მოეჭიდები, — როცა საყრდენი დაგჭირდება.

რის შესახებ პრინციპების

მშობლები შვილებს

არც ერთ ჩევნგანს, ალბათ, არ ეპარება ეჭვი, თუ რამდენად დიდ ზემოქმედებას ახდენს შვილებზე მშობლების მსოფლმხედველობა.

ის, რასაც ლაპარაკობენ მშობლები, რა მაგალითს აძლევენ, მათი ურთიერთდამოკიდებულება ბავშვზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მასზე ისიც მოქმედებს, თუ რაზე არ ელაპარაკებიან მშობლები. ამა თუ იმ ფაქტის მიჩუმათება ბავშვზე ასევე ახდენს გავლენას. არსებობს ცხოვრების სფერო, რომლის შესახებაც ბავშვთან ლაპარაკი ჩვენში არა მიღებული. ეს აკრძალული სფერო — მამაკაცური და ქალური საწყისების გამოვლენაა.

ის, რასაც ყოველი ბიჭი და გოგონა 9-11 წლის ასაკიდან აუცილებლად გრძნობს. მნიშვნელოვანია სწორად ვუპასუხოთ ბავშვის კითხვებს ახალი ცხოვრების საწყისის შესახებ, ადამიანის გაჩენის თაობაზე. ასევე მნიშვნელოვანია მოზარდს დავეხმაროთ სწორად გაიგოს თავისი მომწიფების პროცესი, სწორი დამოკიდებულება გამოიმუშაოს საკუთარი ახალგაჩენილი მამაკაცურობისა თუ ქალურობისადმი. ჯობს ეს გაკეთდეს მანამ, სანამ ბავშვები მოზარდობის ასაკს მიაღწევენ, სანამ ეს საკითხი ააღელვებს მათ, მტკიცნეული გახდება. თუკი ბავშვების ცნობიერებაში სათანადო დამოკიდებულებას დავწერგავთ, ამით დავეხმარებით მომწიფების მშეფოთვარე პერიოდი მშვიდობიანდ გადაიტანონ. მოზარდი ფორმირების პროცესშია, იზრდება, განიცდის მასში მიმდინარე ცვლილებებს. ჩნდება ახალი კითხვები, სექსუალური სფერო და სქესთა ურთიერთობა იზიდავს, აღელვებს მას. ჩვეულებრივ, მშობლები დუმილს ამჯობინებენ და ყველაფერი, რასაც მოზარდი იგებს, ოჯახის გარედან მოდის – ამზანაგებისგან, ქუჩიდან, „უხამსი“ ანეკდოტებიდან, ხუმრობებიდან, სურათებიდან, რომლებსაც ბავშვი შემთხვევით ნახავს და თავისებურად ახსნის.

მორწმუნე მშობლებს ცხოვრების ამ სფეროსადმი როგორი დამოკიდებულება სურთ, რომ ჩამოუყალიბონ ბავშვებს? ჩემი აზრით, ეს საკითხი უფროსებმა უპირველესად თავისოთვის უნდა გადაწყვიტონ. ჩვენ გვვერა, სამყარო ღმერთმა შექმნა. ჩვენი ფიზიკური, ხორციელი არსება – ღვთის ქმნილებაა. წმიდა წერილის პირველ თავში ნათქვამია: „და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი. და აკურთხნა იგინი ღმერთმან მეტყუელმან: აღორძინდით და განმრავლდით“ (დაბად. 1,27-28).

თვით ადამიანის შექმნის აქტში, ადამიანის ბუნებაში ერთდება, „ღვთის ხატება“ და მამაკაცური და ქალური საწყისის ორგვარობა – ღტოლვა ერთმანეთისადმი გვარის გასაგრძელებლად. მოციქული პავლე კორინთელებს სწერს: „არა უწყითა, რამეთუ ხორცი ეს თქუენნი ტაძარი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან“ (1 კორ. 6,19). წმიდა წერილის ამ სიტყვებით ჩვენს დამოკიდებულებას სქესობრივი ცხოვრების მიმართ თითქოსდა „სათანადო ელფერი“ ეძლევა: ის ღმერთმა მოგვცა, ის არის მისგან მიღებული კეთილი ნიჭი, ამიტომ ჩვენ მის მიმართ მაღლიერების გრძნობა და პატივისცემა უნდა გვქონდეს, როგორც ღვთის ტაძრის მიმართ. მოწოდებულნი ვართ ვაფასებდეთ და ვიცავდეთ ჩვენში სინმინდეს.

არსებობს მშვენიერი სიტყვა – „უბინოება“... უბინოა ისეთი დამოკიდებულება სხეულისა და ყველა მისი მოთხოვნილებისადმი, რომელიც ჩვენი ცხოვრების, მისი საზრისისა და მიზნის საერთო გაგების შემადგენელ

ნაწილს წარმოადგენს.

მგონია, რომ მნიშვნელოვანია ბავშვებს ვასწავლოთ პატივისცემით ეპყრობოდნენ საკუთარ სხეულს. ესმოდეთ, თუ რა ხდება მასში. იცოდენენ, როგორ ვცოცხლობთ, ვიკვებებით, ვსუნთქავთ, ვიბადებით, ვიზრდებით. ეს მნიშვნელოვანი, საჭირო, ნმიდა ცოდნაა, ის ჩვენ პასუხისმგებლობას გვაჩვევს, მრავალი საშიშროებისგან გვიცავს. კარგი იქნება, თუ ბავშვებს ეცოდინებათ, როგორ გაიზრდებიან და განვითარდებიან, რა ცვლილებები მოხდება მათში. ამ ცვლილებებისადმი გულახდილი, მართალი დამოკიდებულებით მშობლები საკუთარი სხეულისადმი უბრალო და უბინო დამოკიდებულებას დაამკვიდრებენ. მაგრამ მშობლები თუკი აჩუმათებენ – ბავშვები მაინც გაიგებენ ყველაფერს, ოღონდ, საფიქრებელია, რომ ყველაზე უხამსი ფორმით. თუმცა, შესაძლოა „დამრიგებლური“ საუბრების განზრას დაწყება არც ღირდეს. ბავშვები ისრუტავენ იმას, რასაც უფროსები ერთმანეთში ლაპარაკობენ. მოსმენისას სწავლობენ, თუ როგორ საუბრობენ ერთმანეთში. ითვისებენ იმას, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მშობლებს სიყვარულის, მეუღლეობის, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მიმართ. ჩვენ ვალდებული ვართ, ვუპასუხოთ ბავშვების კითხვებს. ნუ მოვიტყუებთ თავს, ჩვენ ხშირად პასუხის გასაცემად მზად არა ვართ – სათანადო ინფორმაცია არა გვქვს ანდა შესაძლო პასუხი წინასწარ არ გაგვიაზრებია. მას-სოეს, როცა ჩემი ქალიშვილები 9-10 წლისანი იყვნენ, ძალიან დამეხმარა ერთი ჭკვინი ქალის, ექიმ-გინეკოლოგის, რჩევები, თუ როგორ ამეხსნა მათთვის მენსტრუაციის პროცესი. არადა, სწორი ახსნა, რომელსაც გოგონა იღებს, განაპირობებს დამოკიდებულებას თავისი მომავალი დედობისადმი.

ოღონდ ბავშვები ყოველთვის არ იძლევიან კითხვებს. ბავშვის აღზრდაში ერთ-ერთი უმთავრესი, ალბათ, – ესაა უბრალო, გახსნილი, ნდობით აღსავს ურთიერობის ჩამოყალიბება. თუკი ოჯახში ნდობის ატმოსფეროა, ნებისმიერ კითხვას ადვილად დასვამენ. მოზარდი დარწმუნებულია, რომ მას მოუსმენენ, გაუგებენ, ყურადღებას გამოიჩინენ. მნიშვნელოვანია ბავშვებთან საუბარი ვისწავლოთ, მოვუსმინოთ მათ, მათთან ერთად განვიხილოთ ის, რაც აინტერესებთ, გავიგოთ ისიც, რასაც ზოგჯერ ვერ გამოთქვამენ.

ცოდნა ადამიანის სხეულის შესახებ, რომელსაც ბავშვები იღებენ სკოლაში, ბუნებისმეტყველების, ანატომიისა თუ ჰიგიენის გაკვეთილებზე, ვერ შეუცვლის იმას, რასაც აძლევენ, უფრო სწორად, რაც მოწოდებული არიან და შეუძლიათ, რომ მისცენ მშობლებმა. სკოლა იძლევა ფაქტობრივ ცოდნას, მაგრამ პიროვნულ ზნებრივ გრძნობასა და ცნობიერებას ვერ ჩამოაყალიბებს. სკოლას არა აქვს უნარი ორგანულად შეაერთოს ერთ მთლიანობად ბავშვის „ცოდნა“ და „ცხოვრებისეული გამოცდილება“. უბინოება

სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოდნა ცხოვრების საზრისერს ერთიანი გაგების, ადამიანებთან ურთიერთობის, საკუთარ თავთან დამრგიდებულების, ღვთის წინაშე თავის თავსა და სხვაზე პასუხისმგებლობის ნაწილად იქცევა – სწორედ ესაა „სიბრძნე“. ქრისტიანისათვის სიყვარული მამაკაცსა და ქალს შორის – ღვთის მიერ მოცემული უნარია და ქრისტიანები მოწოდებულნი არიან განახორციელონ, გაიგონ ის ადამიანის ცხოვრების საზრისის ქრისტიანული ხედვის შუაზე.

იმ ქვეყნებში, სადაც ინფორმაცია სქესობრივ ცხოვრებასა და სქესობრივ განვითარებაზე სასკოლო პროგრამაშია შეტანილი, მოსწავლე ასალებაზრდობის ზნეობრივი დონე არანაირად არ გაზრდილა. ამგვარმა გაკვეთილმა მოზარდის ბუნებრივად არსებულ სიტმინდეს, მორცხვობას შეიძლება კიდევ ავნოს. სწორედ ოჯახშია შესაძლებელი ჩამოყალიბდეს მოზარდის ჯანსაღი დამოკიდებულება იმ ყველაფრის მიმართ, რაც სქესობრივ განვითარებას ეხება. ოჯახში ყალიბდება იმის გაგება, რასაც ჩვენ პირადულს, ინტიმურს უუწოდებთ. ბავშვები სწავლობენ იმის შეგრძნებას, რომ ცხოვრებაში არსებობს საკუთარი, პირადული, ძვირფასი, თითქოსდა სანუკვარი, რამ რაზეც ჩვენ ყველასთან და ყოველთვის ვერ ვლაპარაკობთ. იმიტომ კი არა, რომ ეს ცუდია, უწესოა, ბილი ან სამარცხვინოა, არამედ იმიტომ, რომ ეს პირადულია. ჩვენ პატივს უცემთ ამ „ჩვენსას“ სხვებში და სხვები პატივს სცემენ ამ „თავისას“ ჩვენში. ასეთი უნდა იყოს ჯანსაღი ოჯახური ცხოვრების გამოცდილება. სიტყვები „მორცხვობა“, „კლემამოსილება“, რომლებიც ახლა ესოდენ ძველმოდურად გვეჩვენება, ადამიანის ცნობიერების სიღრმის ეულ ორგანულ ნიშან-თვისებას ასახავს, რაც ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებს.

დასკვნის სახით მსურს, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი – მშობლის პასუხისმგებლობაზე უარს არ უნდა ვამბობდეთ და ყოველთვის ჩვენვე ვეძებდეთ საუკეთესო გზებს – ყოველთვის პირადულსა და განუმეორებელს.

როგორ ვისუაბროთ ბავშვებთან ახალი სიცოცხლის ჩასახვაზე

როდესაც ჩვენ, მშობლები, ბავშვების ზნეობრივ აღზრდაზე ვზრუნავთ, ძალზე ხშირად ამას ისე ვაკეთებთ, თითქოსდა ზნეობრიობა ცხოვრების ავტიონომიური სფერო თუ რაღაც საგანია, რომელიც ჩვენს შვილებს უნდა შევასწავლოთ. ზნეობა სინამდვილეში – ეს არის ის, თუ როგორ ვცხოვრობთ,

რა ასულდგმულებს ჩვენს ცხოვრებას. ზნეობრივი სწავლება ქმედითია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის ცხოვრებაშია განხორციელებული, ზრდასრული ადამიანები ხშირად ლაპარაკობენ ზნეობრივ ფასეულობებზე – პატიოსნებაზე, სიყვარულზე, პასუხისმგებლობაზე, მორჩილებაზე, სიკეთეზე – მაგრამ ისე, თითქოსდა ეს განკუნძული ცნებებია. ჩვენი შვილების მთლიან მსოფლგანცდას მხოლოდ მაშინ ჩამოვაყალიბებთ, თუკი ეს ზნეობრივი ფასეულობები ბავშვის ცხოვრებისეული გამოცდილების შემადგენელი ნაწილი გახდება. ბავშვი მოწოდებულია თავისი ცხოვრებით გამოსცადოს, რას ნიშანავს სიმართლის აღიარება, სიყვარული თუ მორჩილება იმისათვის, რომ ამ ზნეობრივ ფასეულობათა არსი გააცნობიეროს. მხოლოდ რეალური ცხოვრების პროცესში, მხოლოდ იმ ყველაფრის განცდით, რისგანაც შედგება ცხოვრება – დაპადება და სიკვდილი, შიმშილი და დანაყრება, ერთი ადამიანის ლტოლვა მეორის მიმართ ანდა გაუცხოება, სიხარული და ტკივილი – ბავშვი იწყებს იმის გაგებას, რასაც ჩვენ ზნეობრივ ფასეულობებს ვუწოდებთ.

ერთ-ერთი ძირითადი ქრისტიანული ღირებულება – ადამიანის სიცოცხლის ფასეულობის აღიარებაა. შეუძლებელია იყო ქრისტიანი და ვერ გრძნობდე, რომ ყოველი ადამიანი ძვირფასია, რომ ღმერთს უყვარს ყოველი ადამიანი და რომ ყველაზე დიდი მცნება, რომელიც ადამიანს მიეცა, ესაა – გიყვარდეს ღმერთი და ადამიანი. ქრისტიანული აღზრდის მიზანია – გააღვიძოს სიყვარული და პატივისცემა ადამიანის პიროვნებისადმი, არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ გარშემო მყოფების მიმართ. წმიდა წერილში შემთხვევით არ წერია: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.

როდესაც ვცდილობთ, ბავშვს ადამიანის პიროვნების ფასეულობის გაგება ჩამოვაყალიბოთ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ბავშვის ცხოვრებაში ახალი სიცოცხლის გაჩენას დიდი ადგილი უჭირავს. ჯერ კიდევ არსებობენ ოჯახები, სადაც არაა მიღებული საუბარი პატარა ბავშვებთან ძამიკოსა თუ დაიკოს მოსალოდნელი გაჩენის შესახებ. ზოგჯერ დედა ცდილობს დამალოს ორსულობა. ჩემი აზრით, ეს არასწორია. ბავშვს ინსტინქტურად უჩნდება ეჭვი, რომ რაღაც სამარცხვინოსა თუ საშინელს უმაღლავენ. ახალი სიცოცხლის გაჩენა ოჯახში – ეს პასუხისმგებლობაა. ნორმალურ, მოსიყვარულე ოჯახში – სასიხარულო პასუხისმგებლობა. პატარა ბავშვებმაც კი შეიძლება იგრძნონ ეს სიხარული. დედა თავის თავში ატარებს ახალ სიცოცხლეს. ეს გასაგებიცა და სასიხარულოც. ამან შეიძლება სამუდამოდ განსაზღვროს ბავშვის დამოკიდებულება ადამიანის დაბადებისადმი, ადამიანის სიცოცხლის მნიშვნელობისადმი, ადამიანური სიყვარულისადმი.

პატარა ბავშვებმა ამ სასიხარულო მოლოდინში შეიძლება მონაწილეობა, მიიღონ. მახსოვს, როცა მესამე ბავშვზე ვიყავი ორსულად, წავტებოდ. წერმა 6 და 4 წლის, უფროსმა გოგონებმა სასწრაფოდ დაიწყეს ლოცვა, „პატარა არ დაზიანდესო“.

ორსულობასთან დაკავშირებულ კითხვებზე ზოგჯერ პასუხის გაცემა გვიჭირს. ვფიქრობ, თითქმის შეუძლებელია და, ალპათ, არასასურველი მეტისმეტი ინიციატივის გამოჩენა იმისთვის, რომ ბავშვებს ჩასახვის და ჩვილის გაჩენის პროცესების არსი აუცხსნათ. მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, გონივრულად და სიყალბის გარეშე ვუპასუხოთ იმ კითხვებს, რომლებიც ბავშვს დროდადრო უჩინდება. უნდა გავიგოთ კითხვის არსი, მისი ფარგლები. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ბავშვს, „კველაფრის“ გაგება კი არ უნდა, არამედ მხოლოდ იმისა, რაც საკუთარი წარმოდგენებისა და ცხოვრებისეული ცოდნის შექმნა, იმ მომენტში აინტერესებს. ჩვენ კი ზოგჯერ ბავშვურ კითხვებს ჩვენი ზრდასრული გამოცდილების ფარგლებში ვაქცევთ ხოლმე.

ასე მაგალითად, ხუთი წლის გოგონა ეკითხება დედას, როგორ მოხდა, რომ მის „მუცელში“ ბავშვი აღმოჩნდა. დედა პასუხობს: „ჩემში ბავშვი იზრდება, როგორც ყვავილი იზრდება პატარა თესლიდან“. ეს პასუხი სავსებით აკმაყოფილებს ბავშვს, თანაც, ვფიქრობ, ის ბრძნულია და სწორი, რადგან ადგილი არა ჰქონია ტყუილსა თუ სიყალბეს. უფრო მეტიც – ის ზუსტია. დედამ უპასუხა მხოლოდ იმას, რისი გაგებაც უნდოდა ბავშვს. ამასთან ერთად, ის დაეხმარა ბავშვს გაეგო, მისი გამოცდილების ფარგლებში, როგორ ჩაისახება ახალი სიცოცხლე.

მნიშვნელოვანია დავხმაროთ ბავშვებს ათვისონ ის, რასაც ადამიანის სიცოცხლის საწყისის შესახებ საბავშვო „ლოთისმეტყველება“ შეიძლება ვუწოდოთ. ღმერთმა მოაწყო სამყარო ისე, რომ ყოველი ადამიანი იზრდება პატარა თესლიდან, რომელსაც თავის თავში დედა ატარებს. ყველა პატარა ბავშვს მნიშვნელოვანია ჰყავდეს დედა და მამა, რომ მათ იზრუნონ მასზე. მამას და დედას უყვართ ერთმანეთი და უყვართ თავისი შვილები. თუკი ბავშვის ამის რწმენა აქვს და ის ოჯახის გამოცდილებას ემყარება, მაშასადამე, ბავშვის ზნეობრივი ცნობიერების საფუძველი დადებულია.

ექვსი-შვიდი წლის ბავშვებს შეიძლება მოვუყვეთ, რომ ჩვილს, რომელიც მალე გაჩინდება, ექნება მშობლებისაგან მეტყველება მიღებული მრავალი თვისება, – თვალების და თმის ფერი, ხმა თუ ნიჭი. ამ მაგალითზე ბავშვებში შეიძლება განვავითაროთ ოჯახის, გვარის, იმ ყველაფრის მნიშვნელოვანების გაგება, რასაც წინაპრებისგან ვიღებთ.

მიმართა, რომ პატარა ბავშვებისათვის, რომელთა ოჯახებში ჩვილის გაჩენას ელიან, ამის წინასწარ ცოდნა სასარგებლოა. ოჯახის ახალი წევ-

რის გამოჩენისთვის მზრუნველობით აღსავსე სამზადისი იძლევა ნიმუშს სიყვარულითა და სიხარულით გამსჭვალული დამოკიდებულებისა ახალი ადამიანისადმი. თუკი დედა უფრთხილდება თავს ორსულობის დროს – არ ეწევა, არ სვამს ალკოჰოლს, არ იღებს ზოგიერთ ნამალს – ეს ბავშვებს მშობლების პასუხისმგებლობის, მშობლური სიყვარულის გაგებას უნერგავს.

კარგი იქნება, თუ ბავშვებს ლუკას სახარების პირველ თავს წავუკითხავთ, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ ელოდა ელისაბედი იოანე ნათლისმცემლის დაბადებას. ოჯახში, როგორიც ელის ახალი წევრის გაჩენას, ეს ქრისტიანულ განწყობას შექმნის, დაეხმარება ეს მოვლენა მართებულად გააცნობიერონ. ჩემი აზრით, ასეთი სერიოზული და, ამავე დროს, უბრალო დამოკიდებულება უფრო სწორია, გაცილებით მეტად შეესაბამება ქრისტიანულ ზნეობას, ვიდრე ის, რომ „დედიკონ ბავშვი მაღაზიაში იყიდა“ ანდა „ძამიკო ან დაიკო კომბოსტოში იპოვეს.“

ბავშვის შემოქმედებასა და თამაში

თითქოსდა, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ბავშვის შემოქმედებასა და თამაშს რელიგიურ აღზრდასთან? მაგრამ ასეთი კავშირი არსებობს. ქრისტიანული აღზრდა მოწოდებულია ღვთის მიერ ადამიანის სულში დანერგილი ნიჭის – შემოქმედებითი უნარის, ტალანტის – გახსნა-გამოვლინებას ხელი შეუწყოს. რაოდენ არსებითია იესო ქრისტეს იგავი ტალანტების შესახებ, სადაც მოთხრობილია, – ბატონშა, სამოგზაუროდ რომ მიდიოდა, მსახურებს სხვადასხვა თანხა, ტალანტები დაუტოვა, – ვის მეტი, ვის ნაკლები (ტალანტი ძველად ეწოდებოდა ფულის მსხვილ ერთეულს – ჩვეულებრივ, ვერცხლის ზოდს). როდესაც ბატონი დაბრუნდა, ის მსახურები, რომლებმაც ტალანტები გამოიყენს და მოგება ნახეს, შეაქო, მაგრამ დასაჯა ის, რომელსაც პასუხისმგებლობისა შეეშინდა და ტალანტი მიწაში ჩაფლა.

საკუთარი ნიჭის, სიყვარულის, თანაგრძობისა და გაგების გამოვლენის უნარი, საგნების მოხმარების ჩვევა, ახალი პრობლემების გააზრება და გადაწყვეტა, რაღაცის გამოგონება, – ეს ყველაფერი ბავშვების თამაშის შემადგენელი ნაწილია. ეს უბრალოდ წარმოსახვის თამაში კი არაა, არამედ შემოქმედებაც. ყველა ეს ადამიანური თვისება ჩვენი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ქრისტიანული აღზრდა მოწოდებულია, გახდეს სისხლსავსე და ყოვლისმომცველი, ბავშვს ცხოვრებისათვის რომ მოამზა-

დებს, ამ სიტყვის ყველაზე სრული გაგებით.

რას ალარ წარმოიდგენენ ბავშვები თამაშისას... მამებიც პრიაზ და აუ-
დებიც, მოგზაურებიც და ასტრონავტებიც, გმირებიც და ბალერინებიც,
ექიმებიც და მეხანიკებიც. აშენებენ, ჩხირკედელაობენ, ირთვებიან და
იკაზმებიან. ავეჯი ავტომობილად, თვითმფრინავად, კოსმოსურ ხომალ-
დად გადაიქცევა ხოლმე... ბავშვური თამაშისა და ფანტაზიის სამყარო გვა-
გონებს იმ პირველქმნილ სამყაროს, რომლის შესახებ მოგვითხრობს წმიდა
წერილი და რომელიც ღმერთმა ადამიანს ჩააბარა, რათა „უფლებოდეს
და მთავრობდეს.“

თამაშისას ბავშვის სულიერი ძალები ვითარდება, პიროვნება ყალიბ-
დება, ნიჭი გამოვლინდება. ბავშვის თამაში – ესაა შემოქმედებითი სული-
ერი ცხოვრების გამოხატულება, რომელიც ადამიანს ღმერთმა უწყალობა.
ბავშვები, რომლებსაც თამაშის საშუალება წართმეული აქვთ, სულიერად
ვერ ვითარდებიან. ეს ახალი ჰედაგოგიური თეორია არ გახლავთ. ამას ყო-
ველთვის გრძნობდნენ და ითვალისწინებდნენ გამოცდილი მასწავლებლე-
ბი. მასშივრს, როგორ მიყვებოდა დედაჩემი თავის ძიძაზე, რომელიც დაახ-
ლოებით ასი წლის წინათ ამბობდა: „ბავშვის მთავარი მოვალეობა – ესაა
თამაში, თამაშის ცოდნა...“

ჩვენს დროში ბავშვის შემოქმედებითი თამაშის განვითარებას ბევრი
რამ უშლის ხელს. ბავშვის თამაშზე მავნე გავლენას ახდენს ტელევიზია.
ბავშვს ეკრანი აპიპნოზებს, მან შეიძლება საათები გაატაროს მის წინ ისე,
რომ არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს იმაში, რასაც უყურებს. ეს ზოგ-
ჯერ ნარკოტიკივით მოქმედებს. ჩვენი ცხოვრებიდან ტელევიზიას ვერ
განდევნი. არცთუ იშვიათად სასარგებლო, საინტერსო მხატვრულ პროგ-
რამებსაც აჩვენებენ. მაგრამ მეტისმეტად მაცდუნებელია ბავშვი დასვა
ტელევიზორის წინ უბრალოდ იმისთვის, რომ არ გიშლიდეს, ფეხევეშ არ
გედებოდეს.

როცა ამას ვაკეთებთ, ჩვენ ბავშვს მომნუსხველი ძალის გავლენის ქვეშ
ვაქცევთ, რომლის კონტროლირება შემდეგ ძალზე ძნელი ხდება. ამერიკის
საზოგადოებაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმ ტელეგადაცემების მავ-
ნე ზეგავლენაზე, რომლებიც ძალადობის, დანაშაულის, აღვირას ხსნილობის
პროპაგანდას ეწევიან. ცივილიზაციის ყოველი ახალი მიღწევა დიდ პასუ-
ხისმგებლობას გვაკისრებს, ითხოვს ჩვენგან უნარს ისე მოვიხმაროთ, რომ
არ დავემონოთ.

კიდევ ერთი დაბრკოლება ბავშვის თამაშის განვითარებისათვის ქა-
ლაქური ცხოვრების პირობებში – ბინის სივიწროვე, სათამაშო ადგილის

უქონლობაა. როგორ ითამაშოს გატაცებით, როგორ ააშენოს რაღაც როცა ადგილი არაა, როცა არათუ საკუთარი ოთახი არა აქვს, ჩრამედ აკუთხეც კი. როცა მთავარია „სახვებს ხელი არ შეუშალოს“.

როდესაც ჩვენ, ემიგრანტების ოჯახი ოთხი ბავშვით, საფრანგეთიდან ამერიკაში მივდიოდით, რვა კვირა უსახლკაროდ გავატარეთ. ერთი კვირა საპორტო სასტუმროში ვცხოვრობდით, ველოდებოდით, გემი ზღვაში როდის გავიდოდა (პორტში გაფიცვა იყო). ერთი კვირა გემზე გავატარეთ. შემდეგ ექვსი კვირა ემიგრანტების საერთო საცხოვრებელში ვიყავით, სანამ ჩემი ქმარი და მე სამუშაოს და ბინას ვეძებდით. და, აი, ბოლოს მოვეწყეთ მშვენიერ ძველ სახლში ქალაქებარეთ, სადაც მერე 35 წელი ვიცხოვრეთ. ჩვენს ოთხი წლის ბიჭუნას ერგო ციცქანა ოთახი ჩვენი საძინებლის გვერდით. „აი, იურა, ეს შენი იქნება!“ – ვახარე, „ჩემი? ჩემი საკუთარი?“, „დიახ, შენი საკუთარი!“ „და შემიძლია იქ არეულობა მოვაწყო?“ ძალა არ მეყო უარი მეტქვა იმ რვა კვირის შემდეგ, როცა მუდმივად ვითხოვდით მისგან არეულობა რა მოეწყო. „დიახ, შეგიძლია...“ ბიჭუნა თავის ითახში ჩაიკეტა... და ყველაფერი იატაკზე გადმოყარა, რაც ესოდენ მზრუნველად ჩავულაგე კარადასა და საწერი მაგიდის უჯრაში... რამდენად მნიშვნელოვანია პატარა ადამიანისთვის, „საკუთარი“ კუთხე ჰქონდეს!

ყოველთვის არ არის საშუალება ბავშვს ცალკე ითახი გამოვუყოთ, მაგრამ მგონია, ყოველთვის შესაძლებელია კუთხე მივუჩინოთ, მივცეთ მუყაოს ყუთი, სადაც თავის ნივთებს შეინახავს და რომლის პატრონადაც იგრძნობს თავს. მის „საკუთრებას“ პატივისცემითა და სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ.

ბავშვის შემოქმედებით ინდივიდუალურ თამაშს ხელს უშლის, აგრეთვე, სასკოლო პროგრამის გადატვირთულობა. სკოლა – კოლექტივია და იქ ინდივიდუალური შემოქმედებისთვის ცოტა დრო რჩება. ბაგაბალიდან და საბავშვო ბალიდან მოყოლებული, აღმზრდელების მთელი ყურადღება იმაზე იხარჯება, რომ ბავშვს დისციპლინა ჩაუნერგონ. ყველა თამაში და სავარჯიშო ამას ემსახურება. თუკი დედა მუშაობს, ბავშვები ბაგასა და საბავშვო ბალში მთელ დღეს ატარებენ. და, აბა, როგორლა განვითარდება პიროვნული შემოქმედება? უფროსი ასაკის ბავშვები სკოლაში სწავლის გარდა სხვა ბევრი საქმითაც არიან დაკავებული – ნებაყოფლობითით და აუცილებელით: სპორტი, წრეები, კერძო გაკვეთილები. აი, ასე იზრდებიან ჩვენი შვილები ქალაქის პირობებში, სადაც პიროვნული ფანტაზიის სამყაროსთვის, შემოქმედებითი თამაშისთვის, ინდივიდუალური განვითარების-თვის ადგილი თითქმის აღარ რჩება.

რა შეიძლება გავაკეთოთ ჩვენ, მშობლებმა, ამას რომ ვუშველოთ?

ზღაპრულ, ფანტასტიკურ თამაშებს თანაგრძნობითა და პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ. თუკი ბავშვისთვის სკამი იმ წუთას კოსმოსური ხომალდის ნაკვეთურია, ასეთად უნდა მივიღოთ. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, არ გავუფუჭოთ თამაში, არ ჩავერიოთ მასში, არ დავუწყოთ გამოკითხვა ანდა შეხუმრება. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენს ნაცნობებს მოვუყვეთ, როგორ „თამაშობს ბიჭი...“ ან რა თქვა, ან რა გააკეთა. ბავშვებს აქვთ უფლება ჰქონდეთ საკუთარი პირადი ცხოვრება, თამაში, რომელშიც უფროსები, ჯობს, არ ჩაერიონ.

ბავშვების შემოქმედებით თამაშს შესაძლებელია ხელი შევუწყოთ სა-თამაშოების შერჩევითაც. ხშირ შემთხვევაში ძვირადლირებული მექანიკური სათამაშოები ყველაზე უსარგებლოა. ბავშვს დასაქოქ ჯამბაზს ჩუქნიან, რომელიც უფროსებს ძალზე სახალისო სათამაშო ჰგონიათ. მაგრამ როგორ გაერთოს იმით ბავშვი? დაქოქოს და უყუროს, როგორ დადის? რაც მეტი რაღაც შეუძლია ბავშვმა თავის სათამაშოს გაუკეთოს, მით უკუთესია. რა უშავს, თუკი ბავშვი არ იყენებს ნაჩუქარ კუბურებს, ანბანი რომ ისწავლოს, სამაგიეროდ, ააშენებს სახლს, გზას, ხიდსა თუ კედელს... თუკი გოგონას დედოფალას ჩუქნით, ჯობია ისეთი იყოს, რომლის გახდაჩაცმა, დაბანა, დავარცხნა შეიძლება — ეს გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ისეთი თოჯინა, რომელსაც შეუძლია წარმოთქვას: „დე-და“, მაგრამ ამის მეტი — არც არაფერი.

აღზრდის ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო ნაწილი ის კი არაა, როცა ვცდილობთ ჩვენს შვილებს, რაღაც ჩავუნერგოთ, ვასწავლოთ ის, რაც მნიშვნელოვანი გვგონია, არამედ როცა სიფრთხილითა და სიყვარულით ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ იმ „ტალანტების“ განვითარებას, რაც ღმერთმა დანერგა ჩვენს შვილებში, ვცდილობთ, ამოვიცნოთ ისინი და ოჯახის ცხოვრებაში გამოხატვის შესაძლებლობა მივცეთ.

ლამაზება ||

ლამხმარი სახელმძღვანელო სასაობო პროგრამის შესადგენალ

უმცოვის ასაკის ბავშვები

(5, 6, 7 წელი)

**აზროვნების განვითარების რელიგიურ-ტედაგოგიკური მასალა,
ეტაპები რომელიც ამ დონეს შეესაბამება**

1. ოჯახი

ოჯახს ცენტრალური ადგილი უჭირავს ბავშვის ცნობიერებაში, თუმცა ცხოვრებისეული გამოცდილება თანდათან უფართოვდება სხვადასხვა წრესა თუ საბავშვო ბალში სიარულთან ერთად. რწმენა იმისა, რომ დედოფლის და მამიკოს „ყველაფერი შეუძლიათ“, თანდათანობით ნელდება.

ბავშვებისათვის ახლობელია მოთხოვობები წმიდა წერილიდან ოჯახის მნიშვნელობის შესახებ. მაგალითად, ნოეს ამბავში ბავშვებს ყურადღება უნდა გავუმახვილოთ არა მსოფლიო კატასტროფაზე, როგორც სასჯელზე, არამედ ღვთის მიერ ერთადერთი ოჯახის გადარჩენაზე, რომელმაც სიკეთე შეინარჩუნა. ასევე ცხოველთა ყოველი სახეობიდან თითო ოჯახის გადარჩენაზე. შეიძლება ვუამბოთ ჩვილი მოსეს გადარჩენაზე. ახალი აღთქმიდან – მაცხოვრის შობაზე, მირქმაზე, იოანე ნათლისმცემლის შობაზე, ღვთისშობლის შობასა და ტაძრად მიყვანებაზე.

2. წარმოდგენა საკუთარ პიროვნებაზე

ბავშვები ძალზე ეგოცენტრულები არიან და სხვა ადამიანის შეხედულების გაგების უნარი თითქმის არ გააჩინათ. ისინი ხვდებიან კონკრეტულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მონათხოვბში, მაგრამ მათი გაგება შეზღუდულია ისტორიული თუ გეოგრაფიული ცნებების უქონლობით. ყურადღების კონცენტრირება მხოლოდ რამდენიმე წუთით შეუძლიათ, მოძრაობის დიდი მოთხოვნილება აქვთ, დიდი ხნით ერთ ადგილზე გაჩერებას ვერ ახერხებენ. კარგი მეხსიერება აქვთ – იმასსოვრებენ მათვის გაუგებარ მოკლე სიტყვებსაც კი, განსაკუთრებით, თუ მოძრაობასთან და შელოდიასთან იქ-

ნება დაკავშირებული.

ბავშვების სულიერი განვითარებისათვის ძალზე სასარგებლობა მიმო-
ტივი მოთხოვები, რომლებიც აღძრავენ შეცოდებას, თანაგრძნობას, სა-
ერთოდ კეთილ დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისა თუ ცხოველების
მიმართ. მაგალითად, ძველი აღთქმიდან ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ
ეხმარებოდა აბრაამი თავის ძმისშვილს – ლოთს, როგორ ისწავლა სიმარ-
თლე ბალამბა თავისი სახედრისაგან. ახალი აღთქმიდან – ამბავი ბიჭისა,
რომელმაც იქსოს თევზები და პური მიუტანა ხალხის დასაპურებლად, ან
მოწყალე სამარიტელის იგავი.

3. დამოკიდებულება გარემოსადმი

საკუთარი ოჯახის გარდა ბავშვებს შესება აქვთ პატარებთან საბავშვო
ბაღში, სკოლაში, ეზოში, წრეებზე. თანდათანობით „საერთო“ საქმიანობის
გაგებას ითვისებენ.

მეგობრული განწყობა ერთობლივი თამაშისა თუ შრომის დროს ისე-
ვე მნიშვნელოვანია საღვთო სჯულის გაკვეთილებზე ბავშვების სულიერი
განვითარებისათვის, როგორც ის, თუ რას მოვუთხობთ მათ. პატარებს
კარგად შეუძლიათ აღიქვან ამბები ძველი და ახალი აღთქმიდან ერთობლი-
ვი ძალისხმევის შესახებ. მაგალითად, კიდობნის აგების შესახებ, ხოლო ახა-
ლი აღთქმიდან – უფლის იერუსალიმში დიდებით შესვლის შესახებ და ბავ-
შვების მონაწილეობაზე ამ მოვლენაში, საიდუმლო სერობაზე, როგორც
ზიარების წესის დადგენაზე, ანუ მაცხოვრის ყველაზე ახლო ურთიერთო-
ბაზე თავის მოწაფეებთან.

4. ეკლესიის ცნება, გაგება

ეს ცნება განსაზღვრულია მხოლოდ ტაძარში მიღებული შთაბეჭდი-
ლებით.

ბავშვებს უნდა გავაცნოთ ტაძარი და ყველა საგანი, რაც ტაძარშია,
მღვდელმსახურთა შესამოსელი. ეს გაცნობა უნდა მოხდეს ხუთივე გრძნო-
ბის ორგანოს ჩართვით. ტაძრის ეს „გრძნობადი“ აღქმა სავსებით კანონიე-
რია და განვითარების შემდგომ ეტაპებზე დავიწყებას არ მიეცემა.

5. გარემომცველი სამყაროს აღქმა

ბავშვურ ნარმოდგენაში სამყაროს შესახებ არ არის გამიჯნული ფან-
ტაზისა და რეალობის სფეროები. გარემომცველი საგნები ხშირად ადამი-
ანურ თვისებებს იძენენ. ბავშვები ხშირად სვამენ კითხვებს სამყაროს შესა-

ხებ, თუმცა სრულიად მარტივი პასუხებით კმაყოფილდებიან.

ბავშვები ადვილად იღებენ, რომ სამყარო ღვთის მიერაც შექმნილი, თუ ამას უფროსები უბნებიან. სასარგებლოა სამყაროში არსებული სილამაზისა და სიბრძნის შეგრძნების უნარის აღზრდა, ბუნების ცხოვრების გაცნობა. ძველაღთქმისეული მოთხრობა სამყაროს შექმნის შესახებ ისე უნდა გადმოიცეს, რომ ბავშვებმა იგრძნონ, უფალმა თავისივე შექმნილ სამყარო სა და ადამიანში ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა როგორ ჩადო.

6. ღმერთის გაგება

პატარა ბავშვებისათვის ღმერთის გაგება განსაზღვრულია ძირითადად იმ აზრით, რომ ის არის ყოველივე გარემომცველის შემოქმედი და განმგებელი. იესო ქრისტეს აღქმა დაიყვანება იმაზე, რომ ის იყო ძალზე კეთოლი, უყვარდა და ეხმარებოდა ადამიანებს, და რომ ბოროტმა ადამიანებმა იგი მოკლეს.

ძველაღთქმისეული თხრობა ღმერთის, როგორც შემოქმედისა და განმგებლის შესახებ ბავშვებისთვის გასაგებია, თუ ის არ იქნება გადატვირთული ისტორიული, გეოგრაფიული თუ ძალიან რთული საღვთისმეტყველო ცნებებით. ძველი აღთქმიდან გასაგები იქნება მოკლე მონათხრობი მოსესადმი უფლის გამოცხადებისა და მისთვის მცნებების გადაცემის შესახებ, თავად მცნებების განხილვის გარეშე. მოთხრობები ყოვლადწმიდა სამების გამოცხადების შესახებ ძველი და ახალი აღთქმიდან იქნება მასალა, რომელსაც უფრო ღრმად მომავალში ჩაწვდებიან. იესო ქრისტეს სასწაულების შესახებ თხრობა უნდა გადმოიცეს, როგორც მისი სიყვარულის გამოვლინება ადამიანებისადმი და არა როგორც „ჯადოსნური“ ამბები.

7. ლოცვა

ერთი მხრივ, ბავშვები ყოველდღიურ ლოცვებსა თუ ეკლესიაში სიარულს აღიქვამენ, როგორც მშობლების დადგენილ ვალდებულებას, მეორე მხრივ კი სკერათ, რომ ლოცვით ღმერთისაგან ყველაფრის მიღება შეიძლება, რასაც მოისურვებენ.

პატარა ბავშვებს უნდა გავუმყაროთ იმის შეგნება, რომ ლოცვა არის უფლისადმი მიმართვა, და არა მხოლოდ თხოვნით, არამედ მადლიერებით, და რომ ჩვენი სურვილები ყოველთვის არ ემთხვევა ღმერთისას. მაგალითად, ვუამბოთ იონა წინასწარმეტყველის შესახებ. ბავშვები ადვილად იმახსოვრებენ მოკლე ლოცვებს და მათი ცოდნა ეხმარებათ განიცალონ, რომ ღვთისმსახურებაში მონაწილეობენ. შინ ლოცვისას კარგია ბავშვებმა

თავად გაიხსენონ, რის შესახებ უნდათ ლოცვა ან რის გამო არიან მადლიერი-ნი. ბავშვების ლოცვა მარტივია, არ უნდა მოვთხოვოთ განსაკუთრებული მოწინება ან ზედმინევნითი ყურადღება.

8. სიმბოლიზმის გაგება

პატარა ბავშვები ადვილად აღიქვამენ საგანთა სიმბოლიკას: „ჯოხი თოფი იქნება, სკამი – თვითმფრინავი“. რაც შეეხება მონათხრობის სიმბოლურ საზრისს, მათთვის გაუგებარია და ხშირად მათ მიერ მახინჯდება.

ბავშვები ადვილად აღიქვამენ საგანთა სიმბოლიკას ტაძარში: სანთლები – ჩვენი ლოცვებია, საკმევლის ბოლი – ჩვენი დიდება უფლისა, ჯვარი ტაძარზე გამოხატავს, რომ ტაძარი ღმერთს ეკუთვნის, პური და ლვინო სიმბოლოა საკვებისა და სასმელის, რაც ჩვენი ცხოვრებისთვის აუცილებელია. ზეთი და ნაკურთხი წყალი – ჩვენი განკურნების საშუალებებია. ამ მარტივი სიმბოლურობით უნდა შემოვიფარგლოთ და არ მოვყვეთ უფრო ღრმა გან-მარტებებს.

9. ზნეობრივი ცნებები

ბოროტება იგივედება რაიმე მატერიალურ ზარალთან, რაიმეს გატეხვასთან, გაფუჭებასთან, ასევე მშობლების უკმაყოფილებასა თუ დასჯის სიმკაცრესთან. ბავშვი მძაფრად განიცდის იმას, რაც მას უსამართლობად ეჩვენება საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ ვერ ამჩნევს, როცა სხვას ტკივილსა თუ უსიამოვნებას აყენებს. სიკეთე იგივედება შექებასა თუ ნების დართვასთან სხვების მხრიდან.

საჭიროა, რადგნადაც ეს შესაძლებელია, ბავშვებს „სიკეთისა“ თუ „ბოროტების“ გაგება გავულრმავოთ. მაგალითად, ვუამბოთ ანგელოზთა ან პირველ ადამიანთა ცოდვით დაცემის შესახებ, კაენისა და აბელის შესახებ, ახალი აღთქმიდან კი უძლები შვილის იგავი, კეთილი მონისა და უწყალო მონის იგავი. თუ მარტივად მოვუყვებით, საღვთისმეტყველო, სიმბოლური განმარტებებისა თუ ზნეობრივი წიაღსვლების გარეშე, ბავშვებზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, ბოროტებისა და სიკეთისადმი მართებულ და-მოკიდებულებას ასწავლის.

10. ისტორიული ცნობიერება

პატარა ბავშვების ისტორიული ცნობიერება განისაზღვრება ისეთი ცნებებით, როგორიცაა „ძალიან, ძალიან ადრე“ ან „დღეს“, „გუშინ“, „ხვალ“. ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას მათთვის

არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამ პერიოდში წმიდა წერილის სისტემატურ, თანამიმდევრულ სწავლებას აზრი არა აქვს. თვით შეცლ და აზალ აღთქმად დაყოფა გასაგები ხდება მხოლოდ ამ ასაკის სულ ბოლოს. მოთხოვბანი წმიდა წერილიდან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა გადმოიცეს, რათა ბავშვის სულზე ის შთაბეჭდილება მოახდინოს, რომელიც შეუძლია.

საშუალო ასაკის ბავშვები (8, 9, 10 წელი)

1. ოჯახი

ოჯახისგან მხარდაჭერის მოთხოვნილება ჯერაც ძლიერია, თუმცა მშობლები ერთადერთ ავტორიტეტს აღარ წარმოადგენენ. ბავშვებს შეუძლიათ მათი ნაკლის შემჩნევა, თუმცა განსაკუთრებული განსჯის გარეშე. ძმებთან და დებთან ურთიერთობაში გარდაუვალია კონფლიქტები, ეჭვიანობა, და ამასთან ერთად – ლოკალობა ოჯახისადმი ზოგადად.

სასარგებლობა ამბები წმიდა წერილიდან, რომლებიც წარმოაჩენენ ოჯახის როლს ერის ცხოვრებაში; მაგალითების მოყვანა წმიდანთა ცხოვრებიდან შეიძლება, სადაც ჩანს დამოკიდებულება მშობლებისადმი. ბავშვებში იღვიძებს ინტერესი ბებიებისა და ბაბუების მიმართ, როგორც ოჯახური ტრადიციების დამცველებისადმი.

2. წარმოდგენა საკუთარ პიროვნებაზე

ბავშვს შეუძლია ზოგადი დასკვნების გამოტანა კონკრეტული შემთხვევებიდან, მაგრამ აბსტრაქტული აზროვნებისათვის ჯერ კიდევ არ არის მზად. მოვლენის მიზეზსა და შედეგს შორის კავშირის გაგება პრიმოტიული, რაციონალური აზროვნების განვითარებაში ეხმარება. განსაკუთრებით მგრძნობიარება პირად ურთიერთობებში მეგობრების მიმართ, აქვს სურვილი პირადი მეგობრის ყოლისა.

წმიდა ისტორიის გაცნობისას ღირს მათი ყურადღების გამახვილება მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე. მაგალითად, ძველი აღთქმიდან – იოსების ისტორია, მოსეს ისტორია და ეპრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდან, სამი ყრმის ამბავი ბაბილონის ტყვეობაში და სხვ. ახალი აღთქმიდან –

უძლები შვილის იგავი უფროსი ძმის ამბის ჩათვლით.



3. დამოკიდებულება გარემოსთან

სკოლა სულ უფრო მეტი გავლენას ახდენს ბავშვზე. სასკოლო დისციპლინა გაცილებით მკაცრდება წინა წლებთან შედარებით. სასკოლო კონფლიქტების გადაჭრა შშობლების მონაცილეობის გარეშე ხდება. თანატოლების დამოკიდებულებები და ქცევები შესაძლოა ძალზე განსხვავდებოდეს ოჯახში არსებული დამოკიდებულებებისა და ქცევებისაგან. ბავშვს სულ უფრო ხშირად უხდება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, რა არის კარგი და რა – ცუდი?

მეტი და მეტი სიმძაფრით ისმება საკითხი: „რა არის კარგი და რა – ცუდი?“ „როგორ შეიძლება ამას მიხვდე?“ და მნიშვნელოვნია, რომ მათ-თვის შეთავაზებული მასალა სასარგებლო იყოს ამისთვის. ეს არის ადგილები წმიდა წერილიდან, განსაკუთრებით ახალი აღთქმიდან, რომლებიც აღწერს არჩევანის მომენტს: იოანე ნათლისმცემლის სიკვდილი, მდიდარი ჭაბუკის ეპიზოდი, პეტრეს მიერ მაცხოვრის უარყოფა და ა.შ. ძველი აღთქმიდან ბავშვებისათვის გასაგები იქნება ესავის ამბავი, რომელმაც პირმშობას შეჭამანდი არჩია.

4. ეკლესიურობის გაგება

ეკლესია გაიგივებულია საეკლესიო დღესასწაულებთან. ბავშვებს ამასაკში ხშირად უძნელდებათ ღვთისმსახურებაზე დასწრება, ხანგრძლივი უმოქმედობის და იმის გამო, რომ ღვთისმსახურების საზრისი არ ესმით.

აუცილებელია ღვთისმსახურებისას ბავშვებს დაღლილობის დაძლევაში დავეხმაროთ, გავაცნოთ მსახურების ზოგადი გეგმა, ზოგადი შინაარსი იმისა, რასაც ხედავენ. მთავარი დახმარება კი ის იქნება, თუ მათ ქმედითად ჩავრთავთ ღვთისმსახურებაში: შეიძლება ზოგმა გუნდში იგალობოს, ზოგმა შანდლების სისუფთავეზე იზრუნოს, ზოგმა მოსახსენიებლები გადასცეს და ა.შ.

5. წარმოდგენა სამყაროზე

ბავშვი უფრო გააზრებულად განიცდის სამყაროში ბოროტების, სისასტიკის, უსამართლობის არსებობას და ეს ხანდახან ურყყევს ბავშვურ რწმენას, ეჭვი შეაქვს სიკეთის ძალაში. ის იღებს ინფორმაციას სკოლაში საბუნებისმეტყველო გაკვეთილებზე სამყაროს განვითარების შესახებ და ხშირად არ იცის, როგორ დაუკავშიროს ეს მის ბავშვურ წარმოდგენებს

ღვთის, როგორც შემოქმედისა და განმგებლის შესახებ.

ამ ასაკში ძალზე მნიშვნელოვანია ქრისტიანი აღმზრდელი მისახვდო-
მი და მარტივი ფორმით დაეხმაროს ბავშვს, თავის მსოფლალებაში „მეცნი-
ერება“ და „რელიგია“ შეარიგოს. უნდა აიხსნას, რომ რელიგიური ცოდნის
სფერო – ეს არის მოვლენის გაგება, ხოლო მეცნიერების სფერო – შესწავლა
იმისა, თუ როგორ მოხდა მოვლენა. შეიძლება აიხსნას, რომ ღმერთმა ადამი-
ანი შექმნა თავისუფალ არსებად და არა რობოტად, ამიტომაც ხდება შესაძ-
ლებელი ბოროტი ქმედება. შეიძლება იქსო ქრისტეს ტანჯვისა და სიკვდი-
ლის მაგალითზე ვუჩენოთ ტანჯვის გამომხსნელი, მაკურნებელი ძალა.

6. ღმერთის შემეცნება

ბავშვის წარმოდგენა ღმერთზე თანდათანობით ემიჯვნება სახებას, რო-
მელიც აღრეული ბავშვობის რეალისტურმა წარმოსახვამ შექმნა. მათი აზ-
რები ღმერთის შესახებ ხშირად საკმაოდ პრიმიტიულია და რაციონალური.
ისინი ძალზე ადვილად აღიარებენ ღმერთის, როგორც შემოქმედისა და მე-
უფის არსებობას, მაგრამ მათთვის რთულია შეიგრძნონ ღმერთი საკუთარ
ცხოვრებაში, იგრძნონ თავისი პირადი დამოკიდებულება ღვთისადმი. სას-
წაულთა შესახებ თხრობაში მათ, როგორც წესი, აინტერესებთ გარეგნული
მხარე, – როგორ მოხდა სასწაული.

ამ ასაკისათვის ქრისტიანული აღმზრდის ამოცანაა, დავეხმაროთ ბავ-
შვებს შეიგრძნონ ღმერთის სიახლოვე მათ პირად ცხოვრებაში. მათ აქვთ
უნარი უფრო გაცნობიერებულად აღიქვანა იგავები და მოთხრობები ახალი
აღთქმიდან, რომლებიც ღმერთის სიახლოვეს განაცდევინებენ – ქადაგება
მთასა ზედა, ქრისტე და ბავშვები, ქარიშხლის დაწყნარება, იგავი მთესველ-
ზე და სხვ.

7. ლოცვა

ლოცვისადმი დამოკიდებულება მერყეობს მშობლების მიერ დადგენი-
ლი წესების შესრულებასა და ლოცვის მაგიური ძალის რწმენას შორის, რა-
საც სურვილების ასრულება შეუძლია. უფრო შეგნებული ბავშვები ხვდები-
ან, რომ ღვთისაგან ყველა სურვილის შესრულება არ შეიძლება მოითხოვო. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ბავშვების უმრავლესობა ამ
ასაკში ეზიარება და აღსარებებსაც აბარებს, საიდუმლოთა საზრისი ნაკ-
ლებად ესმით.

ქრისტიანი აღმზრდელის ძირითადი ამოცანაა, გაულრმავოს ბავშვს
ლოცვის, როგორც უფლისადმი მიმართების განცდა. აუცილებელია ყუ-

რადღებით, მრავალი ცხოვრებისეული მაგალითის მოხმობით, ბავშვების კითხვებისადმი გულისხმიერებით განიმარტოს საუფლო ლოცვა — „მამამ ჩვენი“. აუცილებელია ისეთი იგავების დახმარებით, როგორიცაა იგავი მეზვერესა და ფარისეველზე, ასევე უძლებ შვილზე, გავუღრმავოთ სინაულით აღსავს ლოცვის გაგება. აუცილებელია იმ საიდუმლოთა მნიშვნელობის ახსნა, რომლებიც უკვე იციან — ნათლობა, ზიარება და აღსარება.

8. სიმბოლიკის გაგება

ამ ასაკის ბავშვებს უკვე შეუძლიათ იგავების სიმბოლური მნიშვნელობის გაგება, თუკი საუბარი მათთვის ნაცნობ განცდებზე იქნება. მათ ასევე შეუძლიათ იმის გაგებაც, რომ ამბავი სხვის შესახებ, შესაძლოა, მათაც ეხუბოდეს.

ბავშვებს შეუძლიათ აღიქვან იმ საიდუმლოთა სიმბოლიკა, რაშიც მონაწილეობენ. ასევე იგავთა სიმბოლური საზრისი.

9. ზნეობრივი ცნობიერება

ამ ასაკის ბავშვებისათვის კარგადაა ცნობილი ქცევის წესები, როგორც სახლში, ასევე სკოლაში და აღიარებენ კიდეც მათ აუცილებლობას. მათი გაგება სამართლიანობისა საკმაოდ პრიმიტიულია და სასტიკიც კი. ისინი ჯერ კიდევ ეგოცენტრულები არიან, თუმცა მათში იღვიძებს საკუთარი დანაშაულის აღიარების უნარი, შეუძლიათ განიცადონ სინაული, თანაგრძნობა სხვის მიმართ. ბოროტება ჯერ კიდევ ფასდება, როგორც მატერიალური ზარალი, დანაშაულის მნიშვნელობა კი დატუქსვისა თუ დასჯის ხარისხთ განისაზღვრება.

ბავშვები ადვილად ითვისებენ იმას, რომ არსებობს ღვთისაგან მოცემული ქცევის წესები და კანონები. აინტერესებთ ტაძარში მოქცევის წესები, ერთგვარი „საეკლესიო ეტიკეტი“. უნდა გავუღრმავოთ „კანონიერების“ ეს ბავშვური გაგება, რათა აითვისონ ძირითადი კანონი სიყვარულისა ღვთისადმი და ადამიანებისადმი, როგორც ზნეობრივი ცხოვრების საფუძველი. ეს არა მხოლოდ სიტყვიერად უნდა ითქვას, არამედ უნდა მოვიხმოთ, რაც შეიძლება, ბევრი მაგალითი.

10. ისტორიული ცნობიერება

ამ ასაკის ბავშვებს გაცილებით უკეთ აქვთ განვითარებული მოვლენათა თანამიმდევრული აღქმის უნარი და ზოგადად დროის შეგრძნება. დიდ როლს ასრულებს გაგების სურვილი „მართლა ასე იყო თუ არა?“ ბავშვებში

იღვიძებს ინტერესი ძალიან დიდი ხნის წინანდელისადმი, ძირითადად კურნეული დეტალების მიმართ.

ბავშვებს ძალუბთ ისტორიის საზრისის ძირითადი ცნებების აღქმა – სამყაროს შექმნა, ადამიანთა ცოდვით დაცემა, მხსნელის მოლოდინი, იესო ქრისტეს დაბადება, სწავლება ქვეყნიერების აღსასრულზე – თუმცა საკმაოდ ზედაპირულად. სამაგიეროდ აინტერესებთ სხვადასხვა არქეოლოგიური დეტალი, რაც წმიდა წერილის მოთხოვნებითანაა დაკავშირებული.

ეფროსი ასაკის ბავშვები

(11, 12, 13 წელი)

1. ოჯახი

მძაფრდება კრიტიკული დამოკიდებულება მშობლებისადმი, მოზარდთა „ამბოხის“, წინამორბედი, მაგრამ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია თითქმის ფანატიკური ლოიალობა ოჯახური ჩვეულებისა და შეხედულებებისადმი. ბავშვებს ჯერ კიდევ სჭირდებათ ზნეობრივი მხარდაჭერა ოჯახის მხრიდან.

ამ ასაკის ბავშვებისათვის ძალზე სასარგებლოა, გაეცნონ ამბებს ძველი და ახალი აღთქმიდან, ასევე წმიდანთა ცხოვრებიდან, რომლებშიც ასახულია საოჯახო კონფლიქტები, მაგალითად, იოსებისა და მისი ძმების კონფლიქტი, უფროსი ძმის როლი უძღვები შვილის იგავში და სხვ. ამასთან, შეიძლება გავარკვიოთ ორივე მხარის მოტივაცია. სასარგებლოა თორმეტი წლის ყრმა იესოს ტაძარში ყოფნის ამბავი, რომელ შიც მოთხოვნილია იესოს გარეგნული ურჩიბის შესახებ დედისა და იოსების წინაშე.

2. წარმოდგენა საკუთარ პიროვნებაზე

საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, შეგრძნება ძლიერდება. ბავშვები უფრო ღრმად განიცდიან სიხარულს, წარმატებას, წარუმატებლობას, იმედგაცრუებას. სხვადასხვაგვარი ცოდნა თუ ინფორმაცია საკმაო რაოდენობით დაუგროვდათ, მაგრამ აზროვნება ჯერ კიდევ ზედაპირული აქვთ და ამასთანაა დაკავშირებული მათი ზერელე რაციონალიზმი და იმის უარყოფა, რისიც ადრეულ ბავშვობაში სწამდათ. უწნდებათ დამცინავი და მოკიდებულება ბევრი რამისადმი. შეუძლიათ ლოგიკური განმარტებებისა და დასკვნების აღქმა, თუ ისინი საკმაოდ კონკრეტული იქნება.

ამ ასაკში ბავშვებს საღვთო ისტორიის მათვის უკვე ნაცნობ მოვლენათა უფრო ღრმა საზრისი შეიძლება გავაცნოთ, მაგალითად, ვესაუბროთ

წმიდა სამების დოგმატის, გამოხსნის, სასუფეველის, გარდაცვალების შემდეგ ცხოვრების შესახებ. აუცილებელია, შევეცადოთ გავუღრმავოთ ქრისტიანული გაგება ადამიანებისადმი მათი დამოკიდებულებისა — მეგობრობის, პასუხისმგებლობის (იგავი ტალანტების შესახებ), თანაგრძნობის, მორჩილების. მთავა ზედა ქადაგების გარჩევა, თანამედროვე მაგალითების მოხმობით, შესაძლოა ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს.

3. დამოკიდებულება გარემოსადმი

სკოლის გავლენა ძალზე ძლიერია, შეინიშნება „შერჩევის“ პროცესი, „საკუთარი სამეცნიეროს“ შესდებება განსაკუთრებით ავტორიტეტულია. გოგონები ინტერესდებიან ბიჭებით, მაგრამ ბიჭები არჩევენ ბიჭების საზოგადოებას. უწინდებათ ცოცხალი ინტერესი უფროსი ასაკის ახალგაზრდებისადმი და ცდილობენ, მათ მიბაძონ.

ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერდება ბავშვის ცნობიერების გახლება რწმენასა და ცხოვრებას შორის. აღმზრდელი მოწოდებულია ბავშვებს გაუღვიძოს ქრისტიანული პასუხისმგებლობის გრძნობა გარე სამყაროსადმი, თანატოლებისადმი, უფროსებისადმი. საჭიროა გაკეთდეს აქცენტი არჩევანის მნიშვნელობაზე — საკუთარი არჩევანის გაკეთების აუცილებლობაზე. ამ თვალსაზრისით, სასურველია უკვე კარგად ნაცნობი იგავების ხელახლა გარჩევა, როგორიცაა მოწყალე სამარიტელის იგავი. კარგი იქნება მაგალითების მოხმობა თანამედროვე ცხოვრებიდან.

4. ეკლესიურობის გაგება

მიუხედავად იმისა, რომ ამ ასაკის ბავშვებს რამდენადმე უფრო ღრმად ესმით ღვთისმსახურების მნიშვნელობა, ეკლესიისადმი დამოკიდებულება მაინც ზედაპირული რჩება. ტაძარში სიარული მოსაწყენ მოვალეობად ეჩვენებათ. მოვალეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში სრულდება ხალისით, თუ თვითონ მონაწილეობენ ღვთისმსახურებაში რაიმენაირად — ან გალობენ, ან ეხმარებიან და ა.შ. დიდ მნიშვნელობას იძენენ თანატოლი მეგობრები ტაძარში. ბავშვები ნათლად ხედავენ ნინაალმდეგობას ეკლესიის მსოფლმხედველობასა და გარშემო მყოფი საზოგადოების შეხედულებებს შორის და ცდილობენ დამაკმაყოფილებელი პასუხები იძოვონ. მათ სულებში განხეთქილება, გაორება იჩენს თავს: ის, რასაც ვლაპარაკობთ, ვფიქრობთ და გვწამს ეკლესიაში — ერთია, ხოლო რასაც ვფიქრობთ და ვაკეთებთ „ნამდვილ ცხოვრებაში“ — მეორე.

ამ ასაკში ბავშვებს უნდა დავეხმაროთ, გააცნობიერონ ქრისტიანული

ცხოვრების საზრისი. უფრო ღრმა გააზრებისათვის უნდა დავფურისტოთ სა- ეკლესიო საიდუმლოთა მნიშვნელობაზე. რას ნიშნავს ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში ზიარება? რას ნიშნავს სინაცული? რაშია ნათლობის აზრი? რიტუალის ცოდნა საკმარისი არ არის, მნიშვნელოვანია, გესმოდეს საი- დუმლოს მნიშვნელობა საკუთარ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია, რომ ბავ- შვის ცხოვრებაში თანაარსებობდეს ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები: მოგზაურობა, მომლოცველობა, სხვა სამრევლოებთან სტუმრობა.

5. სამყაროს აღქმა

ამ ასაკის ბავშვებისათვის რთულია სამყაროს შესახებ ქრისტიანული სწავლების, შემოქმედი ღმერთისა და მისი განგებულების შეთავსება იმას- თან, რასაც ისინი გარშემომყოფთაგან იგებენ. საკუთარი გულუბრყვილო, რამდენადმე ზღაპრული წარმოდგენები მათ აღარ აკმაყოფილებთ. თუ მათ მიერ მიღებული რელიგიური აღზრდა არ დაეხმარა მსოფლმხედველობის გამთლიანებაში, ისინი დარჩებიან ჩვენს სამყაროში მიღებული გაორებუ- ლობის გავლენის ქვეშ. ეს კი მიიყვანს რელიგიისადმი კრიტიკულ დამოკი- დებულებამდე, რაც ასე ხშირად იჩენს თავს შემდგომ პერიოდში.

ამ პერიოდში ძირითადი ამოცანაა ვუჩვენოთ ბავშვებს, რომ ობიექ- ტური, კრიტიკული აზროვნება თავსებადია რწმენასთან და არ ეწინააღ- მდეგება მას. ახლა აუცილებელია ბავშვებს შევასწავლოთ ქრისტიანული მოძღვრება, პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს: როგორ ვიმეცნებთ ღმერთს? რა არის წმიდა წერილი? როგორ იქმნებოდა ის? რა არის საღვთო გარდა- მოცემა? რა არის ეკლესია? რაში მდგომარეობს ადამიანის თავისუფლება? როგორ აზროვნებს ადამიანი?

6. დამოკიდებულება ღმერთისადმი

ამ ასაკში ბავშვის სუფთა, გულუბრყვილო წარმოდგენა ღვთის შესა- ხებ თანდათანობით და ძალდაუტანებლად უფრო გაცნობიერებული და გასულიერებული რწმენით იცვლება. ზოგჯერ ღმერთისა და სასწაულების შესახებ ადრეული წარმოდგენების უარყოფისას ბავშვები თავად ღვთის რწმენასაც უარყოფენ. მათთვის ახლა უფრო ადვილია იესო ქრისტე ისტო- რიულ პირად წარმოიდგინონ, მაგრამ მათ საკუთარ ცხოვრებაში ქრისტეს თანაყოფნის განცდა სუსტია, ისევე, როგორც მისდამი საკუთარი დამოკი- დებულების გაცნობიერება. განყენებული აზრის მსვლელობას შეუძლიათ მიყვნენ, მარტივი საღვთისმეტყველო განმარტებები მათთვის გასაგებია და საინტერესო.

ბავშვები მზად არიან აღიქვან ღვთისმეტყველებისა და მოძღვრების ძირითადი ჟეშმარიტებანი: სწავლება ღმერთის, ყოვლადწმიდა სამების, ხილული და უხილავი სამყაროს, სიკეთისა და ბოროტების, ღვთის ნებისა და განგებულების შესახებ. ამისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს მოთხრობები წმიდა წერილიდან, როგორც მაგალითები და ილუსტრაცია.

7. ლოცვა

ამ ასაკისთვის მშობლებთან ერთად ლოცვის ჩვევა ქრება, ხშირად საერთოდ ქრება დილასა და საღამოს ლოცვის ჩვევაც. გარკვეულად შენარჩუნებულია დამოკიდებულება ლოცვისადმი, როგორც რაღაც ძალიან სასურველის მიღების საშუალებისადმი. მეორე მხრივ, ბავშვები ხვდებიან ცხოვრების სირთულეებს და შეუძლიათ ცნობიერად სთხოვონ ღმერთს დახმარება, გამოსწორება, პატივება.

პირად ლოცვაზე საუბარი გაკვეთილებზე რთულია, მაგრამ ახლა შეიძლება უფრო ღრმად ავუსტანათ საღვთისმსახურო ლოცვების საზრისი, მათი მიმართება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან. საღვთისმსახურო ლოცვების უკეთ გაგება მათ დამღლელ ღვთისმსახურებაზე ყოფნას უმსუბუქებს.

8. სიმბოლიკა

ბავშვს აქვს უნარი გაიგოს საღვთისმსახურო სიმბოლოების და სიმბოლური თხრობის აზრი, რამაც შეიძლება გაუღვივოს ინტერესი და საზრიანი კითხვები გაუჩინოს.

რიტუალისა და საიდუმლოთა გარეგნული წესის ახსნა საკმარისი აღარა. ბავშვებთან მუშაობისას აუცილებელია არა მხოლოდ რიტუალის ახსნა, არამედ ის, რომ ამ ახსნას კავშირი ჰქონდეს მათ საკუთარ, რეალურ ცხოვრებასთან თანამედროვე პირობებში.

9. ზნეობრივი ცნობიერება

ქცევის ზნეობრივი შეფასება ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება გარშემომყოფა მოწონებითა ან გაკიცხვით: იქნება ეს მეგობრები, ოჯახი, მშობლები. თუმცა ბავშვებში თანდათან იღვიძებს იმის განცდა, რომ ზნეობრივი ცხოვრების საფუძველი სიყვარულია. ამხანაგობის წესი ძალზე ძლიერია, მაგრამ ხანდახან იღვიძებს ზნეობრივი პასუხისმგებლობის პირადი გრძნობა, რომელიც ამხანაგების აზრს შეიძლება დაუპირობისპირდეს. ბავშვებს უჩნდებათ ზნეობრივი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა საკუთარი თავისადმი და საკუთარი საქციელისადმი. „ზნეობრივი

გემოვნება“ დიდნილად განიცდის ტელევიზიისა და რადიოს, ურნალებულისა და უფროსი მოზარდების მაგალითის გავლენას. პასუხისმგებლობის შეგრძება რამდენადმე ძლიერია.

რელიგიური აღზრდის ძირითადი ამოცანაა, ბავშვებს განუვითაროს უფრო ღრმა გაგება ადამიანებთან ურთიერთობისა (მშობლებთან, მეგობრებთან, უფროსებთან თუ უმცროსებთან), როგორც ქრისტიანული სარწმუნოების გამოხატულება. ბავშვებს უნდა ჩავუნირგოთ, რომ ცოდვა – ეს არა მხოლოდ წესის დარღვევა, არამედ – ადამიანებთან და ღმერთთან ურთიერთობის დარღვევა. შეიძლება წმიდა წერილიდან განიხილოთ კონფლიქტები ადამიანთა შორის: მაგალითად, ვაჟების დამოკიდებულება მთვრალი ნიერადმი, ადამიანთა განყოფა ბაბილონის გოდოლის მშენებლობის დროს, ახალი აღთქმიდან კი – მოციქულ პეტრეს მიერ მაცხოვრის უარყოფა და მისი სინანული, იუდას დალატი და მისი სასოწარკვეთა. ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება ლიტერატურიდანაც.

10. ისტორიული ცნობიერება

ამ ასაკის ბავშვები ინტერესდებიან წარსულით, ისტორიით, ძველებური ნივთებით, ხალისით აგროვებენ კოლექციებს, სუვენირებს, დადიან მუზეუმებში, კითხულობენ ისტორიულ რომანებს, უყურებენ გადაცემებს ისტორიულ თემებზე.

ქრისტიანული სარწმუნოების, წმიდა წერილისა და ეკლესიურობის ცოდნა ახლა შეიძლება ისტორიული რაკურსით მივაწოდოთ. თუმცა, მით უფრო აუცილებელია, ბავშვებს ყურადღება გაუზრახვილოთ იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ამ ცნობებს აქვს პირადად მათვის. სარწმუნოების შესახებ ცოდნა სამუზეუმო ხასიათისა არ უნდა იყოს.

გარდამავალი პრიორი

(14, 15, 16 ნოემბერი)

1. ოჯახი

დამოუკიდებლობის მძაფრი სურვილი, სურვილი ყველაფრის თვითონ გადაწყვეტისა იწვევს მშობლების, ზოგადად უფროსების ავტორიტეტის წინააღმდეგ ამბოხს. მოზარდებს სურთ, ბავშვობასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოსპობა, თუმცა, ამავე დროს, ხშირად იბნევიან ახალ მოვ-

ლენებთან შეჯახებისას. და მაინც, ოჯახი მათ სჭირდებათ, როგორც თავი შესაფარი, საიდანაც შეძლებენ გასვლას დამოუკიდებელ ცხოვრებაში, მაგრა რამ სადაც გასაჭირის შემთხვევაში დასაბრუნებელი ექნებათ.

მოზარდების სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად მოიპოვონ დამოუკიდებლობა, იძლევა შესაძლებლობას, შევთავაზოთ ახლებურად შეხედონ სარწმუნოებას, ზნეობრივ პრობლემებსა და ადამიანებთან ურთიერთობას. როგორი ოჯახის ყოლა მოუნდებოდათ მომავალში? როგორ მოისურვებდნენ ბავშვების აღზრდას და ა.შ.

2. წარმოდგენა საკუთარ პიროვნებაზე

ინტელექტუალური განვითარება თითქმის სრულ სიმწიფეს აღწევს. ბავშვებს შეუძლიათ ფორმალური, ლოგიკური მსჯელობა. ფიზიოლოგიური ზრდა, ცვლილებები გარეგნობაში, მკვეთრი სხვაობა იმავე ასაკის მოზარდთა გარეგნულ ზრდასრულობასთან, იწვევს საკუთარ თავში დაურწმუნებლობას, და ეს ყველაფერი ტრაბაზით ინიდება. სქესობრივი მომწიფება და განსხვავებული სქესის წარმომადგენლებთან ახლებური დამოკიდებულება დაკავშირებულია ჭარბ ემოციურობასთან. წარმოიშობა კონფლიქტი დამოუკიდებლობის წყურვილსა და მხარდაჭერისა და ზრუნვის მოთხოვნილებას შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა სირთულეებს თავი ვერ ერთმევა. თუმცა მათ მანამდე უცნობი ალტრუიზმისა და სიყვარულის გრძნობაც შეუძლიათ შეიცნონ.

აღმზრდელის ამოცანაა, დაეხმაროს მოზარდებს თავისი რელიგიური შეხედულებები და წარმოდგენები ახალი და უფრო კრიტიკული აზროვნების კონტექსტში გადასინჯონ. ყველაზე მნიშვნელოვნად რჩება ის, რომ გამოვუმუშავოთ საკითხის დაყენების უნარი — რისი სწამთ, რისი არა და რატომ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მათთვის ცხოვრებაში, როგორ ესმით მეგობრობა, სიყვარული და ა.შ.

3. დამოკიდებულება გარემოსადმი

უჩნდებათ სურვილი, ჰქონდეთ რაღაც სტატუსი, მნიშვნელობა, აღიარება. აქვთ მოთხოვნილება, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროთ, ღიზიანდებიან, როცა უფროსები არ ენდობიან. ცდილობენ, ყველა სფეროში იყვნენ ისეთები, როგორებიც სხვები არიან, ჩატმულობაში და სხვ. „ახალგაზრდული კულტურის“ არსებობა და უფროსი თაობის უარყოფითი დამოკიდებულება მისადმი ხშირად თაობებს შორის მტრულ განწყობაში გადადის. უფროსების ავტორიტეტული განცხადებები ხშირად არადა-

მაჯერებელია და გაღიზიანებას იწვევს.

ამ ასაკში შესაძლებელია დავით ყოთ საუბარი საზოგადოებაში ადამიანის როლისა და პასუხისმგებლობის ქრისტინულ გაგებაზე. ამისათვის ძალიზე სასარგებლოა ეკლესიის ისტორიის, ადრეული საუკუნეების ქრისტიანთა ცხოვრების შესწავლა, რა პრობლემები წარმოიშობოდა საეკლესიო საზოგადოების ცხოვრებაში, როგორი იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა და ა.შ. ბევრი მასალის ამოღება შეიძლება „საქმე მოციქულთადან“ და მოციქულთა ეპისტოლებიდან.

4. ეკლესიურ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო და უფრო რთული ხდება და მეტ მნიშვნელობას იძენს.

ეკლესიურ ცხოვრებაში მონაწილეობა უფრო და უფრო რთული ხდება და მეტ მნიშვნელობას იძენს. მოზარდები ტაძარში დაცვასა და ნუგეშის-ცემას ეძებენ, მაგრამ საეკლესიო წესებს პიროვნული თავისუფლების შეძლუდვად აღიქვამენ. თუკი მათ აღსარების ჩასაბარებლად სიარულის ჩვევა არ დაუკარგავთ, კარგი მოძლვარი მათ სულიერ ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს.

ეკლესიურ ცხოვრებაში მონაწილეობა მოზარდებს შველის ეს პერიოდი და ეკლესიისგან მოუწყვეტილივ გაიარონ: გუნდში იგალობონ, სამრევლოსა და ტაძარში დაეხმარონ. ყველაზე მთავარი მათთვის – კარგი, გულისხმიერი, გამგებიანი მოძლვრის გავლენაა, მაგრამ მათთვის მნიშვნელოვნია, აგრეთვე, გულწრფელი მეგობრობა ასაკით უფროს მორმუნებთან, ვისაც ახალგაზრდები უყვარს. ეკლესიის ისტორიის თემატური შესწავლა მოზარდებს ეხმარება ეკლესიის მნიშვნელობა უკეთ გაიგონ.

5. წარმოდგენა სამყაროზე

მოზარდებში ხშირად ბუნებრივი სკეპტიციზმი იღვიძებს და მრავალი მათგანი ამ პერიოდში რწმენას კარგავს. ისინი ვერ ახერხებენ რწმენასა და მეცნიერებას შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტას. სკოლაში ისტორიის კურსი ეკლესიის როლს უარყოფითად აფასებს, ხოლო მოზარდების მიერ ფარისევლობისა და არაგულწრფელობის მიუღებლობა მათი ნაცნობი ადამიანების რწმენის სარგებლიანობაში ეჭვს იწვევს.

ძალიზე მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა ეკლესიური ადამიანებისგან „მეცნიერების კანონებისა“ და „მეცნიერული აზროვნების“ კომპეტენტური განმარტება მოისმინონ. მოზარდები არასათანადოდ განათლებული რწმენის დამცველების არგუმენტაციაში სუსტ ადგილებს იოლად ამჩნევენ. იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, ახალგაზრდები ადვილად

შეიძლება ჩაერთონ შემოწირულობების შეგროვებასა და ხელმოკლეობას მოხუცები, ავადმყოფები და ა.შ. – დახმარებაში.

გვირჩევა

6. წარმოდგენა ღმერთზე

ღმერთზე მოზარდები უფრო აბსტრაქტული ტერმინებით იწყებენ მსჯელობას, თუმცა ზოგიერთი მათგანი ბავშვურ მსოფლმხედველობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს. არაერთი მათგანი მანამდეც კი წყვეტს რელიგიაზე ფიქრს, სანამ უარს იტყვის მასზე. უმრავლეს შემთხვევაში ინტერესი საკუთარი ცხოვრებისა და თანატოლებისადმი გაცილებით ძლიერია, ვიდრე რელიგიისადმი და ისინი ერთის მეორესთან კავშირს ვერ ხედავენ.

პიროვნული რწმენა და ღმერთის შემეცნების საკითხები ძნელია ახალ-გაზრდების ჯგუფში განხილვის თემად აქციო. ქადაგების მოსმენა მათ არ უყვართ. მეცადინეობის საკმაოდ მისაღებ ფორმას წარმოადგენს საინტერესო ბიოგრაფიის გაცნობა, სადაც საკამათო საკითხები წამოიჭრება და ხდება მათი განხილვა. ყველა ამ მეცადინეობის მთავარი მიზანია – დავეხმაროთ მოზარდებს გაარკვიონ, რას ფიქრობენ ისინი სინამდვილეში, რისი სწამო და რას ნიშნავს ეს მათვას.

7. ლოცვა

პირადი ლოცვა, რომლის შესრულებას თვალ-ყურს ადევნებენ მშობლები, დავიწყებას ეძლევა, მაგრამ ნებაყოფლობითი ლოცვა გულწრფელი და ღრმა შეიძლება იყოს.

საუბრები ლოცვის შესახებ ისეთი წიგნების გამოყენებით, როგორიცაა მამა ალექსანდრე ელჩანინოვის „ჩანაწერები“ და სხვა თანამედროვე მართლმადიდებელი ღვთისმეტყველებისა, შეიძლება მეტად სასარგებლო იყოს, თუკი ჯგუფში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

8. სიმბოლიკის გაგება

რელიგიურ სიმბოლიკას ღვთისმისახურებაში, ტექსტებსა და მოძღვრებაში ადვილად იგებენ. მოზარდების მიერ აღქმული სიმბოლიზმი შიძლება კუთილმყოფელად ავსებდეს ამ ასაკისთვის დამახასიათებელ რაციონალიზმს. მოზარდებს ძევლი აღთქმის უფრო რთული ადგილებისა და ახალი აღთქმი-დან საშინელ სამსჯავროსა და სამყაროს აღსასრულის შესახებ უფრო რთული იგავების განხილვა ხელებით იფებათ. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდები მიხვდნენ განხილვავებას, „სიმბოლურსა“ და „ფანტასტიკურსა“ შორის.

9. ზნეობრივი ცნებები

ზნეობრივი ცნებები, რომლებიც უფროსების მოწოდებას ან უკმაყოფილებას იწვევენ, კარგავენ ღირებულებას. თანამედროვე საზოგადოებაში მიღებული კარგისა და ცუდის საზომი, საყოველთაოდ მიღებული „სქესობრივი თავისუფლება“ ძალზე შორსაა ქრისტიანული სწავლებისაგან. ის, რაც „წესიერებითა“ თუ „დაშინებით“ განისაზღვრობოდა, არავითარ გავლენას აღარ ახდენს.

ახალგაზრდებთან მომუშავე აღმზრდელის ყველაზე მთავარი ამოცანაა, მათვის მართებული და მისაღები ზნეობრივი კრიტერიუმების პოვნაში დაეხმაროს. თანამედროვე ცივილიზაცია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ძველი თაობების თითქმის ყველა ზნეობრივ წარმოდგენას – ამას ზოგჯერ გარკვეული საფუძველი აქვს. ქრისტიანული ზნეობა არ უნდა იყოს „ძველი სადმი მოწოდება“. მოზარდებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა მაინც, თუ როგორ განიხილავს ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენს გაგებას ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ.

10. ისტორიული ცნობიერება

ჩნდება ინტერესი პიროვნების განვითარების მიმართ ისტორიულ დროში, როგორ მოქმედებს ადამიანზე ცხოვრება ამა თუ იმ ეპოქაში, რას მოგვიტანს კაცობრიობის მომავალი განვითარება. ასეთი და ანალოგიური საკითხების განხილვა საკუთრივა ხელებით ხელებით მოზარდებს.

მოზარდებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია გავაგებინოთ, რომ ქრისტიანობა და ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია, რომ ცხოვრება არ არის სტატიკური რაღაც. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, ეკლესიის ცხოვრებაში ისტორიული პროცესების შესწავლა. ისეთმა თემებმა, როგორიცაა ეკლესიათა განყოფა, ბიბლიის ისტორიული შესწავლა, მათ შეიძლება გაუღრმავოს ქრისტიანობისა და ეკლესიის გაგება.

K 265.335
3
საქართველო
თბილისი

ამ წიგნის ავტორი სოფია
კულომზინა (1903 – 1999)
ემიგრაციაში მოღვაწე ცნო-
ბილი მართლმადიდებელი
პედაგოგი და აღმზრდელია.
XX საუკუნის 70-იან წლებში
იგი ნიუ-იორკის წმიდა
ვლადიმერის სემინარიაში
მომავალ მართლმადიდებელ
მოძღვრებს ქრისტიანული
პედაგოგიკის კურსს უკითხ-
ავდა. ეს წიგნი ამ კურსის
შეჯამებას წარმოადგენს. ის
დაეხმარება როგორც მარ-
თლმა დიდებელ მშობლებს,
ასევე ასულიერო სასწავ-
ლებრ ეპის სტუდენტ იპსა
და აეკლ სიონ სკოლების
მასრ ჩა კულებს – ყველას,
ვინც ჩა მვთა ქრისტიანული
აღმზრდოთაა დაინტერესე-
ბული.